VOYAGER

BY SOLO

ინგლისი

შეამოგამაა 4/2016

მოგზაურობა · ცხოვრების სტილი · მასტრონომია · არქიტექტურა · დიზაინი · სპორტი


FREDERIQUE CONSTANT
GENEVE
FREDERIQUE CONSTANT
GENEVE
LINKED
TO MOTION
The beautiful Swiss watch is now smart
and connected, powered by MotionX®.
Google play
Available on the
App Store
HOROLOGICAL
SMARTWATCH
MotionX®
powered
ARTTIME
შენი შვეიცარიული საათი
www.arttime.ge
smartwatch.frederique-constant.com

Ermenegildo Zegna

ლონდონი 12 / 31
ერთი კვირა ლონდონში
სასტუმროები
მუზეუმები
წვიმასა და ხალისს შორის

ტრადიცია 32
FIVE O'CLOCK TEA / დახურული კლუბები

გასტრონომია 36 / 59
ინგლისური საუზმე
რესტორნები
რას გვირჩევს „რიცის“ შეფ-სომელიე
ვისკი
ღამის კლუბები / ბარები
ღუდი / ჯინი
პაბები

ინგლისური არქიტექტურის გრამატიკა 66

ჩერჩილი, უინსტონ ჩერჩილი 72

დიდება დედოფალს! 76

ინგლისური მუსიკა 80

დენდი 84

ინგლისური კოსტიუმი 86

შოპინგი 88 / 105
მამაკაცებისთვის
სამეფო ნიშნით
პარფიუმერია
აუქციონი
ბავშვებისთვის

ტომ სტოპარდის სურდო 106

ფეხბურთის განცდები კუნძულზე 108

სპორტული სამეფო 110

ბრიტანული განათლება 112

ქალაქები 118
ბათი / სქარბორო / ლივერპული / ბრისტოლი
ქემბრიჯი / ოქსფორდი



VOYAGER SOLO რედაქციისაგან

როგორ შეიძლება მოიცვა განუზომელი და ერთ ჟურნალში ჩაატიო ქვეყანა, რომელმაც მსოფლიო ცივილიზაციას, მეცნიერებას, სამუზეუმო საქმეს, ხელოვნებას, ისტორიას, სპორტს შესთავაზა ყველაფერი მხოლოდ საუკეთესო.

ინგლისმა ყოველთვის კარგად იცოდა ამ სიტყვის მნიშვნელობა.

არ შეუქმნია პირამიდები, მაგრამ შეისწავლა ისინი. არ აუშენებია პართენონი, მაგრამ საკუთარ მუზეუმში მოათავსა მისი საუკეთესო ნაწილი. არ ჰქონდა დიდი მიწა, მაგრამ დაიპყრო ოკეანე.

სამაგიეროდ აღმოაჩინა, გამოიგონა და განახორციელა თანამედროვე ცხოვრებისთვის აუცილებელი იმდენი სამეცნიერო თუ ტექნოლოგიური მიღწევა, რომ განვითარების სრულიად სხვა საფეხურზე გადაიყვანა კაცობრიობა.

ნიმრუდის ველიდან პერსეპოლისამდე მისი დაუღალავი და უშიშარი შვილების ნაფეხურებს მიჰყვებოდა მთელი მსოფლიო. პატარა კუნძული, რომელმაც შექმნა იმპერია და მოახერხა, რომ მისი დაკარგვის შემდეგაც შეენარჩუნებინა ღირსება.

სწორედ კონტინენტიდან მოწყვეტილმა ნისლიანმა ალბიონმა აჩუქა მსოფლიოს ფეხბურთი და რაგბი. ის ველური, თუმცა კი წესების ჩარჩოებში მოქცეული ენერგია, რომელიც ორივე ამ სპორტს სდევს, ძალიან წააგავს თავად ინგლისელების ხასიათს.

არსად ხმაურობენ ასე ლაღად, ჩხუბობენ ასე თავდავიწყებით და გრძნობენ მაღალი ხელოვნების ფასს ასე სენსიტიურად.

არც თუ ბევრია ქვეყანა, რომელმაც ისტორიას ისეთი დედოფლები აჩუქა, როგორიც ინგლისმა. სქესთა თანასწორობის ამ უცნაურ გამოვლინებას უკვალოდ არ ჩაუვლია და დღეს ბრიტანელი ქალები ისეთივე შემართებით არღვევენ პატრიარქალურ კანონებს, როგორითაც ელიზაბეთ პირველი ეწინააღმდეგებოდა გათხოვებას.

ინგლისი მარტივად ქმნის ფენომენებს.

ინგლისური მოდა – ექსცენტრიკული, როგორც თავად ინგლისის მკვიდრნი, თავისუფალი და გახსნილი სიახლეებისთვის.

ინგლისური იუმორი – ამოუცნობი დახვეწილობით, ხშირად გაუგებარი და ამიტომ კიდევ უფრო მიმზიდველი.

ინგლისური ამინდი – აქ მეტს ვერაფერს ვიტყვით.

ინგლისური საუზმე – ეს კი იმსახურებს განკერძოებულ მიდგომას და ახსნა-განმარტებას, ისევე როგორც საიდუმლოებით მოცული ინგლისური სამზარეულო, რომელიც უკეთესი დაკვირვებისას საკმაოდ სცდება ყბადაღებულ „ფიშ ენდ ჩიპსს“.

ინგლისური კლუბი – ხშირად მიუღწეველი, საოცნებო სივრცე, სადაც საიდუმლო კავშირებით შეკრული ადამიანები ერთმანეთის კომპანიაში ატარებენ დროს.

ინგლისური პარკი – განუმეორებელი თავისი სილამაზითა და ფილოსოფიით, ბუნებასთან შერწყმის სურვილით, რომელიც სისხლში აქვთ გამჯდარი მწვანე კუნძულის ბინადართ.

ინგლისი თავად ფენომენია, სიდინჯით, წვიმიანი დღეებით, რძიანი ჩაითა და დენდიზმით; დედოფლით – ბოლოს და ბოლოს.

ყველაფერი ეს, ვეცადეთ, ამ ჟურნალში ჩაგვეტია. რამდენად გამოგვივიდა, თავად გადაწყვიტეთ. ერთი მთავარია: ეს ჟურნალი ამ შესანიშნავ ქვეყანაში მოგზაურობის მხოლოდ დასაწყისია...



MARKS & SPENCER
LONDON

Tbilisi Mall, 16km Aghmashenebeli Alley

Facebook.com/MarksandSpencerGeorgia

VOYAGER BY SOLO

4, 2016

მთავარი რედაქტორი
თეა სხიერელი

არტ-დირექტორი
ნინო დარასელი

რედაქტორი
სალომე დადუნაშვილი

დიზაინერი
ნინო ყაველაშვილი

მხატვარი-ილუსტრატორი
მაია სუმბაძე

სტილის რედაქტორი
ნინო ლურსმანაშვილი

ავტორები:
აკა მორჩილაძე
მარგარიტა ანთიძე
ლაშა ბუღაძე
ბიძინა ბარათაშვილი
ნიკოლოზ ჩხაიძე
მარიკა შალიკაშვილი
დავით საყვარელიძე
ზაზა ჯილაძე
მზია ჩიხრაძე
მარინა ყიფშიძე

ადმინისტრაციული თანაშემწე
გიორგი ვასაძე

სარეკლამო გაყიდვების მენეჯერი
ნაზი გოშაძე

მადლობას ვუხდით
მაია შარაშიძეს, ნატო ყანჩელს,
მაკო აბაშიძეს, ლაშა კიზირიას,
თეა ენდელაძეს, აგრეთვე, ბრიტანულ-
ქართულ სავაჭრო პალატას.

ფოტო - **Shutterstock**

SOLO

გამომცემელი: შპს „სოლო“
ვებგვერდი: www.solo.ge
ტელ.: +995 32 2 44 44 00
ISSN: 2346-8130

პროექტის ხელმძღვანელი / SOLO-ს დირექტორი
ეკა დუჩიძე

პროექტის კონსულტანტი
ნინო გეგეშიძე

SOLO-ს ბრენდმენეჯერი
ქეთი ნიკოლეიშვილი

დაბეჭდილია სტამბაში:
Bauer Medien Productions-&Handels Gmbh

მისამართი: Baumannstrasse 3/19,
A – 1030 Vienna, Austria
e-mail: office@bauermedien.at
www.bauermedien.at

ბეჭდვის მენეჯმენტი:
Ctrl P

მისამართი: თბილისი 0186,
ქავთარაძის 27
ტელ.: +995 32 2 381 908

რეკლამა ჟურნალში: +995 599 330 364 / ჟურნალში გამოქვეყნებული მასალა წარმოადგენს შპს „სოლოს“ საკუთრებას.
ჟურნალში დაბეჭდილი ნებისმიერი მასალის გამოყენება კომპანიის წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია.

www.solo.ge

ტელ.: +995 32 2 44 44 00

სალომე დადუნაშვილი

ლონდონის ჰაერი გამჭვირვალეა, როგორც აპრილის დილა და წკრიალა, როგორც მერი პოპინსის ზანზალაკი. მორკალული ქუჩების თეთრი სახლების კოლონადების გასწვრივ, შავი ლითონის ღობეები რომ მიუყვება, გალაქულ კართა წყება პრიალებს. ყველა ეს კარი შესასვლელია საოცარ სამყაროში. ყველა ამ კარის მიღმა ალისა ცხოვრობს, უკვე გათხოვილი, უცნაური, მეოცნებე შვილებით, უკანა ეზოში გადმოყირავებული ქოლგების გუბურებში თავკომბალების ზრდას რომ აკვირდებიან დიდი, უშველებელი ლუპებით.

არა, სულაც არაა ასე, მაგრამ ძალიან მინდა, რომ იყოს. ასე ვოცნებობ, როცა ნახევარმთვარის ფორმის ქუჩებს მივუყვები დილით, როცა აპრილის ჰაერი ათასობით აყვავებული ტიტის ფერით ვიბრირებს.

ექსცენტრიკული ლონდონელები სამსახურებისკენ მიეშურებიან. რა თქმა უნდა, ქოლგით ხელში. ლურჯი საქმიანი კოსტიუმების ქვეშ ხმელ სხეულებს და ათასფერზოლიან წინდებს მალავენ. მოგისკუპდება ასეთი საქმოსანი გვერდით მეტროში, მისი აიპოდის ყურსასმენებიდან კი როკენროლის ხმა ისმის.

სადღაა ლონდონში ნისლი?!
ლონდონი იმ ქალაქს, წიგნებში რომ გვიპოვია, მხოლოდ შემოდგომაზე ემსგავსება.

რა კარგია მაშინ სადმე, ლონდონის ჭასავით ეზოს მაღალსართულიანი სახლის ფანჯარასთან ჯდომა. ყურება, როგორ მიუყვებიან წყლის ნაკადულები შავ მილებს, ასე ურცხვად რომ გადმოუყრიათ სახლებს გარეთ, თითქოს ჯეკის დანამ დაუარათ აგურის მუცლებზე.

ყველაფერი ყირამალაა ამ ქალაქში. მანქანებიც უკუღმა დადიან, ონკანიც უკუღმა იკეტება და სინათლის ჩამრთველიც კი უკუღმა მუშაობს. აი თქვენ, როგორ მოამზადებთ რძიან ჩაის? ჩაიში რძეს დაამატებთ, არა? კუნძულელები კი პირიქით იქცევიან.

რაღაც უცნაური იხარშებოდა ყოველთვის აქ ქალაქის ქვაბში, რაღაც ისეთი, რაც ახმაურებს, აშღერებს და აცეკვებს ადამიანებს, აძლებინებს საათობით ფეხზე დამდგარ პუბლიკას ხის ძველისძველ თეატრებსა და ჩაბნელებულ პაბებში. რაღაც, რასაც ვერც შავი ჭირი და ვერც ეპოქალური ხანძარი მოერია. რაღაც, მაკბეტის ჯადოქრების რეცეპტით დამზადებული, აი ისეთი: somthing wiked this way comes, – რომ გაფიქრებინებს. ღამით თუ უკაცრიელ ქუჩაში ცაში აიხედავ და განათებული ფანჯრების რიგს გააყოლებ თვალს, მიხვდები, რომ პიტერ პენი სწორედ ამ ქალაქში უნდა მოფრენილიყო. აქ უნდა შემძვრალიყო ალისა კურდღლის სოროში და აქვე უნდა ეცხოვრა შერლოკ ჰოლმსს.

ბეიკერ სთრითზე, ბედის ირონიით, დაკარგულ და ნაპოვნ ნივთთა ბიუროა განთავსებული. არც არის გასაკვირი. ამ ქალაქით გაოგნებული ადამიანები კარგავენ ქუდებს, სათვალეებს, წიგნებს, თავებს... მაგრამ თუ თავი დაკარგეთ, მას ლონდონი აღარ დაგიბრუნებთ, ისევე როგორც ქოლგას. ეს არის ქოლგათა უწყვეტი ბუნებრივი ბრუნვის ქალაქი. თქვენ კარგავთ ქოლგას, სხვა პოულობს, იმისთვის, რომ მერე დაკარგოს, რომ კიდევ სხვამ იპოვოს და ასე უსასრულობამდე. ასე იქნება სულ, სანამ ლონდონში იწვიმებს.

სოჰოს ქაოსში, ხელმოცარული მსახიობების გვერდით, თეატრის ხმაურიან ბარებში ვარსკვლავები სხედან. მათ არავინ აწუხებთ, აქ ყველა თანაბარია, ყველა ერთი გილდიის წევრია. ასე ყაყანებს ბარი პირველ ზარამდე და მერე ჩაბნელებულ დარბაზებში, როგორც ვეშაპის კუჭში, ერთად იხარშება პარტერიც და იარუსიც. ერთად იცინის და უსტვენს, აბაკუნებს ფეხებს, ან ღმუის.

ვერ ვხვდები, რატომ მიყვარს ასე. რად მიჩუყდება გული, როცა ოფიციანტი „საყვარელოთი“ მომმართავს ან გამყიდველი მიმეგობრდება, 2 წუთში და სამუდამოდ.

ვერ ვეჩვევი ამ ქალაქს. ვერ ვეჩვევი აღფრთოვანებას მისი სიდიადით. ჰო, ესაა ალბათ ის სიტყვა. ვერ ვეგუები მისი ახალგაზრდული ენერგიის სიველურეს, ნოთინგ ჰილის ფერადი სახლების სიკოხტავესა და ქათქათა მეიფეარს.

ასე მგონია, ვერასოდეს შევეჩვევი წითელი ავტობუსის ჩაქროლებას და ვერც მის უჩვეულო ვირაჟებს შევეგუები, ყოველ მოსახვევში რომ გაფიქრებინებს, რომ აი ახლა კი ნამდვილად გადაყირავდები და მორიგი ფინანსისტის ქოლგაზე მოადენ ზღართანს.

ასეა და ასე იქნება, სანამ ჰოლანდ პარკის გარშემო, აგურის სასახლეთა მწკრივის წინ აყვავდება ალუბლები, ნოთინგ ჰილის ქუჩები შაბათ-კვირას ათასი ჯურის უძვირფასესი ხარახურით გაივსება. ასე იქნება მუდამ, იმიტომ რომ არაფერი რჩება ისე უცვლელი და იცვლება ისე სწრაფად, როგორც ლონდონი.

თუმცა სადღაა ლონდონში ნისლი და ფოგი?!

ლონდონი, დიდი ბრიტანეთის დედაქალაქი, რომაელებმა დააარსეს და მას **ლონდინიუმი** დაარქვეს. ლონდონის პირველი რუკები XVI საუკუნეში, **ტიუდორების დინასტიის** მმართველობის პერიოდში შეადგინეს. ამ რუკებზე ის 5 კილომეტრზეა გადაჭიმული, **ტემზაზე** მხოლოდ ერთი ხიდით. დღეისათვის ლონდონში **33 ხიდია**. დიდი ლონდონი 1572 კვადრატულ კილომეტრს იკავებს. ის **სითისგან** და **32 რაიონისგან** შედგება.

მაკა ანთიძე

MAYFAIR / ST. JAMES'S

მეიფეარი (Mayfair) – ცენტრალური ლონდონის ყველაზე პრესტიჟული უბანია, რომელსაც აღმოსავლეთიდან **Regent Street**, დასავლეთიდან – **Hyde Park**, ჩრდილოეთიდან – **Oxford Street** და სამხრეთიდან **Piccadilly** შემოსაზღვრავს. აქ ერთმანეთის გვერდიგვერდ მეზობლობენ სასახლეები, სამსაუკუნოვანი საცხოვრებელი სახლები და თანამედროვე შენობები, თუმცა დღეს ეს უბანი, ძირითადად, მაინც კომერციული საქმიანობის ადგილია, სადაც თავმოყრილია კომპანიების სათავო ოფისები, ჰეჯ ფონდები, უძრავი ქონების სააგენტოები და საელჩოებიც.

ამ არისტოკრატიულ, პრივილეგირებულ უბანში ვერ ნახავთ პაბებსა და ხმაურიან ღამის კლუბებს, აქაურ ძველებურ რესტორნებში მხოლოდ საუკეთესო ვისკი და ღვინო შეგიძლიათ მიირთვათ. შთამბეჭდავი არქიტექტურის, გაკრიალებული ქუჩების და მშვიდი გარემოს წყალობით მეიფეარი შესანიშნავი არჩევანია საღამოობით ფეხით სეირნობისათვის.

აქაური გალერეები უკვე 90 წელზე მეტია ლონდონის სახელოვნობო ცხოვრების ცენტრია, აქვეა **Royal Academy of Arts**, რომლის მონახულებასაც ლონდონში სტუმრობისას დაბეჯითებით გირჩევთ.

სახელგანთქმულ **Bond Street**-ზე განთავსებულია ყველაზე პრესტიჟული ბრენდების – Chanel, Prada, Miu Miu, Alexander McQueen და Louis Vuitton მაღაზიები. აქვეა Saville Row, სადაც მსოფლიოში ცნობილი ატელიეებია მამაკაცის სამოსის ინდივიდუალური შეკვეთისათვის.

ფეშენებელურ სავაჭრო ცენტრში **Burlington Arcade** ოდითგანვე საუკეთესო ხარისხის ტყავის ნაწარმი, ძვირფასეულობა, საათები და ანტიკვარიატი იყიდება. **Royal Arcade**-ის საუკუნოვანი ტრადიციების მქონე ატელიეებში კი ფეხსაცმელიც შეგიძლიათ შეუკვეთოთ და თან განუმეორებელი გემოს არტიზანული შოკოლადი შეიძინოთ.

სასიამოვნო, მაგრამ დამღლელი შოპინგის შემდეგ გირჩევთ, სასტუმრო **Claridge's**-ის რესტორანში ივახშმოთ და შეფ გორდონ რამზის ნახელავი დააგემოვნოთ.

Piccadilly-ს სამხრეთით მდებარე **St James's**-ის უბანი სამეფო სასახლეებითა და უძველესი ინგლისური დახურული კლუბებითაა ცნობილი. აქვეა სამი სამეფო პარკიც.

ამ უბანშივეა საქვეყნოდ ცნობილი უნივერმაღი **Fortnum & Mason's**, რომლის მომსახურებითაც თავად სამეფო ოჯახი საუკუნეებია სარგებლობს. რაც შეეხება **Jermyn Street**-ს, ეს შოპინგის მოყვარული მამაკაცებისათვის ლონდონში მთავარი მისამართია.

WESTMINSTER

უესთმინსთერში ღირსშესანიშნაობები ყოველ ნაბიჯზეა – ის ლონდონის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ცენტრია. ამ უბანშია სახელგანთქმული ბიგ-ბენი, პარლამენტი, უესთმინსთერის საობატო, ბაკინგემის სასახლე.

ამ უბნიდან ლონდონის ყველა სხვა ღირსშესანიშნაობამდეც იოლად მიხვალთ ფეხით: ტემზის სანაპირომდე, Tate Britain-ის მუზეუმამდე, ბელგრავიაში მდებარე, მიშლენის ვარსკვლავის მქონე რესტორნებამდე, ჩელსიმდე, სენტ ჯეიმსის პარკამდე და უესთ-ენდამდე.

WEST END / SOHO / COVENT GARDEN

Soho – ლონდონის გლამურული ხალისიანი უბანია. არც ისე დიდი ხნის წინათ Soho მხოლოდ სტრიპტიზ-კლუბებით და წითელი ფანრებით იყო ცნობილი, დღეს კი ის ყველაზე მოდური რაიონია ლონდონში, სადაც პოპულარული ბარები, ცნობილი კაფეები და რესტორნები მდებარეობს. აქვეა ლონდონის Chinatown-ი უამრავი ჩინური რესტორნით და მაღაზიით.

უესთ-ენდის შუაგულში, Piccadilly Circus-ის მოედანზე ნახავთ ცნობილ შადრევანს – „ეროსს“. Leicester Square, რომელიც იქვე ახლოს მდებარეობს, ლონდონელებისათვის შეხვედრებისა და დასვენების საყვარელი ადგილია. მოედნის ირგვლივ ჩარიგებულია ყველაზე ცნობილი კინოთეატრები, სადაც მსოფლიო პრემიერები იმართება. მოედნის ცენტრში ორი ქანდაკება დგას – უილიამ შექსპირის და ლონდონში დაბადებული ლეგენდარული ჩარლი ჩაპლინის.

Charing Cross Road-ი ცნობილია როგორც მრავალსართულიანი თანამედროვე, ისე პატარ-პატარა ბუკინისტური წიგნის მაღაზიებით. უესთ-ენდი მუზეუმებითაც მდიდარია: National Gallery, National portrait Gallery; აქვეა ცნობილი Trafalgar Square, ადმირალ ნელსონის მონუმენტი და სხვა ღირსშესანიშნაობები.

უბანს Covent Garden-ი ოდესღაც აქ განთავსებული ბაზრის გამო ეწოდა, სადაც ბოსტნეულითა და ხილით ვაჭრობდნენ.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში ბაზარი ტემზის სამხრეთით გადავიდა და გაფართოვდა, ძველი ბაზრის ადგილას კი ამჟამად ტურისტების უსაყვარლესი სავაჭრო რიგები დარჩა. აქ უამრავი გალერეა და ტანსაცმლის მაღაზიაა.

Covent Garden-ი ინგლისის თეატრალური ცხოვრების ცენტრია. აქ არის მსოფლიოში ცნობილი Royal Opera House-ი, სადაც საუკეთესო საოპერო და საბალეტო წარმოდგენები იმართება.

CITY

ეს უძველესი უბანი დღეს მსოფლიო ეკონომიკის უმსხვილესი ფინანსური ცენტრია. აქ მდებარეობს Bank of England და London Stock Exchange (საფონდო ბირჟა). სითი ლონდონის უძველესი ნაწილია, დღეს ის ერთგვარ გიგანტურ სკას მოგაგონებთ, სადაც ორშაბათიდან პარასკევამდე ასი ათასობით ბანკირი, ბროკერი და კლერკი ფუსფუსებს. დღის ბოლოს კი მათთვის გვიანობამდეა ღია ყველა აქაური რესტორანი, ბარი და კლუბი.

უბანი ძალიან ლამაზია შუასაუკუნეების დროინდელი მიხვეულ -მოხვეული ქუჩებით, არქიტექტურის ძეგლებით და სხვა უამრავი ღირსშესანიშნაობით. მათ შორისაა: St Paul Cathedral, Museum of London, Tower of London და Tower Bridge.

BELGRAVIA

ბელგრავია ლონდონის უძვირესი რაიონია; კლასიცისტური არქიტექტურა, სასახლეების მდიდრული ფასადები და ულამაზესი ტაძრები ამ უბანს მეფურ დიდებულებას ანიჭებს. არისტოკრატიულ გარემოში ცხოვრება საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა, მაგრამ სხვაგან ვერსად ნახავთ მსგავს საცხოვრებელ სახლებსა თუ საუცხოო ბაღებს.

ამ უბნის არქიტექტურა თომას კუბიტის (Thomas Cubitt) სახელს უკავშირდება, რომელმაც აქაურობის განაშენიანება 1825 წელს დაიწყო და მთელი 30 წელი მოანდომა. დღეისათვის Belgrave Square-ის გარშემო, ძირითადად, სხვადასხვა ქვეყნის ელჩთა რეზიდენციებია.

CHELSEA

ჩელსი მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ლონდონის უბანია. სითიში მომუშავე ბანკირები და ბროკერები თავიანთ მრავალმილიონიან ბონუსებს სწორედ ჩელსის უძრავ ქონებაში აბანდებენ.

ადრე ჩელსი თავისი ბოჰემურობით იყო ცნობილი. აქაური ღამის კლუბების ხშირი სტუმრები იყვნენ ჯგუფ The Rolling Stones-ის თუ The Beatles-ის წევრები, ისევე როგორც იმ დროის სხვა ცნობილი მუსიკოსები.

მერე და მერე ჰიპებისა და პანკების ადგილი თანდათან საქმიან სამოსში გამოწკეპილმა ბიზნესმენებმა დაიკავეს.

ჩელსის უბანში უცხოვრიათ მარკ ტვენს, ოსკარ უაილდს, ჯონათან სვიფტსა თუ აგათა კრისტის. გალერეა Saatchi თანამედროვე ხელოვნების ყველა მიმართულებას წარმოადგენს და ახალგაზრდა მხატვრებსაც დიდ ადგილს უთმობს.

თუ შოპინგი გაინტერესებთ, მაშინ, პირველ რიგში, Sloan Street-ს და King Road-ს უნდა დაუყვეთ – სწორედ აქაა თავმოყრილი უამრავი დიზაინერული მაღაზია და ერთმანეთს ენაცვლება ისეთი სახელგანთქმული ბრენდები, როგორიცაა: Harvey Nichols, Louis Vuitton, Miu Miu, Versace, Chanel, Prada, Jimmy Choo, Cartier.

KENSINGTON/ KHIGHTSBRIDGE

კენსინგთონის მწვანეში ჩაფლულ ქუჩებზე არაერთი უმაღლესი ხარისხის რესტორანი და ცნობილი დიზაინერის მაღაზიაა. აქ მდებარეობს საკონცერტო დარბაზი Albert Hall-ი და, ასევე, Hyde Park-ი – ლონდონელების საყვარელი დასასვენებელი ადგილი. კენსინგთონის სასახლეში ცხოვრობდა პრინცესა დაიანა, სწორედ აქ მოჰქონდათ დაუსრულებლად ყვავილები მისი ტრაგიკული გარდაცვალების შემდეგ.

ნაითსბრიჯის უბანი ასევე გამოირჩევა უძრავ ქონებაზე მაღალი ფასებით. ის ლონდონის ყველაზე ფეშენებელურ ადგილად ჯერ კიდევ ვიქტორიანულ ეპოქაში ითვლებოდა.

სწორედ აქ მდებარეობს მსოფლიოში ყველაზე ცნობილი უნივერმაღი Harrods-ი, აგრეთვე, უამრავი საელჩო და კულტურული ცენტრი. აქვე, მუზეუმების ქუჩაზე შემოგხვდებათ არაერთი აუცილებლად მოსანახულებელი ადგილი: Science Museum, Victoria and Albert Museum, Natural History Museum.

NOTTING HILL / SHOREDITCH

ნოთინგ ჰილის იდილიური, ქვაფენილიანი ქუჩები, დიზაინისა და ანტიკვარების მაღაზიების მწკრივები, ვიქტორიანული სტილის არქიტექტურა, სახლები, რომლებიც ყოფილი საჯინიბოებია ან, უბრალოდ, საჯინიბოების რეალიკად არის აშენებული – ამ ყველაფრის იდეალური კომბინაციის გამო უყვარდებათ ლონდონის ეს უბანი. ის ყველაზე უფრო ხალხმრავალი და ხმაურიანი ადგილია, რაც განსაკუთრებით იგრძნობა Portobello-ს ძველმანების ბაზარში და Notting Hill Carnival-ის დროს.

გირჩევთ, ესტუმროთ Notting Hill Arts Centre-ს, სუპერავანგარდულ ხელოვნების ცენტრს, სადაც თავს იყრიან ახალგაზრდა შემსრულებლები, არტისტები, დრამატურგები და სცენის მომავალი ვარსკვლავები. Shoreditch-ის უბანში ძველი საწყობები და შენობები დიდი ხანია გალერეებად გადაიქცა. ის დღეს ლონდონის კრეატიული და start up ცენტრია – სილიკონის ველის ანალოგი ახალი თაობის ბიზნესმენებით, კრეატიული ადამიანებითაა სავსე.
აქაური ცხოვრების წესი სიმაღლეებისკენ სწრაფვაა, იქითკენ, სადაც ოცნებები რეალობად იქცევა.

ერთი კვირა ლონდონში

ნინო დარასელი

მე თუ მკითხავთ, 7 დღე ლონდონისთვის ძალიან ცოტაა, თუმცა თუ მეტი ხნით ვერ ახერხებთ დარჩენას, მაშინ ლონდონელების რჩევა გაითვალისწინეთ და მეტროთი გადაადგილების მაგივრად ეცადეთ, ქალაქი მიწის ზემოთ მოგზაურობით შეიგრძნოთ.

№23 ავტობუსი Liverpool-ის ქუჩიდან დასავლეთით, Westbourne Grove-ისაკენ მიდის და გზად ქალაქის უმნიშვნელოვანეს ღირსშესანიშნაობებს ჩაუვლის, როგორიცაა: **ST PAUL-ის კათედრალი**, ნელსონის სვეტი ტრაფალგარის მოედანზე და მარმარილოს თაღი **MARBLE ARCH**. ამ მარშრუტით საკუთარ საქმეებზე მიმავალ ნამდვილ ლონდონელებთან ერთადაც იმგზავრებთ და ქალაქის ყოველდღიურ მაჯისცემას შეიგრძნობთ.

როგორც კი დანიშნულების ადგილამდე მიხვალთ, რომელიც ლონდონის დასავლეთ ნაწილშია, ფეხით გაუყევით Goulborne Road-ს, რომ ერთი ჭიქა ყავა და Pastéis de nata – კვერცხის ტარტი შეიძინოთ რომელიმე პორტუგალიურ კაფეში, ან Pizza East-ში ყველაზე გემრიელი პიცა „მარგარიტა“ შეუკვეთოთ ბუფალო მოცარელასთან ერთად.

ამ ქუჩაზე ბევრი ანტიკვარული და ვინტაჟ-მაღაზიაა, რომელიც კვირის ნებისმიერ დღეს ღიაა. ქუჩის ბოლოს ინგლისელი არქიტექტორის, **ERNO GOLDFINGER**-ის ბრუტალისტური არქიტექტურის საკულტო შენობა დგას – **TRELLICK TOWER**. შენობის პირველ სართულზე მდებარე ყველაზე ცნობილ ვინტაჟ-მაღაზიაში მადონას, ქეით მოსისა და სხვა ადგილობრივი ვარსკვლავების ხილვა ჩვეულებრივი ამბავია. თუ ტრადიციული ინგლისური საუზმე გსურთ მიირთვათ, რესტორან „202“-ს გირჩევთ (**202 WESTBOURN GROVE**), სადაც არ გაგიკვირდეთ, თუ ქართველი ოფიციანტი მოგემსახურათ. ამ უბანში ლანჩამდე თუ დარჩებით, შეგიძლიათ დაგემოვნოთ ავსტრალიელი შეფის, ბილ გრეინჯერის საოცარი კერძები **GRANGER & CO**-ში, ამავე ქუჩის 175 ნომერში (რიგმა არ დაგაფრთხოთ, მალე გადის). კარგი არჩევანია, დალიოთ გემრიელი კოქტეილი **BBB**-ს ულამაზეს ინტერიერში (45 Ledbury Road).

WESTBOURNE GROVE-ზე შეგიძლიათ ისეთი ბრენდების უახლესი კოლექციებიც ნახოთ, როგორიცაა ახლა ევროპაში განსაკუთრებით პოპულარული: **ZADIG&VOLTAIR, JIGSAW** ან **BIMBA&LOLA.**

რადგან ვინტაჟი ვახსენეთ, გეტყვით, რომ თუ თქვენი მოგზაურობა შაბათ დღეს დაემთხვა, ისე არ დატოვოთ ლონდონი, რომ ძველმანების ბაზრის დასათვალიერებლად **PORTOBELLO**-ს არ

ესტუმროთ **NOTTING HILL**-ის უბანში. აქ სეირნობისას სწორედ იმ სახლებთან გაივლით, სადაც ჰიუ გრანტის და ჯულია რობერტსის რომანი დაიწყო ფილმში „ნოთინგ ჰილი“.

Soho-ში სეირნობისას არ გამოგრჩეთ პატარა კაფეები და მაღაზიები: მაგალითად, **MAISON BERTAUX** ჩაისა და ნამცხვრისთვის და **NEAL'S YARD**-ი ჰოლისტიკური მედიცინის სიახლეებისათვის. ახალი შთაბეჭდილებისა და მექსიკური კერძებისათვის **BODEGA NEGRA**-ში შეიარეთ. მეტი ინტრიგისთვის გეტყვით, რომ ამ რესტორნის მთავარი შესასვლელი სექს-შოპის შესასვლელს მოგაგონებთ.

➔

თუ თანამედროვე ხელოვნება ყველაზე მეტად გაინტერესებთ, მაშინ აუცილებლად უნდა აირჩიონ ისეთი ცნობილი არტ-მარშრუტი, როგორიცა The Line.

ეს საუკეთესო გზაა ლონდონში თანამედროვე ხელოვნების და ქალაქის ნაკლებად ცნობილი ნაწილის გასაცნობად თავისი ველური ბუნებით და კულტურული მემკვიდრეობით, დედოფლის ოლიმპიური პარკიდან გრინვიჩის მერიდიანამდე. 2016 წელს მარშრუტის რუკაზე მარტინ კრიდის, დემიენ ჰერსტის, ედუარდო პაოლოცის და თომას პრაისის 13 ნამუშევარი შეგხვდებათ. ამ ერთგვარი დინამიკური გამოფენის ყველა ნამუშევარი საფეხმავლო და ველომარშრუტების გასწვრივაა. ამ გზის გავლას დაახლოებით 3 საათს მოანდომებთ.

დეტალური ინფორმაცია ნახეთ საიტზე: www.the-line.org

➔

ლონდონის ცენტრში იმდენი გამწვანებული ადგილია, რომ პარკების მინიშნება არც გჭირდებათ. სეირნობისას ისინი აუცილებლად შეგხვდებათ.

მყუდრო ადგილის პოვნა ჩვეულებრივ ქუჩებშიც შეგიძლიათ. გაუყევით გზას **LLOYD'S**-ის შენობიდან **MICHELIN HOUSE**-მდე.

მე დიდად ვერ აღვფრთოვანდი, თუმცა ბოლო-დროინდელ ტურისტულ მარშრუტებში ყველგან მითითებულია ყინულის ლოლუას მსგავსი შენობა ლონდონის აღმოსავლეთში, ამიტომ საერთო ტენდენციას რომ არ ჩამორჩეთ, რომელიმე საღამოს ევროპის ყველაზე მაღალი შენობისკენ გაემართეთ: **THE SHARD**-ის თავზე ხელოვნურად გამწვანებული პლატფორმაა, საიდანაც შეგიძლიათ ქალაქს გადმოხედოთ.

თუ ყველაფრისგან დასვენება გინდათ, ლონდონის ფართე, გაშლილი სივრცეებით დატკბით. დაიწყეთ დღე ლონდონის ჩრდილოეთიდან, მწვანე **HAMPSTEAD**-ის უბნიდან, მიირთვით ყავა კაფე **GINGER & WHITE**-ის ქუჩისპირა აივანზე.

თუ გსურთ, დღე განსხვავებულად გაატაროთ, გაარკვიეთ, სადმე საიდუმლო კინოსეანსი ხომ არ იგეგმება. **SECRET CINEMA** ლონდონში რამდენიმე დღის განმავლობაში იმართება სხვადასხვა სივრცეში. ღონისძიების ფარგლებში საკარნავალო გარემო იქმნება, კოსტიუმებს და ატმოსფეროს ფილმის თემის მიხედვით ირჩევენ. თქვენც შესაბამისად ჩაიცვით და სხვა რეალობაში იმოგზაურებთ. შეგიძლიათ ტრადიციული და ძალიან პოპულარული მარშრუტი აირჩიოთ, რომელიც ჯერ კიდევ დედოფლის ვერცხლის იუბილეს აღსანიშნავად 1977 წელს შეიქმნა და მრავალგზის ნაცადია. ის 15 მილის სიგრძის მარშრუტია, ხუთ წრედაა დაყოფილი და ლონდონის უმთავრეს საკულტო ადგილებს მოიცავს.

ანტიკვარების ძალიან ბევრი პატარა მაღაზიაა კენსინგტონის Church Street-ზეც, რომელთა თვალიერებითაც გულს რომ ჯერებთ, იქვე, 119 ნომერში ყველაზე ლამაზ პაბ **THE CHURCHILL ARMS**-ში ლუდთან ერთად ტაილანდური კერძებიც შეგიძლიათ მიირთვათ. ცნობისათვის, უინსტონ ჩერჩილის პაპა და ბებია ამ პაბის რეგულარული სტუმრები იყვნენ. ამის გამო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მას The Churchill Arms შეერქვა.

ერთ დღეს დილიდანვე ფეხით გაემართეთ ლონდონის ცენტრისკენ, ეწვიეთ **ROYAL ACADEMY OF ART**-ს, რომელიც მუდმივად ახალ გამოფენებს მასპინძლობს. გირჩევთ, ნახოთ რომელიმე საცეკვაო პერფორმანსი მსოფლიოში სახელგანთქმულ Sadler's Wells-ის ცენტრში. რადგან დრო გაქვთ, კინოშიც შეიარეთ და უყურეთ ფილმს **PRINCE CHARLES CINEMA**-ში.

ერთ კვირაში ლონდონის ყველა მუზეუმს მაინც ვერ მოივლით, ამიტომ გირჩევთ, პირდაპირ თანამედროვე ხელოვნების მუზეუმ Tate Modern-ში წახვიდეთ. **TATE MODERN**-ის შენობაში ადრე ელექტროსადგურის ნავთობის რეზერვუარები იყო, რომელთა უხეში, ინდუსტრიული ხასიათი დღეს მთლიანად მორგებულია თანამედროვე ხელოვნებაზე და შესანიშნავ საგამოფენო სივრცედაა ქცეული. ივლისიდან მუზეუმი გაფართოვდა და მეზობლად განსაცვიფრებელი ახალი შენობა დაიდგა, რომელიც დაწნული პირამიდის ფორმის კოშკს ჰგავს.

კიდევ ერთ მუზეუმს გირჩევთ, რომელიც ტურისტული ცნობარების უმრავლესობაში მითითებული არ არის და განსაკუთრებით მუსიკის მოყვარულებს დააინტერესებს – **HANDEL HOUSE MUSEUM**. მეიფეერის უბანში, გვერდიგვერდ მდგარ შენობებში ერთმანეთის მეზობლად სხვადასხვა დროს მუსიკის ორი გიგანტი ცხოვრობდა. **25 BROOK ST** – ამ მისამართზე მე-18 საუკუნეში ჰენდელის საცხოვრებელი იყო, **23** ნომერში კი მე-20 საუკუნის როკის ლეგენდა ჯიმი ჰენდრიქსი ცხოვრობდა.

ლონდონიდან ისე ნუ დაბრუნდებით, რომ თეატრში არ წახვიდეთ. **ALMEIDA**-ს თეატრში ახალ სპექტაკლს გირჩევთ – „რიჩარდ მესამეს“ რალფ ფაინსის და ვანესა რედგრეივის მონაწილეობით. ბილეთები წინასწარ დაჯავშნეთ, თუმცა თეატრთან მისულებსაც შეიძლება გაგიმართლოთ და ბილეთი გადამყიდველებისგან შეიძინოთ. დაუვიწყარი თეატრალური შთაბეჭდილებისათვის **SHAKESPEARE GLOBE**-ში წადით და ფეხზე მდგომმა უყურეთ სპექტაკლს Sam Wanamaker Playhouse-ის ნაწილში.

დაგეგმილი მარშრუტიდან შეგიძლიათ გადაუხვიოთ, გზადაგზა შეჩერდეთ, უეცრად შეიცვალოთ მიმართულება და განწყობის მიხედვით იმოქმედოთ; გაიხსენეთ, რომ არსად გეჩქარებათ, დაკვირდით ადგილობრივების ცხოვრებას, საკუთარ თავზე შეიგრძენით ეჯის ფუსფუსი და კვირის ბოლოს თავადვე სასიამოვნოდ გაკვირვებული დარჩებით, იმდენი შესანიშნავი ისტორია გადაგხდებათ თავს.

ST PAUL'S CATHEDRAL

ქალაქის ყველაზე მაღალ წერტილში, Ludgate Hills-ზე აგებული ანგლიკანური კათედრალი ლონდონის ეპარქიის მთავარი ტაძარი და ლონდონელებისთვის, 1400 წელზე მეტია, დიდებულების და სიამაყის სიმბოლოა. გუმბათის წვერზე ასასვლელად 528 კიბის ავლაა საჭირო. გუმბათის გარშემო მრგვალი ოქროსფერი აივანია – Golden Gallery, საიდანაც ქალაქის საუკეთესო ხედები იშლება.

ეს შთამბეჭდავი კათედრალი ყოველთვის ასოცირდებოდა ლონდონის უმნიშვნელოვანეს ამბებთან, მაგ., აქ ჩატარდა პრინც ჩარლზის და ლედი დაიანა სპენსერის საქორწილო ცერემონია, დედოფალი ვიქტორიას ბრილიანტის იუბილესადმი და დედოფალი ელიზაბეთ II-ის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი წირვა.

Tower Bridge

თაუერის ხიდი ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი სტრუქტურის მქონე ხიდია თავისი მინის იატაკით. აქედან ქალაქის საოცარი ხედები იშლება. ხიდი აიგო 1894 წელს მდინარე ტემზაზე და მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ღირსშესანიშნაობად მიიჩნევა.

The Shard

ევროპაში ყველაზე მაღალი ამ შენობის სახურავიდან ქალაქს სულ სხვა რაკურსით შეხედავთ და ციფრული ტელესკოპებით უამრავ ახალ დეტალს დააკვირდებით.

ხელოვნური ბალახით და გემბანის სკამებით მოწყობილი ღია სივრცე საუკეთესო ადგილია შამპანურის დასალევად.

Trafalgar Square

ტრაფალგარი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მოედანია. მისი დასახელება მომდინარეობს ტრაფალგარის ბრძოლიდან, სადაც 1805 წელს ბრიტანელებმა, ჰორაციო ნელსონის მეთაურობით,

ფრანგებისა და ესპანელების ფლოტი დაამარცხეს. მოედნის ცენტრში ნელსონის სვეტია აღმართული, რომლის გარშემო დგას მისი მცველი ოთხი ლომის ქანდაკება.

Hampton Court Palace

ჰემპტონის სასამართლოს სასახლე ცნობილია, როგორც მეფე ჰენრი VIII-ის სახლი. ნაგებობა ორი ნაწილისგან შედგება: ჰენრი VIII ტიუდორის სასახლე და უილიამ III-ის უფრო ბაროკალური სასახლე, რომელიც XVII საუკუნით თარიღდება. მნახველს შეუძლია დაათვალიეროს აპარტამენტები, გალერეები, სამეფო კაპელა და შუასაუკუნეების დიდი დარბაზი, ე. წ. გრეიით ჰოლი. სასახლე ცნობილია თავისი ბაღებითაც, სადაც მოინახულებთ 1768 წელს გაშენებულ ვენახსაც.

Buckingham Palace

სასახლე ბრიტანელი მონარქების რეზიდენცია გახდა მას შემდეგ, რაც დედოფალი ვიქტორია ავიდა ტახტზე 1873 წელს. დაათვალიერეთ მდიდრულად მორთული საზეიმო დარბაზები, სადაც განთავსებულია სამეფო კოლექციის უდიდესი საგანძურის ნაწილი, მათ შორის, რემბრანდტის, ვერმეერის, პუსენის, კანალეტოს ნახატები, კანოვას და ჩენტრის სკულპტურები, უიშვიათესი სევრის ფაიფური, ინგლისური და ფრანგული ავეჯის დახვეწილი ნიმუშები.

ქეთი მეღუას ლონდონი

ნინო დარასელი

ქეთი მელუა დღეისათვის ბრიტანეთის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მუსიკოსია. მის ანგარიშზე 11 მილიონი გაყიდული ალბომი და ერთი მილიონი საკონცერტო ბილეთია. ამის გამო ქეთი მილენიუმის ყველაზე წარმატებულ შემსრულებლადაც დაასახელეს. ქეთის სახელზეა 56 პლატინის ჯილდო.

ქეთი, როგორ დაახასიათებდი ლონდონურ სტილს?
ეკლექტიკური, ექსპერიმენტული. ახალგაზრდები ძალიან ბევრს ახალს, ექსპერიმენტულს აკეთებენ და ძალიან საინტერესოა ამ მხრივ ეს ქალაქი. მუდმივად რაღაც ახალი და საინტერესო ხდება.
რაც შეეხება კონკრეტულად სტილს, ლონდონი მომწონს უნიფორმების გამო. მიყვარს, როდესაც „ბაკინგემ პალასთან“ ხედავ „გარდებს“ მათი ლამაზი წითელი უნიფორმებით და შავი ქუდებით. კიდევ სრულ აღფრთოვანებაში მოვყავარ მოსწავლეების სხვადასხვანაირ ფორმებს.

სად მუშაობ ლონდონში ყველაზე კარგად?
მე, ძირითადად, ვმუშაობ სახლში, იმიტომ რომ უმეტესად ვწერ მუსიკას. სახლი კი ბარნში, მდინარესთან მდებარეობს. ძალიან მიყვარს იქ მუშაობა.

რომელ რესტორანს გაუწევდი რეკომენდაციას ლონდონში?
მე არ დავდივარ ხშირად რესტორნებში, იმიტომ რომ დედაჩემი ძალიან გემრიელად ამზადებს, განსაკუთრებულად, ქართულ საჭმელს. თუმცა რამდენიმე ადგილი მირჩიეს ჩემმა მეგობრებმა და მე მათ შორის დამამახსოვრდა ჩინური რესტორანი SILK ROAD (49 Camberwell Church St, London SE5 8TR).

ერთი ჭიქა ყავის დასალევად სად გვირჩევდი წასვლას?
მე მიყვარს ერთი კაფე ჰაიდ პარკში, რომელსაც ჰქვია „ლაიდო“ (LIDO). ძალიან საყვარელია, პირდაპირ სერპანტინთან. საჭმელი არაა განსაკუთრებული და მიშლენიანი, მაგრამ კარგი დასაჯდომია და სიტუაციაა არაჩვეულებრივი (ჰაიდ პარკში, Diana Princess of Wales Memorial Fountain-თან ახლოს).

სასმელისთვის თუ მოგვცემ რეკომენდაციას?
თუ სასმელად წასვლა გადავწყვიტე, მივდივარ გამდენში, სადაც ახალგაზრდა ჯგუფების ბევრი კონცერტი ტარდება. იქ მე და ჩემი მეგობრები, ძირითადად, პაბებს ვაკითხავთ ხოლმე. პაბის გახსენებაზე გირჩევთ, მოინახულოთ The Daf, რომელიც ჩემს საცხოვრებელ რაიონშია და დიდი ისტორია აქვს.

სად დადიხარ საშოპინგოდ?
შოპინგზე ყველას ვურჩევდი, წავიდნენ LIBERTY-ში. მათ გამორჩეული ბაიერები ჰყავთ და ძალიან მომწონს იქაური კოლექციები. „ლიბერთი“ იმის გამოც მომწონს, რომ სხვა მაღაზიებისათვის ჩვეული ხალხმრავლობით არ გამოირჩევა. თუ რაღაცის შეძენა გსურს, შეგიძლია შენთვის წყნარად გააკეთო არჩევანი, ან თუნდაც, უბრალოდ, მშვიდად დაათვალიერო. ჩემთვის შოპინგი მაინც სტრესულია, მიძნელდება გადაწყვეტა, ფასებიც საკმაოდ მაღალია. „ლიბერთიში“ კი ეს დისკომფორტი ნაკლებად შესამჩნევია, შენობაც გასაგიჟებელია.

რომელ მუსიკასთან ასოცირდება შენთვის ლონდონი?
იმდენ მუსიკას ვუსმენ, რომ ეხლა კონკრეტულად ვერ დავასახელებ, თუმცა როდესაც სახლში სტუმრები მყავს, სულ ვუკრავ ერთ ალბომს. ასე პირდაპირ ლონდონთან არ არის აფილირებული, მაგრამ პერსონალურად მიყვარს ეს ალბომი. „Alice and Tom“ ქალის და მამაკაცის დუეტია. ტომ ჯობიმი იყო ძალიან ცნობილი ბრაზილიელი კომპოზიტორი და ელის რეჯინა იყო საოცარი ბრაზილიელი მომღერალი. და ეს ალბომი არის პორტუგალიური და ძალიან მაგარია.

მიყვარს ჰოლანდ პარკის სუნი, სადაც ჩემი მშობლები ცხოვრობენ. იქ არის იაპონური ნაწილი და სწორედ ამ სიმწვანის, თევზების, პატარა ჩანჩქერის სუნი ასოცირდება ჩემთვის ლონდონთან.

ყველაზე უცნაური, უჩვეულო რა გინახავს ლონდონში?
რიჩმონდ პარკი. ის არის ჰოლანდ პარკიდან ნახევარი საათის გზაზე. ნამდვილ ტყეს ჰგავს. ცხოველებიც კი დასეირნობენ, რომელთა მოფერება არა, მაგრამ ძალიან ახლოს მისვლა შეიძლება. აქაური ბუნება ჯეინ ოსტინის წიგნის პირდაპირი ილუსტრაციაა. უცნაურია ჰამპსტედის სიტუაცია, სადაც ამ საკმაოდ ცივ კლიმატში ხალხი ბანაობს. ერთხელ ვსინჯე და ვერაფრით გავუძელი. იქ განცალკევებულია საბანაო ადგილი ქალებისა და მამაკაცებისათვის და ბევრი ტიტველიც ცურავს.

რა არის ლონდონის ხარისხი?
ეს არის ენერგია და არჩევანის მრავალფეროვნება. აქ ძალიან დიდი არჩევანია და ბევრი რაღაცის გაკეთება შეგიძლია. რომელი მიმართულება გინდა – მუსიკა, გალერეები... კლასიკური, თეატრი.

რას შეცვლიდი, შენი ნება რომ იყოს?
კარგი იქნებოდა, მაღაზიები გვიანობამდე მუშაობდეს, აი მაგალითად, როგორც საქართველოშია. თუნდაც კუთხის სავაჭრო წერტილები, სადაც ყველაზე მოთხოვნადი საქონელი იყიდება.

რა არის ახლა ლონდონის ტრენდი?
ტრენდი არის ინტერნეტით შოპინგი. ასევე, ყველა გართობამ ინტერნეტში გადაინაცვლა. სტილს, იდეებს – ამ ინფორმაციას ყველა უკვე ვებსაიტებიდან და ბლოგებიდან იღებს.

მე მაგალითად, მიყვარს პორტალი Man Repeller. ინფორმაციას იუმორით გაწვდიან და მე ეს მომწონს. თავად მაღაზიებიც უკვე მხოლოდ მაღაზიები არ არის. ისინი მუდმივად სხვადასხვა ღონისძიებას აწყობენ, მაგალითად, იოგა კლასებს.

სად არის კარგი ადგილი ლონდონში to get lost?
ნოთინგ ჰილის და ჰოლანდ პარკის უკანა ქუჩების სახლების დათვალიერება. საღამოს, როდესაც მზე ჩავა და ხალხი შუქს ანთებს, რომ ათვალიერო სახლები და ნახო, როგორ ცხოვრობს ხალხი.

რა გაოცებს ლონდონში?
მე მაოცებს და ინსპირაციას ვიღებ მეტროდან. მიყვარს ხალხის თვალიერება. იქ უამრავ საინტერესო ადამიანს ნახულობ. მომწონს მეტრო, სადაც სულ თბილი ქარი ქრის და მიუხედად იმისა, რომ უმეტესად დასტრესილი ხალხი დადის, მე რომანტიკულ განწყობაზე ვდგები. მანქანით სიარული და საცობები ძალიან არ მიყვარს.

Chill out ადგილი შენთვის ლონდონში?
სახლზე კარგი Chill out place არ არსებობს. ეხლა ვარემონტებ ჩემს ბინას, მანამდე კი მეგობართან მიყვარს სიარული. ლონდონში არის სრულიად გადასარევი ბიბლიოთეკები. გირჩევთ, ნახოთ British Library (96 Euston Road). საერთოდ, წიგნის მაღაზიაში შემიძლია რამდენიმე საათით დავიკარგო და იქიდან გამოვიდე სხვა ადამიანი.

რომელი მუზეუმის დათვალიერებას ურჩევდი ჩვენს მკითხველს?
ჩემთვის ყველაზე საინტერესო მუზეუმია აღმოსავლეთ ლონდონში Deniss Severs House (18 Folgate St, Spitafield, london).

კულტურული მოვლენა, რომელიც ყველაზე მეტად დაგამახსოვრდა?
პირველ წელს, როდესაც „პანჩ დრანქ პროდაქშენმა“ გააკეთა Immersive თეატრი, წარმოდგენა გაიმართა დიდ ქარხანაში. ლიფტში შეგვიყვანეს და მოგვცეს ნიღბები, თვითონ მსახიობებს კი არ ჰქონდათ სახე დაფარული. ეს ქარხანა იყო 3 სართულზე და შენ უნდა გევლო და თავად მოგეძებნა სიტუაცია და სანახაობა.

რის გულისთვის ღირს ლონდონში ჩამოსვლა?
რა თქმა უნდა, ეს არის არქიტექტურა, მუსიკა და მოდა.

LONDON

მოსახლეობა **8.6 მილიონი**;
უცხოელი 2.8 მილიონი;
ქალაქის ფართობი **1572 კმ²**;
მოსახლეობის სიმჭიდროვე **5 354** ადამიანი 1 კმ²-ზე; მეტროს მთლიანი ქსელის სიგრძე 402 კმ; გამწვანებული ტერიტორიების სივრცე **173 კმ²**; ხილის და ბოსტნეულის მოსაყვანად გაქირავებული ნაკვეთების რაოდენობა 30 000; მდინარე ტემზის სიგრძე **346 კმ**; ყველაზე მაღალი შენობა The Shard, **309 მეტრი**; პარლამენტის შენობაში ოთახების რაოდენობა **1000**;
ლონდონის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობს **24 მილიონზე მეტი**;
ენების რაოდენობა, რომლებზეც ლონდონის სხვადასხვა სოციუმში, საზოგადოებაში საუბრობენ 300-ზე მეტი; მუზეუმების რაოდენობა **240**; მუსიკალური პერფორმანსების რაოდენობა კვირაში **621**; ისტორიული შენობების რაოდენობა **40000**; ლონდონში 33 ხიდია; ყველაზე ხანგრძლივი საჩოგბურთო მატჩი გაიმართა Wimbledon-ზე **11 საათი და 5 წუთი**; თანამედროვე ხელოვნების გალერეა Tate Modern-ის ვიზიტორები ყოველწლიურად **4,7 მილიონი**; **1000**-მდე ხელოვნების გალერეა, **200-ზე მეტი თეატრი** (მათი უმეტესობა უესთ-ენდში მდებარეობს); დაახლოებით **350** მუსიკალური დარბაზი და **4000** ბარი;
ყოველწლიურად ლონდონს სტუმრობს **17 მილიონი ადამიანი.**

შავი ტაქსი

ამ ტაქსებს ხშირად **Black Cab**-ს უწოდებენ. კები „კაბრიოლეტის“ (ცხენებშებმული ორთვალა ეტლი, რომელსაც 1800-იან წლებში ქუჩაში აჩერებდნენ) შემოკლებული ვარიანტია. ბრიტანული Black Cab-ი მთელ მსოფლიოში ცნობილია უჩვეულო გარეგნული სახით და **ფენომენალური საიმედოობით.**

გახსოვდეთ, რომ ლონდონის ქუჩებში სახელდახელოდ მხოლოდ შავი კები შეგიძლიათ დაიჭიროთ, სხვა შემთხვევებში კი აჯობებს, ტაქსი წინდაწინ გამოიძახოთ.

დიდ ბრიტანეთში საგზაო მოძრაობა გზის მარცხენა ზოლშია დაშვებული. ერთადერთი ქუჩა, რომელზეც მარჯვენა ზოლში მოძრაობა ნებადართულია, არის Savoy Court-ი, რომელიც ლონდონის სასტუმრო Savoy-სკენ მიდის. მაგისტრალებზე მაქსიმალური დასაშვები სიჩქარეა 70 მილი საათში (112,65 კმ/სთ), სხვა გზების უმეტესობაზე კი დასაშვები სიჩქარე ნაკლებია.

პირველი მოდელი 1929 წელს შეიქმნა ლონდონის საზოგადოებრივი გადაზიდვების სამმართველოს მიერ 1906 წელს შემუშავებული მოთხოვნებიდან გამომდინარე: ამ მოთხოვნების თანახმად, **ლონდონში ტაქსი შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი ავტომობილი, რომლის მობრუნების დიამეტრი 7,62 მ-ია**. ლონდონის ტაქსების მოდელი რამდენჯერმე შეიცვალა; ამჟამად არსებულ მოდელებს შორის ყველაზე თანამედროვეა TX4, რომელიც 2007 წლიდან იწარმოება.

კების დიზაინი, 40-იანი წლების ბოლოდან მოყოლებული, დღემდე ორიგინალური რჩება: დიდი სივრცე უკანა სავარძელზე მგზავრისთვის, რომელსაც შეუძლია ადგეს და მთელი ტანით გაიმართოს ავტომობილში; ბოლო მოდელი TX4 „ევრო-4“-ის ეკოლოგიურ ნორმებს სრულად შეესაბამება: აღჭურვილია უსაფრთხოების თანამედროვე სისტემებით, აქვს საბავშვო სავარძელი, შშმ პირების ჩასაჯდომად განკუთვნილი მოწყობილობა და, არც მეტი, არც ნაკლები, 25 000 ფუნტამდე ღირს (40 000 $).

Black Cab-ის ექსპლუატაციის ვადა, უწყვეტი დატვირთული მუშაობის პირობებში, არის 10-12 წელი, გარბენი – 800 000 კმ, რეალურად კი, ინგლისური კებები მილიონობით კილომეტრს გადიან, ბევრი მათგანი უკვე 25 წელია მგზავრებს შეუფერხებლად ემსახურება.

შავი ლონდონური ტაქსების მძღოლები მუშაობის ლიცენზიის მოსაპოვებლად სპეციალურ გამოცდას აბარებენ (The Knowledge), რომელზეც მოწმდება, რამდენად კარგად იციან მათ ლონდონის ქუჩები და ძირითადი შენობები. ამ ინფორმაციის ათვისებას 2-იდან 4 წლამდე სჭირდება.

ლონდონში მგზავრთა კერძო გადაყვანის ლიცენზიას პოლიცია გასცემს 3 წლის ვადით. განსაზღვრულია მგზავრთა რაოდენობა, რომელიც ტაქსიმ შეიძლება ერთჯერადად გადაიყვანოს. ლიცენზია უფლებას აძლევს კერძო ტაქსის მძღოლს, მგზავრები ქუჩაშიც აიყვანოს; ასეთი შესაძლებლობა სხვა კომპანიებს არ აქვთ, რადგან სატელეფონო გამოძახებით ტაქსის მომსახურების ლიცენზია უფრო იაფი ჯდება და კომპანიების უმეტესობა ამ ტიპის უფლების მოპოვებას ამჯობინებს.

ლონდონელ კებმენთა დიდმა ნაწილმა იმდენად კარგად იცის ქალაქი, რომ აზრადაც არ მოსდით GPS ნავიგატორით სარგებლობა (GPS ტაქსების მხოლოდ 2-3 პროცენტს აქვს).

დღეისათვის ყველა კები შავი აღარაა. ლონდონის ქუჩებში ტრადიციული ტაქსის ცისფერ, მწვანე ან ვარდისფერ ვერსიასაც შეხვდებით, თუმცა ფერი არც ფასზე ახდენს გავლენას და არც მომსახურების ხარისხზე.

ამ მანქანაში შეგიძლიათ მძღოლს ტელეფონის დატენაც სთხოვოთ, უმრავლესობას დამტენებიც კი აქვს სხვადასხვა მოდელისთვის. არ გირჩევთ ტაქსით პიკის საათებში სარგებლობას, ვინაიდან მგზავრობა ძალიან ძვირი დაგიჯდებათ და, სავარაუდოდ, შეხვედრაზე დააგვიანებთ კიდეც. სამაგიეროდ საღამოს ან დილის მონაკვეთებში ლონდონის ცენტრში გადაადგილება 7-იდან 20 ფუნტამდე ჯდება.

ფულის გადახდისას უმჯობესია მანქანიდან გადმოხვიდეთ და მძღოლს თანხა ფანჯრიდან მოაწოდოთ. ტაქსის მძღოლები ხშირად მოგმართავენ: „DARLING“, „LOVE“ („ძვირფასო“, „საყვარელო“); არ აღელდეთ: ეს არც ფლირტის ნიშანია და არც ზედმეტი ფამილიარობა, უბრალოდ, დიდ ბრიტანეთში ეს მიმართვის მიღებული ფორმაა.

როდის და სად უნდა მოუხმოთ კებს

როცა შავ კებს შუქი უნთია, როგორც წესი, ეს იმას ნიშნავს, რომ თავისუფალია.

სხვა შემთხვევაში, კებში ან ვინმე ზის, ანდა მძღოლმა იმდღევანდელი სამუშაო უკვე დაამთავრა.

ანთებული კამკაშა ყვითელი შუქი უთუოდ მოგხვდებათ თვალში და თამამად შეგიძლიათ მანქანას მოუხმოთ: ტროტუარზე გაჩერდით და გაშლილი ხელი გაიწოდეთ.

სანამ მანქანაში ჩაჯდებით

ტაქსის გაჩერებაზე რიგში უნდა დადგეთ და როცა თქვენი ჯერი მოვა, მხოლოდ მაშინ მიაშუროთ უახლოეს მანქანას. სასურველია, მგზავრის მხარეს, წინა ფანჯარასთან დაიხაროთ და მძღოლს წინდაწინვე შეუთანხმოთ მარშრუტი.

შავი კებების უმეტესობაში წინა და უკანა სავარძლებს შორის ტიხარია და მგზავრებიც უკან ჩასხდომას ამჯობინებენ. მძღოლის გვერდით თუ მოთავსდებით, მან ეს შეიძლება პირადი სივრცის დარღვევადაც კი მიიჩნიოს.

მგზავრობის ღირებულება

ინგლისური ტაქსით მგზავრობა მსოფლიოში ყველაზე ძვირად ითვლება. ამ ფაქტით აღშფოთებულმა ხელისუფლებამ რამდენიმე წლის წინათ ტაქსით მომსახურების მაქსიმალური ტარიფების შესახებ კანონიც კი მიიღო.

საბაზო ტარიფი **2,60 ფუნტია**, რასაც ყოველ 281 იარდზე (256 მეტრი) ან 55,5 წამზე **20 პენი** ემატება, სანამ თანხა 8,60 ფუნტს არ მიაღწევს; ამის შემდეგ კი – 20 პენი ყოველ 188 იარდზე (170 მ) და 37 წამზე. სამუშაო დღეებში 20:00 საათიდან შუაღამედე ძირითად თანხას კიდევ **60 პენი** ემატება, შობას და ახალ წელს კი დანამატი 2 ფუნტს უდრის.

ფეხის ქირა

ცუდი არ იქნება, თუკი საფასურს კიდევ 10-15%-ს დაუმატებთ, როცა ლონდონური შავი კებით მგზავრობთ. მგზავრების უმეტესობა, უბრალოდ, ამრგვალებს გადასახდელ თანხას და მძღოლსაც ეუბნება, რომ ხურდა საჭირო არ არის;
იმ შემთხვევაში, თუ შორ მანძილზე მიდიხართ და მძღოლი ბარგის გადატანაშიც გეხმარებათ, „ფეხის ქირად“ ხუთი გირვანქა სტერლინგიც რომ გაიმეტოთ, არაფერი დაშავდება.

კებით მგზავრობა

თუ უკანა სავარძელზე მოკალათებულმა, ტაქსის მძღოლთან საუბრის გაბმა მოინდომეთ, მსუბუქი თემა უნდა შეარჩიოთ და მოერიდოთ ისეთ მწვავე საკითხებს, როგორიცაა რელიგია თუ პოლიტიკა.

მეტრო

მსოფლიოში პირველი მიწისქვეშა რკინიგზა ლონდონის მეტროა. პირველი ხაზი 1863 წელს გაიხსნა. ლონდონში მეტროს 275 სადგურია 12 ხაზზე. **სამუშაო დღეებში და შაბათს მეტრო დილის 5:30 საათზე იხსნება, კვირას კი 7:00 საათიდან მუშაობს; ბოლო მატარებელი 23:30-0:30 სთ-ზე გადის.**

მეტროს ყველა სადგური 6 ზონად იყოფა: **პირველი ზონა** ლონდონის ცენტრია, **მე-6 ზონა** – გარეუბნები.
ბილეთის ღირებულება გავლილი ზონების რაოდენობაზეა დამოკიდებული. პირველ ზონაში ერთჯერადი მგზავრობა სმარტ-ბარათით, Oyster-ით გადახდის შემთხვევაში დიდებისთვის £1.50 ღირს, ბავშვებისთვის – £0.70, ბარათის გარეშე – £3.00 და £1.50.

თუ მეტროთი ხშირად არ გიწევთ მგზავრობა, უმჯობესია პირველი და მეორე ზონების დღის ბილეთი იყიდოთ, რომლის ფასიც 12 ფუნტია. თუ ავტობუსითაც აპირებთ ამ დღეს მგზავრობას, არ დაგავიწყდეთ მეტროს და ავტობუსის გაერთიანებული ბილეთის ყიდვა. ტურისტები პირველი ზონის იქით არ გადაადგილდებიან. ეს ლონდონის ისტორიული ცენტრია. სხვადასხვა ზონის დაფარვისას ბილეთის ფასი საკმაოდ განსხვავდება, ამიტომ ყურადღება მიაქციეთ თქვენს მარშრუტს და ნუ შეიძენთ ზედმეტი ზონების ბილეთს.

თუ მეტროთი რამდენჯერმე გეგმავთ მგზავრობას, უფრო ხელსაყრელია Travelcard-ის შეძენა ან Oyster-ით გადახდა. Oyster-ი მუდმივი ბარათია, რომელიც მომავალი ვიზიტების დროსაც გამოგადგებათ. ერთკვირიანი მგზავრობა პირველ და მეორე ზონებში £43 დაგიჯდებათ.

არ დაგავიწყდეთ სმარტ-ბარათის წამკითხველთან შეხება მეტროდან გამოსვლისასაც, თორემ თანხას მაქსიმალური ტარიფით ჩამოგაჭრიან. **უბილეთო მგზავრობისთვის ჯარიმა £20-ია.**

ზაფხულში მეტროში ძალიან ცხელა, რადგან იქ ჯერაც არ არის კონდიცირების სისტემა და სასმელი წყლის წაღება არ დაგავიწყდეთ.

წითელი ავტობუსი

ლონდონში 18 ათასზე მეტი ავტობუსის გაჩერებაა, სადაც 5 წუთზე მეტხანს არ მოგიწევთ მოცდა. ბილეთი ჩაჯდომამდე უნდა იყიდოთ სპეციალურ ავტომატში, რადგანაც ავტობუსებში კონდუქტორი არ არის, მძღოლი კი თანხას არ იღებს. **იყიდება 6-ბილეთიანი წიგნაკი Saver.** ერთი ბილეთი მხოლოდ ერთხელ მგზავრობისას გამოგადგებათ.

თუ მგზავრობის საფასურს Saver-ით იხდით, ავტობუსში წინა კარიდან უნდა ახვიდეთ და ბილეთი მძღოლს უჩვენოთ.

ერთჯერადი ბილეთი ნაღდი ფულით შეძენისას £1.50 ღირს; ერთდღიანი Bus Passes – £3.50; 7-დღიანი Bus Passes – £13.50.

ლონდონის სიმბოლოდ ქცეული წითელი ორსართულიანი ავტობუსი – როუტმასტერი (ინგ. ROUTEMASTER) 1954 წელს შეიქმნა და ლონდონში 1956 წლის 8 თებერვლიდან 2005 წლის 9 დეკემბრამდე იყო ექსპლუატაციაში.

როგორ ვიმგზავროთ აეროპორტიდან

მატარებელი

Heathrow-დან ექსპრესი გაჩერების გარეშე 15 წუთში მიდის ლონდონის Paddington-ის სადგურამდე. მატარებლები, რომლებიც ჰითროუს გადასაჯდომ კვანძში აჩერებენ, გზას 25 წუთს ანდომებენ.

გეთვიკის აეროპორტიდან ლონდონში წასასვლელად ყველაზე სწრაფი საშუალებაა ჩქაროსნული მატარებელი Gatwick Express. სამხრეთ ტერმინალიდან სადგურ ვიქტორიამდე (London Victoria station) ქალაქის ცენტრში ნახევარ საათში მიხვალთ გაჩერებების გარეშე. მოზრდილის ბილეთი £17.90 ღირს, საბავშვო – £8.95.

იმავე მარშრუტით შეგიძლიათ ჩვეულებრივი მატარებლითაც გაემგზავროთ. გზას სულ რაღაც 5-10 წუთით მეტი დასჭირდება, ბილეთის ფასი კი ბევრად ნაკლებია (£10.90-იდან). მატარებელი ყოველ 20 წუთში გადის, ღამით კი – საათში ერთხელ.

ქალაქში მოხვედრა აეროპორტიდან სხვა გზითაც შეიძლება London Bridge-ის სადგურამდე ან Kings Cross St Pancras-ამდე. მგზავრობის საფასური იგივეა. ამ მიმართულებით მოძრავი მატარებელი ყოველ 15 წუთში გადის, მგზავრობის ხანგრძლივობა 40-45 წუთია.

ავტობუსი

პირდაპირ ტერმინალიდან ან ცენტრალური ავტოსადგურიდან ავტობუსები 500-ზე მეტ შიდა და საქალაქთაშორისო მარშრუტზე გადიან.

ჰითროუ ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე აეროპორტია. კომფორტის გარდა ეს იმასაც ნიშნავს, რომ მგზავრები, პრაქტიკულად, ყველა ქმედებას თავად ასრულებენ. მაგალითად, თავად გადიხართ რეგისტრაციას და ირჩევთ სასურველ ადგილს, თავად ბეჭდავთ ბარგის ტალონს და შემდეგ მხოლოდ აბარებთ თქვენს ჩანთას.

ავტობუსების უმეტესობა გეთვიკის სამხრეთ ტერმინალიდან გადის (Easybus EB3 – სადგურ Victoria-მდე და EB4 – სადგურ Fulham Broadway-მდე) ყოველ 20 წუთში, 15:00-იდან ღამის პირველ საათამდე. მგზავრობა 60 წუთამდე გასტანს, ბილეთის ფასი წინასწარ შეძენისას £2-ია.

საათში ერთხელ არის რეისები ჩრდილოეთ ტერმინალიდანაც – National Express-ი სადგურ Victoria-მდე მიგიყვანთ.

სამუშაო საათები: 15:30-22:15
საათნახევრიანი მგზავრობა £6.60 დაგიჯდებათ.

ტაქსი

ლიცენზირებული ტაქსები ტერმინალების გარეთ დგანან. თუ ტერმინალის შიგნით ვინმე ტაქსით მომსახურებას შემოგთავაზებთ, დაბეჯითებით გირჩევთ, უარი უთხრათ. ლონდონის ცენტრამდე ტაქსით მგზავრობას დაახლოებით ერთი საათი სჭირდება და 50-80 ფუნტი სტერლინგი დაგიჯდებათ.

შავი კების მომსახურება აეროპორტიდან იმდენად ძვირი ღირს, რომ ამ სერვისის არაერთი შესანიშნავი ალტერნატივა გაჩნდა. **Viator travel-ს მიაქციეთ ყურადღება**. საფასურის გადახდა წინასწარ მოგიწევთ ინტერნეტით და მანქანაც ასე უნდა დაჯავშნოთ. შეგიძლიათ იქირაოთ მაღალი კლასის ავტომობილი მძღოლით, რაც **150 დოლარამდე დაგიჯდებათ (საიტზე ფასი აშშ დოლარშია ფიქსირებული)**, ან გაიყოთ ტრანსპორტის საფასური სხვა მგზავრებთან (მაქსიმუმ 3 თანამგზავრი გეყოლებათ) და ჰითროუდან 20, გეთვიკიდან კი 40 აშშ დოლარად იმგზავროთ. ასევე შესაძლებელია დაჯავშნოთ მანქანა ქალაქიდან აეროპორტისკენ მგზავრობისას; **არ დაგავიწყდეთ, რომ ჯავშანი მითითებულ ტელეფონზე უნდა დაადასტუროთ.**

ტერმინალიდან გამოსვლისას არაერთ მძღოლს ნახავთ კლიენტის გვარ-სახელიანი აბრით. გაიარ-გამოიარეთ და ყველა დაათვალიერეთ. თუ თქვენი სახელი ვერ აღმოაჩინეთ, მითითებულ ტელეფონზე დარეკეთ და მძღოლი თავად გიპოვით. ამ შემთხვევაში ტელეფონის ქონა და ინგლისურის ცოდნა აუცილებელია.

გეთვიკიდან ლონდონის ცენტრამდე ტაქსით მგზავრების გადაყვანას ახორციელებს აეროპორტის ოფიციალური პარტნიორი Checker Cars. **მგზავრობის ხანგრძლივობა 60-70 წუთია,** ღირებულება – **£100-150**-მდე. სამუშაო დღეებში ამას ემატება £5.00 – ბაჟი „ქალაქში შესვლისთვის“ (Congestion charge). გადახდა შეგიძლიათ ნაღდი ფულით ან პლასტიკური ბარათით (ამ შემთხვევაში 10%-ით მეტი თანხა მოგიწევთ). **შეგიძლიათ ტაქსი ინტერნეტით დაჯავშნოთ**. საერთოდ, ეს გადაადგილების ყველაზე კომფორტული საშუალებაა, თუმცა შეიძლება მგზავრობას გაცილებით მეტი დრო დასჭირდეს, რადგან საკმაოდ დიდი ალბათობაა, რომ საცობებში მოხვდეთ.

VOYAGER გირჩევთ

ტაქს ფრის მეშვეობით თანხის დაბრუნებას თუ აპირებთ, აეროპორტში ცოტა ადრე უნდა მიხვიდეთ, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ პროცენტი საკმაოდ დაბალია (დაახლოებით 10 პროცენტს აიღებთ).

გარდა ამისა, თუ ფულის უშუალოდ ხელზე აღება გსურთ, თითოეულ ნაყიდ ნივთზე 3 ფუნტი მოგაკლდებათ. თუ არც ისე ბევრი რამ გაქვთ ნაყიდი, უფრო ხელსაყრელია, თანხა ბარათზე დაგერიცხოთ. ამ შემთხვევაში დამატებით დანახარჯს თავიდან აიცილებთ.

WELL HOUSE
House of Your Dream

ICHOVRE OCNEBIS QALAQSHI

ექსკლუზიურად SOLO მომხმარებელს სპეციალური შემოთავაზება:
7 %-იანი ფასდაკლება !

- სამუნებლო-სამონტაჟო სამუშაოები დასრულებული
- გამოიყენება Ytong -ის ფირმის ენერგოეფექტური სამუნებლო ბლოკი გარე და შიდა პერიმეტრზე
- გარე ფასადის მოპირკეთება
- კიბის უჯრედისა და სადარბაზოს მოპირკეთება
- Rehau-ს ფირმის კარ-ფანჯრებისა და ვიტრაჟების მოწყობა
- სადარბაზოში Otis-ის ფირმის ლიფტების მონტაჟი
- ბინების ინდივიდუალური პროექტირება
- ბინებში შიდა ტიხრების მოწყობა
- Rehau-ს ფირმის მუქი მუხის კარ-ფანჯრებისა და ვიტრაჟების მოწყობა, ფრანგული აივნები
- უსასვლელი რკინის კარი
- მოქნილი გადახდის პირობები

საცხოვრებელი კომპლექსი
უნივერსიტეტის ქ. №3

ტელ.: (+995 32) 2 21 28 13; 2 21 28 14
მობ.: 577 95 67 67; 577 22 45 85
ელ-ფოსტა: office@wellhouse.ge
www.wellhouse.ge
www.facebook.com/wellhouse.ge

THE CONNAUGHT, MAYFAIR

1897 წლიდან მოყოლებული, ეს არქიტექტურული მშვენება უფრო მდიდრულ საცხოვრებელ სახლს ჰგავს, ვიდრე ჩვეულებრივ, ტრადიციულ სასტუმროს.

„ვეჯვუდის“ ფაიფური და ხაზგასმით ძველმოდური მომსახურება აქაურობას ბრიტანულობის აშკარა ელფერს ანიჭებს; თუმცა სიძველის ხიბლი და მეფური დიდებულება აუცილებელი ელემენტებითაა გაჯერებული. განახლებულ სასტუმროში ახლა უკვე 121 ნომერია. არის სპა-სალონი, აუზი უქლორო წყლით, სავარჯიშო დარბაზი და ე. წ. „საპრეზიდენტო“ აპარტამენტებიც, რომლის ორი ფართო ტერასა თავად აწ გარდაცვლილი დევიდ კოლინზის დაპროექტებულია. მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ქალი შეფის, ელენ დაროზის მიშლენის ორვარსკვლავიანი რესტორანი საუკეთესო მენიუთი გამოირჩევა, კოქტეილის დალევა კი ორ სხვადასხვა ბარში შეგიძლიათ.

ერთი მათგანი იმავე კოლინზის დაპროექტებულია, სადაც საფირმო მარტინის აუცილებლად თეთრხელთათმანიანი მიმტანი მოგარომევთ, ვისკის ბარი კი ალკოჰოლური სასმელების უაღრესად მდიდარი არჩევანითაა ცნობილი.

Carlos Place, London

THE BEAUMONT, MAYFAIR

ჯერემი კინგის და ქრის კორბინის სახელები ბოლო სამი ათწლეულია ლონდონის ისეთ აღიარებულ რესტორნებს უკავშირდება, როგორიცაა The Ivy და Le Caprice, თუმცა The Beaumont-ი ამ წყვილის პირველი მცდელობაა, უკვე აწყობილი სასტუმროს ბიზნესისთვის სარესტორნო საქმიანობა მიებათ.

მეიფეარის უბნის გულში, ყოფილ გარაჟში განთავსებული, ძეგლთა დაცვის ნუსხაში შეტანილი 73-ოთახიანი სასტუმრო, დიზაინის თვალსაზრისით, ამჟამადაც ინარჩუნებს გასული საუკუნის 20-იანი წლების სტილისტიკას.

კლასიკური არტ-დეკოს სტილის ინტერიერის მიუხედავად ამ სასტუმროს გარეგანი იერი რობიტის ქანდაკებას უფრო მოგაგონებთ; შენობის ეს ნაწილი ბრიტანელი მხატვრის, ენტონი გორმლის ნამოღვაწარია და მასში ერთობ უჩვეულო, „ოთახად“ წოდებული სივრცეა განთავსებული: ესაა მუქი ფერის, მუხის ხით გაწყობილი ათი მეტრის სიმაღლის ჭერის მქონე დარბაზი, სადაც სტუმრებს შეუძლიათ თავი მოიყაროს.

სასტუმროს უფრო ტრადიციული შეთავაზებებიც აქვს – მაგალითად, სპა-სივრცე პირველ სართულზე.

რაც შეეხება გრილის დარბაზსა თუ ამერიკულ ბარს, აქ გასული საუკუნის „მშფოთვარე 20-იანი წლების“ ატმოსფეროცაა შენარჩუნებული და გურმანებს კლასიკური კერძების დაგემოვნებაც შუძლიათ.

ნომრის ფასი: £415-იდან

Brown Hart Gardens, London

THE BERKELEY, KNIGHTSBRIDGE

სასტუმროში შესვლისთანავე დაინახავთ დევიდ კოლინზის დაპროექტებულ„ლურჯ ბარს“, რომელიც საუკეთესო ადგილია კოქტეილის დასალევად ნაითბრიჯის საღამოს საზოგადოებაში. მთავარი ბარმენის, სტეფანო ძანპიერის მიერ შეზავებული სასმელების გემოებზე კი ლეგენდები დადის.
ნომრის ფასი: £400-იდან

Wilton Place, London

HAM YARD HOTEL, SOHO

სოჰოს უბნის შუაგულში და მეიფეარიდან სულ რაღაც ოციოდე ნაბიჯში მდებარე Ham Yard Hotel-ი ამ შუა ქალაქში ერთგვარ სოფლურ განწყობას შეგიქმნით. სასტუმროს შენობა მწვანეში ჩაფლულ ბაღში დგას, სადაც მზერას იზიდავს ტონი კრეგის მიერ შექმნილი ბრინჯაოს ქანდაკებაც.

სასტუმროში 91 სრულიად განსხვავებული დიზაინის მქონე ნომერი, 24 აპარტამენტი, 13 სხვადასხვა დანიშნულების მაღაზია, რესტორანი და ბარია (რესტორნის და ბარის მაგიდები გარეთ, ღია ცის ქვეშაც გამოაქვთ ხოლმე). ასევე, თქვენს განკარგულებაშია სალონი, ბიბლიოთეკა, სპა, სპორტული დარბაზი, კინოდარბაზი, ოთახები კერძო ღონისძიებებისთვის და ბოულინგის სათამაშო დარბაზი, რომელიც გასული საუკუნის 50-იანი წლების სტილზეა მოწყობილი.

ინტერიერის დიზაინი კიტ კემპს ეკუთვნის, რომელმაც თანამედროვე ბრიტანული სტილის ამ ნამუშევრისთვის საგანგებო ჯილდოც კი დაიმსახურა.

1 Ham Yard, London

SOHO HOTEL, SOHO

კინოს, თეატრისა და მუსიკის სფეროს ვარსკვლავებს, რომლებიც სოჰოს უბანში საქმიანობენ, შეხვედრებისა თუ გარიგებების დასადებად სწორედ აქაური მყუდრო რესტორანი აქვთ შეგულებული. სასტუმროს 96-ივე ნომერი განსხვავებულია.

ნომრის ფასი: £500-დან

4 Richmond Mews, London

ACE HOTEL, SHOREDITCH

უქმე დღეებში, უკვე დილიდანვე ბიზნესმენები, ხელოვანი ხალხი თუ სპორტულად გამოწყობილი ე. წ. „თავისუფალი პროფესიების“ ადამიანები სწორედ ამ სასტუმროს გაკრიალებულ დარბაზში იყრიან თავს – საუბრობენ, კამათობენ, შიგადაშიგ მეილების გაგზავნასაც ასწრებენ, ლუდს გეახლებიან, ნაშუადღევის ხუთი საათიდან კი კოქტეილსაც აქვე მიირთმევენ.

სასტუმრო ლონდონის ყველაზე საქმიან უბანში მდებარეობს. როგორც გალერეების, თეატრებისა და დიზაინ-სტუდიების ჰაბი, შორედიჩი მთელი მსოფლიოდან იზიდავს ხელოვანებს. დღეს ის არის ადგილი, სადაც ერთად იყრის თავს მხატვრობა, დიზაინი, კულინარიული ინოვაციები, კულტურა და ტექნოლოგია და სადაც თანამშრომლობის, შთაგონებისა და მომავალი წარმატებების პერსპექტივა იკვეთება.

100 Shoreditch High St, London

CLIVEDEN HOUSE, BERKSHIRE

Cliveden House-ის მამულში პირველი შენობა ჯერ კიდევ 1666 წელს ჩაიდგა – ბაკინგემის მეორე ჰერცოგისათვის, რომელიც ნადირობის დიდი მოტრფიალე ყოფილა. მას მერე აქაურობამ ორი ხანძარი გადაიტანა და საუკუნეთა მანძილზე ხან ჰერცოგების საკუთრება იყო, ხან გრაფების და ხანაც ტახტის მემკვიდრე უფლისწულების, ვიდრე ბოლოს ამერიკელმა მილიონერმა უილიამ უოლდორფ ასტორმა არ იყიდა, რამაც თურმე ძალზე ატკინა გული დედოფალ ვიქტორიას. იმ დღიდან მოყოლებული, ამ სახლში აღარასოდეს შეწყვეტილა ხალხმრავალი და ხმაურიანი წვეულებები. აქაურობის სტუმართა შორის უამრავი ცნობილი ადამიანის დასახელება შეიძლება, როგორებიც არიან: ჩარლი ჩაპლინი, უინსტონ ჩერჩილი, ჯგუფ „ბითლზის“ წევრები და სხვ.

ინგლისის ეს მრავლისმნახველი და გამორჩეული ისტორიული შენობა დღეს საუკეთესო ფრანგული სამზარეულოთი იზიდავს პირის გემოს მცოდნე ხალხს. მდინარე ტემზის გაყოლებაზე ამწვანებული ბერქშირის საოცარი ხედი იშლება; აქვეა სპა-პავილიონი, სავარჯიშო დარბაზი,

საბილიარდო, ჩოგბურთის ღია და დახურული კორტები, სქუოშის სათამაშო მოედანი, ნავმისადგომი, შვეულმფრენის დასაჯდომი ბაქანი, ბიბლიოთეკა. დღეს უკვე ეროვნულ საგანძურად შერაცხული, წაგრძელებული ფორმის ულამაზეს ბაღში მდგარი ეს იტალიურ სტილში ნაგები ისტორიული შენობა თავის თავში ამთლიანებს ედვარდიანული ხანის უზადო სინატიფეს, თანამედროვე ფუფუნებას, საუცხოო სამზარეულოსა და გულწრფელ სტუმართმოყვარეობას.

CLIVEDEN-ი მანქანით 45 წუთის სავალზეა ლონდონიდან.

ოროთახიანი ნომრების ფასი: £250-იდან

Cliveden House, Taplow, Berkshire

რუბრიკის ავტორი: სალომე დადუნაშვილი

ინგლისის მუზეუმების უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი დამახასიათებელი თვისება არის ის, რომ მათი დათვალიერება უფასოა. ამ შესანიშნავ კრინციას, რომელიც ზუსტად აღწერს ბრიტანელების მიდგომას მასობრივი განათლებისადმი, წლების განმავლობაში ვერც ფინანსურმა და ვერც სამუზეუმო კრიზისმა ვერაფერი დააკლო. პირიქით, ინგლისის მუზეუმები ვიზიტორებს ვერ აუდიან.

ახლა მთავარი მიზანი კროცესში დამთვალიერებლის ჩართვა და მისთვის მუზეუმის სივრცის კიდევ უფრო გამოცოცხლებაა. იმპერიული წარსულის, მეცნიერებისა და ცოდნისკენ დაუოკებელი სწრაფვის მამო ინგლისის მუზეუმები წარმოუდგენლად მდიდარ კოლეექციებს ფლობენ.

მხოლოდ ლონდონში კაცობრიობისა და ცივილიზაციისთვის უმნიშვნელოვანესი არაერთი ისტორიული, სახელოვნებო თუ ბუნებრივი არტეფაქტი ინახება.

V&A MUSEUM

ვიქტორია და ალბერტის მუზეუმი (V&A), რომელიც მოდის მოყვარულებმა კარგად იციან აქ ხშირად გამართული, მოდისადმი მიძღვნილი შესანიშნავი გამოფენების გამო, ასევე უფასოდ შეგიძლიათ დაათვალიეროთ. ფასიანია მხოლოდ დროებით გამოფენებზე შესვლა, თუმცა ძირითადი კოლექცია იმდენად საინტერესოა, რომ ეს კომპრომისი არ იქნება. აქ ნახავთ კოსტიუმის ისტორიის შესანიშნავ კოლექციას, ინდური დეკორატიული ხელოვნების შედევრებსა და აღმოსავლურ კოლექციას. ეს ერთ-ერთი ყველაზე მომხიბვლელი მუზეუმია ლონდონში, მის ეზოში კი, სადაც არაჩვეულებრივი კაფეა, შეგიძლიათ უბრალოდ შეისეირნოთ, ან მუზეუმის დათვალიერების პროცესში დაისვენოთ.

სამუშაო საათები:
ყოველდღე – 10:00-17:45,
პარასკევი – 10:00-22:00;
დაკეტილია 24, 25 და 26 დეკემბერს.

Cromwell Road,
London, SW7 2RL

THE NATIONAL GALLERY

ნაციონალური გალერეა დასავლეთევროპული მხატვრობის მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო კოლექციას ფლობს და მისი დათვალიერება წელიწადში 361 დღის განმავლობაში ყველა მსურველს უფასოდ შეუძლია. აუცილებლად სანახავ ნახატებს შორის ერთ-ერთი პირველი, რა თქმა უნდა, რემბრანდტის „ავტოპორტრეტია“ (დარბაზი 24).

ამ შედევრს არანაკლებ კონკურენციას უწევს ვან გოგის „მზესუმზირები“ (დარბაზი 45), იან ვან ეიკის „არნოლფინების წყვილის პორტრეტი“ (დარბაზი 56) და პიერო დელა ფრანჩესკას „ქრისტეს მონათვლა“ (დარბაზი 66). აქვეა მიქელანჯელოს უაღრესად საინტერესო დაუსრულებელი ნახატი „ქრისტეს საფლავში ჩასვენება“ (დარბაზი 8). ახლახან აღმოჩენილი ეს ნამუშევარი, რომელიც მიქელანჯელოს ქმნილებადაა აღიარებული, მხატვარმა შეგნებულად არ დაასრულა – მან უკეთესი შემოთავაზება მიიღო, ამიტომაც აღებული ავანსი დააბრუნა და ახალი სკულპტურის შექმნას შეუდგა. ხელოვნებათმცოდნეები მას სკულპტორის ნახატად განიხილავენ და გვირჩევენ, ისე შევხედოთ, თითქოს ქანდაკების ესკიზი იყოს.

სამუშაო საათები: ყოველდღე – 10:00-18:00, პარასკევი – 10:00-21:00; დაკეტილია 1-ელ იანვარს და 24-26 დეკემბერს.

Trafalgar Square, London WC2N 5DN

„ელჩი“, 1533. ჰანს ჰოლბეინი

THE BRITISH MUSEUM



ბრიტანეთის მუზეუმში მისვლა მხოლოდ როზეტის ქვისა და პართენონის სკულპტურების გამოც ღირს, მაგრამ ამ საოცრად მდიდარი მუზეუმის მთელი კოლექციის სანახავად ალბათ წელიწადიც არ გეყოფათ. პართენონის სკულპტურების ასე ახლოს ნახვის შემდეგ ნამდვილად შეგეცვლებათ წარმოდგენა სრულყოფილებაზე. საინტერესოა, რომ სკულპტურის განვითარების ისტორიას საუკუნოვანი გავლენების შესახებ, რომლებიც ეგვიპტემ მოახდინა საბერძნეთზე, საბერძნეთმა – რომზე, რომმა კი იმპერიაში განავრცო, მარტივად შეგიძლიათ გაეცნოთ ბრიტანეთის მუზეუმის კოლექციების საშუალებით.

Great Russell St, London, WC1B 3DG

სამუშაო საათები:
ყოველდღე – 10:00-17:30, პარასკევი – 10:00-20:30; დაკეტილია 1-ელ იანვარს და 24, 25, 26 დეკემბერს.

როზეტის ქვა გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ორენოვანი წარწერა. სწორედ მან ითამაშა გადამწყვეტი როლი ეგვიპტური იეროგლიფების გაშიფვრაში. ქვაზე ტექსტი ძურუმეების მიერ გამოყენებული და საყოველთაო ხმარების იეროგლიფებითა და ბერძნულადაა დატანილი. ამ ქვამ ამოხსნა ეგვიპტის საიდუმლო და სწორედ ამიტომ ეგვიპტურ დარბაზში ყველაზე საპატიო ადგილი უჭირავს.

THE NATURAL HISTORY MUSEUM

ლონდონის ნატურალური ისტორიის მუზეუმი ნამდვილი საოცრებაა. სხვაგან ძნელად ნახავთ ასეთი სიმდიდრის კოლექციებს.

შემოსასვლელის გრანდიოზულ სივრცეს თითქმის მთლიანად იკავებს დინოზავრის უზარმაზარი ჩონჩხი, რომელიც ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს ბავშვებზე, რომ მათთვის გზის გაგრძელება არც თუ ადვილია. აქ ნახავთ ევოლუციის საოცარ გალერეას, ოთახს, სადაც შეიგრძნობთ მიწისძვრას 1-იდან 9 ბალამდე რიხტერის სკალით. დედამიწის განყოფილებაში მოსახვედრად ჩვენი პლანეტის ყველა შრის გავლა მოგიწევთ და შემდეგ მინერალების განუმეორებელ კოლექციას იხილავთ. ყველა სახის დინოზავრისა და ცხოველის ნამარხი ჩონჩხი, მილიონი წლის წინათ გაქვავებული მოლუსკები, უზარმაზარი ვეშაპები და გადაშენებული გიგანტური ცხოველები... ეს მუზეუმი ბავშვებისთვის დაუსრულებელი აღმოჩენების წყაროა.

ახალი ატრაქციონი ადამიანის ევოლუციის გალერეაა, რომელიც გახსნის დღიდან ყველაზე დიდი წარმატებით სარგებლობს.

სამუშაო საათები: 10:00-17:50; მუზეუმი დაკეტილია 24-26 დეკემბერს.

Cromwell Road, London SW7 5BD

SCIENCE MUSEUM

ლონდონის მეცნიერების მუზეუმი შვიდ სართულზე განლაგებული საგანმანათლებლო და გასართობი ექსპოზიციებისგან შედგება. ის საინტერესოა როგორც ბავშვების, ისე უფროსებისთვის. ნებისმიერი ბავშვი აუცილებლად მიაგნებს თავის საყვარელ თემას და შეძლებს დაათვალიეროს ის, რაც აქამდე მხოლოდ წიგნში წაუკითხავს, ან სკოლაში უსწავლია. ბავშვები აქ საკუთარი თვალით ნახავენ იმას, თუ როგორი იყო სინამდვილეში ერთ-ერთი პირველი თბომავალი მატარებელი, როგორ კაფსულაში ისხდნენ „აპოლო 10“-ის ასტრონავტები;
მუზეუმს საკუთარი კინო I-MAX და 4D სიმულატორები აქვს, სადაც თქვენს ბავშვებს შეეძლებათ კოსმოსში იგრძნონ თავი, ან თუნდაც ოკეანის სიღრმეებში დაეშვან სხვადასხვა იშვიათი არსების სანახავად. შეგრძნებების რეალურობის ხარისხი იმდენად მაღალია, რომ ძლიერი და სასარგებლო შთაბეჭდილებები გარდაუვალია.

სამუშაო საათები: 10:00-18:00; მუდმივი კოლექციების ნახვა უფასოა. **მეტრო: South Kensington**

Exhibition Rd, London

რუბრიკის ავტორი: სალომე დადუნაშვილი

ლონდონის ერთ-ერთი დიდი ატრაქციონი, რა თქმა უნდა, მისი სახელგანთქმული მუზეუმებია, თუმცა არანაკლებ საინტერესოა პატარა მუზეუმები, რომლებიც კერძო პირებს ან ფონდებს ეკუთვნით.

DENNIS SEVERS HOUSE

ლონდონის სითისთან ახლოს, გამოცოცხლებულ უბანში, სადაც პიკის საათებში გადაადგილება ფეხითაც კი ჭირს, ძველისძველ სახლში, რომელიც 18 Folgate street-ზე მდებარეობს, ძალიან საინტერესო გამოცდილება გელით: სახლის პატრონმა დენის სევერსმა მე-18 საუკუნის ატმოსფეროს დაკონსერვება მოახერხა და სახლში შესვლა, ფაქტობრივად, დროში მოგზაურობაა.

შეგრძნებები იმდენად რეალურია, რომ თამაში, რომლის წესებიც დენის სევერსმა მოიგონა, სინამდვილედ იქცევა. თქვენ ჰუგენოტის, აბრეშუმის მწარმოებელი ჯერვის ჰუს სახლში ხვდებით. პირველ სართულზე ბუხარში ცეცხლი გიზგიზებს, სახლის პატრონის შეპუდრული პარიკი სკამზე კიდია, მისი ვახშამი ჯერ კიდევ მაგიდაზეა, ნახევრად შეჭმული. მძიმე პორტიერები ჩამოშვებულია და გეგონება, რომ მათ უკან ვიღაც იმალება. საწოლ ოთახში ქალბატონის ულამაზესი კაბა გამზადებულია ჩასაცმელად, აშლილ საწოლზე კი შავი კატა ნებივრობს – მუზეუმის ერთადერთი ცოცხალი პერსონაჟი.

მიუხედავად იმისა, რომ საღამოს ვიზიტის შემთხვევაში ბილეთი წინასწარ უნდა დაჯავშნოთ ინტერნეტით, მაინც გირჩევთ, სწორედ ეს მუზეუმი და სწორედ საღამოხანს დაათვალიეროთ. სახლი მხოლოდ სანთლებითა და ანთებული ბუხრის შუქით ნათდება, რაც განსაკუთრებულ ეფექტს იძლევა. თავი შეიძლება კოსტიუმირებული ფილმის გმირად წარმოიდგინოთ, სახლის უჩინარი პატრონების ხმები კი ამ შეგრძნებებს უფრო გაამძაფრებს.

ღიაა: ორშაბათი, ოთხშაბათი, პარასკევი – 17:00-21:00;
ფასი: £15. ბილეთი წინასწარ უნდა დაჯავშნოთ.
კვირა – 12:00-15:15; ფასი: £10
ორშაბათი – 12:00-13:15; ფასი: £10
დაჯავშნა საჯირო არ არის.

18 Folgate street, Spitalfield, London

LEIGHTON HOUSE MUSEUM

ჰოლანდ პარკი ყოველთვის იყო მდიდარი ლონდონელებისა და არისტოკრატიის საცხოვრებელი ადგილი, ამიტომ ამ ბაღსა და მის შემოგარენში გასეირნება ძალიან კარგ წარმოდგენას შეგიქმნით იმაზე, თუ როგორ ცხოვრობდა და ცხოვრობს ლონდონში მაღალი კლასის საზოგადოება. ლორდ ლეიტონის – მხატვრის, შეუდარებელი გემოვნების ადამიანის, ესთეტის, მოგზაურისა და საიდუმლოებით მოცული პიროვნების – სახლი კი საშუალებას მოგცემთ, აგურისგან ნაგები მაღალი ღობეების მიღმა მათი ცხოვრების თანამონაწილე გახდეთ თუნდაც ნახევარი საათით.

ფრედერიკ ლეიტონი გვიანი ვიქტორიანული ხანის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მხატვარი და პიროვნებაა. მის საოცარი გემოვნებით აშენებულ სახლში იკრიბებოდა იმ დროის ლონდონის ბრწყინვალე საზოგადოება. აღმოსავლეთით გატაცების წყალობით ლორდმა ლეიტონმა სპარსული, ინდური და არაბული ხელოვნების ნიმუშების საოცარი კოლექცია შეაგროვა და მისაღები ოთახების დიდი ნაწილი სწორედ აღმოსავლეთიდან ჩამოტანილი მოჭიქული ფილებითაა შემკული. პატარა აუზში მორხრიალე წყლის ხმას, ნიშებში ჩაშენებულ ულამაზესი მაქმანივით მორუჭურთმებულ შავი ხის აღმოსავლურ ტახტებს სახელოსნოს განათებული სივრცეები ცვლის. შეუძლებელია ამ სახლის ფასეულობის გადმოცემა. თუ დეკორატიული ხელოვნება და ინტერიერი ოდნავ მაინც



გაინტერესებთ, ეს სახლი ლონდონში აუცილებლად სანახავი ობიექტების სიაში პირველ ადგილზე უნდა ჩასვათ.

გარდა ამისა, ლეიტონ ჰაუსში შესაძლებელია ვახშმებისა და მიღებების გამართვაც. მოთხოვნა ამ საოცარ სივრცეზე ძალიან დიდია და ამიტომ სასურველია, კარგა ხნით ადრე დაუკავშირდეთ მუზეუმს.

მუზეუმი ღიაა: ყოველდღე (სამშაბათის გარდა) – 10:00-17:00
ბილეთის ფასი: £7

12 Holland Park Road, London

აღმოსავლეთით გატაცების წყალობით ლორდმა ლეიტონმა სპარსული, ინდური და არაბული ხელოვნების ნიმუშების საოცარი კოლექცია შეაგროვა და მისაღები ოთახების დიდი ნაწილი სწორედ აღმოსავლეთიდან ჩამოტანილი მოჭიქული ფილებითაა შემკული.

წვიმასა და ხალხს შორის

აკა მორჩილაძე

ევროპის კონტინენტიდან სულ ახლოს, წვიმასა თუ კარგ ამინდში, მოტორიანი ნავით ერთ კარგ და სახალისო გაცურვაზე, რა თქმა უნდა, ძევს ყველასათვის ცნობილი და რაღაც წილით ყოველთვის ამოუცნობი, უცნაური და მტკიცე კუნძული, რომლის უდიდესი და უფერადოვნესი დედაქალაქია ლონდონი, რომაელთა დროის ლონდინიუმი.

ამბავი ამ ქალაქის არსებობისა ყველამ იცის. იცის კი არა, მეტიც: ის იმდენ ადამიანს უნახავს, რომ ყველა იოლად ჩამოგითვლის: იქ, მდინარე ტემზის პირას, პარლამენტის გამოყოლებაზე დგას უშველებელი სასაათე კოშკი, ბიგ ბენად წოდებული – მისი დედო ზარის მეტსახელიდან; იქ ორსართულიანი წითელი ავტობუსები დადიან და მანქანებს საჭე მარცხნივ აქვს; იქ ყოველ მეასე ნაბიჯზე მწვანე ბალახს და ზედ წამოგორებულ ადამიანებს ხედავ, ხოლო თუ ცისკენ გაგექცა თვალი, აუცილებლად დალანდავ თვითმფრინავს.

თუმცა ლონდონის ცაზე ერთი თვითმფრინავის დანახვა არაფერს ნიშნავს: ჩათვლა ისაა, ორი დაინახო, ხოლო სამი უკვე ნამდვილ ლონდონურ ტემპსა და უწყვეტი მოძრაობის სიმძლავრეზე მიგანიშნებს.

გაიხსენებენ, ასევე, რომ იქ არის ხალხმრავალი მეტრო და ლუდხანები, იქაურულად პაბები, უფრო გრძლად კი – სახალხო სახლები, მორთული ყვავილებითა და განათებული ძველებური, მოვარდისფრო შუქით; ხოლო ამ პაბებს ჰქვია უცნაური სახელები: მამალი და ცხვარი, მეეტლე და ცხენები, მეფის თავი, შვიდი ზარი, შეშლილი ეპისკოპოსი და დათვი და ასე დაუსრულებლად; ოდინდელი, ეგებ არარსებული ზღაპრებიდან მომდინარე სახელები და სახეებიც.

გეტყვიან იმასაც, რაც ოდესღაც ყველას წაუკითხავს და გაუგონია – რომ ესაა ნისლიანი ქალაქი, სადაც გაუთავებლად წვიმს და სინოტივე ძვალსა და რბილში ატანს. ასევე, ისა რომ, იგი არის დაშლილი უდიდესი იმპერიის პირქუში დედაქალაქი, ძველი ურჩხული, სმოგით, იქაური საქარხნო კვამლით გამურული მეფეთა, ლორდთა და მხედართმთავართა ქანდაკებებით.

ათას სხვა რამეს გაიხსენებენ, მაგრამ როდესაც იქ ჩახვალთ, სკოლის მერხიდან დამახსოვრებული რამეები ტყუილი აღ-მოჩნდება და საერთოდაც მიგავიწყდებათ, რადგან ჯერ კიდევ ოთხასი თუ ეგებ მეტი წლის წინათ უთქვამს ბენ ჯონსონს, დიდ იმათიან მწერლობის კაცს: „ვისაც ლონდონში მოეწყინება, იმას საერთოდ მოსწყენია ცხოვრება!“

და ეს მართალია, ეს ისეთი სიმართლეა, რომელიც ცხვირში გეჩხირება, საერთოდაც რომ არ იყო ხალისის და უბრალო რამეებით დღის გამშვენიერების კაცი.

ბენ ჯონსონი ის არ იყო, რომ რაღაც და უბრალოდ ჭკვიანი. ნიჭიერი და ნასწავლი, ის სულის და გრძნობის კაციც იყო და მის დროშიც ლონდონი ისევე იყო მოგზაურის, სტუმრის, ტურისტის ქალაქი, როგორც დღესაა. შესაძლოა, ციფრები სხვა იყო, ნულები აკლდა, მაგრამ ამ ქალაქის ერთ-ერთი არსი მისი ნახვა, მასში გადაშვება და მისით არმოწყენაა და, როგორც ჩანს, ეს თავიდანვე ასე იყო.

ეგებ ეს გასაკვირიცაა. „იქ“, ძველ ინგლისში ასეთი ადგილი, ასეთი ქალაქი და ასეთი სული. დღეს ყველამ იცის, რომ ლონდონი სხვაა, მთელი ინგლისი კი – სხვა. ვინც არ იცოდა, ეს ბოლოდროინდელმა რეფერენდუმმაც დაუდასტურა, რომლითაც მთელი ინგლისი ევროპიდან გავიდა, ლონდონი კი იქ დარჩა. ეს მაინცდამაინც ევროპის ამბავი კი არაა, რომ აი, ბრიტანეთის დედაქალაქში ევროკავშირში ყოფნა ხელს აძლევთ, არამედ ის, რომ ლონდონი მსოფლიო ქალაქია და უკვე რამდენი საუკუნეა, მსოფლიო ქალაქია და ასეთი ქალაქი მსოფლიოში სულ ორიოდეა.

ეს ლონდონის ძველი და ძნელად გასარკვევი მდგომარეობაა, რომელსაც საფუძვლად ალბათ ისტორია და ეკონომიკა უდევს.

ამ მოსაწყენ სიტყვებს შესაძლოა ძალიან შორს წავყვეთ და ვარკვიოთ, რამდენია ლონდონში ინგლისური და საკუთრივ ლონდონური, მაგრამ უფრო იოლი იქნება, ასე ვთქვათ: ორივე ბევრია. საერთოდ, ბრიტანეთი რამდენიმე ერის, რამდენიმე კულტურის, რამდენიმე ენის ნაზავია, ლონდონი კი უამრავი კულტურის, უამრავი ენის, უამრავი ერის მიერ შექმნილი მაინც ინგლისური კოქტეილი, ერთგვარი პიმსის ნაყენი, შიგ დაუნანებლად ჩათლილი ატმით, კიტრითა და მარწყვით, ასე რომ უხდება ლონდონის ზაფხულს, განსაკუთრებით – თუ შენ თვალწინ, მინდორზე კრიკეტი ან სულაც პოლო გახურებულა.

ლონდონში რა არის მთავარი და, კეთილგანწყობა და რაღაცნაირი იმედი, რომ ეს კარგი დღეა, ეს კარგი ურთიერთობებია, ეს კარგი გარემოა.

საქმე ისეა, რომ ევროპის რომელ წერტილშიაც არ უნდა მოხვდე, ინგლისელები დიდად არ უყვართ. ხშირად გაიგონებ, პრაგმატულები, საქმოსნები, ცხვირაწეულები არიანო, სხვანაირად კი – ამპარტავნებიო, ჩაკეტილებიო, ირიბად ან, სულაც, ზემოდან მაცქერალნიო და რას არ იტყვიან. თავად სულ კონტინენტის ქილიკში არიან, მაგრამ სულ კონტინენტზე არიანო. მაშინ რა უნდათ ჩვენგანო და ასე შემდეგ.

მთელ ამ ნათქვამებს ბევრი მოჰყვება იმპერიის დროინდელი ინგლისისა, წყლით გარშემორტყმული ადგილის თავისებურებისა, ახირებულობისა და სხვათა... და ეს ყველაფერი თითქმის მართალიც შეიძლება გამოდგეს ხოლმე, თუ ლონდონის ქუჩებს არ მიეცი თავი. მისცემ თავს და ყველაფერი დაგავიწყდება.

საერთოდ კი, ლონდონურის მსგავსი კეთილგანწყობილი ზრდილობა არსად მოიპოვება, არც ხუმრობა და არცა კიდევ სასიამოვნო და საინტერესო სიტყვა-პასუხი. რა იციან აქა და, უბრალო სიტყვების, ჩვეულებრივი წინადადებების არაჩვეულებრივად ქცევა. ეძახე სიცივე და ჩაკეტილობა, დიდ ქალაქში ასეთი სახალხო ურთიერთობა კი ერთ რამედ ღირს.

სხვაგან ძნელი საძებარია, რომ უცნობი ადამიანები ასე და ამდენ ხანს ესაუბრებოდნენ ერთმანეთს, თორემ მუტრუკი ყველგან მოიძებნება. ლონდონს ესა აქვს – ენა, ფერები, ხალისი და, რაც მთავარია, დაუსრულებლობა. უსასრულობაა და მორჩა!

ის ყველგან საინტერესოა, ღამის მექაბაბის გაწებილ ვიტრინაშიც, დედოფლის სასახლეშიც, რიჩმონდის პარკშიც და სახლშიც, რომელიც ერთ დროს ეკლესია იყო, მერე სინაგოგა, ახლა კი მეჩეთია; მდინარის პირზეც, ძველ, პატარა გაცვეთილ თეატრშიც, ძველმანების ბაზრობაზეც და ტაქსიშიც კი. ჩვეულებრივ, ცნობარს მიდევნებული ტურისტები ბევრ საინტერესოს ნახულობენ ვესტმინსტერისა და მეიფეარის უბნებში, ვესტ ენდში და ეს სავსებით საკმარისია ხოლმე, თუმცა ლონდონი, როგორც მთლიანობაა საინტერესო და უსასრულო და მნიშვნელოვანი.

ეს რაღაცნაირად შექმნილი ქალაქია, სადაც ძველი საქვეყნო გზები ახლა მის ქუჩებად ქცეულა: ძველისძველი ქალაქის, მისი ისტ ენდისა და ვესტ ენდის გარშემო, ასევე, მდინარის სამხრეთ ნაპირებიდან ქალაქს ნელ-ნელა ფრთხილად შემოუერთდა ასამდე სოფელი, ახლა მის განთქმულ უბნებად რომ ქცეულა. ქალაქი ჯიუტად, მაგრამ ფრთხილად შედიოდა ამ სოფლებში, თითქოს არც კაფავდა ტყეებს, არ ანგრევდა ძველ ტავერნებს და ცდილობდა, უფრო რელსებით გადაება ერთმანეთისთვის უზარმაზარი სივრცის სხვადასხვა კიდე. თავის მხრივ, სოფლებიც ჯიუტად, მაგრამ ფრთხილად შედიოდნენ ქალაქში: მელიების შლიგინით, ჩიტების ჭიკჭიკით, ყვავილნარებით და ერთგვარი სიმშვიდით, უკანა ეზოებში რომ ჩამოდგება ხოლმე; ამიტომ ამ ქალაქში ერთდროულად სოფელიცაა და ქალაქიც და როგორღაც ისე გამოდის, რომ ისინი ცალ-ცალკე არ არიან, არამედ ერთად.

დღეს, როცა ყველაფერი ერთმანეთს ემსგავსება, ან უკვე ჰგავს, როცა ურთიერთობები გამარტივებული და ცივია, ეს ქალაქი რაღაცის ხარჯზე ინარჩუნებს ერთდროულად მშვიდსა და ბობოქარ ხალისს, სიტის შეშლილი განთიადიდან ქიუ გარდენის მშვიდ საღამომდე, და ეს ყველაფერი ერთიანი და ჰარმონიულია.

განა ეს იოლი ქალაქია?! ეს ძნელი და ძვირი ქალაქია, სამუშაო დღეების დამქანცავი სისწრაფით და გადარჩენისთვის მებრძოლი ადამიანებით, მაგრამ ამ ქალაქში უცნობები ჯერ კიდევ ელაპარაკებიან ერთმანეთს და ეს მასლაათი, რომელიც თითქოს არაფერს ნიშნავს, იძლევა განწყობას შემდეგი უფრო კარგი ნაბიჯისა.

საბოლოოდ კი, ლონდონს ერთი წესი აქვს, ბუნებრივი და უხმაური, რომლიც ჯობს, თავიდანვე იცოდე, ვიდრე ჭაპანწყვეტითა და გამოცდილებით შეიტყო: სადაურიც არ უნდა იყო, ვინც არ უნდა იყო, არასოდეს ეცადო ლონდონელების გაოცებას, მათზე შთაბეჭდილების მოხდენას. მთელი ის სიცივე, ჩაკეტილობა, ცხვირის აწევა თუ რაღაც ასეთები, რასაც ამბობენ ხოლმე, სწორედ ამაში ჩაეტევა: მათ არაფერი გაუკვირდებათ.

ისტორიამ თუ ცხოვრებამ ასე მოახდინა. ასე მოახდინა ამ ქალაქის ყოფამ საუკუნეთა განმავლობაში, რომ ის იქით გაგაოცებს. უპირველესად, სწორედ მისი სულით, რაშიც არაფერია გამოცალკევებული, და უპირატესი.

გადაწვის შემდეგ სერ კრისტოფერ რენის აშენებული ქალაქი, ვიქტორიას დროში საყოველთაო შენებით დატოვებული იერი, წვიმის და მზის უცნაური ნაზავით ქვაფენილიდან ავარდნილი სურნელი, ისტ ენდის ყაჩაღური ჯურღმულები და დაუნანებლად გაფენილი პარკები; კათხა ელი და ძმარმოსხმული ფიშ ენდ ჩიპსის უშველებელი ულუფა, ენაკვიმატი მოხუცები, ხამანწკების მთები და მთელი მსოფლიოს ოქრო, ზღვაოსნები რომ ეზიდებოდნენ ხაზინაში რამდენ ას წელიწადს; მოულოდნელი სამოსი და ათასი ფერის თავისუფლება, ამდენი რომაა ამ ქალაქში: ერთადაა, სულ ერთად.

> **ინგლისელთა საჭმელ-სასმელზე ბევრს ოხუნჯობენ კონტინენტზე, რომელთანაც კუნძულს ერთი სრუტე აშორებს, მაგრამ ამ შემთხვევაში კოქტეილი, სახელად ლონდონი, ერთადერთი გამოვიდა. ნამდვილად ერთადერთი და, რასაკვირველია, განუმეორებელი, იმ ჭიქიდან, რომელსაც ფსკერი არა აქვს.**

Five o'clock Tea

ჩაის სმა საღამოს 5 საათზე რიტუალია, რომელიც რამდენიმე საუკუნეს ითვლის. თუ რიგითი ინგლისელის სახლში **Afternoon tea ან Five o'clock tea** ზოგჯერ უბრალოდ მსუბუქი ვახშამია, საზოგადოების მაღალ წრეებში ჩაის სმის **ინგლისურ ტრადიციას** დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. მოგზაურებსაც ვურჩევთ, დრო გამონახონ და ჩაის ცერემონიას შეუერთდნენ.

ჩაი ინგლისში პირველად XVII საუკუნის შუა ხანებში გამოჩნდა: ის 1664 წელს The English East India Trading Company-მ საჩუქრად მიართვა მეფე ჩარლზ II-ს. დედოფალმა კატერინამ ჩაი სასახლის ოფიციალურ სასმელად აქცია. სწორედ ამ დროიდან მოდის საინტერესო ბრიტანული ტრადიცია – ჯერ ფინჯანში რძის ჩასხმა და შემდეგ უკვე ჩაის ჩამატება.

დახვეწილი ფაიფურის ფინჯნები, რომლებითაც სასახლის კარზე ჩაის სვამდნენ, ისეთი თხელი და ფაქიზი იყო, რომ ქაფქაფა სითხით მის დაზიანებას ერიდებოდნენ, ამიტომ ჯერ ოთახის ტემპერატურის რძეს ასხამდნენ და ჩაის შემდეგ უმატებდნენ.

ჩაის სმა ეროვნულ ტრადიციად ბრიტანეთში 1840-იან წლებში იქცა ბედფორდის მე-7 ჰერცოგის ცოლის, ანას წყალობით.

ანას ძალიან შივდებოდა ლანჩსა და სადილს შორის, რადგანაც სადილი საღამოს 8:30-9:00 საათზე იყო. ჰერცოგის ცოლმა ბრძანება გასცა, მისთვის მიეტანათ ჩაი პურით და კარაქით, კექსებთან და ნამცხვრებთან ერთად. მალე ეს წამოწყება პრივილეგირებულ საზოგადოებაში

ტრადიციული ჩაის სახეობები, რომლებსაც ჩაის სმის ცერემონიებზე მიირთმევენ: Assam, Ceylon, Lapsang, Kenyan, Darjeeling, English Breakfast, English Afternoon, Earl Grey, Rose Pouchong, Russian Caravan და სხვ. გარდა ამისა, ჩაის ცერემონიებზე ყოველთვის არის დამატებით მწვანე, თეთრი (სწრაფად გამშრალი არაფერმენტირებული ჩინური ჩაი), წითელი ჩაის და ბალახეულის ნაკრების არჩევანი, ამრთვე, ერთი სახეობის უკოფეინო ჩაი მაინც.

მოდაში შემოვიდა და ვიქტორიანული ბრიტანეთის ურყევ ტრადიციად იქცა. 1880 წლიდან მოყოლებული, ყველაზე ძვირფასი სასტუმროები ჩაის სმის ცერემონიებს აწყობდნენ ლონდონის ელეგანტური პუბლიკისა და ჩამოსული უცხოელებისათვის.

კლასიკურ ჩაის ცერემონიებზე სტუმრებს უხვად უმასპინძლდებიან თხელი სამკუთხა ან ოთხკუთხა, ქერქმოცლილი სენდვიჩებით (finger sandwiches): კარაქით და კიტრით; ყველით და შებოლილი ორაგულით; დაქუცმაცებული მოხარშული კვერცხით, კრეს-სალათით და მაიონეზით; კრევეტებით და Marie Rose-ის სოუსით და სხვ.

ჩაის სუფრაზე ყოველთვის არის ახალგამომცხვარი ღვეზელების ფართო არჩევანი: ხილის კექსი (fruit cake), ვიქტორიანული კექსი (Victoria sponge), შოკოლადის კექსი (chocolate cake), ჯინჯერის პური (ginger bread), ფხვიერი ნამცხვარი „თითები" (finger biscuits), კალათები ახალი ხილით და სხვ. დღეს უკვე ამ ყველაფერს ემატება სტაფილოს ღვეზელი, ჩიზქეიქები და სხვადასხვაგვარი ტორტები.

5 O'CLOCK – ერთ-ერთი გავრცელებული სტერეოტიპია დიდ ბრიტანეთზე. საქმე ის არის, რომ ჩაის სმისთვის აქ არასდროს ყოფილა მკაცრად განსაზღვრული საათი: მას სიამოვნებით სვამენ დღეში რამდენჯერმე, როცა თავისუფალ დროს მოიხელთებენ. ტრადიციული AFTERNOON TEA ნებისმიერ ხელსაყრელ დროს შეიძლება მოეწყოს, ღამისა და სადილს შორის.

THE RITZ HOTEL

„რიცი" ნაშუადღევის ჩაიზე 1906 წლიდან მოყოლებული მასპინძლობს ლონდონელებს და დედაქალაქის სტუმრებს. აქ დიდი ყურადღება ეთმობა ჩაის სმის ეტიკეტს (ჯინსები და სპორტული ტანისამოსი რეკომენდებული არ არის, მამაკაცებს პიჯაკის ჩაცმა მოეთხოვებათ). ჩაის რიტუალთან ერთად შეგიძლიათ ისიამოვნოთ ლონდონის საუკეთესო სენდვიჩებით.

Palm Court-ი (Ritz hotel) შეიძლება ლონდონის ყველაზე ცნობილ ჩაის სმის ცერემონიადაც მივიჩნიოთ. მოქმედებს მკაცრი დრესკოდი, ადგილი 6 კვირით ადრე უნდა დაჯავშნოთ.

ღიაა: 11:30-19:30; **ფასი**: £52, შამპანურით – £68

150 Piccadilly, London

SKETCH

განთქმული კლუბის და გასტრონომიული ხელოვნების ცენტრის პირველ სართულზე მდებარე დავიდ შრიგლის ექსცენტრიკულ ინტერიერში აუცილებლად მიირთვით ტრადიციული შუადღის ჩაი Comté cheese-ის პანინოთი.

ღიაა: 12:00-16:30 (21:00-იდან მხოლოდ კლუბის წევრებისათვის); **ფასი:** £45, შამპანურით – £57

9 Conduit St, London

THE LONDON EDITION

სასტუმრო ინახავს Scandal Water aftenoon-ის ტრადიციას, რომელიც XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა, როდესაც ლონდონის არისტოკრატია აქ ეგზოტიკური ჩაის მისართმევად და ადგილობრივი სკანდალების გასარჩევად იკრიბებოდა. **ჩაის ცერემონია ეწყობა პარასკევს და შაბათს** – 15:00-16:00; **ფასი:** £35

10 Barnes St, London

FORTRUM & MASON

1707 წლიდან მოყოლებული, Fortrum & Mason-ს ჩამოჰქონდა და აბავებდა 82 ჯიშის უმაღლესი ხარისხის ჩაის. Diamond Jubilee Tea Salon-ში შეგიძლიათ დააგემოვნოთ ლონდონში საუკეთესო და ტრადიციული ჩაი უგემრიელეს სენდვიჩებსა და ნამცხვრებთან ერთად. **ღიაა:** 12:00-19:00; **ფასი**: £44/48

181 Piccadilly, London

HOTEL CAFE ROYAL

Oscar Wild Room-ში შეგიძლიათ დაგემოვნოთ იდეალურად მომზადებული ტრადიციული ნაშუადღევის ჩაი და, პარალელურად, მოისმინოთ ჭეშმარიტად ლონდონელი სახელგანთქმული მწერლების უკვდავი ფრაზები, რომელთაც, დაყენებული ხმით, დროდადრო შემოგთავაზებთ ელეგანტურად ჩაცმული MC. **ღიაა:** 12:00-16:00; **ფასი**: £42, შამპანურით – £55

68 Regent St, London

CLARIDGES HOTEL

განსაკუთრებული გამოცდილების მისაღებად ესტუმრეთ უნიკალურ სასტუმრო Claridges-ს, სადაც უაღრესად ელეგანტურ და, ამავდროულად, არაფორმალურ სივრცეში შეგიძლიათ სასტუმროს პერფექციონიზმში გადაყვანილ 150-წლიან გამოცდილებას ეზიაროთ. აუცილებლად გასინჯეთ ჩაი – Second Flush Muscatel Darjeeling. **ღიაა:** 14:45-17:30; **ფასი:** £58 შამპანურით – £68/78

55 Brook St, London

BROWN'S HOTEL

ამ ლეგენდარულ ლონდონურ სასტუმროში, სადაც აგათა კრისტი „სასტუმრო ბერტრამს" წერდა, პირველი ნამდვილი „ინგლისური ჩაი" (ანუ ინგლისურ მიწაზე, კორნუოლის საგრაფოში მოყვანილი) შეგიძლიათ დაგემოვნოთ. Brown's Hotel-ი ინგლისის დედოფლის, ვიქტორიას საყვარელი „შუადღის ჩაის" ადგილი იყო და დღესაც პოპულარულია მაღალ საზოგადოებაში. მისი განთქმული სამზარეულო ჯენტლმენურ და სწორ კვებაზეა ორიენტირებული. ჯობია, ადგილი წინასწარ დაჯავშნოთ.
ღიაა: 12:00-18:30; **ფასი:** £47.50-იდან, შამპანურით – £55-იდან.

33 Albemarle St, London

MY CUP OF TEA

თავი სურნელოვან ზღაპარში გეგონებათ, როცა Ham Yard Hotel-ის პირველ სართულზე განთავსებულ ჩაის მაღაზია Ausraburg-ში შეაბიჯებთ და იქ სულ სხვადასხვა ფერისა და ზომა-წონის კოლოფებით დახუნძლულ თაროებს შეავლებთ თვალს.

მაღაზიის უკანა ნაწილში ჩაის და ჩაის სამკურნალო ნაყენების დახლი დგას, სადაც პროდუქტი წონით იყიდება. აქ თავად შეგიძლიათ ნახოთ ჩაის დაყენების მთელი პროცესი და დააგემოვნოთ კიდეც.

ჩაი თეთრი ტილოს ტომსიკებში იყიდება. მაღაზიაში შეგიძლიათ შეიძინოთ ჩაის ფინჯნები, ჩაიდნები, ლანგრები და აქსესუარები.

ღიაა: 10:00-19:00

5 Denman Place, London

POSTCARD TEAS

აქ ისეთი ჩაის შეძენა შეგიძლიათ, რომლის ფოთლებს მხოლოდ მცირე, 6 ჰექტარზე ნაკლები ფართობის მქონე პლანტაციებიდან იღებენ აზიის 6 ქვეყანაში (ინდოეთი, იაპონია, კორეა, ჩინეთი, ტაივანი, ვიეტნამი). აქვე შეგიძლიათ შეიძინოთ ხელნაკეთი კერამიკის ჭურჭელი და აქსესუარები ჩაისთვის.

ღიაა: 10:30-16:30

ამ ჩაის სახლს ორ მისამართზე შეგიძლიათ მიაკითხოთ:

9 Dering St, London;
New Bond St, London

TREGOTHNAN TEA

გრაფი გრეი 1830-იან წლებში ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი იყო. სწორედ მან აღმოაჩინა ჩაის ცნობილი არომატი „ელ გრეი“. მისი შთამომავლები ფლობენ ჩაის პლანტაციას ინგლისშივე, კორნუოლში, სადაც იწარმოება ჩაი „ტრეგოთნანი“ (tregothnan). ჩაის ყიდვა შესაძლებელია მაღაზიებში ან ინტერნეტით.

FORTNUM & MASON, PICCADILLY

ბერგამოტის სურნელგარეული აქაური „ერლ გრეი“ მართლაც შეუდარებელია და, როგორც ჩანს, სწორედ ამის გამო შეინარჩუნა მაღაზიამ მომხმარებელი ბოლო სამი საუკუნის განმავლობაში.

უნიკალური სავაჭრო ცენტრი Fortnum & Mason პიკადილიზე იდეალური ადგილია საჩუქრის ასარჩევად. მაღაზიები ასევე არის ჰითროუს აეროპორტსა და საერთაშორისო ვაგზალ სენტ პანკრასზე.

ის ამარაგებს სამეფო ოჯახსაც. თავად სავაჭრო თავის დროზე მეფე ჯორჯ მესამის ორმა ლაქიამ გახსნა. შესანიშნავი ჩაით განთქმული Fortnum & Mason-ი იმითაცაა ცნობილი, რომ დიდ ბრიტანეთში პირველად სწორედ აქ დაიწყეს მოხალული ყავის მარცვლებით ვაჭრობა.

181 Piccadilly, London

TAYLORS OF HARROGATE

ლონდონიდან მატარებლით სულ რაღაც სამი საათის სავალზე, იორკშირის მხარეში მდებარეობს ფირმა Taylors of Harrogate. მას უფლისწულმა ჩარლზმა პატენტი 2009 წელს უბოძა, რადგან ამ ფირმის ჩაი თუ ყავა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდანაა შემოტანილი და უმაღლესი ხარისხით გამოირჩევა. მასვე ეკუთვნის საჩაიეების ცნობილი ქსელი Betty's.

www.bettysandtaylors.co.uk

BISCUTEERS

თუ გსურთ, ბავშვები საოცნებო ადგილას მოხვდნენ, მაშინ აუცილებლად უნდა წაიყვანოთ Biscuteers-ში. ეს პატარა საკონდიტრო სხვადასხვა ფორმის ორცხობილებზე საკონდიტრო პასტით საოცარ ნახატებს ქმნის, ქოლგიდან დაწყებული, ორსართულიანი ავტობუსითა და ნოთინგ ჰილის ქუჩის

ჩათვლით. თუ წინასწარ ჩაეწერებით ჯგუფში, შესაძლებელია თქვენი პატარაც ჩაერთოოს ამ საქმიანობაში.

194 Kensington Park Road, London

LANKA

იაპონელი კონდიტერი მასაიუკი ჰარა მწვანე ჩაის სურნელით გაჯერებულ უმსუბუქეს და უგემრიელეს ნამცხვრებსაც აცხობს და ლონდონში საუკეთესო მაკარონიც ისეთი გამოსდის, პირში დნება.

ღიაა: 10:30-18:30; ორშაბათს დაკეტილია.

Finchley Road,
9 Goldhurst Terrace,
London

PRIMROSE-BAKERY

თუ გადაიღალეთ და ტკბილი მოგინდათ, Primrose-Bakery-ს გვერდს გულგრილად ვერ ჩაუვლით. ეს საცხობი თავისი ქაბქეიქებითაა ცნობილი და იმდენად თვალისმომჭრელად მხიარულად გამოიყურება, რომ განწყობა მაქრის დოზის მიღებამდე აგიმაღლდებათ.

42 Tavistock St, London

MAISON BERTAUX

სოჰოში საუკეთესო ფუნთუშებსა და რძიან ყავას სწორედ აქ, ლონდონის უძველეს საკონდიტროში შემოგთავაზებენ, ლურჯ-თეთრ ზოლებიან ჩარდახქვეშ.

28 Greek St, London

მდიდარი ბრიტანელების მხოლოდ 7% შეადგენს კატეგორიას Self-Made Man. მდიდრების 3/4-მა მემკვიდრეობად მიიღო 25 ათასიდან 250 ათას ფუნტამდე, დანარჩენმა კი – უფრო მეტი.

ისინი 3 ელიტარულ ჯგუფს ქმნიან: ტრადიციული არისტოკრატია, ტიტულირებული მიწის მფლობელები; **XIX საუკუნის ფინანსისტების შთამომავლები**, რომლებმაც შემდგომ მსხვილი ბიზნესი წამოიწყეს; **ჩრდილოეთ ინგლისის მეწარმეთა შთამომავლები**, რომლებიც ტექსტილის ინდუსტრიის მეშვეობით გამდიდრდნენ.

შეხედულება, რომ მემკვიდრეობით მიღებული ფული უფრო ფასეულია, ვიდრე საკუთარი გამომუშავებული, ბრიტანული მენტალობისთვის ახლაც აქტუალურია. სიმდიდრე ბრიტანეთში თვითმიზანი არ არის, ეს არის მაღალ საზოგადოებაში მოხვედრის საშუალება მისთვის დამახასიათებელი ცხოვრების წესით. **ბრიტანული მაღალი საზოგადოება ჩაკეტილი კასტაა**, დაკავშირებული ნათესაური კავშირებით, ქორწინებებით და ერთობლივი ფინანსური ინტერესებით. მასთან სიახლოვე სიმბოლიზებულია პრივილეგირებული დახურული კლუბების წევრობით.

ამ სამყაროში თითქმის შეუძლებელია უცხოს მოხვედრა. მხოლოდ სიმდიდრე მის კარს ვერ აღებს – ამისთვის საჭიროა დაიბადო შესაფერის ოჯახში, ისწავლო იტონში, კემბრიჯში, ოქსფორდში; ეს განსაზღვრავს ფინანსურ და სოციალურ სტატუსს.

BOODLE'S (1762 წ.)

კლუბი დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა, ლორდმა შელბერნმა დააარსა. ის დღემდე ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ადგილია ლონდონში. კლუბში მოსახვედრად მკაცრი ცენზურის გავლა დაგჭირდებათ. მისი წევრები იყვნენ უინსტონ ჩერჩილი და იან ფლემინგი. გადასახადს წევრების მოთხოვნების შესაბამისად აწესებენ.

28 St James's St, Mayfair

THE GARRICK CLUB (1831 წ.)

აქ შეგიძლიათ ივახშმოთ, ისარგებლოთ მდიდარი ბიბლიოთეკით, იქირაოთ ოთახი. ძვირფასი ხის ინტერიერი, ბუხარი, ტერასა და ღვინის სარდაფი – ამ იდეალურ ადგილას ქალებს თითქმის არ უშვებენ. კლუბის წევრებს შორის იყვნენ ჩარლზ დიკენსი, ჰერბერტ უელსი. გადასახადის რაოდენობა ფართო საზოგადოებისთვის უცნობია.

15 Garrick St, Covent Garden

The Garrick Club

BLACKS (1764 წ.)

ეს ბოჰემური ადგილი White's-ის ანტიპოდად მიიჩნევა. ბუხარი, სიმყუდროვე, იტალიური სტილი მწერლებსა და ჟურნალისტებს იზიდავს. კლუბში რომ მიგიღონ, „ექსტრაორდინალურად საინტერესო“ უნდა იყოთ. გადასახადის რაოდენობა გასაიდუმლოებულია.

67 Dean St, Soho

WHITE'S (1693 წ.)

არისტოკრატიულ პატარა მყუდრო კლუბს დღეს ყოფილი პრემიერ-მინისტრი დევიდ ქემერონი, პრინცები – ჩარლზი და უილიამი სტუმრობენ. კერძო დარბაზი ვახშმისათვის, საბილიარდო, სამკითხველო განუმეორებელ ატმოსფეროს ქმნის. აქვეა პატარა ბარი. კერძებს შორის განთქმულია გარეული ფრინველის ხორცის სოსისი. გადასახადი წელიწადში 850 ფუნტია.

37 St James's St, Mayfair

SAVILE CLUB (1868 წ.)

სადღესასწაულო ვახშმისთვის აქ იდეალური გარემოა. კლუბის პატრონი ედინბურგის ჰერცოგია. მისი წევრები იყვნენ რობერტ ლუის სტივენსონი, ჰერბერტ უელსი, რედიარდ კიპლინგი. გადასახადი წელიწადში 1061 ფუნტია.

69 Brook St, Mayfair

THE GROUCHO (1985 წ.)

მუნჯი კინოს კომიკოსის, გრაუჩო მარქსის პატივსაცემად დაარსებულ კლუბში სოლიდური საზოგადოება იკრიბება. ერთხელ აქ ბილ კლინტონს ფორტეპიანოზე დაუკრავს. თუ კლუბის წევრს დაუმეგობრდებით, შეიძლება სტუმრადაც მიგიწვიონ. პირველადი შენატანი 695 ფუნტია, წევრობაც 695 ფუნტი დაგიჯდებათ.

45 Dean St, Soho

THE ARTS CLUB (1863 წ.)

აქ ლონდონის შემოქმედებითი ელიტა იკრიბება, ამიტომაც ჯინი ტონიკით მდინარესავით მოედინება. კლუბმა ახლახან ინტერიერი შეიცვალა და თანამედროვე საგამოფენო-საკონცერტო სივრცედ იქცა. პირველადი შენატანი 2000 ფუნტია.

40 Dover St, Mayfair

THE MARK'S CLUB (1973 წ.)

ამ კლუბში ქალებისათვის შესვლა დაშვებულია. კლასიკური ჩაცმულობა წესად რჩება. დახვეწილი ინტერიერი და კერძები წევრების გემოვნების შესაბამისია. გადასახადი 2000 ფუნტია.

46 Charles St, Mayfair

ინგლისური საუზმე

ინგლისურ საუზმეს უზარმაზარ თეფშზე მოგართმევენ: შემწვარი კვერცხი, დაბრაწული ღორი, რამდენიმე ტიპის სოსისი (მათ შორის, ერთი – სისხლის ანუ შავი სოსისი), სოკო, ცხელი ტოსტები, გრილზე შემწვარი პომიდორი და, რაც ყველაზე უჩვეულოა, თეთრი ღობიო პომიდვრის პასტით.
ამ ყველაფერთან ერთად დამატებით მოგართმევენ ტოსტებს, კარაქსა და ჯემს.

საუზმისთვის საუკეთესო ადგილები ლონდონში:

BREAKFAST CLUB
ფასი: £10
33 D'Arblay St, Soho

HAWKSMOOR GUIDHALL
ფასი: £16
10-12 Basinghall St, City

CARAVAN KING'S CROSS
ფასი: £10.50
1 Granary building, Granary

THE RIDING HOUSE CAFÉ
ფასი: £14.50
43-51 Great Titchfield St, Fitzrovia

REGENCY CAFÉ
ფასი: £20
17-19 Regency St, City of Wensminster

ინგლისური საუზმე ნამდვილად ღირს-შესანიშნავი მოვლენაა და მისი სიუხვით თუ ვიმსჯელებთ, მამაკაცებისთვისაა განკუთვნილი. ადვილად დასაჯერებელია, რომ მწვანე გორაკებზე შეფენილი სასახლეების მკვიდრნი ნადირობამდე სწორედ ასე იწყებდნენ დილას.

შედარებით მოკრძალებული ინგრედიენ-ტებით, მაგრამ არანაკლებ უხვად საუზ-მობენ მეზობელი ფერმის ბინადარნიც. ეს ნამდვილად საყოველთაო მოვლენაა და მხო-ლოდ პროდუქტის ხარისხისა და მზარეულის ტალანტის მიხედვით თუ იპოვით განსხვავებას.

რამდენადაც შთამბეჭდავად არ უნდა გამოი-ყურებოდეს ეს ულუფა, მათთვის, ვინც დილიდან დაუსრულებელი დღის დაწყებას გეგმავს და სურს, შიმშილმა არ შეაწუხოს, ინგლისური საუზმე მართლაც შესანიშნავი გამოსავალია, მაგრამ, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია, სად მიირთმევთ მას. თქვენმა არჩევანმა შესაძლოა სამუდამოდ შეგაყვაროთ, ან გაგიფუჭოთ შთაბეჭ-დილება ინგლისურ საუზმეზე.

The Wolseley-ში, რომელიც სასტუმრო „რიცის“ მეზობლად მდებარეობს, ულამაზესი არტ-დეკოს სივრცის გარდა, უგემრიელესი საუზმე გელით. თუ ინგლისური საუზმის ხასიათზე არ ხართ, შეგიძლიათ ნებისმიერი სხვა ვერსია შეარჩიოთ მენიუდან. დიდი საუზმე 2 ადამიანზე 70 ფუნტამდე დაგიჯდებათ.

თუ ფსიქოდელიური განწყობით გსურთ დილის დაწყება და „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“ თქვენი საყვარელი წიგნია, აუცილებლად Sketch-ში უნდა მიბრძანდეთ. ეს სახელგანთქმული კლუბი, რომელიც 10 წელია, რაც აქტუალობას არ კარგავს, შესანიშნავ საუზმეს გთავაზობთ.

გირჩევთ, ეგრეთ წოდებული პორიჯი ანუ შვრიის ფაფა შეუკვეთოთ. ესეც ბრიტანული საუზმის ძალიან ტრადიციული კერძია, თუმცა მოსაწყენი ფაფა „სკეტჩში“ ხელოვნების ნიმუშად აქვთ ქცეული. შვრია ქოქოსის რძეშია მომზადებული და კარამელიზებული ბანანითაა დამტკბარი – ყველაზე სკეპტიკურად განწყობილი ანტიფა-ფისტებიც კი დანებდებიან.

THE WOLSELEY, Piccadilly

ავტომობილების ყოფილი მაღაზია 2003 წელს ევროპული სტილის კაფედ გადააკეთეს და ისე გააწყვეს, თავი რამდენიმე საუკუნით ადრინდელ დროში გეგონებათ. მთავარი კერძი – „ბენედიქტი“ ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს, თუმცა მისი დასახელების მაღალფარდოვნებამ არ შეგაკრ-თოთ: გარემო სავსებით შინაუ-რულია და ზედგამოჭრილი საქმიანი საუზმისათვის.
ღიაა: 07:00 საათიდან
ფასი: £17.50

160 Piccadilly, London

გაითვალისწინეთ, რომ ღონდონში ყველა კარგი რესტორანი თუ კაფე საუზმის, ნაჭრის და ვახშმის დროს ძალიან გადატვირთულია, ამიტომ სასურველია, ყოველთვის წინასწარ დაჯავშნოთ მაგიდა, რომ გაწგიდეგუღეგი არ დარჩეთ, ან უსასრულო რიგში არ მოგიწიოთ ღოდინი.

მნიშვნელოვანია დროის გათვალისწინებაც: საუზმეს მაქსიმუმ 12 საათამდე მოგართმევენ.

VOYAGER გირჩევთ

SKETCH

როცა „სკეტჩმა“ პირველად გაუღო კარი აღელვებულ ლონდონელებსა და, უბრალოდ, კარგი ცხოვრების მოყვარულებს მთელი მსოფლიოდან, იქ მოხვედრა თვეების განმავლობაში თითქმის შეუძლებელი იყო. კლუბის დიზაინი იმდენადვე უჩვეულოა, რამდენადაც არტი, რომელიც მუდმივადაა წარმოდგენილი მის კედლებზე, იატაკზე, ფოიესა თუ ტუალეტში.

„სკეტჩი“ თანამედროვე ხელოვნების ნამდვილი გალერეაა, სადაც ცოტა ხნის წინათ ჩვენი თანამემამულე თამარ კვესიტაძის ნამუშევარს – ჭაღსაც იხილავდით. ჭაღი უკვე გაიყიდა, ისევე როგორც იყიდება ბევრი არტისტის ნამუშევარი, რომელსაც აქ იხილავთ. თუ რომელიმე ობიექტი განსაკუთრებით ჩაგივარდათ გულში, შეგიძლიათ მისი ფასით დაინტერესდეთ.

აქ ყველა გადაადგილება თავგადასავალია. „სკეტჩის“ კვერ-ცხის ფორმის ტუალეტები დიდი ხანია ლეგენდად იქცა, მაგრამ ამ დაწესებულებაში ყველა კუთხე-კუნჭულის ნახვა ღირს.

კლუბი დილიდან ღამის ჩათვლით მუშაობს;
ორშაბათიდან პარასკევამდე ღიაა: 08:00-02:00
შაბათს და კვირას კი - 10:00-02:00

დილას აქ შეგიძლიათ მყუდრო, „სახლური“ საუზმე მოიწყოთ, ოღონდ იცოდეთ, რომ სახლი ალისას მეგობარი შეშლილი მექუდის დიზაინითაა შექმნილი.

ჩაის ნაშუადღევის 5 საათისთვის ჩინურ დარბაზში დალევთ, სადაც ყველა კედელი შინუაზის სტილშია მოხატული; საღამოს კი 18:00-02:00 საათებში დარბაზი ბარად იქცევა და შეგიძლიათ ამერიკის 20-იან წლებში შეიგრძნოთ თავი, ვარდისფერ ხავერდგადაკრულ, ნიუარის ფორმის რბილ სავარძელში მოკალათებულმა.

გაითვალისწინეთ, რომ 21:30 საათიდან აქ მოხვედრა მხოლოდ კლუბის წევრებს შუძლიათ.

9 Conduit St, London

DARK SUGARS CHOCOLATERS

არ აუაროთ გვერდი ამ საოცარ შოკოლადის მაღაზიას. ეს ერთ-ერთი საუკეთესო შოკოლადია, რომელიც ძვირფასი ინგრედიენტებითა და ფანტაზიით მზადდება. აქ ნახავთ არყისა და ფორთოხლის ცედრის, მარწყვისა და შამპანურის, ლიმონისა და ჩაის გემოს შოკოლადის ტრიუფელებს. ერთადერთი მინუსი პროდუქტზე სერიოზული დამოკიდებულების გაჩენაა.

141 Brick Lane, London

KAFFEINE

სხვადასხვა სახის მაგარი ყავის გარდა აქ პურფუნთუშეულის, ბისკვიტების, ეგზოტიკური სანელებლების, ჯემების, ნამცხვრებისა და ნაზუქების დიდ არჩევანსაც შემოგთავაზებენ.

ეს ყველაფერი ადგილზევე მზადდება.

66 Great Titchfield St, London

TALKHOUSE COFFEE

აქ გურმანებს უკვე აეროპრესის მანქანებში დაფქულ უმაღლესი ხარისხის ყავას ჩამოუს-ხამენ, მისაყოლებლად კი შესთავაზებენ მოცვის ჯემის ბლინებს ნეკერჩხლის სიროფით.

275 Portobello Road, London

CHIN CHIN LABORATORISTS

ეს კაფე მოლეკულური ტექნოლოგიით დამზადებული ნაყინის მოყვარულებისთვისაა და უფრო მეტად ლაბორატორიას ჰგავს. ორთქლის ბოლქვებსა და კორიანტელში აქ საოცრება იბადება – უგემრიელესი სრულიად უცხიმო დესერტები ბერგამოტის ან ზღვის წყალმცენარეების გემოებით.

49-50 Camden Lock Place, London

SCOOP

ამ შესანიშნავ კაფეტერიაში ნაყინის ინგრედიენტები მთელი მსოფლიოდან ჩამოაქვთ: კაკაო – ეკვადორიდან, ღვინო – სიცილიიდან, ნიგვზიანი ნუგა – პიემონტიდან, ვანილი – მადაგას-კარიდან და ფრანგული პოლინეზიიდან, ხოლო დარიჩინი – შრი-ლანკიდან. აქაურ ნაყინს სამყაროსავით დიდებული გემო აქვს.

40 Short's Gardens, London

LICK

საუკეთესო ადგილია საიმისოდ, რომ უგემრიელესი ნაყინი იყიდოთ და სოჰოში გასეირნებისას მიირთვათ. რომელი მათგანიც არ უნდა ამოირჩიოთ, კლასიკური ვანილიანი ბურთულით დაწყებული, ლავანდის არომატიანით დამთავრებული, მას, სურვილისამებრ, რძის კოქტეილში აგითქვეფენ ან ბელგიურ ვაფლთან ერთად მოგართმევენ.

55 Greek St, London

ხამანწკეზისა და ხორცის ღვეზელის, გვეღთევზის ქედესა და პუდინგის საიდუმლოება

რამდენადაც უცნაური არ უნდა იყოს, წლების განმავლობაში ბრიტანული სამზარეულო ცნობილი იყო, როგორც მოსაწყენი, ქაღალდში გახვეული ზეთიანი თევზი და ჩიპსები. ცოტა უფრო მრავალფეროვანი გემოს შეგრძნება თუ გსურდათ, ინდურ რესტორანში უნდა წასულიყავით. ყველაფერი შეიცვალა და ახლა ინგლისი, განსაკუთრებით კი, ლონდონი საუკეთესო რესტორნების მექაა.

სალომე დადუნაშვილი

მარტინ ბლუნოსი, მიშლენის ვარსკვლავის მფლობელი შეფი, არა მხოლოდ თავისი რესტორნების წყალობით გახდა ცნობილი, არამედ ტელეშოუებში ხშირი მონაწილეობის გამოც.

ისეთ კონკურენტულ გარემოში, როგორიც სარესტორნო ბიზნესია, განსაკუთრებით ინგლისში, სადაც მთელი მსოფლიოდან იყრიან თავს საუკეთესო შეფები და სადაც ყველა სახის სამზარეულოს გასინჯვაა შესაძლებელი, ის საოცარი ოპტიმიზმით მიიკვლევს გზას წინ.

თქვენ კუნძულელები ხართ, გარშემო წყალი გაკრავთ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ძალიან ცოტა გაქვთ თევზის კერძები...

კი, ასეა. იმიტომ, რომ საუკუნეების მანძილზე არისტოკრატიის სიმძლავრის გამო, ყველა სახის საკვები, რომლის მოპოვებაც სირთულესთან და მძიმე შრომასთან იყო კავშირში, დამაკნინებლად ითვლებოდა. ეს იყო ღარიბთა ხვედრი. მაგალითად, ხამანწკებით მხოლოდ უღარიბესი ადამიანები იკვებებოდნენ, გაცილებით უფრო იაფი იყო, ვიდრე საქონლის ხორცი. აი მაგალითად, ტრადიციული ხამანწკებისა და საქონლის ხორცის ღვეზელი: იღებდნენ ძალიან ცოტა საქონლის ხორცს და ბევრ ხამანწკას (ხამანწკები მომზადების შემდეგ სტრუქტურით ხორცს ჰგავს) და ამით ეკონომიას აკეთებდნენ. ინგლისელები ძალიან ცოტა თევზს მიირთმევდნენ. ყველაფერი საექსპორტოდ გადიოდა საფრანგეთსა და ესპანეთში.

რა თქმა უნდა, შეფების პოპულარობამ და ცოდნამ ჯანსაღი საკვების სფეროში უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ძალიან შეცვალა ბრიტანული სამზარეულო. 20 წლის წინათ ვერსად იყიდდით ლემონგრასს, ახლა კი ყველგან არის. ადამიანებს უნდათ, მიირთვან მეტი თევზი და ჯანმრთელი კერძები.

ტრადიციულად, ბრიტანეთი ხორცის მჟავეღთა ქვეყანაა, საქონლის, ღორისა და, რაც მთავარია, ცხვრის ხორცი სუპერპოპულარულია. უეღსის მინდვრები მოფენილია შესანიშნავი ცხვრის ფარეებით, შოტლანდია ცნობილია თავისი საქონლის ხორცით, საოცარი საქოვრებით.

ბუნებრივი პირობებიც უწყობს ამას ხელს, რადგან ხშირი წვიმის გამო ბალახი იდეალურია საქონლისთვის. ერთი პერიოდი ინტენსიური ფერმერობის გამო დიდი საფრთხე დაემუქრა ტრადიციულ საქონლის ჯიშებს, რადგანაც ხდებოდა მათი სწრაფი ზრდის კულტივირება, ფაქტობრივად, გადაჯიშება. ახლა ესეც შეიცვალა და უკვე უამრავი პატარა ფერმაა, რომელიც მხოლოდ ტრადიციული ჯიშის საქონელს ამრავლებს, რომლის ხორცი გაცილებით უფრო ნაზი და გემრიელია.

შემწვარი საქონლის ხორცი ტრადიციული ბოსტნეულით უმთავრესი კერძია ბრიტანეთში. როსტბიფი ან ბიფ ველინგტონი კარგი არჩევანია.

იგივე ეხება ყველის წარმოებასაც. მაგალითად, ბრიტანეთმა, ფაქტობრივად, დაკარგა ჩედერი, ფრანგებისგან განსხვავებით, რომლებიც ძალიან უფრთხილდებიან საკუთარ ყველს. ახლა ჩედერს აწარმოებს ყველა, ვისაც სურს და ყველა ჩედერს არქმევს. ამ დროს ნამდვილი ჩედერის აღორძინება ბრიტანეთში გახდა საჭირო. დაიწყო თითქმის მივიწყებული სხვა ყველის სახეობების წარმოებაც, მაგალითად, როგორიცაა სახელგანთქმული ყველი ქალაქ ბასიდან, რომელიც რბილია და კამამბერს წაგავს.

ბოსტნეულსა და ხილზე რას იტყვით?

ბრიტანული სამზარეულოს დედოფალი, რა თქმა უნდა, კარტოფილია. და არა ჩიპსები, არამედ კარტოფილის პიურე, მაში – ეს დაჭყლეტილი კარტოფილია. ჯერსის სამეფო ახალი კარტოფილი ასევე სუპერპოპულარულია. მწვანე ასპარაგუსი შესანიშნავია ინგლისში. ცუდი ამინდის გამო ის დიდხანს იზრდება და ამიტომ გაცილებით უფრო არომატულია.

აუცილებლად უნდა ვახსენოთ ორი სახეობის ხილი – ვაშლი და მარწყვი. ეს წმინდა ბრიტანული ხილია. მარწყვი ჩედერიდან ათქვეფილ ნაღებთან ერთად, ტრადიციულად, საოცარი დესერტი იყო. ნაღებიცა და მარწყვიც ჩვენი ბუნებრივი პროდუქტებია. შოტლანდიური ჟოლოც გასაგიუებელია და ქლიავი „ვიქტორია“, მგონი, საქვეყნოდაა ცნობილი. ეს ის ხილია, რომელიც ბუნებრივად იზრდება ბრიტანეთში და ყოველთვის იყო ბრიტანული სამზარეულოს ნაწილი.

თუ ტრადიციულ კერძებს დავუბრუნდებით, რას გაიხსენებთ, უპირველეს ყოვლისა?

რა თქმა უნდა, როსტბიფს. ეს აღგათ ყველაზე ცნობილი კერძია. მაგრამ მინდა, მის სოუსზე ვისაუბრო. ჩვენ მას გრეივის ვეძახით და ეს სოუსი ხორცის შეწვის შედეგად დაგროვილი წვენისგან მზადდება.

ძალიან ოჯახური სოუსია, მაგრამ ისაა, რაც მთელს კერძს კრავს. ეს არ არის შემთხვევა, როცა ხორცის ხარისხის შენიღბვა ხდება სოუსით. არა, ის მნიშვნელოვანი ინგრედიენტია. ცოტა კარაქს და ფქვილს დაუმატებ ხორცის შეწვისას წარმოქმნილ წვენს და საოცარი გრეივი მზადაა. ასევე ვიყენებთ სიდრს, როცა ღორის ხორცის მომზადებისას სოუსს ვაკეთებთ.

ძალიან გვიჭირს იმის გაგება, რა არის პუდინგი. ის შეიძლება ტკბილიც იყოს და მარილიანიც. იქნებ აგვიხსნათ, რა არის პუდინგი?

უბრალოდ, სხვა სიტყვაა დესერტისთვის. ძირითადად, პუდინგები ტკბილია. პუდინგი შეიძლება ტორტს წაგავდეს, იყოს კრემის, კექსის, ხილის ჟელეს ფენები. მაგალითად, პოსეტი – ეს არის პუდინგი, რომელიც მხოლოდ ნაღებისგან, შაქრისა და ლიმონის წვენისგან მზადდება. ნაღებს ვათბობთ, შაქარს და ლიმონს ვუმატებთ და გაციების შედეგად ლიმონის წვენისა და რძის ცხიმის ურთიერთქმედებით დესერტი ჟელეს კონსისტენციას იღებს.

BEEF WELLINGTON

SIMPSON'S IN THE STRAND
ღიაა: 7:15-10:45; 12:00-14:45; 17:45-22:30
ფასი: £32.50
100 Strand, Covent Garden

THE HEMINGWAY
ღიაა:12:00-24:00
ფასი: £38 (ულუფა 2 პერსონაზე)
84 Victoria Park Road, South Hackney

ტრადიციული ბრიტანული კერძების დასაგემოვნებლად ეწვიეთ:

THE RITZ
ღიაა: 12:30-14:00; 17:30-18:30; 19:00-22:00
ფასი: £80 (ულუფა 2 პერსონაზე)
150 Piccadilly, London

ყვავლაფერი შეიცვალა და ახლა ინგლისი, განსაკუთრებით კი, ლონდონი საუკეთესო რესტორნების მეკვა

რა თქმა უნდა, შაქრიანი დესერტები ჩვენი იმპერიული წარსულის დამსახურებაა. მანამდე ჩვენ მხოლოდ თაფლით ვატკბობდით დესერტს. მას შემდეგ, რაც შაქარი გამოჩნდა, ბრიტანელების ცხოვრება შეიცვალა. თუ გახსოვთ, ქალბატონები კბილებს შავად რომ იღებავდნენ? ეს მოდაში იყო. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ შაქრის ჭამით გაშავებული კბილები დიდი შემოსავლების და სოციალური სტატუსის დასტური იყო. შაქარი – ეს სამეფო პრივილეგიას წარმოადგენდა. მგონი, მას შემდეგ გადავირიეთ ტკბილზე ინგლისში (იგინის). მაგრამ ელის წარმოქმნას, რა თქმა უნდა, თაფლს უნდა ვუმადლოდეთ. ეს იყო ბრიტანელების უსაყვარლესი სასმელი საუკუნეების მანძილზე. თანაც უნდა გავითვალისწინოთ ლუდისა და ელის პოპულარობის მიზეზი – ეს არის წყლის ცუდი ხარისხი. წყლისგან ავადდებოდი, ელისა და ლუდისგან კი – არა.

გარდა ამისა, საინტერესოა, რომ ისეთ პოპულარულ კერძს, როგორიც არის ბატკანი პიტნის სოუსში, კარის ექიმებს უნდა ვუმადლოდეთ. მაშინ ყველა ავადმყოფობას ტემპერამენტის 4 ტიპის – სანგვინიკის, ქოლერიკის, მელანქოლიკის და ფლეგმატიკის მიხედვით მკურნალობდნენ. თუ ამ რეცეპტის შუასაუკუნოვან ახსნას წავიკითხავთ, გავიგებთ, რომ ის სწორედ ტემპერამენტის დაბალანსებისკენ იყო მოწოდებული. ასე რომ, ზოგიერთი რეცეპტი ექიმების გამოგონილია.

რელიგიის გამო პარასკეობით ხორცის ჭამა აკრძალული იყო, ამიტომ ძალიან პოპულარული გახდა გველთევზისგან მომზადებული კერძები. გველთევზა საოცრად რთული მოსახელთებელია და ამიტომ მათ ღვინით სავსე ქვაბში ათავსებდნენ. საბრალო გველთევზები ღვინოში იხრჩობოდნენ, მაგრამ თან ღვინის სიმჟავე მათ კანს ბუნებრივ სრიალა ჟელეს აცილებდა, შიგნიდან კი მარინადივით მოქმედებდა. მერე გველთევზას წვავდნენ ან ხარშავდნენ და მისი ჟელეს კუბებს ამზადებდნენ.

არაერთი რეცეპტია, აგრეთვე, რომელიც შიგნეულობას ეყრდნობა...

რა თქმა უნდა, მაგრამ ეს ალბათ უფრო იმის გამო მოხდა, რომ იმ დროს არაფერი ან უნდა დაკარგულიყო, ამიტომ კარგი დიასახლისი ყველა ნარჩენისგან საკვებს ამზადებდა. ძვლის ტვინიც კი საქმეში უნდა წასულიყო. ახლა ჩვენ დაუფიქრებლად ვყრით საკვებს და გაცილებით მეტს ვყიდულობთ, ვიდრე გვჭირდება. მაშინ ყველაფერს ფასი ჰქონდა.

ჩვენი რაციონი საუკუნეებთან ერთად იცვლება, თანაც ახლა გაცილებით ნაკლებ ენერგიას ვხარჯავთ, ვიდრე თუნდაც მე-19 საუკუნეში ხარჯავდნენ ადამიანები. ისინი გაცილებით მეტს მუშაობდნენ ფიზიკურად და ამიტომაც მეტი ენერგია სჭირდებოდათ. საკვებიც იცვლება.

ისე რომ ვიკვებოთ, როგორც მე-19 საუკუნის დასაწყისის ფერმერები იკვებებოდნენ, ალბათ დავიხოცებით. ინგლისური საუზმეც სწორედ ესაა: შემწვარი კვერცხი, სოსისები, მათ შორის, შავი პუდინგი – ასე ეძახიან სისხლის სოსისებს. ბეკონი, სოკო, ლობიო – ეს შესანიშნავი შეხამებაა, თუ მთელ დღეს ფიზიკურად უნდა იმუშაო.

გვირჩიეთ კერძები, რომლებიც უნდა მიირთვა ინგლისში, რომ მიხვდე, რა არის ბრიტანული სამზარეულო.

რა თქმა უნდა, შემწვარი საქონლის ხორცი ტრადიციული ბოსტნეულით. ეს უმთავრესი კერძია ბრიტანეთში. როსტბიფი ან ბიფ ველინგტონი კარგი არჩევანია.

უნდა გასინჯოთ ნამდვილი, საუკეთესო ხარისხის ჩედერიც ინგლისურ ვაშლთან ერთად. თითქოს უბრალო შეხამებაა, მაგრამ ეს არის ნამდვილი ინგლისური გემო.

HAWKSMOOR KNIGHTSBRIDGE

საუკეთესო ადგილი ბრიტანელების **Roast Beef**-ის დასაგემოვნებლად, ხორცის მოყვარულების ნამდვილი სამოთხე.

სამუშაო საათები:
კვირა – 12:00-21:30;
ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით:
ლანჩი – 12:00-15:00
ვახშამი – 17:00-22:30

3 Yeomans Row, London

ბრიტანული სამზარეულოს დედოფალი, რა თქმა უნდა, კარტოფილია და არა ჩიპსები, არამედ კიურე. მაში – ეს დაჯყლეტილი კარტოფილია.

M.MANZE

საუკეთესო ადგილი Pie, Mash And Green Liquor-ის გასასინჯად.

87 Tower Bridge Road
105 High St, Peckham
226 High St, Sutton, London

მდინარე ტემზა წლების განმავლობაში გველთევზების უშრეტი წყარო იყო უბრალო ადამიანებისთვის. ეს იყო, პრაქტიკულად, უფასო პროდუქტი, ამიტომაც მისი მომზადება დიდი ხნის ტრადიციაა. სწორედ გველთევზისგან ამზადებენ ტრადიციულ კერძს – გველთევზის ჟელეს.

ასევე, დესერტად გირჩევდით კემბრიჯის დამწვარ კრემს. ის კრემ ბრულეს ჰგავს, მაგრამ სუფთად ინგლისური დესერტია.
ფიშ ენდ ჩიპსის გასინჯვისას უნდა გაითვალისწინოთ, რომ ეს ღარიბი ადამიანების საკვებია და მასთან ერთად თუ ლიმონს მოგიტანენ, სიმართლე არ იქნება: მაშინ ხელმისაწვდომი მხოლოდ ძმარი იყო. ასე რომ, თუ ნამდვილი თევზისა და ჩიპსების გასინჯვა გსურთ, ძმარი უნდა მოითხოვოთ.

ჰაგისი ძალიან ტრადიციული კერძია, მაგრამ სუფთად შოტლანდიური. ახლა ნახევარ შოტლანდიას არც კი აქვს გასინჯული ეს საკვები. ცხვრის კუჭში მოთავსებული შიგნეულობა შავი პილპილით, რომელიც უბრალოდ მოხარშულია, არავის იზიდავს. თუმცა თუ შოტლანდიაში ხართ და ნამდვილ ჰაგისს გასინჯავთ მოხარშული ადგილობრივი ტკბილი თალგამის პიურეთი და ნამდვილი ვისკით, ეს საინტერესო გამოცდილება იქნება.
Pie, Mash and Green Liquor (ინგ. ღვეზელი, კარტოფილის პიურე და მწვანე ლიქიორი) ბრიტანული ტრადიციული სამზარეულოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კერძია. თუ ხორცი და ნანადირევი, პრაქტიკულად, მხოლოდ არისტოკრატიის საკვები იყო, დაბალი სოციალური ფენები ამ უბრალო, მაგრამ ყუათიან საკვებს მიირთმევდნენ.

მდინარე ტემზა წლების განმავლობაში გველთევზების უშრეტი წყარო იყო უბრალო ადამიანებისთვის. ეს იყო, პრაქტიკულად, უფასო პროდუქტი, ამიტომაც მისი მომზადება დიდი ხნის ტრადიციაა. სწორედ გველთევზისგან ამზადებენ ტრადიციულ კერძს – გველთევზის ჟელეს. გველთევზა ხარშვის შედეგად უხვად გამოყოფდა წებოვანებას. მის ნაჭრებს ფორმებში ათავსებდნენ ნახარშთან ერთად. გაცივების შემდეგ გველთევზის ხორციან ჟელეს კუბებს იღებდნენ. ჟელესგან ამზადებენ მწვანე ლიქიორსაც, რაც რეალურად სოუსია, რომელშიც უხვადაა დამატებული ცოცხალი ქინძი.

ძირითადად, პუდინგები ტკბილია. პუდინგი შეიძლება ტორტს წაგავდეს, იყოს კრემის, კექსის, ხილის ჟელეს ფენები. მაგალითად, პოსეტი – ეს არის პუდინგი, რომელიც მხოლოდ ნაღებისგან, შაქრისა და ლიმონის წვენისგან მზადდება.

FISH & CHIPS

POPPIES
ღიაა: 11:00-24:00; ფასი: £7.00
30 Hawley Cres, Camden, London

THE GOLDEN UNION FISH BAR
ღიაა: 10:30-22:00; ფასი: £9.50
38 Poland Rd, Soho, London

KERBISHER & MALT
ორშაბათობით დაკეტილია.
ფასი: £6.00
164 Shepherds Rd, London

COCKLES (მიდიები)

BOROUGH MARKET
ღიაა: 10:00-17:00
Southwark St, London

TOAD IN THE HOLE
The Windmill
ღიაა: 10:45-22:30
6-8 Mill St, Mayfair, London

BANGERS AND MASH
MOTHER MASH
ღიაა: 8:30-22:00
26 Ganton St, London

PIE AND MASH
PIEMINISTER
ფასი: £6.50
56 Gabriel's Wharf, 56 Upper Ground, London

YORKSHIRE PUDDING

ANCHOR & HOPE PUB
ღიაა: 17:00-23:00
ფასი: £12
36 The Cut, Newington, London

THE THREE STAGS
67-69 Kennington Rd, London

THE WINDSOR CASTLE
ღიაა: 11:00-24:00
114 Campden Hill Rd, Kensington, London

SHEPHERD'S PIE

(მწყემსური ღვეზელი)

THE IVY RESTAURANT
ღიაა: 8:00- 23:30
1-5 West St, Covent Garden, London

THE WINDMILL
ღიაა: 11:45-11:00
6-8 Mill St, Mayfair, London

TOM'S KITCHEN
27 Cale St, Chelsea, London

SCOTT'S, MAYFAIR

ამ ულამაზეს, ოდნავ ძველმოდური რესტორანში, რომელიც ზღვის ნობათითაა ცნობილი, წარმოშობით ირლანდიელი შეფ-მზარეული დეივ მაკკარტი უგემრიელესი მოლუსკებითა და კიბორჩხალებით გაგიმასპინძლდებათ. თუ ამინდიც ხელს შეგიწყობთ, გირჩევთ, ეს მადისაღმძვრელი კერძები გარეთ, აქაური ცნობილი შავი ჩარდახის ქვეშ მიირთვათ.

20 Mount St, London

ლონდონის მომაჯადოებელი ხიბლი ბევრ იმედისმომცემ მზარეულსა თუ რესტორატორს იზიდავს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. კულინარიული შედევრების ჩამონათვალში უფრო ისეთ ადგილებზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას, რომლებიც სხვებს არ ჰგვანან და სულ სხვადასხვაგვარ მოთხოვნებს ითვალისწინებენ.

THE LEDBURY, NOTTING HILL

ავსტრალიელმა ბრეტ გრემმა მზარეულობა 15 წლის ასაკში დაიწყო, სახელიც ადრევე მოიხვეჭა, როცა სიდნეის რესტორან Banc-ში პრესტიჟული Josephine Pignolet Award-ით დაჯილდოეს და გაერთიანებულ სამეფოში გამგზავრების საშუალება მისცეს.

თავად შეფ-მზარეულის თქმით, კერძებისთვის იგი, შეძლებისდაგვარად, საუკეთესო ბრიტანულ ნედლეულს იყენებს, განსაკუთრებით ჭარბად კი – ბოსტნეულს. გამარჯვებულ კერძად მას გრილზე შემწვარი თევზი მიაჩნია და კიდევ – შებოლილი გველთევზა კელტური მდოგვითა და შინოთი. ამ ბოლო დროს გრემმა ე. წ. პრობიოტიკური ტექნიკის დანერგვასაც მიჰყო ხელი სამზარეულოს ნარჩენების სრული ათვისებით. ამ ყველაფერს იგი საგანგებო 5-კილოგრამიანი პარკებით ატანს მომხმარებელს, რათა მათ შემდეგ თავიანთი ოთახის ნარგავებისა თუ მებაღეობისთვის გამოიყენონ.

A la carte მენიუ საღამოს რესტორანში £90 ჯდება, ლანჩისთვის გათვალისწინებული მენიუს საფასური კი ორჯერ ნაკლებია.

127 Ledbury Rd, London

THE COW, WESTBOURNE PARK

ეს არც ირლანდიაა და არც რომელიმე ზღვისპირეთი, თუმცა რაღაც მსგავსი ეჭვი კი გაგიჩნდებათ, როცა დასავლეთ ლონდონის ამ ტრადიციულ ტავერნაში გინესსა და ხამანწკებს გაუსინჯავთ გემოს. მადა აქაური ნეონის აბრის დანახვისთანავე მოგივათ და პირველ სართულზე თავიდანვე შინაურულად იგრძნობთ თავს. რაც შეეხება მეორე სართულზე განთავსებულ თევზის რესტორანს, აქ მეპატრონე ტომ კორნანი საკუთარი გემოვნებით დამზადებულ მოლუსკებს, ლოკოკინებსა თუ კიბორჩხალებს შემოგთავაზებთ. The Cow ამ უბნელების საყვარელი ადგილია, ამიტომ წინდაწინ დაიბრიეთ მაგიდა ზედა სართულზე, თუკი ქვემოთ, საერთო მაგიდასთან არ გსურთ ხალხში გარევა.

ღიაა: ორშაბათი-შაბათი – 07:00-23:00;
კვირა – 12:30-23.30

89 Westbourne Park Road, London W2 5QH

ზომ ბარს, კლუბს და მაღალი კლასის რესტორანს აქვს დრესკოდი, რაც გულისხმობს სათანადო ფეხსაცმელს, მამაკაცისთვის – საყელოიან პერანგს, სასურველია ჰალსტუხიც, რომელიც ხშირად ქირავდება კიდეც (არავითარი კედები და ჯინსები!).

რესტორანი სტუმრებს ლანჩის, ვახშმის და კვირა საღამოს ვახშმის მენიუს სთავაზობს. წინასწარ დაჯავშნა ვახშმის შემთხვევაში აუცილებელია, ლანჩზე კი შეგიძლიათ ისეც სცადოთ ბედი. ვახშამი 2 ადამიანზე, სასმელის გარეშე, £210 დაგიჯდებათ.

MILOS, ST JAMES'S

რესტორანი ლონდონში სულ ახლახან გაიხსნა, მაგრამ უკვე გაითქვა სახელი არა მხოლოდ ბერძნული სამზარეულოს კერძებით, არამედ გემრიელი და ნატურალური პროდუქტებით, რომლებიც პირდაპირ საბერძნეთის მადლიანი მიწიდან ხვდება თქვენს თეფშზე. სახელგანთქმულმა შეფმა კოსტას სპილიაიდსმა ბერძნული სამზარეულო აქამდე არნახულ სიმაღლეზე აიყვანა, დახვეწა და რესტორნების ხარისხით განებივრებულ ლონდონელებს ისე წარუდგინა.
უმთავრესი ატრაქციონი, რესტორნის თევზის კუთხეა, სადაც ქათქათა ყინულზე ყოველდღე ათობით ახალდაჭერილი თევზი და ზღვის სხვა ბინადარი იყრის თავს.

1 Regent St, London

მირჩევთ, გრილზე შემწვარი რვაფეხა Grilled Mediterranean octopus with Santorini fava და ბერძნული სალათა მასინჯოთ.

CHOP HOUSE, FARRINGDON

ექსმუთ-მარკეტიდან ორიოდე ნაბიჯს გადადგამთ და ჯერ კიდევ 1869 წელს გახსნილ ამ ტრადიციულ რესტორანს მიადგებით. დროთა განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ ვიქტორიანული ხანის ხიბლი მაინც წარუშლელი დარჩა. სასადილო დარბაზი კუპეებადაცაა დაყოფილი, თუმცა ვახშმისას მაგიდების მიდგმასაც არავინ დაგიშლით. მენიუ გთავაზობთ ბატკნის ბეჭს, უგემრიელეს კატლეტებს, ლონგჰორნის ჯიშის ძროხის ხორცისგან დამზადებულ კერძებს, კურდღლის გულ-მკერდსა და შებრაწულ ცომში გამოხვეულ თევზს. ამ კერძთაგან თითოეულს მისი შესაფერისი მართლაც ღვთაებრივი ღვინო შეგიძლიათ მიაყოლოთ.

88-94 Farringdon Road, London

KHAN'S, NOTTING HILL

დასავლეთ ლონდონის ამ ღირსშესანიშნაობის ჰედონისტური ღამეები ახლა წარსულს ჩაბარდა, ერთ დროს კი აქ ხელმომჭირნე მსახიობები დადიოდნენ იაფი ლუდისა და კარის ეშხით; თუმცა ეს სული ბოლომდე არ ჩამკვდარა: კედლები ისევ მოხატული, ინდურ ზღაპარში გეგონება თავი. სვეტებად აზიდული პალმის ხეებიც ხელახლა მოავარაყეს ოქროსფრად. რაც შეეხება ცომში შებრაწულ წიწილას, უფრო გემრიელს მთელ ლონდონში ვერსად მოიძიებთ, ყელის ჩასაკოკლოზინებლად კი იაფი ლუდის ნაცვლად უალკოჰოლო კოქტეილს გირჩევდით; კაცმა რომ თქვას, აქ უზადოდ შეკმაზულ კარიზეც არასდროს შემცირებულა მოთხოვნა.

ღიაა ყოველდღე – 12:00-23:00

13-15 Westbourne Grove, London

მას მერე, რაც 1810 წელს ლონდონში პირველი ინდური რესტორანი გაიხსნა, ბრიტანელებს მართლა ჯაჯა ეკეთებათ კარიზე და თან იმდენად, რომ ძალზე ბევრს უკვე ეროვნულ კერძადაც კი მიიჩნია წიწილის დაბასტურმებული ხორცის შამფურზე აცმული მომცრო ნაჭრები – ცხალია, ბრინჯის ფლავსა და სიფრიფანა კვერებთან ერთად.

BONNI GULL, FITZROVIA

თევზი და კარტოფილის ჩიპსები თითქოსდა დიდი ვერაფერი კულინარიული საოცრებაა ბევრ სხვა კერძთან შედარებით, მაგრამ აქაურ სამზარეულოში დამზადებული, ლუდში მოხარშული ჩრდილოეთის ზღვის ოქროსფერი ქორჭილა, ნოყიერ ჩიპსებსა და მუხუდოს შეჭამანდთან ერთად, ყველაზე ეჭვს გაფანტავს.

ალექს ჰანტერისა და დენი კლენსის მიერ ერთ დროს აილინგთონში დროებით გახსნილი რესტორანი 2013 წლის შემდეგ მთელ უბანში ყველაზე მიმზიდველ და საყვარელ თავშეყრის ადგილად იქცა. 2014 წელს Bonni Gull-ის მეორე ფილიალიც გაიხსნა უკვე ექსმუთ-მარკეტზე, სადაც მთელ გაერთიანებულ სამეფოში საუკეთესო, სულ ახალთახალ ხამანწკებს შეგიძლიათ გაუსინჯოთ გემო.

სადილი: ბოლო შეკვეთა – 14:45 (ორშაბათი-პარასკევი) და 15:45 (შაბათი-კვირა)
ვახშამი: 18:00 საათიდან (ბოლო შეკვეთა – 21:45)

21a Foley St, London

VOYAGER მირჩევთ

მიმტანს გასამრჯელოდ, როგორც წესი, დანახარჯის 10-15%-ს უტოვებენ, თუმცა ხშირად რესტორნები ანგარიშში მომსახურების საფასურს (ჩვეულებრივ, 12.5%) თავადვე უთითებენ ხოლმე. სწრაფი კვების წერტილებში და იმ ობიექტებში, სადაც თვითმომსახურებაა, ანდა საიდანაც კერძი შინ მიაქვთ, დამატებითი გასამრჯელოს დატოვება მიღებული არ არის.

CECCONI'S, Mayfair

Cecconi's-ში, კლასიკურად ქცეულ ამ იტალიურ რესტორანში, ყოველდღე შეგიძლიათ მიირთვათ საუზმეც, სადილიც და ვახშამიც. თავდაპირველად ყველაფერი ვენეციაში დაიწყო. მას შემდეგ შინაური პასტა, ზღვის პროდუქტები თუ ჩრდილოიტალიური კერძები სრულყოფილებას ინარჩუნებს. რესტორანს ჰოლივუდსა და მაიამიშიც აქვს ფილიალები, ქსელის მეოთხე რესტორანი კი სულ ახლახან გაიხსნა სტამბოლში.

5A Burlington Gardens, London

HARDY'S, Marylebone

ძველებური ყაიდის, ფრანგული სტილის ეს ულამაზესი მომცრო რესტორანი მხოლოდ 36 ადგილზეა გათვლილი და საუკეთესო არჩევანია ღამის თავყრილობებისათვის. შეფ-მზარეულ სემ ჰიუზის მიერ შედგენილი მრავალფეროვანი მენიუ კი ბრიტანულ თევზეულს, შემწვარ კარტოფილს, „მწყემსის ღვეზელსა“ და სხვადასხვა ფრანგულ კულინარულ იშვიათობასაც მოიცავს; აქ არის ფრანგული ღვინოების საუკეთესო არჩევანი.

Hardy's, 53 Dorset St, London

MIN JIANG, Kensington

თუ განსაკუთრებული ჩინური სამზარეულოს გასინჯვა გსურთ და თან შესანიშნავი ინგლისური პარკის ხედებით გინდათ ტკბობა, Min Jiang-ზე უკეთეს ადგილს ვერ ნახავთ. ეს ერთ-ერთი საუკეთესო ჩინური რესტორანია ლონდონში, ამიტომ მაგიდის დაჯავშნა აუცილებელია.

2-24 Kensington Hight St, London

VIET GARDEN, Shoreditch

შორდიჩში უამრავი კარგი რესტორნის პოვნაა შესაძლებელი, მაგრამ თუ გინდათ, დემოკრატიულად და ძალიან გემრიელად მიირთვათ, თან ვიეტნამური სამზარეულო თუ გიყვართ, მაშინ Viet Garden-ში მიბრძანდით.

207 Liverpool Road, london

OSLO COURT, St John's Wood

ამ რესტორანში სტუმარი თითქოს წარსულში ბრუნდება და აქაური მენიუც ზუსტად შესაფერისია. გირჩევთ, იგემოთ სტეიკი Diane, ხბოს შნიცელი Holstein და კიბორჩხალები a La Roshelle.

Charlbert St, London

BAO, Soho

გახსნის დღიდან Bao-ში ლანჩზე ან ვახშამზე მოხვედრა, პრაქტიკულად, შეუძლებელია – ყოველთვის რიგი დგას ტაივანურ ფუნთუშებზე წიწილით და ღორის ხორცით. ეს რესტორანი სოჰოში ერჩენ ჩანგის, შინგ ტეტისა და ვაი ტინგის პროექტია, რომელიც Netil Market-ის ბაზარში დადგმული სტენდიდან დაიწყო. ორთქლზე მომზადებულ ცნობილ ფუნთუშებთან ერთად მენიუშია სისხლიანი ძეხვი კვერცხის „ჭიქურით“ და შემწვარი ნაყინი-სენდვიჩი.

53 Lexington St, London

LA FAMIGLIA, Chelsea

აწ გარდაცვლილი ალვარო მაკიონის მიერ ჩელსის უბანში 1966 წელს გახსნილი ეს საოჯახო რესტორანი დღესაც საუკეთესო არჩევანია. აქ ტოსკანური უგემრიელესი კერძების გრძელ ჩამონათვალსაც იპოვით მენიუში. იტალიური განწყობა ყველაფერს ეტყობა – ხარისხსაც და მთლიანად ატმოსფეროსაც. აქ ლანჩის მირომევაც საამოა და საღამოს გატარებაც, მით უფრო, ზაფხულის თვეებში, როცა უკვე ღია ეზოშიც დგამენ მაგიდებს.

7 Langton St, London

HIX, Soho

იმის მაგივრად, რომ გვიან საღამოს თეატრიდან გამოსულმა, ხალხით გაჭედილ, ნეონით განათებულ უესტ-ენდის რომელიმე რესტორანს მიაშუროთ, გირჩევთ, შეფ-მზარეულ მარკ ჰიქსის დაწესებულების ხის კარს მიუკაკუნოთ ბრიუერ-სთრითზე. დარწმუნებული იყავით, რომ სპექტაკლის ნახვის შემდეგ აქაური მენიუ სწორედ მისწრება იქნება თქვენთვის. ბრიტანული სამზარეულოს თავისებურებას უკეთესად ვერსად გაგრძნობინებენ – სწორედ აქ შეგიძლიათ იგემოთ როგორც ხბოს უგემრიელესი სოსისი, ისე ბეიქველის ასევე უგემრიელესი ტორტის ნაჭერი.

66-70 Brewer St, London

ბარმენი ნიკ სტრენჯვეი ექსპერიმენტული კოქტეილების შეზავების ნამდვილი დიდოსტატია და თავად გადაწყვიტეთ: სასიამოვნო საღამოს შემდეგ ეს ბოლო ჭიქა იქნება თქვენთვის თუ საღერღელის ასაშლელი აპერიტივი.

TABERNA DO MERCADO

Chiltern Firehouse-ის შარშანდელი წარმატების შემდეგ სახელგანთქმული შეფი ნუნო მენდესი საკუთარ ფესვებს დაუბრუნდა და სპიტაფილდსის ბაზარში რესტორანი – Taberna do Mercado გახსნა.

აქ სტუმრებს სთავაზობენ ტრადიციული პორტუგალიური კერძების ინტერპრეტაციას საუკეთესო ადგილობრივი ინგრედიენტების გამოყენებით: კონსერვირებული თევზი ბალახეულით, სენდვიჩები საქონლის ხორცით, შებოლილი ხორცი და სხვ. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ღვეზელი „პაო დე ლო“ ზეითუნის ზეთით და ზღვის მარილით.

Old Spitalfields Market,
107B Commercial St, London

WILTONS, Piccadilly

1742 წელს Wiltons-ი ხამანწკების მოკრძალებულ ტავერნად გაიხსნა, მერე და მერე კი ფრთები გაშალა და რჩეული არისტოკრატიისა თუ უაითჰოლის წარჩინებულთა საყვარელ ადგილადაც იქცა.

ღია: სადილისთვის – 12:00-14:30, ვახშმისთვის – 17:30-22:30

55 Jermyn St, London

THE IVY, Covent Garden

კოვენტ გარდენზე მდებარე ეს რესტორანი, კლუბი და ბარი მთელ მსოფლიოშია სახელგანთქმული. ყურადღებას იპყრობს მთავარი ბარის ბრჭყვიალა დახლი და ფერადი ნატეხებისაგან შეკრული ფანჯრის შუშები, მუხის პანელები და დიდი გემოვნებით შერჩეული თანამედროვე ხელოვნების კოლექცია, რომლის სანახავად ბევრი საგანგებოდაც მოდის. THE IVY-ს მუდმივი სტუმრები არიან თეატრალები სპექტაკლების დაწყებამდე თუ დასრულების შემდეგ. აქ შინაურულად გრძნობენ თავს მედიისა თუ სახელოვნებო სფეროს წარმომადგენლებიც. ხალხს უბადო მომსახურება და ის შინაურული ატმოსფერო იზიდავს, რომლის შექმნაც მასპინძლის, ფერნარდო პეირეს დამსახურებაა.

ფრანგულ სტილში შედგენილი მენიუ სტუმრებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის არაერთ კერძსაც სთავაზობს, როგორიცაა, ვთქვათ, საშიმი თუ წყნარი ოკეანის ტაილანდურად მომზადებული ქორჭილა. რაც შეეხება უშუალოდ ბრიტანულ კერძებს, შეგიძლიათ იგემოთ ათასნაირი შემწვარ-მოხრაკული და, ასევე, სახელგანთქმული „მწყემსური ღვეზელი“.

სტანდარტული მენიუ ორი ან სამი კერძისაგან შედგება და, შესაბამისად, £21.75 და £26.25 ჯდება. მათი დაკვეთა სამშაბათიდან ხუთშაბათის ჩათვლით შეგიძლიათ, შუადღის 12:00-იდან 18:15 საათამდე და ღამის ათი საათის შემდეგ; კვირა-ორშაბათობით კი რესტორანი მთელ დღეს მუშაობს. მაგიდის წინდაწინ დაჯავშნასაც გირჩევთ – განსაკუთრებით, ხალხმრავალ საათებში თუ აპირებთ აქ დროის გატარებას.

1-5 West St, London

VOYAGER გვირჩევს

PORTERHOUSE STEAK from Hawksmoor

ნიუიორკული ყაიდის უგემრიელესი სტეიკი ლონდონის ხუთ და ახლა უკვე მანჩესტერის ერთ რესტორანშიც შეგიძლიათ გასინჯოთ.

ჩრდილო იორკშირში გამოზრდილი საქონლის სუკის მოზრდილი და მსუყე ნაჭერი უთუოდ ისპანახსა და შებრაწულ კარტოფილთან ერთად უნდა მიირთვათ.

1. Hawksmoor Air St, 5a Air St, London
2. Hawksmoor Spitalfields, 157a Commercial St, London
3. Hawksmoor Seven Dials, 11 Langley St, London

მიშლენის ვარსკვლავის უახლესი გზამკვლევი უკვე გამოქვეყნდა და 17-მა რესტორანმაც – დიდი ბრიტანეთის სულ სხვადასხვა კუთხეში – ახალი ვარსკვლავები მიიღო მათი საუკეთესო სამზარეულოს წყალობით. ორი ახალი ვარსკვლავით აღინიშნა ორი იაპონური რესტორანი – **Araki** და **Umu**, რომლებიც ლონდონის მეიფეარის უბანშია გახსნილი.

ლონდონისთვის ნამდვილად საპატიოა, რომ სუშის ცნობილმა ოსტატმა მიცუხირო არაკიმ ტოკიოში თავისი სამვარსკვლავიანი რესტორანი დახურა, რათა ახლა გაერთიანებულ სამეფოში გადმოენაცვლა და უკვე აქ, განსხვავებულ კულტურულ სივრცეშიც გამოეცადა თავი.

ჯამში, დიდი ბრიტანეთის მასშტაბით, კიდევ 15 სხვა რესტორანს მიენიჭა თითო ახალი ვარსკვლავი: **The Cellar**-ს შოტლანდიის ქალაქ ენსთრათერში, აგრეთვე, **Eipic**-სა და **Ox**-ს ჩრდილოეთ ირლანდიის დედაქალაქ ბელფასტში; რაც შეეხება ახალ თითო ვარსკვლავმინიჭებულ რესტორნებს თავად ლონდონში, ესენია: **Lyle's, Bonhams, Portland** და **Dining Room at the Goring.**

ვარსკვლავების გარდა წელს ჯილდოს სახით **Bib Gourmands**-ის 25 ახალი პრიზიც გაიცა. ეს ჯილდო ისეთი დაწესებულებებისთვისაა განკუთვნილი, სადაც ხარისხიან საკვებს ხელმისაწვდომ ფასად სთავაზობენ სტუმრებს და დიდ ბრიტანეთში უკვე ტრადიციად ქცეულ იმ მიმართულებას გამოხატავს, რომელიც ფასების მხრივ კონკურენტულ, ნაკლებად შეზღუდულ და უფრო მოქნილ მომსახურებას გულისხმობს. წელს ამ ჯილდოს მფლობელთა შორის არიან ნიუ იორკშირის მხარეში მდებარე **The Dunsforth**-ი, ხორცეული საუზმითა და ცივი ხემსებით განთქმული ბარი **Dehesa** – ლონდონის სოჰოს უბანში, კუნძულ უაითზე მდებარე სასტუმრო **Seaview**-ს რესტორანი და რესტორანი **Square**-ი კორნუოლში.

მიშლენის გზამკვლევში წელსაც ინარჩუნებენ ადგილს ის სამვარსკვლავიანი რესტორნები, რომლებიც დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში მდებარეობენ: **Restaurant Gordon Ramsay** ჩელსიში, **Alain Ducasse at The Dorchester**-ი მეიფეარში და **Waterside Inn**-ი ბრეიში.

THE RIVER CAFÉ Hammersmith

რუთ როჯერსის კაფე, რომელიც თავიდან მისი არქიტექტორი მეუღლის სტუდიის მეზობლად მდებარე სასადილოდ იყო ჩაფიქრებული, 1987 წლიდან დღემდე რჩება საუკეთესო ტემზისპირა იტალიურ რესტორნად ჰამერსმითის სამხრეთ-დასავლეთ გარეუბანში. მართალია, თვითნასწავლად ითვლება, მაგრამ აქაურობის დიასახლისმა 1997 წელს მაინც დაიმსახურა მიშლენის ვარსკვლავი, რასაც მას შემდეგ მუდმივად ინარჩუნებს.

გირჩევთ, ადგილები აქ წინასწარ დაჯავშნოთ. 120 სტუმარზე გათვლილ შიდა სივრცეში ფერადოვანი და ხალისიანი ინტერიერია, სადაც ყველაფერი – მათ შორის, ღია ვარდისფრად მოპირკეთებული სამზარეულო ქურაც – რუთის მეუღლის, ცნობილი ბრიტანელი არქიტექტორის, რიჩარდ როჯერსის ნახელავია. შეძლებისდაგვარად, მენიუ აქ ყოველდღიურად იცვლება, თუმცა რაც არ უნდა შემოგთავაზონ, ყველაფერი გამორჩეულად გემრიელია.
სადილი – 12:30-იდან, **ვახშამი** – 19:00-იდან; **ერთი ბოთლი ღვინის ფასი**: £24.00-იდან

Thames Wharf, Rainville Rd, London

VOYAGER გირჩევთ

ST JOHN, Faringdon

ფერგუს ჰენდერსონის მიერ კვების დარგში ძირეული ცვლილებების წამოწყებიდან ოცი წლის მერეც კი, მისი გავლენა კვლავაც იგრძნობა ბრიტანეთსა თუ ოკეანის გადაღმა. მენიუს კითხვაც კი ერთი სიამოვნებაა: არანაირი განმეორება, მხოლოდ საავტორო კერძები!

St John-ის ყოველგვარი ზიზილ-პიპილების გარეშე გადაწყვეტილი ინტერიერიც საყოველთაო აღტაცებას იწვევს. აქ მუდამ გემრიელად დანაყრდებით, ხილისა და ბოსტნეულის გარდა სხვა რომც არაფერი

სადილის ფასი 2 პერსონაზე: £90-დან

მიირთვათ. თუმცა ჰენდერსონმა ხორცის გემოც იცის და არც მხოლოდ ერთ კაცზე გათვლილი კერძების მომზადება ეშლება. შეუძლებელია აქაური ძვლის ტვინი არ დაგემოვნოთ.

რესტორნის გვერდით საცხობიცაა და საუკეთესო ბურგერიც შეგიძლიათ შეიძინოთ.

26 St John St, London



OTTOLENGHI / SESAME

„ოტოლენგის" გუნდმა ერთბაშად 2 ახალი რესტორანი გახსნა. პირველი – ვრცელი Ottolenghi Spitalfields-ია, სადაც საფირმო კერძების გარდა, რომლებიც ხმელთაშუა ზღვის და ჩრდილოაფრიკული სამზარეულოთია შთაგონებული, შეგიძლიათ მიირთვათ ქართული ღვინო ან იყიდოთ ლიმონისა და ფსტის ღვეზელი.
მეორე რესტორანი – Sesame-ი კოვენტ გარდენის რაიონში გაიხსნა. სპეციალურად Sesame-ისთვის იოთამ ოტოლენგის პარტნიორმა ნიამ ბარმა შეიმუშავა მენიუ უპირატესად გრილზე მომზადებული ხორცის და ბოსტნეულის კერძებით, სალათებით და აღმოსავლური ტკბილეულით.

Ottolenghi, 50 Artillery Lane, Sesame, 23 Garrick St, London

JOSÉ PIZARRO BROADGATE

ლონდონში ესპანური სამზარეულოს პიონერმა ხოსე პისაროომ თავისი მესამე და ყველაზე დიდი რესტორანი საქმიანი სითის ცენტრში გახსნა, Yautcha-სა და The Botanist-ის მეზობლად.

José Pizarro Broadgate-ში შეგიძლიათ დილიდანვე მიირთვათ კარტოფილის ომლეტი ჩორიზოთი, დღისით – გრილზე მომზადებული პლანჩა სტეიკი ხახვით და წიწაკის სოუსით, საღამოს კი – ხამონი და იბერიკო და ტერასაზე ბოკალი ღვინო დალიოთ.

36 Broadgate Circle, London

THE KEEPER'S HOUSE, Royal Academy of Arts

თავიდან Royal Academy of Arts-თან არსებული The Keeper's House-ი დამთვალიერებლებისთვის არ გაუხსნიათ – 1860 წელს არქიტექტორ სიდნეი სმირკის მიერ აგებული შენობა სამეფო აკადემიის ზედამხედველების რეზიდენცია იყო.

2013 წელს აქ The Keeper's House-ის რესტორანი გაიხსნა, რომელიც დღის განმავლობაში მხოლოდ RA-ს წევრებისთვისაა ღია, ხოლო საღამოობით – ყველა მსურველისათვის. The Keeper's House-ის პირველ სართულზე ნათელი კაფე და დასვენების ზონაა, სარდაფში – რესტორანი და ბარი, შიდა ეზოში კი – ბაღი, სადაც თბილ დღეებში განსაკუთრებით სასიამოვნო იქნება პიკადილის ტურისტული ბრბოებისგან თავის არიდება.

The Keeper's House-ის რესტორნის შეფები, ოლივიე პეიტონი და ივან სიმეოლი აქცენტს სეზონურობასა და თანამედროვე ბრიტანულ სამზარეულოზე აკეთებენ.

მენიუშია: ირმის ხორცის ტარტარები ცირცელითა და ძირთეთრაი, კაკაბი თხილითა და მსხლით, ხბოს ხორცი ჭარხლითა და ფსტით.

Burlington House, Piccadilly, London

REX WHISTLER, Tate Britain

გალერეა Tate Britain-ის რესტორნის, Rex Whistler-ის ისტორია 1927 წელს იწყება, როდესაც ახალგაზრდა მხატვარმა რექს უისტლერმა მისი კედლები მოხატა. შეფმა ნათან ბრიუსტერმა, რომელიც მანამდე Tate Modern-ში მუშაობდა, ისტორიკოს ჩიტემთან თანამშრომლობით შექმნა მენიუ, რომლის საფუძვლადაც მე-20 საუკუნის შუა ხანების ბრიტანული კერძები აიღო.

Tate Britain, Millbank, London

მენიუშია: მიწავაშლას სუპი; ვარდკაჭაჭა ყველი „სტილტონით", მსხლით და კაკლით; სოკოსთან ერთად დაბრაწული ორთიმოკი სალბით; ბატის მკერდი შავი ალიავით, ლეღვითა და თხილით; შოკოლადის დესერტი „მარკიზა" წაბლით. Rex Whistler-ი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს 40-გვერდიანი ღვინის რუკა, სადაც დატანილია Tate-ის ღვინის სარდაფების სიმდიდრე.

Noble Rot Restaurant & Wine Bar

ჰოლბორნში გახსნილი ბარი და რესტორანი Noble Rot Restaurant & Wine Bar – იმავე სახელწოდების ჟურნალისა და გასტროპაბ The Sportsman-ის (Michelin-ის ერთი ვარსკვლავის მფლობელი) ერთობლივი პროექტია. კენტის საგრაფოს სანაპიროზე მდებარე The Sportsman-ი (სტივენ ჰარისის პროექტი) იმ გურმანთა საყვარელი ადგილია, რომლებსაც თანამედროვე ინგლისური სამზარეულო ცოტათი მაინც აინტერესებთ.

Noble Rot Restaurant & Wine Bar-ში მენიუზე პასუხისმგებელია პოლ უივერი, რომელიც მანამდე 5 წლის განმავლობაში მუშაობდა ჰარისთან The Sportsman-ში. უივერი მთავარ ხაზად ირჩევს თევზს და ზღვის პროდუქტებს: მენიუშია ხამანწკები, ლოკოკინები და გველთევზა. ღვინის მრავალფეროვანი არჩევანის გარდა აქ აუცილებლად უნდა გასინჯოთ პური: ჭვავის, იტალიური ფოკაჩუ და ირლანდიური პური სოდით.

51 Lamb's Conduit St, London

SIX PORTLAND ROAD

თავიანთი ახალი პროექტისთვის – რესტორან Six Portland Road-ისთვის ოლი ბარკერმა და შეფმა პასკალ ვიდერმანმა ნოთინგ ჰილი აირჩიეს. იქამდე ისინი ერთად მუშაობდნენ ფრანგულ ღვინის რესტორან Terroirs-ში, რომლის მსგავსი კონცეფციაც აქვს ახალ დაწესებულებას: სეზონური ფრანგული სამზარეულო, ჩინებული ღვინის რუკა, რომლის ფოკუსშიც ნატურალური ღვინოებია და რეგულარულად განახლებადი სია ღვინოებისა, რომელთაც ბოკალით მოგართმევენ.

6 Portland Rd, London

რას გვირჩევს „რიცის“ შეფ-სომელიე

სალომე დადუნაშვილი

სასტუმრო „რიცის“ რესტორანი ტრადიციულ ბრიტანულ სამზარეულოს სთავაზობს სტუმრებს, მაგრამ ყოფილი შეფის – ცნობილი მზარეულის, ოგიუსტ ესკოფიეს სამახსოვროდ, ბრიტანულ ტრადიციებს მსუბუქ ფრანგულ ელფერს ამატებს. ერთ-ერთ საუკეთესო და ტრადიციებით ცნობილ სასტუმროს ასეთი კერძებისთვის, ცხადია, საუცხოო ღვინის მარანიც აქვს. **„რიცის“ შეფ-სომელიე ჯოვანი ფერლიტო** დაუღალავად ეძებს მთელ მსოფლიოში არა მხოლოდ უკვე ცნობილ საუკეთესო ღვინოებსა თუ ვისკის, არამედ ყოველთვის ცდილობს, რაღაც ახალი შესთავაზოს სტუმრებს. არც თუ ცოტა ხნის წინათ „რიცის“ მარანს ქართული ღვინოც შეემატა, რომელიც უკვე დიდი წარმატებით სარგებლობს.

ჯოვანი ფერლიტო: ჯონ უილიამსი საუკეთესო შეფია, რომელიც „რიცის“ რესტორნის შესანიშნავ ტრადიციებს აგრძელებს და ბრიტანული სამზარეულოს კლასიკური კერძებით ანებივრებს სტუმრებს. თუ ბიფ ველინგტონს შეუკვეთთ, მაგიდასთან ურიკით მოგართმევთ მთელ ნაჭერს და იქვე მოგებმახურებით, საუკეთესო ნაწილს მოგიჭრით. თუ უფრო მსუბუქი ვახშამი გსურთ, სიბასი ზღვის მარილში შესანიშნავი არჩევანია, რომელსაც თქვენ თვალწინ გაათავისუფლებენ მარილის სარკოფაგის ტყვეობიდან და იქვე მოგართმევენ. ეს სტუმრისთვის ერთგვარი გართობაცაა – წარმოდგენა, რომელსაც თანამედროვე მაღალი დონის სამზარეულო ყოველთვის იყენებს უკეთესი შთაბეჭდილების მოსახდენად. რა თქმა უნდა, ჩვენი მთავარი სიამაყე – სერვისია. ასეთს ვერსად ნახავთ ლონდონში.

ნებისმიერი სიტუაციისთვის მზად ვართ და მხოლოდ ის გვაინტერესებს, რა სურს კლიენტს. თუ კლიენტი ველინგტონს, შემწვარ ხორცს, შეუკვეთს, მასთან ერთად იტალიურ წითელ ღვინოს – „ბარბარესკოს“ ან „ბაროლოს“ შევთავაზებთ. ეს საოცარი წყვილია.

ჩვენი ერთ-ერთი პოპულარული სტარტერისთვის, ტკბილი პურისთვის, რომელსაც მადერას სოუსი აქვს, მე კლიენტებს ქართულ ღვინოს ვთავაზობ. თუ ლობსტერი შეუკვეთეს, რა თქმა უნდა, „რისლინგი“ ნომერი პირველია.

110 წელია „რიცს“ მენიუში არ ჰქონია ბრიტანული ღვინო. შუშხუნა ღვინოებიდან მხოლოდ შამპანური გვქონდა. ეს პოლიტიკა იყო.

ჩვენთან უდიდესი არჩევანია, 800 სახეობის სასმელი გვაქვს მარანში; 50 სახეობის ღვინის შეკვეთაა შესაძლებელი ჭიქით, ბოთლით კი – გაცილებით მეტის.

ბოლო ხანს კარი გავუღეთ ბრიტანული ღვინის მწარმოებელ რამდენიმე ფირმას, მაგალითად, „ნიეტიმბერსა“ (Nyetimber) და „გუსბორნს“ (Gusbourne). ეს შუშხუნა ღვინოებია, შამპანურის დაყენების კლასიკური მეთოდით შექმნილი.

„ბაქუსი“ კორნუოლიდან შესანიშნავი თეთრი ღვინოა. კორნუოლი ძალიან მნიშვნელოვანი რეგიონია ბრიტანეთში ღვინის წარმოებისთვის, ვინაიდან იქ იდეალური ამინდია კარგი თეთრი ღვინის დასაყენებელი ყურძნის მოსაყვანად. „ა'ბაქუსია“ „სოვინიონ ბლანს“ ჰგავს, ძალიან მშრალი მსუბუქი ღვინოა, ხილის და მწვანე ნოტებით.

გვაქვს როზე და წითელიც „გუსბორნისგან“. ბრიტანულ ღვინოს ერთი მახასიათებელი აქვს: თითქმის ყველა რეგიონში საკმაოდ ცივა, ამიტომ ყურძენი ვერასდროს აღწევს ძალიან მაღალ შაქრიანობას. ამის დამსახურებით, ბრიტანული ღვინო ყოველთვის მსუბუქი და მშრალია, საოცრად მაცოცხლებელი ეფექტით. ტრადიციულად, ბრიტანეთი არ არის ღვინით განებივრებული, ეს უფრო ლუდის, ელის, სიდრისა და, რა თქმა უნდა, ვისკის ქვეყანაა.

ჩვენს რესტორანში ვისკის საოცარი არჩევანი გვაქვს და დიდი სიამაყით ჩამოვატარებთ ხოლმე ვახშმის ბოლოს დიჯესტივების ურიკას. ყველა სახის single malt (ერთ სახელში წარმოებული) ვისკი გვაქვს, მსუბუქიც და ძლიერიც, მომწაროც და ბოლის არომატითაც.

რა თქმა უნდა, დიდ ყურადღებას ვაქცევთ ლუდსაც, მაგალითად, ლუდი Green and Pleasant. ეს ორგანული ლუდის მწარმოებელი კომპანიაა, რომელიც სიდრსაც ასხამს. ძალზე მცირე რაოდენობით აწარმოებენ ამ პროდუქტს. ამ სასმელებს ბარში აპერიტივივით უკვეთენ, ნაკლებად – ვახშმის დროს.

მაგრამ არის შემთხვევები, როცა რესტორანში კერძთან დაწყვილების დროს ლუდი სულაც არ არის კომპრომისი. მაგალითად, ასეთი შემთხვევაა ხამანწკები და შავი ლუდი. ხშირად ადამიანები ფიქრობენ, რომ თუ ხამანწკებს მიირთმევთ, კარგი „მეწყვილე“ შამპანური ან თეთრი მსუბუქი ღვინოა, მაგრამ ხამანწკებს, მის ბუნებრივად მარილიან გემოს, ძალიან უხდება შავი ლუდის კრემოვანი მოტკბო ტექსტურა.

ასევე ძალიან უხდება ლუდი ხილის გემოთი ლანგუსტინს. უკვე გაჩნდა არაერთი საინტერესო პატარა ლუდსახარში, რომელიც მხოლოდ ნატურალურ და ორგანულ პროდუქტს ქმნის. „გრინ ედნ პლეზანთი“, ჩემი აზრით, საუკეთესოა.

ბრიტანული სასმელების მეფე, ცხადია, ვისკია – მისი გემოს დახვეწილობის, სირთულის, ტრადიციისა და ისტორიის გამო. ძალიან რთულია ერთი სახეობის ან კუთხის გამოყოფა. დიდი ხანია ირლანდიური და შოტლანდიური ვისკის მწარმოებლები დავობენ, ვისი პროდუქტია საუკეთესო. ჩვენ ყველა სახის საუკეთესო ვისკი გვაქვს, იაპონურიც კი. ის ძალიან პოპულარული ხდება და ტრადიციული შოტლანდიური მეთოდით მზადდება, ამიტომაც აქვს უფლება მწარმოებელს, პროდუქტს ნამდვილი „ვისკი“ დააწეროს. არ ვიცი, თუ მიგიქცევიათ ყურადღება, რომ ვისკი ორნაირად იწერება – Whisky or Whiskey: პირველი არის შოტლანდიური ვისკი. ყველა დანარჩენ, ირლანდიურ და ამერიკულ ვისკის Whiskey აწერია. მხოლოდ იაპონურმა ვისკიმ მოიპოვა უფლება, შოტლანდიური წესით, Whisky დაეწეროს.

ჩემი აზრით, საუკეთესო ვისკი შოტლანდიურია თავისი მკაცრი და ოდნავ ბოლის გემოთი. ჩემი საყვარელი ბრენდი „ტალისკერია“, ის მცირე კუნძულ სკაიზე მზადდება, რომელიც შოტლანდიის ჩრდილოეთით მდებარეობს. ეს ერთადერთი გამოსახდელი ქარხანაა მთელ კუნძულზე. ერთხელ სპეციალურად ჩავედი მის სანახავად, იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ამ ვისკიმ. მას ექსტრემალურ პირობებში ამზადებენ. გარშემო ცივი ოკეანეა და ის ადგილი, სადაც ვისკის აძველებენ, პირდაპირ ოკეანეს გაჰყურებს. ეს განსაკუთრებულ, მარილიან გემოს სძენს ამ ვისკის – „ტალისკერს“ როცა მიირთმევ, თითქოს ზღვის სურნელს გრძნობ. ყველა ვისკის, მის რთულ გემოს, თავისი ისტორია აქვს. შოტლანდიაში ყველა სითბური პროცესის დროს ტორფს იყენებენ. მისი მოპოვება მხოლოდ იქ ხდება, ამიტომაც აქვს შოტლანდიურ ვისკის განუმეორებელი გემო.

თუ გსურთ, ვისკის არსი გაიგოთ, რამდენიმე ბრენდი უნდა გასინჯოთ. „დალვინის“ ძალიან რბილი, ნაზი, დელიკატური გემო აქვს და ქალბატონებს მოსწონთ, „ლაგავულინი“ კი უძლიერესია, ხისტი და ძალიან მამაკაცური სასმელია.

თუ საჩუქრის ყიდვა გსურთ, მაშინ გაითვალისწინეთ, რომ ბევრი ქარხანა განსაკუთრებულ ვისკის მხოლოდ ადგილზე ყიდის. ეს ლიმიტირებული გამოშვებებია და საჩუქარი ნამდვილად მნიშვნელოვანი გამოვა უნიკალური ვისკის მოყვარულისთვის. ქალაქ ობანში შესანიშნავ ვისკის აწარმოებენ; ეს პატარა ქალაქია და შეგიძლიათ თან ტურიზმით ისიამოვნოთ, თან ქარხანაში შეიაროთ. თუ უფრო შთამბეჭდავი თავგადასავალი გსურთ, ისევ და ისევ კუნძულ სკაის გირჩევთ. ვისკი „ტალისკერი“ კი ნამდვილად საოცარი სასმელია.

სასტუმრო „რიცის“ გამოცდილება არა მხოლოდ საკვების ან სასმელის გამოცდილებაა, არამედ სერვისისაც. ადამიანები აქ სწორედ ამისთვის მოდიან. დაბეჯითებით გირჩევთ ეგრეთ წოდებულ სიურპრიზ-მენიუს. ეს, ფაქტობრივად, ტესტინგ-მენიუა, მაგრამ ნ კერძი და სასმელი, რომელსაც მას ვუწყვილებთ, სიურპრიზია კლიენტისთვის.

ასევე ძალიან პოპულარულია ცეკვის საღამოები პარასკევ და შაბათ საღამოს. შეგიძლიათ მობრძანდეთ, შეუკვეთოთ ვახშამი და „ბიბისის“ ორკესტრის თანხლებით იცეკვოთ „რიცის“ დარბაზში. ეს ძველი ტრადიციის გაგრძელებაა, ვინაიდან საკვირაო ვახშამი არასდროს იყო მხოლოდ კერძები. ეს იყო განსაკუთრებული მოვლენა, როცა ადამიანები იცვამდნენ საუკეთესო ტანსაცმელს და მიემართებოდნენ რესტორანში საცეკვაოდ და დროის გასატარებლად. ეს საღამოები ისეთი პოპულარობით სარგებლობს, რომ, როგორც ჩანს, ადამიანებს კვლავაც სჭირდებათ.

გაითვალისწინეთ, რომ სასტუმრო „რიცს“ თავისი დრესკოდი აქვს და არც ერთ მის სივრცეში სპორტული ტანსაცმლით გამოჩენა არ ღირს. გარდა ამისა, აუცილებელია რესტორნის წინასწარ დაჯავშნა. ვახშამი 2 პერსონაზე, სულ ცოტა, 350 ფუნტი დაგიჯდებათ.

ქართული ღვინოები „რიცის“ მენიუში ORANGE WINE:

GEORGIA KARTLI
Chardakhi Chinuri,
Iago Bitarishvili 2014; £65

IMERETI KUTAISI
Tsitska, Lagvinari 2013; £85

GEORGIA KAKHETI
Bakurtsikhe Saperavi
"Gvino", Lagvinari 2011; £60

თეა სხირელი
ნინო გეგეშიძე

სიტყვა „ვისკი“ მომდინარეობს UISGE BEATHA-საგან, რაც გელურ ენაზე „ცხოვრების წყალს“ ნიშნავს.

ორი ქვეყანა – **შოტლანდია** და **ირლანდია** ვისკის საკუთარ ეროვნულ მემკვიდრეობად მიიჩნევს, ხოლო თავის თავს – **ვისკის სამშობლოდ**. ირლანდიელები ამბობენ, რომ ვისკის **წმინდა პატრიკი** ამზადებდა, შოტლანდიელები კი ჯვაროსნების დროინდელ ისტორიულ დოკუმენტებს იშველიებენ.

კლასიკური ტექნოლოგიის მიხედვით, შოტლანდიაში ვისკის (Scotch Whisky) ქერის ალაოსა და ქერისაგან ამზადებენ, ირლანდიაში (Irish Whiskey) კი ქერის ალაოს ჭვავსაც უმატებენ. აშშ-სა და კანადაში ვისკის (Bourbon) ნედლეულია სიმინდი, ჭვავი (Rye Whiskey), ხორბალი (Wheat Whiskey). ბურბონი, კლასიკური ევროპული ვისკისაგან განსხვავებით, სიმინდისგან მზადდება და სპეციფიკური ტექნოლოგიით შიგნიდან გამომწვარ მუხის კასრებში ინახება. იაპონიაში ვისკის ნედლეულად სიმინდსა და ფეტვს იყენებენ, მცირე რაოდენობით უმატებენ ბრინჯსა და სხვა მარცვლეულს.

ვისკი თავის საუკეთესო გემურ თვისებებს 18-20°C-ზე ინარჩუნებს.

ტრადიციულად, შოტლანდიურ ვისკის უწოდებენ ქერის ალაოსა და სხვა მარცვლეულისგან დაყენებულ სპირტიან სასმელს, რომლის სიმაგრეც 40 პროცენტზე დაბალი არ არის. ვისკი 700 ლიტრამდე ტევადობის მუხის კასრებში, სულ მცირე, სამი წლის განმავლობაში ინახება. ვისკი აუცილებლად შოტლანდიაში უნდა იყოს დისტილირებული და შენახული, სხვა შემთხვევაში, ის შოტლანდიურად არ ჩაითვლება.

შოტლანდიაში ვისკის ორ ძირითად სახეობას ხდიან: ალაოსა და მარცვლეულის, დანარჩენი სახეობები მათი ინტერპრეტაციაა. ქერის ალაოს გამოხდა სპილენძის (pot still) ძველებურ კუბებში ხდება, რომლებიდანაც გაწმენდილი და არომატული სპირტი გამოდის. ალაოს ვისკი გამოხდისას ორ ეტაპს გადის (ზოგ ქარხანაში კი – სამს, როგორც ირლანდიაში).

პირველ სტადიაზე ქერს ტორფის ცეცხლზე აშრობენ, ამიტომ შოტლანდიური ვისკის ყველა მარკის სასმელს ტორფის არომატი და გემო დაჰკრავს. ეს მახასიათებელი ყველაზე მეტად განასხვავებს სკოჩს ირლანდიური და ამერიკული ვისკისაგან.

ალაოს ვისკის დასამზადებლად საჭიროა რამდენიმე კომპონენტი: ქერი, წყალი, საფუარი და ტორფი. ვისკის გემო ქერის სახეობაზეა დამოკიდებული. შოტლანდიური ქერი Golden Promise გამოირჩევა თხილის ტონებით. კიდევ ერთი უმთავრესი კომპონენტი წყალია. გამოხდილი სპირტის რაოდენობას გამოყენებული წყლის რაოდენობა ათჯერ აღემატება, ამიტომ ვისკის სახდელებს მტკნარი წყლის წყაროების მახლობლად აშენებდნენ. ზოგიერთი შოტლანდიური ქარხანა (Glenmorangie, Glenkinchie, Highland Park) მხოლოდ ხისტ წყალს მოიხმარს, რაც სასმელს სასიამოვნო გემოს მატებს. ზოგჯერ იყენებენ ე. წ. ტორფიან წყალს, რომელიც ტორფიანი მიწის ზედაპირს გაივლის.

შოტლანდიური ვისკის სახეობა, რომელიც მარცვლეულისგან მზადდება, მოგვიანებით გაჩნდა და ის გაცილებით სწრაფად და იოლად იწარმოება. მას კუპაჟირებული ვისკის დასაყენებლად იყენებენ, რომელიც ძვირფასი არომატული ვისკის იაფფასიანთან შერევით მიიღება. პროპორციის რეცეპტი ყველა მწარმოებელს გასაიდუმლოებული აქვს. შოტლანდიაში 1000 დასახელების ასეთი ვისკი იწარმოება და ეს სკოჩის ყველაზე პოპულარული სახეობაა მსოფლიოში. *De Luxe blend-ი უმაღლესი კატეგორიის კუპაჟია, რომელიც 12 პროცენტ ალაოს შეიცავს და 12 წლის დაძველებისაა. მათ შორის საუკეთესოა: Chivas Regal, Dimple, Johnnie Walker Black Label.*

შოტლანდიელებს „5S“-ის წესი აქვთ:

SIGHT (ფერით ტკბობა)

SMELL (შეყნოსვა)

SWISH (მოწრუპვა)

SWALLOW (გადაყლაპვა)

SPLASH (წყლით გაზავება) – ბოლო საფეხურზე ვისკის არომატი გოლომდე იხსნება

ვისკი თავდახურულ, გაუხსნელ ბოთლში შეიძლება 100 წელსაც შეინახოს, ხოლო გახსნილ ბოთლში მხოლოდ 5 წელიწადს ინარჩუნებს თვისებებს.

როგორ მივირთვათ ვისკი

უმჯობესია, ვისკი დღის მეორე ნახევარში მიირთვათ. ყინულის დამატება მხოლოდ დაბალი ხარისხის ვისკისთან შეიძლება, რადგან ხანგრძლივი დაძველების ვისკის მუხის კასრის არომატი ყინულთან შერევისას ქრება. სასმელს მხოლოდ ცოტა წყალი შეიძლება დაამატოთ. ჩაცივებული ბოთლი ტილოთი უნდა გაამშრალოთ და მაგიდაზე დადგათ. არომატის შესაგრძნობად ჭიქის მხოლოდ მესამედს ავსებენ და პატარა ყლუპებით მიირთმევენ, რამდენიმე წამს პირში გაჩერების შემდეგ ვისკის გემო ბოლომდე შეიგრძნობა. ვისკის საჭმელს არ აყოლებენ; ამ სასმელის „თანამგზავრად“ სიგარა მიიჩნევა.

VOYAGER **გირჩევთ**

უკვე 200 წელიწადია, რაც შოტლანდიის კუნძულ აილაზე რთული, მრავალწახნაგოვანი გემოს მქონე, მხოლოდ ალაოზე დამზადებულ უგემრიელეს ვისკის ხდიან. ის არაერთხელ დასახელებულა მსოფლიოში ყველაზე გაყიდვად ვისკად. აღსანიშნავია, რომ Laphroaig-ს ამერიკაში მშრალი კანონის დროსაც კი გზავნიდნენ, რადგან ამ ვისკის იოდის სუნი დაჰკრავს და საბაჟოს ისე გადიოდა, როგორც წამალი.

2005 წელს Champions of Whisky Competition-ის კონკურსზე Laphroaig-მა მიიიღო უმაღლესი ჯილდო The best of the best. ამავე წელს ფირმის მფლობელი გახდა კორპორაცია Fortune Brands, რომელიც მანამდე უკვე ფლობდა ვისკის, ბურბონის, ხერესისა და არყის სახდელ მრავალ საწარმოს.

დღეისათვის Laphroaig-ი 10-ზე მეტი სახეობის, 10-იდან 40-წლამდე დაძველების, უმაღლესი ხარისხის, ალაოს ვისკის ამზადებს.

1994 წელს აქაურობას პრინცი ჩარლზი ესტუმრა. მან სამეფო ოჯახის მარგის შესავსებად სოლიდური პარტია შეუკვეთა და ალაოს მოგზადებაზეც გაისარჯა. Laphroaig-ი უელსის პრინცის სამეფო პატენტის მფლობელი ერთადერთი ვისკია, რომელსაც მან ეს ჯილდო პირადად გადასცა 1994 წელს, საწარმოში ვიზიტისას. ეს 15-წლიანი დაძველების ბრენდი პრინცის უსაყვარლეს შოტლანდიურ ვისკად ითვლება.

ვისკის ბევრი ქვეყანა აწარმოებს, თუმცა სკოჩი მხოლოდ შოტლანდიაში შეიძლება დამზადდეს, რადგან თავიდანვე მხოლოდ აქ ხდიან და აქვე აძველებენ მას, სულ ცოტა, სამი წლის მანძილზე.

ალაოს ვისკის (Malt whisky) კლასიფიკაცია, როგორც წესი, ქვემოჩამოთვლილი მთავარი სახეობებიდან ერთ-ერთის მიხედვით ხდება: Highland, Lowland, Speyside, Islay, Island Whisky, Campbeltown – რასაც, თავის მხრივ, ვისკის სახდელი საწარმოს გეოგრაფიული მდებარეობა განაპირობებს: ვისკის თავისებურებას ხომ, დიდწილად, თითოეული ამ რეგიონის ადგილმდებარეობა და ჰავა აჩნევს კვალს.

ISLAND WHISKY

„კუნძულის ვისკი“ 5 პატარა კუნძულზე იხდება, ესენია: ჯურა, სქაი, მალი, არანი და ორკნი. ზღვასთან სიახლოვე აქ წარმოებულ სასმელს ზოგჯერ ოდნავ მარილიანის, შებოლილის კვალს აჩნევს, თუმცა კი სილბო-სიმწკლარტის სრული თანხვედრის მიღწევა მართლაც უმაღლესი ოსტატობის გამოხატულებაა.

1. ***JURA 10*** *(Isle of Jura - Whyte & Mackay Ltd)*
2. ***TALISKER 18*** *(Isle of Skye - Diageo)*
3. ***ARRAN 14*** *(Isle of Arran - Distillers Ltd)*
4. ***HIGHLAND PARK 21*** *(Isle of Orkney - Edrington Group)*
5. ***LEDAIG 18*** *(Isle of Islay - Burn Stewart Distillers)*
6. ***TUBERMORY 15*** *(Island of Mull, Tobermory - Burn Stewart Distillers)*

ISLAY MALT

აისლი მომცრო კუნძულია შოტლანდიის დასავლეთ სანაპიროსთან, რომელსაც ხშირად ატყდება თავს ატლანტიდან დაძრული ქარიშხალი. როგორც ჩანს, სწორედ ეს ტენიანობა ანიჭებს ტორფს იმ თავისებურებას, რაც შემდეგ სასიკეთოდ აისახება დაალაოებული ქერის გემოსა და სურნელზე. კუნძულზე გამოხდილ, ერთგვაროვან ალაოზე დამზადებულ შოტლანდიურ ვისკის, ყველა სხვასთან შედარებით, ტორფის უფრო მძაფრი სუნი დაჰკრავს და გემოთიც მომწკლარტოა. სამხრეთში ტორფის ანაორთქლი უფრო ნაჯერია და აქაური წყალიც – მინერალებით მდიდარი; აი ჩრდილოეთში კი ტორფის გავლენა ნაკლებად საგრძნობია და ვისკისაც უფრო რბილი და დახვეწილი გემო აქვს.

1. Ardbeg Uigeadail *(Glenmorangie Co Ltd)*
2. Bruichladdich The Laddie Ten *(Bruichladdich Distillery Company)*
3. Bunnahabhain 18 *(Burn Stewart Distillers Plc)*
4. Caol Ila 18 *(Diageo)*
5. Kilchoman Machir Bay *(Kilchoman Distillery Co Ltd)*
6. Lagavulin 16 *(Diageo)*
7. Laphroaig Quarter Cask *(Beam Suntory)*

CAMPBELTOWN MALT

აქაური ვისკი, თავისთავად, საკმაოდ უცნაური ნაზავია: მთავარ მახასიათებლად შეიძლება მისი გამოკვეთილი სიმშრალე, სიმწკლარტე, ტორფის სურნელი და მაღალი მინერალიზაცია მივიჩნიოთ. ეს ერთალაოიანი ვისკი ხშირ შემთხვევაში საუკეთესო აპერიტივიცაა.

1. Kilkerran Work In Progress 7th Release *(Glengyle J & A Mitchell & Co Ltd)*
2. Glen Scotia 15 *(Glen Scotia Loch Lomond Group)*
3. Longrow 11 *(Springbank J & A Mitchell & Co Ltd)*

HIGHLAND MALT

შოტლანდიის მთიანეთი, თავისთავად, მეტად ზოგადი ცნებაა, თუმცა აქაური ვისკი მაინც ერთნაირად განთქმულია მთელ დუნიაზე. თავის მხრივ, შოტლანდიის მთიანეთი ოთხ მხარედ იყოფა და, შესაბამისად, ჩრდილოეთ მხარეში გამოხდილ ვისკის მანანის სურნელი დაჰკრავს, თან ოდნავ მძაფრი, ნაჯერი გემო გამოარჩევს; სამხრეთ მთიანეთის ვისკი შედარებით მშრალია და ხილის სურნელი იგრძნობა; აღმოსავლეთ მთიანეთისა – უფრო მდიდრული გემოსია, მშრალიცა და ხილის სურნელით უფრო მეტად გაჯერებულიც; რაც შეეხება დასავლეთ მთიანეთში გამოხდილ ვისკის, მისი გასარჩევი ნიშანი უკვე ტორფის ანაორთქლის სიმძაფრე და შედარებით ხისტი გემოა.

1. Glenmorangie 18 *(Louis Vuitton Moet Hennessy)*
2. Old Pulteney 21 *(Inver House Distillers Ltd)*
3. Oban 14 *(Diageo)*
4. Glendronach 21 *(Benriach Distillery Co)*
5. Royal Lochnagar 12 *(Diageo)*
6. Glengoyne 25 *(Ian Macleod Distillers Ltd)*
7. Ben Nevis 21 *(Ben Nevis Distillery (Fort William) Ltd)*
8. Tomatin Cu Bocan Virgin Oak *(The Tomatin Distillery Co Ltd)*
9. Aberfeldy 12 *(John Dewar & Sons Ltd)*
10. Teaninich 10; Flora And Founa *(Diageo)*
11. Fettercairn Fior *(Whyte & Mackay Ltd)*
12. Edradour Caledonia 12 *(Signatory Vintage)*
13. Blair Athol 12 *(Diageo)*
14. Balblair 1990 *(Inver House Distillers Ltd)*
15. Brora 37 *(Distiller Company Ltd)*
16. Dalwhinnie 15 *(Diageo)*
17. Tullibardine 228: Burgundy Cask Finish *(Tullibardine Ltd)*

SPEYSIDE MALT

სპეისაიდის მხარე თითქმის მთელ სიგრძეზე ესაზღვრება მდინარე სპეის შოტლანდიის მთიანეთის აღმოსავლეთით. აქაური ვისკი უფრო მსუბუქი და შედარებით მოტკბო სასმელია. გრანიტის მთებზე ჩამონადენი და ტორფის ჭაობებგამოვლილი წყალი, ზოგადად, დახვეწილობას მატებს ალაოს ბევრი სახეობის ვისკის, მათი მოტკბო გემო კი ზომიერი და მეტად საამოა. გამოხდის პროცესში აქ ტორფსაც იშვიათად იყენებენ.

1. Aberlour A'Bundach Batch#48 *(Chivas Brothers Ltd)*
2. Balvenie 21 *(The Wm Grant & Sons Ltd)*
3. The Macallan 12 *(The Edrington)*
4. Glenfarclas 15 *(Glenfarclas J & G Grant)*
5. BenRiach 16 *(Ben Riach Distillery Co)*
6. Glen Morey 25 *(Glen Turner Distillery Ltd)*
7. Tamdhu 10 *(Ian Macleod Distillers Ltd)*
8. Macallan 25 *(Edrington Group)*
9. Craigellachie 13 *(John Dewar & Sons Ltd)*
10. Aultmore 25 *(John Dewar & Sons Ltd)*
11. Cardhu 12 *(Diageo)*
12. Glen Elgin 12 *(Diageo)*

LOWLAND MALT

ეს ვისკი კი უკვე შოტლანდიის სამხრეთში მზადდება და მას ამ მხარისათვის დამახასიათებელი მშვიდი, ნაჯერი, დახვეწილი გემოს კვალი ატყვია. ტორფს აქ იშვიათად იყენებენ და ამიტომაც, სამმაგი გამოხდის შედეგად, ნაწარმი მუდამ რბილი და საამო, მცირე მინერალურობის მქონე და ხილ-მცენარეულობის სურნელით გაჯერებული სასმელი გამოდის.

1. Auchentoshan 21 *(Beam Suntory)*
2. Ailsa Bay Single Malt *(Wm Grant & Sons Ltd)*
3. Glenkinchie 2000 *(Glenkinchie)*
4. Girvan 21 *(Girvan)*
5. Cameron Brig *(Cameron Bridge)*
6. Littlemill 21 *(Littlemill)*

ექსპორტი

1.2 მილიარდი ბოთლი წელიწადში

შოტლანდიური ვისკის ექსპორტის მოცულობა 324 მილიონი ლიტრია, ღირებულება – 3.8 მილიარდი ფუნტი (LPA)

38 ბოთლი ყოველ წამში

£120 ყოველ წამში

ROYAL LOCHANGAR '12 (Diageo)

უნატიფესი ინგრედიენტების წყალობით ყველასაგან გამორჩეული, ხავერდოვანი გემოს მქონე ნაზავი მუხის კასრებში 12 წელი ძველდება.
შეფერილობა: ღია ქარვის-ფერი. სურნელი: დახერხილი ხის, საწუწნი კანფეტისა და ხის ლაქის; სელის ზეთისა და ხავსის მომჟავო, ოდნავ შესამჩნევი სუნით. თუმცა, წყლით გაზავება ამ სიმჟავეს აქრობს და სურნელიც ტკბება.
სიმაგრე: საშუალო.**გემო:** საამო; თავდაპირველ სიტკბოს თან ერთგვარი სიმწკლარტეც დაჰკრავს. საბოლოოდ პირში ოდნავ მშრალი, უცნაურად სასიამოვნო, სანდალოზის ხის ნაჟურის შეგრძნება გრჩებათ.

CRAIGELLACHIE '13 (John Dewar & Sons Ltd)

Craigellachie – ერთგვაროვან ალაოზე გამოხდილი სასმელია, რომელიც სურნელითაც გამოირჩევა და შემადგენლობითაც. მისი წარმოება ჯერ კიდევ 1891 წელს დაიწყეს და თითოეული ბოთლი, სულ ცოტა, 13-წლიანი დაძველებისაა, ხოლო ალკოჰოლის შემცველობა 46%-ს აღწევს. თავდაპირველად ტროპიკული ხილის, მანგოსა და ანანასის სურნელი გეცემათ, რასაც მერე შებოლილი ლორის მოტკბო, მსუყე არომატიც შეერევა.
გემო: ასევე ტკბილი ხილისა და ბოლის სიმძაფრით შეფერილი; მადისაღმძვრელი და მაცოცხლებელი.

TUBERMORY '15 (Burn Stewart Distillers)

ერთგვაროვან ალაოზე შეზღუდული რაოდენობით დამზადებული ეს ვისკი დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენს.

ის რთული შემადგენლობითა და უბადო დახვეწილობით გამოირჩევა – დაძველების ბოლო წელს მას ხელნაკეთ, Gonzalez Byass Oloroso-ს ხერესნადგომ კასრებში აყენებენ. მას შეფუთვაც კი შესაფერისი აქვს და მისსავე გამორჩეულობაზე მიგვანიშნებს: ყოველი ბოთლი საცალოდაა დამზადებული და საგანგებო, მუხის ხის ლუსკუშში ინახება.

ვისკის ამ სახეობების შეძენა Solo-ს ლაუნჯებში შეგიძლიათ.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲬᲐᲕᲘᲙᲘᲗᲮᲝᲗ ᲔᲢᲘᲙᲔᲢᲘ

ᲕᲘᲡᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲐ ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲐᲓ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲐᲡ ᲘᲛᲔᲝᲠᲔᲑᲓ. ᲛᲐᲒ., The Balvenie ᲐᲚᲐᲝᲡ ᲕᲘᲡᲙᲘᲡ ᲮᲐᲮᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲔᲕᲘᲓ ᲡᲢᲘᲣᲐᲠᲢᲛᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ. ᲔᲡ ᲤᲘᲠᲛᲐ ᲗᲐᲤᲚᲘᲡ ᲐᲠᲝᲛᲐᲢᲘᲜᲘ ᲕᲘᲡᲙᲔᲑᲘᲗᲐᲐ ᲒᲐᲜᲘᲗᲕᲣᲚᲘ. ᲐᲠᲢᲘᲙᲚᲘ „The“ ᲙᲘ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲐᲛᲝᲡᲣᲚᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲗᲕᲘᲗ ᲮᲐᲮᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ ᲛᲙᲐᲪᲠᲐᲓ ᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲝᲑᲓᲐ.

DoubleWood – ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲕᲘᲡᲙᲘ ᲝᲠ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲢᲘ�პᲘᲡ (ᲓᲐᲜᲐᲛᲓᲔ ᲑᲣᲠᲑᲝᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲮᲔᲠᲔᲡᲘᲡ) ᲙᲐᲡᲠᲔᲑᲨᲘ ᲘᲜᲐᲮᲔᲑᲝᲓᲐ. ᲛᲘᲡᲮᲔᲝᲜᲘᲚ ᲨᲠᲘᲤᲢᲘᲗ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ 12 ᲓᲐᲫᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲓᲐ.

Whisky ᲗᲣ Whiskey? ᲝᲠᲘᲕᲔ ᲕᲘᲡᲙᲘᲐ, ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲨᲝᲗᲚᲐᲜᲓᲘᲣᲠᲘᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ (ᲠᲐᲡᲐᲪ ᲓᲐᲑᲘᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲗ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲔᲢᲘᲙᲔᲢᲖᲔ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ – Scotch), ᲮᲚᲝᲚ ᲛᲔᲝᲠᲔ – ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲣᲠᲘ, ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲣᲚᲘ ᲐᲜ ᲙᲐᲜᲐᲓᲣᲠᲘ.

ᲔᲢᲘᲙᲔᲢᲖᲔ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘ, ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲚᲘ ᲤᲘᲠᲛᲐ, ᲕᲘᲡᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲐ, ᲓᲐᲫᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲝᲑᲐ, ᲔᲒᲚᲝᲚᲔᲣᲚᲘ, ᲐᲚᲙᲝᲰᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲕᲔᲚᲝᲑᲐ. ᲗᲣ ᲔᲢᲘᲙᲔᲢᲖᲔ 10 ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲫᲕᲔᲚᲔᲑᲐᲐ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ, ᲔᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲘᲡ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲒᲣᲮᲘᲡ ᲙᲐᲡᲠᲨᲘ ᲓᲐᲐᲫᲕᲔᲚᲔᲡ.

ᲕᲘᲡᲙᲘᲡ ᲐᲚᲙᲝᲰᲝᲚᲣᲠᲘ ᲡᲘᲛᲐᲛᲠᲔ ᲜᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘᲐ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲥᲕᲔᲓᲐ ᲙᲣᲗᲮᲔᲨᲘ, ᲮᲚᲝᲚ ᲑᲝᲗᲚᲘᲡ ᲛᲝᲒᲣᲚᲝᲑᲐ – ᲐᲡᲔᲕᲔ ᲥᲕᲔᲛᲝᲗ, ᲝᲠᲛᲝᲜᲓ ᲛᲐᲠᲪᲮᲜᲘᲕ.

- *ᲡᲘᲢᲧᲕᲐ Malt (ᲐᲚᲐᲝ) ᲥᲔᲠᲘᲡ ᲐᲚᲐᲝᲡ ᲜᲔᲓᲚᲔᲣᲚᲗᲐᲜ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲕᲘᲡᲙᲘᲡ ᲥᲐᲑᲘᲚ ᲡᲣᲠᲜᲔᲚᲘᲡ ᲐᲜᲘᲭᲔᲑᲡ; ᲤᲠᲐᲖᲐ Single Malt ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲐᲚᲐᲝᲡ ᲡᲚᲝᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ The Balvenie Distillery ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲓᲐ.*
- *Pure Malt, Blended Malt ᲐᲜ Vatted Malt ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲘᲡ ᲐᲚᲐᲝᲡ ᲕᲘᲡᲙᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲛᲔᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲔᲡ.*
- *Blended whisky ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲐᲚᲐᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲔᲣᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲡᲛᲔᲚᲘᲡ, Grain whisky – ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲕᲘᲡᲙᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡᲐᲒ ᲙᲣᲞᲐᲟᲘᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲔᲜ, ᲮᲚᲝᲚ Bourbon – ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲕᲘᲡᲙᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲜᲔᲓᲚᲔᲣᲚᲨᲘ ᲡᲘᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲔᲑᲘᲪ ᲫᲔᲓᲘᲡ.*
- *Sky, Jura, Mall, Orkney – ᲔᲡ ᲙᲕᲐᲛᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲝᲠᲤᲘᲡ ᲐᲠᲝᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲯᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲘᲡᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲔᲑᲘᲐ.*

MACALLAN 64 YEARS OLD IN LALIQUE

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ, ᲔᲡ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲑᲠᲝᲚᲘᲡ ᲤᲚᲐᲙᲝᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲫᲕᲔᲚᲘ, 64-ᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲫᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲝᲗᲚᲐᲜᲓᲘᲣᲠᲘ ᲕᲘᲡᲙᲘ ᲐᲡᲮᲝᲐ. 2010 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲠᲔᲜᲔ ᲚᲐᲢᲘᲙᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲔᲡᲐ ᲛᲘᲔᲫᲒᲜᲐ, ᲘᲡ ᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲤᲐᲡᲐᲓ – 460 000 ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚ ᲓᲝᲚᲐᲠᲐᲠᲐᲓ ᲒᲐᲘᲧᲘᲓᲐ. ᲤᲘᲠᲛᲐ Macallan-ᲛᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲑᲠᲝᲚᲘᲡ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲚᲔᲑᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲘ ᲛᲘᲐᲒᲝ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲗᲔᲚ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲕᲘᲡᲙᲘ ᲡᲥᲔᲚᲫᲘᲠᲘᲐᲜ ᲑᲠᲝᲚᲘᲡ ᲭᲘᲥᲐᲡᲗᲐᲜ – ᲢᲣᲛᲑᲚᲔᲠᲗᲐᲜ ᲐᲡᲝᲪᲘᲠᲓᲔᲑᲐ.

ᲕᲘᲡᲙᲘ ᲐᲚᲙᲝᲰᲝᲚᲘᲡ ᲫᲕᲔᲛᲐᲠᲘᲢ ᲒᲣᲠᲛᲐᲜᲗᲐ ᲡᲐᲡᲛᲔᲚᲘᲐ. ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲡᲘ ᲤᲐᲡᲘ ᲛᲐᲢᲔᲣᲚᲝᲑᲡ – ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲛ ᲬᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ ᲑᲝᲗᲚᲘᲡ ᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ 250 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗᲐᲪ ᲙᲘ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲝᲗ. ᲡᲔᲠᲢᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲑᲘᲠᲭᲐᲖᲔ ᲨᲔᲫᲔᲜᲘᲚᲘ ᲕᲘᲡᲙᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲐᲓ ᲛᲘᲘᲩᲜᲔᲕᲐ. ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲘᲐ ᲡᲐᲡᲛᲔᲚᲘᲡ ᲣᲜᲘᲙᲐᲚᲣᲠᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲩᲐᲛᲝᲡᲮᲡᲛᲣᲚᲘ ᲙᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ.

GLENFIDDICH 1937

ᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲑᲝᲗᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲔᲠᲗ ᲔᲒᲖᲔᲛᲠᲚᲐᲠᲐᲓ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲓᲐ. ᲨᲝᲗᲚᲐᲜᲓᲘᲣᲠᲘ ᲤᲘᲠᲛᲐ Glenfiddich-Ი ᲕᲘᲡᲙᲘᲡ ᲛᲣᲮᲘᲡ ᲙᲐᲡᲠᲔᲑᲨᲘ ᲐᲧᲔᲜᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲘ ᲒᲐᲜᲗᲥᲛᲣᲚᲘᲐ ᲮᲘᲚᲘᲡ ᲐᲠᲝᲛᲐᲢᲘᲗ. ᲔᲡ ᲔᲒᲖᲔᲛᲞᲚᲐᲠᲘ 2006 ᲬᲔᲚᲡ ᲒᲐᲘᲧᲘᲓᲐ ᲐᲣᲪᲘᲝᲜᲖᲔ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲘᲪᲘᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲠ ᲒᲔᲛᲝ ᲐᲥᲕᲡ.

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲕᲘᲡᲙᲘ

Whiskey	*Year*	*Price*
Macallan M	1939	**$628,205**
Macallan 64 Years Old in Lalique Cire Perdue	1946	**$460,000**
Glenfiddich Janet Sheed Roberts Reserve	1955	**$94,00**
Springbank 50 Year Old	1919	**$78,000**
Macallan	1926	**$75,000**
Glenfiddich	1937	**$71,000**
Dalmore 62 Single Highland Malt Scotch Matheson	1942	**$58,000**
Balvenie 50 Year Old	1912	**$42,000**
Dalmore Selene 58 Year Old	1951	**$35,000**
Macallan 50 Year Old	1949	**$32,000**

CHINAWHITE

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲔᲥᲡᲙᲚᲣᲖᲘᲣᲠᲘ ᲙᲚᲣᲑᲔᲑᲘᲡ ᲠᲣᲯᲐᲖᲔ ლონდონის Chinawhite-Ი ᲔᲠᲗᲐᲠᲗᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲣᲛ-ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲙᲚᲣᲑᲘᲐ. ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲝᲠᲘ ᲓᲔᲪᲐᲓᲐᲐ ᲔᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘᲡ ᲠᲔᲯᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐᲡ ᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲡ. ᲙᲚᲣᲑᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲬᲧᲕᲠᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲐᲓ ᲡᲘᲐᲑᲚᲔᲔᲑᲡ ᲡᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲡ, ᲐᲧᲐᲤᲠᲗᲝᲛᲝᲕᲐᲜᲔᲑᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲠᲔᲕᲠᲝᲒᲘ ᲓᲐ ᲔᲒᲖᲝᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲘᲔᲠᲘᲗ, ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲓᲝᲜᲘᲡ ᲡᲔᲠᲕᲘᲡᲘᲡᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ DJ-ᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲠᲔ�გᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲞᲔᲠᲤᲝᲠᲛᲐᲜᲡᲔᲑᲘᲗ.

Chinawhite-ᲨᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲝᲑᲘᲡᲐᲡ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲚ DJ-ᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲔᲑᲡ ᲘᲗᲘᲚᲐᲕᲗ ᲓᲐ ᲛᲝᲘᲡᲛᲔᲜᲗ. ᲑᲝᲚᲝᲚ ᲓᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲙᲚᲣᲑᲨᲘ ᲣᲙᲠᲐᲕᲓᲜᲔᲑᲘ: Drake, Jason Derulo, Pia Mia, Ciara, Rae Sremmurd, Miguel, Royce Da 5'9, Big Sean, Steve Aoki, Pete Tong and Nelly.
ᲙᲚᲣᲑᲨᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲝᲑᲘᲡᲐᲡ ᲛᲝᲣᲚᲝᲚᲝᲓᲜᲔᲚᲐᲓ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲘᲗᲝᲗ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲡᲐᲕᲐᲠᲫᲔᲚᲖᲔ ᲓᲐ ᲒᲐᲘᲪᲜᲝᲗ ᲙᲘᲓᲔᲪ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ ᲗᲣ ᲒᲘᲜᲐᲮᲐᲕᲗ. ᲙᲚᲣᲑᲘᲡ VIP ᲡᲘᲐᲨᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ: Leonardo Dicaprio, Kate Moss, Tom Cruise, Cara Delaviqne, Rhianna, Drake, One Direction, Kendall Jenner, Idris Elba, Ciara, Lewis Hamilton, Naomi Campbell, Jordan Dunn, Rita Ora, Usain Bolt.

4 Winsley St, London W1W 8HF
Phone: +44 20 7290 0580

FABRIC

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲘᲓᲔᲐᲡ ᲐᲡᲔ ᲮᲡᲜᲘᲐᲗ: **„ᲛᲐᲠᲢᲘᲕᲐᲓ ᲠᲝᲛ ᲕᲗᲥᲕᲐᲗ, ᲘᲓᲔᲐ ᲩᲐᲔᲡᲐᲮᲐᲗ ᲘᲛ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲓᲐᲓᲘᲐᲜ ᲙᲚᲣᲑᲔᲑᲨᲘ, ᲘᲛ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲡ ᲓᲐᲓᲘᲐᲜ ᲙᲚᲣᲑᲔᲑᲨᲘ.“**

ᲛᲐᲪᲘᲕᲠᲘᲡ ᲡᲐᲧᲝᲑᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲨᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲣᲑᲐᲠᲛᲐᲰᲐᲠᲘ, ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲗᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲘᲖᲝᲚᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲕᲠᲪᲔᲐ, ᲚᲐᲘᲠ ᲞᲔᲠᲤᲝᲠᲛᲐᲜᲡᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲘ ᲘᲕᲔᲜᲗᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ᲐᲦᲭᲣᲠᲕᲘᲚᲘ. ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲣᲜᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲢᲠᲘᲑᲣᲢᲘᲐ ᲖᲘᲑᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲘᲐᲢᲐᲙᲘ ᲜᲝᲛᲔᲠ ᲞᲘᲠᲘᲗ ᲡᲘᲕᲠᲪᲔᲨᲘ. Bodysonic-ᲐᲓ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲡᲐᲪᲔᲙᲕᲐᲝ ᲡᲪᲔᲜᲐ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲑᲐᲡᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲔᲑᲖᲔᲐ ᲛᲘᲔᲠᲗᲝᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ, ᲤᲔᲮᲘᲡ ᲢᲔᲠᲤᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ, ᲛᲗᲚᲘᲡ ᲡᲮᲔᲣᲚᲨᲘ ᲘᲒᲠᲫᲜᲝᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲕᲘᲑᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘ.

ᲨᲔᲡᲕᲚᲐᲖᲔ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲠᲘᲒᲘᲐ; ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲡ ᲓᲦᲘᲓᲐᲜ - 1999 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲛᲧᲝᲚᲔᲑᲣᲚᲘ, ᲠᲘᲒᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲡᲘᲒᲠᲫᲔ 2000 ᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲐᲛᲓᲔ �გᲐᲛᲝᲓᲘᲡ. ᲛᲘᲡᲘᲜ ᲙᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲖᲦᲣᲠᲑᲚᲘ 5,5 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲗᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲒᲐᲓᲐᲐᲑᲘᲯᲐ. ᲐᲫ 30 000 ᲡᲐᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲣᲙᲠᲐᲕᲓᲐ ᲛᲣᲡᲘᲙᲐ. ᲨᲐᲑᲐᲗᲘ ᲦᲐᲛᲔ ᲔᲗᲛᲝᲑᲐ ᲐᲜᲓᲔᲠᲒᲠᲐᲣᲜᲓᲘᲡ DJ ᲗᲐᲚᲐᲜᲢᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝᲛᲔ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲣᲚ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲚᲔ�გᲔᲜᲓᲔᲑᲡ. ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ Craig Richards-Ი ᲓᲐ Terry Francis-Ი ᲐᲠᲘᲐᲜ.

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ ᲦᲐᲛᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ – Fabriclive ᲙᲚᲣᲑᲣᲠᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲘᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲡ, ᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲮᲣᲠᲐᲕᲘᲡ ქვეშ, ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲡᲘᲕᲠᲪᲔᲨᲘ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲘᲪᲕᲚᲔᲑᲐ ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ – ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲔᲑᲘ.

77A Charterhouse St, London EC1M 6HJ
Phone: +44 20 7336 8898

EGG LONDON

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲘᲣᲚᲐᲓ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲙᲚᲣᲑᲘ Egg London ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲛᲣᲚᲢᲘᲛᲔᲓᲘᲐ ᲡᲘᲕᲠᲪᲔᲐ. ᲮᲣᲗ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲓ ᲒᲐᲨᲚᲘᲚ ᲙᲚᲣᲑᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲪᲔᲙᲕᲐᲝ ᲡᲪᲔᲜᲐ ᲐᲥᲕᲡ. ᲦᲐᲛᲔ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ DJ-ᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲗᲐᲝᲑᲐᲡ ᲔᲗᲛᲝᲑᲐ. ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ, ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ ᲛᲖᲐᲓ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲰᲠᲔᲜᲐᲓ.
ᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲙᲚᲣᲑᲨᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲣᲞᲔᲠᲡᲢᲐᲠ DJ-ᲔᲑᲘ ᲘᲧᲠᲘᲐᲜ ᲗᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲓᲦᲘᲡ ᲬᲘᲡᲠᲘᲒᲨᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ – ᲰᲐᲣᲡᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ. ᲐᲥ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲓᲠᲝᲡᲢᲐᲠᲔᲑᲐ �გᲐᲠᲐᲜᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲘᲚᲘᲡ 9 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ. Egg Londons-Ს ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲐᲥᲕᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲔᲠᲗᲐᲠᲗᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲣᲚᲢᲘᲤᲣᲜᲥᲪᲘᲣᲠᲘ ᲐᲠᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ. ᲙᲚᲣᲑᲡ 24-ᲡᲐᲐᲗᲘᲐᲜᲘ party-Ს ᲚᲘᲪᲔᲜᲖᲘᲐ ᲐᲥᲕᲡ, ᲠᲐᲪ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲙᲚᲣᲑᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘ.

200 York Way, London N7 9AX
Phone: +44 20 7871 7111

THE ZETTER TOWNHOUSE

ᲦᲘᲐ ᲪᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲙᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ The Zetter Townhouse-Ი ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲡᲣᲚᲐᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲣᲠᲘ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲒᲔᲒᲝᲜᲝᲗ, ᲐᲠᲐᲓᲐ ᲔᲡ ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲡᲣᲤᲗᲐ ᲰᲐᲔᲠᲘᲡ ᲧᲚᲣᲞᲘᲕᲘᲗᲐᲐ ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲝᲤᲔᲠᲝᲕᲐᲜᲘ, ᲛᲘᲜᲘᲛᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲨᲘ. ᲰᲝᲚᲘ ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲘ, ᲐᲜᲢᲘᲙᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲜᲘᲕᲗᲘᲗᲝᲗ ᲘᲖᲘᲓᲐᲕᲡ ᲗᲕᲐᲚᲡᲚ. ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲠᲝᲑᲘᲗ ᲙᲘ ᲔᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔ

ლუდის მეგზური

ბრიტანული ლუდის დადუღება კეგებში – ლითონის კასრებში ხდება, სადაც მას შაქარს უმატებენ და იღებენ ცოცხალ ლუდს ნატურალური კარბონიზაციით. ბრიტანეთში ყველაზე დიდი მოთხოვნა მწარე სახეობის ლუდზეა. დღეისათვის მომწარო სახეობები ნისლიან ალბიონზე წარმოებული ელის მთელი მოცულობის 3/4-ს შეადგენს.

ძალიან მუქი, თითქმის შავი, მაგარი სტაუტის ხარშვა არტურ გინესმა დაიწყო დუბლინში XVIII საუკუნის შუაში. ლუდი გინესი, რომელიც ირლანდიის სიმბოლო გახდა, დღეს მსოფლიოს მრავალ ლუდსახარშში იწარმოება. ამ სახეობის უდიდესი პოპულარობის გამო, კასრიდან ჩამოსასხმელი ვარიანტის გარდა (რაც ელისთვის ტრადიციულია), მას უკვე ბოთლებით და ქილებითაც ყიდიან.

PORTER/STOUT
Wadworth Swordfish, Fuller's London Porter, St. Peter's Porter

პორტერი ტიპური ლონდონური ლუდია „პორტერებისთვის“ – ადამიანებისთვის, რომლებიც მძიმე ფიზიკურ შრომას ეწევიან. თავიდან ის მუქი, ღია და დაძველებული სახეობების ელის ნარევი იყო.

მოხალული ალაოსგან ცალკე პორტერის ხარშვა XIX საუკუნის შუა ხანებში დაიწყეს. სტაუტი (Stout) პორტერის უფრო მუქი ვერსიაა, რომელიც მაქსიმალურად მოხალული ალაოსგან მიიღება.

BARLEY WINE
Whitbread Gold Label, Fuller's Vintage Ale, Fuller's Golden Pride

ღვინის სიმაგრის ლუდი (8-12%). მისი ხარშვა საფრანგეთთან ომის (XVIII ს.) დროს დაიწყეს პატრიოტული მოსაზრებებით (არ შეიძლებოდა მტრის ღვინის სმა!).

ამ მაგარი ლუდის დაძველება 1,5-2 წელს მიმდინარეობს; ახასიათებს ძალზე მდიდარი ბუკეტი – ხილის, შოკოლადის, ყავის, ბალახეულისა და ყვავილების ნოტებით.

MILD ALE
Greene King XX, Timothy Taylor's Golden Best, Banks's Original

პროვინციული პაბის კლასიკური კასრის ლუდი, ყველაზე ტრადიციული ბრიტანული სახეობა, მუქი ყავისფერი ან ოქროსფერი, შოკოლადისა და ყავის ნოტებით.

მის მისაღებად სვიას ცოტას ან საერთოდ არ იყენებენ.

OLD ALE
Theakston Old Peculier, Gale's Prize Old Ale, Thomas Hardy's Ale

ეს ლუდი არის ვიქტორიანული ეპოქის წინა პერიოდის რეტრო – ელი: ველური საფუვრით, კასრში დავარგებული მრავალი თვის განმავლობაში; არც ძალიან მაგარი, არც ძალიან მუქი, ძალზე არომატული – ხილის ჩირის, ყავის, ტყავისა და კასრის თუთუნის ტონებით.

GOLDEN ALE
Exmoor Gold, Hop Back Summer Lightning

ძალიან ჰგავს ლაგერს. ეს ლუდი 1980-იან წლებში გამოიგონეს, რათა ინგლისურ ბაზარზე ლაგერის შემოჭრისთვის წინააღმდეგობა გაეწიათ.

ოქროსფერი მკვრივი ელის მისაღებად ნედლეულს ზოგჯერ ბრინჯს, სიმინდს და ბადაგს უმატებენ.

BITTER
ESB от Fuller's, Greene King Abbot Ale

ბიტერი, ფაქტობრივად, IPA-ს ნაირსახეობაა შიდა ბაზრისთვის, ღია ფერის ელზე ცოტათი უფრო მუქი და ნაკლებ დაძველებული, რომელიც XIX საუკუნის ბოლოს მოიგონეს. მის ბუკეტში აღინიშნება მწარე ბალახეულის, თხილეულის და ხილის ჩირის ნოტები.

IPA
Marston's Pale Ale, Marston's Old Empire

ის პირველად XIX საუკუნის დასაწყისში ბრიტანული არმიისა და კოლონიებისათვის დამზადდა დიდი რაოდენობით სვიის გამოყენებით, რომელიც კონსერვანტის ფუნქციას ასრულებდა: პროდუქცია ინდოეთში იგზავნებოდა და ამიტომ დიდხანს უნდა გაეძლო.

დიდ ბრიტანეთში დაახლოებით 70 000 პაბია. პაბები ისევე აუცილებელია ლუდისთვის, როგორც ლუდსახარშები (როგორც წესი, პაბებს თავად ლუდსახარშებიც ფლობენ). პაბში ლუდს ხის ან ფაიფურისგან დამზადებული და ორნამენტებით შემკული ხელის ტუმბოებით ასხამენ. მათზე მიკრულია პატარა ფირფიტები ლუდის იმ მარკების ემბლემებით, რომლებიც შეგიძლიათ შეუკვეთოთ.

ცივი, როგორც ლითონი

ჯინის გამოხდა პირველად ნიდერლანდებში დაიწყეს მე-17 საუკუნეში; მის გამოგონებას ხშირად მიაწერენ ექიმ ფრანციისკ სილვიუსს. ეს სასმელი ინგლისშიც შეიტანეს, როდესაც „დიადი რევოლუციის“ (1688 – 1689) შემდეგ ამ ქვეყნის მეფე ჰოლანდიელი გახდა.

დიდი ბრიტანეთი ჯინის ყველაზე დიდი ექსპორტიორია მსოფლიოში. ევროკავშირმა ლონდონური ჯინი უმაღლესი ხარისხის სასმელად აღიარა.

VOYAGER გირჩევთ:

ბრიტანული წარმოების საუკეთესო ჯინის ხუთეული:

HENDRICK'S

SQUARE MILE GIN

COLONEL FOX'S

THE LONDON NO.1

PORTOBELLO ROAD GIN

ჯინის დრო

ლონდონში როგორც კი კოქტეილის დალევის დრო მოაწევს, გირჩევთ, ბარ The Churchill-ს მიაშუროთ ლონდონის სასტუმრო The Hyatt Regency-ში. ღია ტერასაზე მოიკალათეთ, სიგარა გააბოლეთ, შეუკვეთეთ აქაური საფირმო ჯინით გაზავებული მარტინი და სერ უინსტონის ბრინჯაოს ქანდაკებით დატკბით, რომელსაც რატომღაც „გასაუბრება“ ჰქვია.

მალე ჯინმა ინგლისში დიდი პოპულარობა მოიპოვა. მთელ ქვეყანაში გაჩნდა ათასობით მაღაზია, რომლებიც ამ სასმელით ვაჭრობდნენ. 1740 წელს ჯინის წარმოების მოცულობამ 6-ჯერ გადააჭარბა ლუდის წარმოების მოცულობას. სიიაფის გამო (სხვა უცხოურ სასმელებზე მთავრობამ ბაჟი შემოიღო, თანაც ბაზრებში დაუშვეს დაბალხარისხიანი ხორბლის გაყიდვა, რომლითაც ჯინს აწარმოებდნენ) ის განსაკუთრებით პოპულარული გახდა ღარიბებში.

1832 წელს ვერტიკალური გამოხდის მეთოდი გამოიგონეს, მოგვიანებით კი, მე-19 საუკუნეში ლონდონური მშრალი ჯინის წარმოება დაიწყო. ასე იქცა ის უფრო პატივსაცემ სასმელად და ანგლოსაქსურ ქვეყნებში ყველაზე პოპულარული სასმელის ტიტულის პრეტენდენტიც იყო, მაგრამ საპატიო ადგილი ვისკის დაუთმო.

ჯინს სვამენ სუფთა სახით, კოქტეილების შემადგენლობაში და სამკურნალო მიზნითაც კი (კაცმა რომ თქვას, თავიდან სწორედ ამისთვის დამზადდა). ჯინის მოხმარების ყველაზე გავრცელებული მეთოდია მის საფუძველზე კოქტეილების მომზადება სხვადასხვა სიმაგრით. ყველაზე პოპულარული და ცნობილია ჯინი ტონიკით. ის ბრიტანელმა ჯარისკაცებმა მოიგონეს, რომლებიც კოლონიალიზმის დროს ინდოეთის ტერიტორიაზე მსახურობდნენ. მათ მიერ მიღებული კოქტეილი არა მარტო წყურვილის მოსაკლავად, არამედ მალარიასთან ბრძოლაშიც ეხმარებოდა ჯარისკაცებს უცხო ქვეყანაში. ტონიკი ქინაქინის საფუძველზე მზადდებოდა და შეეძლო ჯარისკაცების დაცვა მალარიისგან, მაგრამ აუცილებელი იყო ქინაქინის გემოს განეიტრალება; ჯინი კი ამისთვის შესანიშნავ საშუალებას წარმოადგენდა.

თუ გადაწყვეტთ, ჯინი სუფთა სახით დალიოთ, ჯობია, ჯერ გააცივოთ. მისატანებლად ცხელი ხორცი აირჩიეთ – ეს ტრადიციული ინგლისური ვარიანტია. როგორც წესი, ჯინს კოქტეილების შემადგენლობაში უფრო იყენებენ, რასაც ყველა ბარმენი წარმატებით აკეთებს. კოქტეილებში ჯინი შესანიშნავად ეხამება ვერმუთებს, ლიმონს, ზეთისხილს, ხილის წვენებს და კოლასაც კი. ძირითადად, ჯინს ჭამის წინ სვამენ, როგორც აპერიტივს.

ჯინის დაღევის შემდეგ პირში ძლიერი ცივი გემო რჩება. ამ აღკოჰოლური სასმელის სიმაგრე 37,5 %-ზე ნაკლები არასდროს არის (1960-იან წლებში ევროპამ კანონიც კი მიიღო, რომლის თანახმადაც, ჯინის სიმაგრე 37,5%-ზე ნაკლები არ შეიძლება იყოს). ჯინი მზადდება ხორბლის სპირტის გამოხდის გზით, რომელსაც სუნელებს უმატებენ: ღვიის კენკრა, ქინქი, ანგელოზა, ირის ფესვი, ნუში და სხვ. კარგად მომზადებულ ჯინს აქვს ძალზე მშრალი ჰარმონიული გემო, მაკაფრი ხასიათი და ღვიის მაკაფიო გემოს ტოვებს.

პაბი ბრიტანელებისათვის არა მხოლოდ ლუდის დასალევი ადგილი, არამედ ერთგვარი კლუბია – მეგობრებთან შეხვედრების, საინტერესო თამაშებისა და ხანგრძლივი საუბრებისათვის.

პაბი ტრადიციული ინგლისური ყოფა-ცხოვრების ერთგვარ ინსტიტუტად იქცა. დასახელება პაბი სიტყვათშეთანხმება public house-იდან მოდის.

ტავერნა, სადაც ღვინოსა და საჭმელს ერთად მოგართმევდნენ, ინგლისში რომაელების კვალდაკვალ დამკვიდრდა, თუმცა ასწლეულების შემდეგ ღვინო ძვირადღირებულ სიამოვნებად იქცა, ამიტომ მე-16 საუკუნიდან ტავერნებში უკვე ელს მიირთმევდნენ. ინდუსტრიალიზაციის ეპოქაში ტემზის წყალიც დასალევად უვარგისი გახდა და სწორედ მაშინ დაიწყო პაბების ნამდვილი აყვავება.

პაბების ინტერიერი ძალიან ჰგავს ერთმანეთს: ხის მძიმე ავეჯი, დიდი სარკეები, ძველი ჭაღები, სურათები მოოქრულ ჩარჩოებში, ტორშერები, მომრგვალებული ბარის დახლები დარბაზის შუაგულში, დიდი ეკრანი ფეხბურთის, რაგბისა თუ კრიკეტის საყურებლად.

პაბში უმთავრეს სასმელად სხვადასხვა სახეობის ლუდი მიიჩნევა, თუმცა აქვე შეგიძლიათ მიირთვათ ვისკი, ღვინო, შამპანური, ხილის სიდრი და ა. შ.

ყველა პაბში ერთი ულუფა (0,56 ლ) ლუდის, 50გ ვისკისა თუ ჭიქა ღვინის ფასი 3-იდან 5 ფუნტამდე მერყეობს, ერთი თავი კერძი კი 5-10 ფუნტი ღირს.

ფეხბურთის ან რაგბის მატჩის ტრანსლაციის დროს პაბში თავისუფალი ადგილის პოვნა გაგიჭირდებათ. შეკვეთა დახლთან უნდა მისცეთ, ფულიც მაშინვე უნდა გადაიხადოთ.

საზოგადოდ, პაბებში ზედმეტი გასამრჯელოს დატოვება მიღებული არ არის; ზოგჯერ ბარმენები ხურდას ლანგარზე დადებულს გიბრუნებენ, თუმცა მაინც თქვენი გადასაწყვეტია, მოჰკიდებთ ამ ფულს ხელს, თუ იქვე დატოვებთ.

ლონდონის პაბებში არ ეწევიან, ამისთვის ქუჩაში უნდა გამოხვიდეთ. კერძები კი მხოლოდ საღამოს 9-10 საათამდე შეგიძლიათ შეუკვეთოთ.

CAMPAIGN FOR REAL ALE-ის მონაცემებით, დიდ ბრიტანეთში 52 750 პაბია.

THE ROYAL OAK

პატარა, ორდარბაზიანი და ძალიან მყუდრო პაბი ხანგრძლივი საუბრებისა და მეგობრული თავშეყრისათვის საუკეთესო ადგილია.

სტუმრებს ყველაზე მეტად იზიდავს სასექსის ლუდსახარშის, Harveys-ის საუკეთესო ელი. ზამთარში მენიუს ცხელი სასმელებიც ემატება.

44 Tabard St, London

THE HAND AND FLOWERS-ი მსოფლიოში პირველი პაბია, რომელმაც მიშლენის ორი ვარსკვლავი დაიმსახურა.

126 West St, Marlow

PROSPECT OF WHITBY

ეს ლონდონის უძველესი პაბია, რომელიც 1520 წელს გაიხსნა. მას ოდესღაც „ეშმაკის ტავერნა“ ეწოდებოდა, რადგან ქალაქგარეთ, ნავმისადგომთან მდებარეობდა და საეჭვო რეპუტაციის ხალხს იზიდავდა; იმდროინდელი ინტერიერიდან მხოლოდ ქვის იატაკია შემორჩენილი.

მე-18 საუკუნეში, ხანძრის შემდეგ, მფლობელებმა გადაწყვიტეს, პაბის რეპუტაცია გაეუმჯობესებინათ: შენობა გადააკეთეს და მას Prospect of Whitby დაარქვეს იმ ხომალდის პატივსაცემად, რომელმაც ის-ის იყო ტემზის ნაპირთან ღუზა ჩაუშვა. პაბის ინტერიერი გაფორმებულია ბაგირებით, ანძის ფარნებითა და შტურვალით, ღია ტერასიდან კი სანაპიროს ხედი იშლება.

57 Wapping Wall St, Katharine's & Wapping, London

THE LAMB AND FLAG

ლონდონის რამდენიმე პაბი ერთმანეთს მეტოქეობას უწევს უძველესის ტიტულის მოსაპოვებლად. The Lamb and Flag-ი ერთ-ერთი მათგანია, თუმცა ის კოვენტ გარდენში მაინც ყველაზე ძველია. ლიცენზია ალკოჰოლის გაყიდვაზე მფლობელებმა 1623 წელს მიიღეს.

წარსულში პაბს „სისხლიანი სათლიც“ კი დაარქვეს, რადგან აქ ხშირად აყალმაყალს ტეხდნენ ქუჩის მძარცველები, ბანქოს მოთამაშენი, შულერები თუ დაქირავებული მკვლელები.

ამჟამად პაბი „ღირსეული რეპუტაციის“ მქონე ხალხმრავალი ადგილია. ფიჭვის იატაკი, ჭერის ორიგინალური გადახურვა ინტერიერს მიმზიდველსა და საინტერესოს ხდის.

33, Rose St, Covent Garden, London

ტრადიციულად, პაბი ღიაა დღის 12-იდან ღამის 11 საათამდე (ორშაბათი-ხუთშაბათი), ზოგიერთი პაბი (პარასკევი-შაბათი-კვირა) – ღამის 12 საათამდე. ამ დროს ბარმენი სპეციალურ ზარს ჩამოკრავს – პაბი იკეტება.

NAGS HEAD

ამავე დასახელების ერთგვარად სახელგატეხილ, ავყია ბიჭების თავშეყრის ადგილში არ აგერიოთ – აქაურობა უფრო სოფლურ დაბალჭერიან ძელურ ქოხს მოგაგონებთ, სადაც უამრავი ძველებური იშვიათობა და ბლომად ელი დაგხვდებათ.

53 Kinnerton St, London

PRINCE ALFRED

მოჩუქურთმებული წითელი ხით გაწყობილი სარკეებიანი დარბაზი ვიქტორიანული ყაიდის ამ პაბს მთელი ჩრდილო-დასავლეთი ლონდონის ერთგვარ ღირსშესანიშნაობად აქცევს.

5A Formosa St, London

CARPENTERS ARMS

ერთ დროს განგსტერი ტყუპი ძმის, რონი და რეჯი კრეის საკუთრებაში მყოფი ეს პაბი ბრიქლეინის სიახლოვეს მდებარეობს.

ის უკვე გათავისუფლდა თავისი პირქუში წარსულისგან და ამჟამინდელი გულღია მასპინძლები დღეს ინგლისური ელის ორმოცდაათი სხვადასხვა სახეობის ფართო არჩევანს გთავაზობენ.

73 Cheshire St, London

YE OLDE CHESHIRE CHEESE

ლონდონის მატიანე იუწყება, რომ ამ ადგილას 1538 წელს Horn Tavern-ი გაიხსნა. 1666 წლის ხანძრის შემდეგ აღდგენილი ტავერნა თანდათანობით პოპულარული გახდა და სახელიც შეიცვალა. Ye Olde Cheshire Cheese მწერლებსა და ინტელექტუალებს იზიდავდა. მას ჩარლზ დიკენსი, არტურ კონან-დოილი, ოსკარ უაილდი და მარკ ტვენი სტუმრობდნენ. აქ შეგიძლიათ ალკოჰოლთან ერთად ტრადიციული საუზმეულიც მიირთვათ.
პაბში ჩინებული ატმოსფეროა: გაპრიალებული ხის დახლები, იდუმალი თაღები (ჭერი მე-13 საუკუნის კარმელიტების მონასტრის შენობიდან შემორჩა) და ბუხარი, რომელიც სიმყუდროვის განწყობას ქმნის.

48, Crutched Friars, London

THE SPANIARDS INN

ჯერ კიდევ მე-18 ს-ში ეს პაბი ქალაქგარეთ მდებარეობდა, ლონდონიდან 2 საათის სავალზე. ის ახლა ქალაქის ნაწილია, თუმცა დღემდე აქ გარეუბნის ატმოსფერო გამეფებულა. პაბს დიდი მწვანე ბაღი ამშვენებს, სადაც ლუდის კათხით ჯდომა სიამოვნებას მოგანიჭებთ. აქაურ საჭმელზე ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებები არსებობს, თუმცა შესაძლოა კერძები თქვენი გემოვნების შესაბამისი აღმოჩნდეს. გაითვალისწინეთ, რომ აქ ძაღლებთან ერთად შესვლა ნებადართულია.

Spaniards Road, Hampstead, London

სენტიმენტალური მოგზაურობები არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ფიზიკური გადაადგილება სივრცეში. რახანია ექსპერიმენტების გზით დამტკიცდა, რომ ყურმოტეხილმა ჭიქამ შეიძლება უფრო შორეულ სივრცესა და დროში გადაგისროლოს, ვიდრე ნებისმიერმა სატრანსპორტო საშუალებამ. პორტობელოს ქუჩაზე ადამიანები არა მხოლოდ ბებიების ნაქონი ვერცხლის კოვზებისა და ქვებდაკარგული საყურეების საძებნელად მოდიან, არამედ რაღაც საკუთარის, დაკარგულის აღმოსაჩენად. აბა, მაშინ რა გესაქმება ასობით ხან პირდაპირ ძირს, ხან კი ძველ მაგიდაზე გაშლილ სახელდახელო დახლთან, რომელიც ათასი წვრილმანითაა სავსე?!

აქ იყიდება ნამდვილად ანტიკვარული ავეჯიც, საოცარი ქსოვილებიც, ძველი თვითმფრინავების დეტალებიც და მკვდარი პეპლების ფრთებიც, მაგრამ მთავარი სწორედ ისაა, აღმოჩენის ბედნერება!

PORTOBELLO

ტურისტების ეს ფავორიტი მისამართი ძალიან უყვართ ლონდონელებსაც.
Portobello Road-ის ბაზრად ჩამოყალიბება მე-19 საუკუნეში დაიწყო, თუმცა თავისი ანტიკვარებით1950წლიდანგაითქვასახელი. ვინტაჟური ბაზარი 1000-ზე მეტი დახლით მასპინძლობს დამთვალიერებელს. ანტიკვარული ნივთები, პოსტერები, ვინტაჟური ტანსაცმელი პორტობელოზე უამრავ ადამიანს უყრის თავს.

აქ წასვლას შაბათ დღეს გირჩევთ, როდესაც არსებული მაღაზიების გარდა, კერძო კოლექციონერებსაც გამოაქვთ გარეთ თავიანთი დახლები, თუმცა მაღაზიები პორტობელოზე სხვა დღეებშიც ღიაა.

Portobello Road, London
მეტრო: Ladbroke Grove ან
Notting Hill Gate

CAMDEN

ეს არის open-air-ის ტიპის ბაზრის ტერიტორია ჯიხურებით, მაღაზიებით, პაბებითა და რესტორნებით. ისტორიული ბაზრის დახლები განლაგებულია ლონდონის არხის ისტორიული ჩამკეტის გარშემო. აქ ყიდიან ყველაფერს: ხელნაკეთ და ინტერიერის ნივთებს, ტანსაცმელს. გარშემო სეირნობა საუკეთესო საშუალებაა, რათა იგრძნოთ Camdenis-ის უნიკალური ვიბრაცია, სუბკულტურების ეკლექტიკური მიქსი და თანაცხოვრება საერთო მიზნებისთვის.

შაბათ-კვირას „გამდენს“ საშუალოდ 100 000 დამთვალიერებელი აკითხავს.

56-56 Camden Lock Place
მეტრო: Camden Town

SPITALFIELDS

ამ ადგილას ბაზარი 350 წელია არსებობს. Spitalfields Market-ი ადგილობრივებისთვის დროის გასატარებლად პოპულარული ადგილია.

აქ ყიდიან ყველაფერს, მოდური ტანსაცმლით დაწყებული, ხელოვნების ნიმუშებით დამთავრებული.

The Saturday Style Market-ზე შოპინგი მოდის მოყვარულთათვის განსაკუთრებული დღეა, როცა შეიძლება ჯერ კიდევ უცნობი, თუმცა ძალიან ნიჭიერი დიზაინერის მიერ შექმნილი ახალი ტანსაცმელი მოძებნო.

Brushfield St E1 6AA
მეტრო: Liverpool St Station

CABBAGES & FROCKS

ბაზარი ლონდონის პოპულარული მოდის კვირეულის ორგანიზატორების დაარსებულია. აქ მოდისა და გემრიელი ნატურალური პროდუქტების არაჩვეულებრივ კომბინაციას იხილავთ: ყიდიან ვინტაჟურ ტანსაცმელს და ხელნაკეთ ნივთებს, რომლებსაც გამოფენენ თვითონ ხელოსნები, თერძები, სხვადასხვა ტექსტილის მქსოველები.

გირჩევთ, აქვე დააგემოვნოთ უგემრიელესი ზეითუნის ზეთი პურთან და ყველთან ერთად, ან სახლისთვის იყიდოთ. საინტერესო გამოცდილებას შეიძენთ, თუ აქაურ შემწვარ ღორის ხორცს მიირთმევთ.

St Marylebone Parish Church grounds
მეტრო: Baker St

2030 წელს ლონდონის მოსახლეობა უკვე 10 მლნ-ს მიაღწევს, თუმცა ქალაქი ჯერაც არაა სრულად გადართული სუპერმარკეტებზე. ძალიან პოპულარულია ტრადიციული ბაზრები – როგორიცაა, მაგალითად, სმიტფილდის ცნობილი ხორცის ბაზარი ფარინგდონში, ანდა თევზის ბაზრობა ბილინგზგეითში. ამათ გარდა, ლონდონში კიდევ ბევრი ბაზარი იზიდავს ეორფა პროდუქტის მოყვარულებს.

BOROUGH

ეს ადგილი ჯერ კიდევ მე-18 საუკუნიდანაა ცნობილი, როგორც ქალაქის ერთ-ერთი მთავარი სავაჭრო ცენტრი. თავის დროზე ის ნატურალური გაცვლა-გამოცვლის ასპარეზი იყო, ახლა კი საკვები პროდუქტების სხვადასხვა მწარმოებელთა საქმიანობის გამოსაცდელ ალაგად იქცა. ასზე მეტ დახლზე უამრავი საქონელია გამოფენილი: ცხელ-ცხელი პურის, სხვადასხვა სახის შინაური მარინადის თუ ახალდაკლული ხორცის სუნი ყნოსვას საამოდ აღიზიანებს; აქვეა ათასგვარი აღმოსავლური წასახემსებელი, უგემრიელესი ნამცხვრები და უტკბილესი სასუსნავი. საკითხავი მხოლოდ ისაა, რამდენს გასწვდება თქვენი მადა...
აქ სამი დახლია, სადაც უთუოდ უნდა შეჩერდეთ: ბრინდიზა მხოლოდ ესპანურ სამზარეულოს მოიცავს, ჯინჯერფიგი – ეს-ესაა პირდაპირ საყასბოდან მოტანილ ძეხვეულს, კაპაკასეინი – მდნარი ყველის შეუდარებელ სენდვიჩებს.

BOROUGH MARKET
8 Southwark St, London
ღიაა:
ორშაბათი-ხუთშაბათი – 10:00-17:00;
პარასკევი-შაბათი – 08:00-17:00

GREENWICH

გრინვიჩი ბევრი რამითაა ცნობილი: აქ მდებარეობს სამეფო ობსერვატორია თუ ეროვნული საზღვაო მუზეუმი. ერთ დროს სწორედ აქედან გადიოდა ზღვაში ლონდონის სავაჭრო გემები (ამიტომაცაა, რომ დროის სტანდარტი სწორედ გრინვიჩიდან აითვლება). თუმცა, ამ ყველაფრის გარდა, გრინვიჩი დიდი დახურული ბაზრითაცაა საქვეყნოდ ცნობილი. ეკლექტიკური ბაზარი ლონდონის უბან Greenwich Village-ში ლონდონის ამ ნაწილის მსგავსად ისტორიულია და 1700 წლიდან მოჰყვება ქალაქს. დღეისათვის ის მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნაწილია და შესანიშნავი ადგილი, რომ თან გაერთოთ, თან კი ლონდონის ისტორიის ნაწილად იქცეთ. აქ შეიძენთ ანტიკვარებს, ძველ წიგნებს, ექსცენტრიკული დიზაინის ჩანთებს და პატარა ხელნაკეთ ნივთებს.

5B Greenwich Market SE10 9HZ
მეტრო: Liverpool St

სამზარეულოების ფართო ასორტიმენტი და განსხვავებულობა სწორედ ამ დიდი ქვეყნის ეროვნულმა მრავალფეროვნებამ განაპირობა: უკვე 48 რეგიონულ კერძს აქვს „დაცულის“ სტატუსი. მათ შორისაა ბატკანი უელსურად, მელტონ-მოუბრეის ნამცხვარი, კენტური ელი, კორნუოლური ნაღების ნაწარმი და უიტსტეგელური მოლუსკები.

MALTBY STREET

სამხრეთ-აღმოსავლეთი ლონდონის ეს ერთ დროს ზეთით გაპოხილი გარაჟებისა და საწყობების ადგილი ახლა პირის გემოს მქონე ხალხის ოცნებადაა ქცეული. მართალია, ძველი დროიდან შემორჩენილი თაღოვანი კამარები აქაურობას კვლავ უნარჩუნებს ერთგვარ ინდუსტრიულ იერს, მაგრამ ახლა მაინც ყველაფერი სხვაგვარადაა: მიჯრით ჩარიგებული დახლები ათასნაირ ნუგბარს სთავაზობენ გემრიელი საკვების მოყვარულებს – იქნება ეს თაფლი თუ ადგილობრივი წარმოების შვეიცარიული ყველი, გოსნელის თაფლის არაყი, ჰერმან გერმანის პაშტეტები თუ ტოპოლსკისეული ძეხვეული.

KING DAVID

კომპლექსი სრულდება 2016 წლის დეკემბერში



King David Residences

ეჰ ცხოვრების ხარისხი ახალ მნიშვნელობას იძენს

www.kdr.ge
sales@kdr.ge
მერაბ ალექსიძის 12,
0171 თბილისი, საქართველო
+995 322 001818

ინფრასტრუქტურა :

საცურაო აუზი, ფიტნეს ცენტრი, სპა ცენტრი, სილამაზის სალონი, ბალი, რესტორნები, ღვინის მარანი, ოთახი შეხვედრებისთვის, ყვავილების მაღაზია, ბავშვთა ოთახი, პარკინგი

სერვისები :

რეცეფცია, კონსიერჟი, შვეიცარი, "Room Service", დაცვა 24 / 7, ტექნიკური პერსონალი 24 / 7, სამედიცინო პუნქტი, დასუფთავების სამსახური, სამრეცხაო / ქიმწმენდა, შინაური ცხოველების მოვლა, ფლორისტი

ლონდონის მოდის კვირეული მსოფლიოს უდიდეს ოთხ მოდის კვირეულში (მილანის, ნიუ-იორკის, პარიზის და ლონდონის) შედის. აქ პოდიუმზე იხილავთ მსოფლიოს საუკეთესო დიზაინერების ნამუშევრებს. წელს ჩვენება 16-20 სექტემბერს იმართება.

ლონდონის ღია სახლი ყოველწლიური, საოცრად პოპულარული, არქიტექტურის ფესტივალია, რომელიც **17-18 სექტემბერს** იმართება. ფესტივალის ფარგლებში პუბლიკისთვის აქამდე დახურული ასობით შენობა იღება – დამთვალიერებლებს შეუძლიათ ნახონ კერძო სახლები, სახელმწიფო შენობები, ისტორიული ნაგებობები, საგანმანათლებლო დაწესებულებები და მრავალი სხვა.

გრანდ დიზაინ ლაივი (Grand Designs Live) 19-23 ოქტომბერს ტარდება ბირმინჰემის NEC-ში. შოუ გთავაზობთ დიზაინის, სახლის ინტერიერის ბოლოდროინდელ ტენდენციებს.

Trooping the Colour-ი დედოფლის დაბადების დღის აღსანიშნავი ყოველწლიური დღესასწაულია. ამ დღეს იმართება დედოფლის საპატივცემულო აღლუმი, რომელშიც მისი პირადი ჯარი და სამეფო კარის დივიზია მონაწილეობს.

London Film & Comic Con-ისთვის იღება ლონდონის ოლიმპია, სადაც შანსი გეძლევათ, შეხვდეთ ცნობილ ტელე თუ კინოვარსკვლავებსა და კომიკოსებს. შეგიძლიათ მათთან ერთად გადაიღოთ ფოტოები, გაესაუბროთ, აიღოთ ინტერვიუები.

პრომსო – ფორმალურად მას „ბიბისის პრომსს“ ან ჰენრი ვუდის სასეირნო კონცერტებსაც უწოდებენ. ეს არის რვაკვირიანი მუსიკალური სეზონი ყოველდღიური საორკესტრო კლასიკური მუსიკის კონცერტებით და სხვა ღონისძიებებით. პრომსო ყოველწლიურად იმართება აგვისტოში, ძირითადად, ლონდონის „როიალ ალბერტ ჰოლში“.

პორტობელოს კინოფესტივალზე 700-ზე მეტ ახალ ფილმს აჩვენებენ, რომელთა შორის არის დოკუმენტური, მხატვრული, მუსიკალური, მოკლემეტრაჟიანი და ანიმაციური ფილმები. წელს ფესტივალი **1-16 სექტემბერს** ჩატარდება.

იდეალური სახლის შოუზე, რომელიც ყოველწლიურად ტარდება ოლიმპიაში, სახლისთვის მსოფლიოს საუკეთესო მოწყობილობებს წარმოადგენენ. აქ ყველაფერს ნახავთ, რაც შეიძლება სახლისთვის გამოსადეგი იყოს, დაწყებული სამზარეულოს, საძინებლის, მისაღები ოთახის მოწყობილობებიდან, დამთავრებული საყოფაცხოვრებო ტექნიკითა და სხვა აპარატურით.

ლონდონის დიზაინის ფესტივალი საზოგადოებას გამორჩეულ ნამუშევრებს წარუდგენს, როგორც ძველს, ისე თანამედროვეს: წამყვან ბრიტანელ შემოქმედთა – პოლ სმითის, მარკ ქოლინგერის, ტომ დიქსონის და ზაჰა ჰადიდის მიერ შექმნილ გასაოცარ გოლფის მოედანს ტრაფალგარზე, ასევე, მოძრავ ლითონის ლენტს V&A-ს გობელენის გალერეაში.

Bloomsbury ყოველწლიური ფესტივალია, რომელიც პერფორმანსების, ცოცხალი მუსიკის და ამ მიდამოებში არსებული მდიდარი მემკვიდრეობის აღსანიშნავი საზეიმო ღონისძიებებისგან შედგება. 2016 წლის თემაა „ენა“ და ფესტივალში ეს თემა მრავალგვარი ფორმით იქნება წარმოდგენილი.

ლონდონის ჯაზის ფესტივალი წელს ნოემბერში გაიმართება. მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ჯაზ-ფესტივალი 10 დღეს გრძელდება და ცნობილია თავისი მრავალფეროვანი პროგრამით, რომელიც მოიცავს კონცერტებს, კლუბურ მუსიკას, საუბრებს და სწავლებებს.

Hackney One Carnival – 11 სექტემბერს ჰექნიში ცოცხალი, ხმაურიანი საკარნავალო აღლუმი აავსებს ქუჩებს. ბუმბულებიან, ბრჭყვიალა ფრთებით შემკულ კოსტიუმებში გამოწყობილი მოცეკვავეები პან ბენდების ფოლადის დარტყმის რიტმში იცეკვებენ. ჰენქის მოედანი კი ახალგაზრდა მუსიკოსებს უმასპინძლებს.

ლონდონის ყვავილების შოუ 8-11 სექტემბერს, დილის 11 საათიდან გელოდებათ ოსტერლის პარკში, სადაც ბაღების, ყვავილების და მცენარეების ოთხდღიანი ფესტივალი გაიმართება. აქვე იხილავთ 20 საჩვენებელ ბაღს, სავაჭრო სტენდებს, ყვავილების გამოფენებს, ბავშვებისთვის მიძღვნილ სივრცეს.

Carnaval del Pueblo ლათინოამერიკული კულტურის უდიდესი დღესასწაულია ევროპაში, რომელიც ლონდონის ბარგეს პარკში ტარდება აგვისტოს პირველ კვირას. კარნავალი წარმოადგენს ეგზოტიკური კოსტიუმების, მუსიკოსების, მოცეკვავეების საოცარ სანახაობას. მონაწილეები მიემართებიან ლონდონის ხიდის გავლით, ბოროუ ჰილ სთრითზე, გაივლიან უოლვორთ როუდს და ბარგეს პარკამდე მიდიან. ღონისძიებაში შერწყმულია ლათინოამერიკული კულტურის ელემენტები, რომლებიც საცეკვაო რიტმებში, მუსიკაში, საჭმელში ვლინდება. მუსიკოსები მთელი დღის განმავლობაში პარკის ოთხ სცენაზე გამოდიან.

ლონდონის ნავების შოუ ყოველწლიურად იანვარში იმართება და ფანტასტიკური სანახაობას გპირდებათ უამრავი ნავითა და გასართობი წარმოდგენებით ExCeL London-ის მთელ ტერიტორიაზე.

დაიმახსოვრეთ **5 ნოემბერი**: აუცილებლად აღნიშნეთ **კოცონების ღამე** ლონდონის საოცარი ფეიერვერკების ყურებით! ეს ბრიტანული ტრადიცია 1605 წელს, თოფისწამლის შეთქმულების დროს იღებს სათავეს, როცა კათოლიკე კონსპირატორმა გაი ფოუკესმა პარლამენტის შენობებისა და მეფე ჯეიმს I-ისთვის ცეცხლის წაკიდება სცადა. ფოუკეს დაჭერის წლისთავი ყოველწლიურად 5 ნოემბერს აღინიშნება ფეიერვერკებით და კოცონებით.

თუ გიყვართ გრილზე შემწვარი ხორცი, ხმამაღალი მუსიკა და ლუდი, მაშინ **5-6 სექტემბერს GRILLSTOCK-ზე** უნდა იყოთ. დაგემოვნეთ შებოლილი ნეკნები ცოცხალი მუსიკის თანხლებით, შაბათ-კვირას კი მოუსმინეთ მუსიკას 25-ზე მეტი ბენდის შესრულებით, დაესწარით ბარბექიუს შეჯიბრს. თუ სათანადო მონაცემები გაქვთ, მონაწილეობა მიიღეთ ჰოთ-დოგის ჭამის შეჯიბრში.

ლონდონის ოლიმპიაში 14-16 ოქტომბერს აღინიშნება მსოფლიოში ცნობილი შოკოლადის ფესტივალი. იზეიმეთ შოკოლადი მისი ყველა ფორმით – ტრიუფელი, ნამცხვარი, ნაყინი, კოქტეილი, სკულპტურა. გაიმართება ტესტირებები, მასტერკლასები და საყოველთაოდ ცნობილი მოდის ჩვენება.

წმინდა პატრიკის დღის აღლუმი თვალწარმტაცი სანახაობაა. მონაწილეები პიკადილისკენ მიემართებიან, გაივლიან ლონდონის ღირსშესანიშნავ ადგილებს, „რიგის“, პიკადილის წრის, ტრაფალგარის მოედნის ჩათვლით, და უაითჰოლამდე ჩადიან.

წმინდა პატრიკის დღის ფესტივალი კი ტრაფალგარის მოედანზე იმართება. ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო ირლანდიური დღესასწაული, რომელიც მოიცავს ბაზრობას, კომედიისა და ფილმების ფესტივალს, მუსიკალურ თუ საცეკვაო შოუებს. შეგიძლიათ ეწვიოთ ლონდონის ირლანდიურ პაბებს და ბარებს, სადაც დაგემოვნებთ ტრადიციულ ირლანდიურ სასმელებს და კარგად გაერთობით.

სარეის საგრაფოში Mercedes-Benz World-ის გამოფენაზე მთელი ოჯახისთვის იპოვით რამე საინტერესოს. შეგიძლიათ, მსოფლიოში პირველ ბრუკლენდის წრიულ სარბოლო ტრასაზე ისწავლოთ მანქანის ტარება. ეწვიეთ მსოფლიოში ცნობილ ტრეკს ნორთგემფტონშირის საგრაფოში, რომელიც 1949 წლიდან ფუნქციონირებს.

უიმბლდონის ტურნირის ისტორია 1877 წლიდან იწყება, როცა პირველი შეჯიბრი გაიმართა. ეს არის დიდი სლემის ტურნირი ჩოგბურთში, რომელსაც მილიონობით მაყურებელი და გულშემატკივარი ჰყავს მთელ მსოფლიოში. ის ინარჩუნებს მრავალ ძველ ტრადიციას, მაგალითად, როგორიცაა: მონაწილეთა მკაცრი დრესკოდი, მარწყვისა და ნაღების ჭამა და სამეფო პატრონაჟი. როგორც წესი, დედოფალი აუცილებლად სტუმრობს უიმბლდონის ორკვირიან შეჯიბრს. ტურნირი ყოველწლიურად იმართება, **ივნის-ივლისში.**

გრინვიჩის მაღალი გემების ფესტივალზე 14-18 სექტემბერს 50-მდე მაღალანძიანი გემს იხილავთ ტემზის აღმოსავლეთ ბოლო ნაწილში. ეს არის შანსი, წარმოიდგინოთ, რამდენად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო ტემზა, როგორც სავაჭრო გზა. გახდით სუნთქვის შემკვრელი სანახაობის მონაწილე, როცა ნაპირიდან დააკვირდებით ამ უზარმაზარი გემების ცურვას წარსულიდან.

თუ სისწრაფე გიყვართ, **გუდვუდის სისწრაფის ფესტივალს** უნდა ესტუმროთ, რომელიც დასავლეთ სასექსის გუდვუდ ჰაუსის ძველებურ მამულში ტარდება. შეგიძლიათ შეხვდეთ „ფორმულა-1“-ის დღევანდელ ვარსკვლავებს, ისიამოვნოთ სანახაობით და გაიგოთ უახლესი ტექნოლოგიების შესახებ; ისეირნოთ კოთსუოლდის გარეუბნებში კლასიკური ავტომოდელით, იქნება ეს MGB თუ „E“ კლასის ან მინი „იაგუარი“ . აუცილებლად გაიარეთ მანძილი ბროდვეიდან სთოუნ-ონ-ველდამდე – სწორედ ეს გზა შევიდა დიდი ბრიტანეთის საავტომობილო გზების ათეულში.

სრულიად ტემზის ყოველწლიური ფესტივალი სექტემბერში დაამშვენებს მდინარე ტემზის ნაპირებს. დაივიწყეთ ნავით ჩვეულებრივი გასეირნების შესახებ და დაელოდეთ ტემზის ფესტივალს თავისი სახელოვნები ჩვენებებით, რეგატებით, მდინარეზე შეჯიბრებებით, სანაპირო არქეოლოგიითა და გარემოს დაცვის აქტივობებით.

ცხენების საერთაშორისო შოუ ყოველწლიურად იმართება ლონდონის ოლიმპიაში და შობის აღსანიშნავ საუკეთესო წარმოდგენად ითვლება. **წელს შოუ 13-19 დეკემბერს** მოეწყობა და წარმოდგენილი იქნება თითქმის ყველა სახეობის საცხენოსნო შეჯიბრები: ჭენება, ხტუნვა, ცხენების გახედვნის ხელოვნება.

ლონდონის მარათონი Virgin Money London Marathon არის შეჯიბრი გრძელ დისტანციაზე სირბილში და მსოფლიოს მთავარი მარათონის ნაწილს წარმოადგენს. **2017 წელს** ლონდონის მარათონი **23 აპრილს** გაიმართება.

რუბრიკის ავტორი:
მზია ჩიხრაძე

ინგლისური არქიტექტურის გრამატიკა

უესთმინსთერის სასახლე

პარლამენტის შენობა (1840-70); არქიტექტორები: ჩარლზ ბერი და ოგასტეს პიუჯინი

ნიკა ჩხაიძე

ბრექსიტის მოვლენებმა კიდევ ერთხელ შეგვახსენა ბრიტანული ხასიათის თავისებურებები. ყველა ამაზე ლაპარაკობდა: ზოგი კრიტიკულად აფასებდა ამ ფენომენს, ზოგიც, პირიქით, სწორედ მასში ხედავდა ბრიტანეთის გამორჩეულობისა და წარმატებულობის საფუძველს. გადავწყვიტე, არქიტექტურისთვისაც ამ რაკურსით შემეხედა და მასში ასახული ბრიტანული ხასიათი დამენახა.

„სახლი ყოველი ჩვენგანისთვის კოშკი და ციხესიმაგრეა, რათა ზიანისა და ძალმომრეობისაგან თავი დავიცვათ, ის ჩვენი თავშესაფარია, ხოლო ადამიანის სიცოცხლე აღმატებული ღირებულებაა და მას კანონი იცავს“, – ბრიტანელი პოლიტიკური მოღვაწის, ედვარდ კოკის ციტატა ნათლად ასახავს ბრიტანელების დამოკიდებულებას როგორც საკუთარი სახლისადმი, ისე, ზოგადად, კუნძულებისადმი. სახლი კომფორტით აღჭურვილი ციხესიმაგრეა! ასევეა მთელი ბრიტანეთიც. იქ უცხო, გარედან მოსული, არ უნდა „შეიპაროს“ – განსაკუთრებით კონტინენტიდან!

ეს პრინციპი ნათლად იკითხება ბრიტანეთის დედაქალაქის ურბანულ სტრუქტურაში. ლონდონი ორი ცენტრის – უესთმინსთერის სასახლისა და სითის გარშემო გაშენდა, მაშინ როცა სხვა ევროპული ქალაქები წინასწარ დაგეგმარებული მონუმენტური ღერძებისა თუ შუასაუკუნეების ისტორიული ცენტრების ირგვლივ ვითარდებოდა. ლონდონი მუდამ რჩებოდა ციტატაში გამოხატული მოსაზრების ერთგული.

ქალაქი, კომფორტული და, ამავე დროს, უსაფრთხო საცხოვრებლის შექმნის მიზნით, უბან-უბან იკვრებოდა. სახლების შესაბამისი განლაგების შედეგად კვარტალი წარმოიქმნებოდა, რომლის ცენტრში აუცილებლად მოედანი (Square) უნდა ყოფილიყო. მისი ჭიშკრის გასაღები მხოლოდ მეზობლებს ჰქონდათ, რაც ერთდროულად უზრუნველყოფდა როგორც საჯაროობას, ისე დაცულობას.

ქალაქი დაგეგმარებული და მონუმენტური მთლიანობა კი არა, არამედ საცხოვრებელი უბნების (შიდა სივრცეების) მიჯრით განვითარების შედეგია. ამიტომაც ლონდონი, ისევე როგორც ბრიტანეთის სხვა დასახლებები, სწორედ „საცხოვრებელი“ ქალაქია. მიუხედავად მიწის კატასტროფულად მაღალი ფასისა, ლონდონმა შეინარჩუნა სრულიად ჰაერივანი მასშტაბი; ამ ქალაქში გადაადგილების დროს არქიტექტურა არ გთრგუნავს და ცხოვრება სასიამოვნოა.

1

2

არქიტექტურული მიმდინარეობები და მათი შემოქმედნი

სხვა ევროპული ქვეყნების მსგავსად ბრიტანეთიც იზიარებდა და ავითარებდა სხვადასხვა დროის არქიტექტურულ მიმდინარეობებს, თუმცა ამ შემთხვევაშიც ისევ და ისევ თავისებურებებმა იჩინა თავი. ჩვენც ბრიტანელების მიერ შექმნილ თანმიმდევრობას გავყვეთ, ოღონდ „ზემოდან ქვემოთ“: მომავლის არქიტექტურაზე – უახლეს სტილზე ამჯერად არ ვისაუბრებთ. ომის შემდგომი პერიოდი ანუ რეკონსტრუქციის ხანა კლასიკური მოდერნიზმის ნიმუშებით არის საინტერესო. ის თანამედროვე ლონდონის ხასიათს ააშკარავებს.

20-იანი წლების არქიტექტურა – ეს კლასიკური მოდერნიზმის ადრეული სტილის ნამუშევრებია, აგათა კრისტის რომანებში აღწერილი ინტერიერებით, როცა ქუჩებში დიდი „როლს-როისები“ გადაადგილდებოდნენ.

ედვარდიანული არქიტექტურის ეპოქა ედვარდ VII-ის მეფობის პერიოდს მოიცავს (1901-1910), როცა ნაგებობები ორნამენტებით ნაკლებად შემკულია, თუმცა მონუმენტური შენობები საკმაოდ დატვირთულია კაზმულობებით და მათ „ედვარდიანულ ბაროკოსაც“ უწოდებენ.

„არტს ენდ ქრაფტი“ (Art's and Craft) 1880-იდან 1910-იან წლებამდე გრძელდებოდა და ეს არქიტექტურული სტილი, ჯონ რასკინის, ოგასტეს პიუჯინისა და უილიამ მორისის იდეებზე დამყარებული, საკმაოდ ძლიერი გავლენისა და შინაარსის მატარებელი იყო. წარმატებული აღმოჩნდა თეორია, რომლის მიხედვითაც ტრადიციული ხელოსნობა თანამედროვე დეკორატიულ ფორმებს უნდა მორგებოდა და ორნამენტირება უფრო მეტად შეემსუბუქებინა. ეს სტილი თავისი ფორმით ანტიინდუსტრიული იყო და, აქედან გამომდინარე, ეკონომიკურად არამომგებიანი, თუმცა აქტუალობა არ დაუკარგავს და მაღალბიუჯეტიან ექსკლუზიურ პროექტებში გამოიყენებოდა.

ვიქტორიანული ეპოქის არქიტექტურა

ამ პერიოდს სხვანაირად ჩარლზ რენი მაკინტოშის „განახლების სტილს“ (Revival Styles) უწოდებენ. ეს ერთგვარი კოქტეილი გამორჩეულად საინტერესოა და ქვემოთ მის შესახებ ცალკე გიამბობთ, თუმცა ის მხოლოდ დედოფალი ვიქტორიას მმართველობის პერიოდს (1837-1901) არ მოიცავს.

სტილების „გაცოცხლება“ და „აღრევა“ უფრო ადრე დაიწყო. ხსენებულ ფენომენშიც კარგად იკვეთება ბრიტანული არქიტექტურის თავისებურება, თუმცა ამ დროს ეკლექტიკამ განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია, რასაც ვიქტორიანული ბრიტანეთის, როგორც ყველაზე გავლენიანი და მდიდარი სახელმწიფოს, პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობაც ხელს უწყობდა.

გეორგიანული არქიტექტურა

გეორგიანული პერიოდის არქიტექტურა 1714 წლიდან 1830 წლამდე ანუ მეფეების – გეორგ I-ის, გეორგ II-ის, გეორგ III-ისა და გეორგ IV-ის მეფობის ხანაში განვითარდა. ისიც გარკვეულწილად მოიცავს ე. წ. Revival Styles-ს, თუმცა ნაკლებად „უცნაურია“ და, ძირითადად, კლასიკურ ბერძნულ-რომაულ არქიტექტურულ პრინციპებს ემყარება. ამ დროს კლასიცისტური სტილი მთლიანად ცვლის მანამდე გაბატონებულ „ვერნაკულარულ“ (ტრადიციულ ხალხურ) არქიტექტურას.

გოთიკური არქიტექტურა

გოთიკური არქიტექტურა მიჰყვება ევროპული გოთიკის პრინციპებს, თუმცა ბრიტანეთში ის საკმაოდ დახვეწილ და რამდენადმე განსხვავებულ სახეს იღებს.

3

1. სამეფო ნეხვევარმთვარე, გეორგიანული არქიტექტურის ნიმუში. ქალაქი ბათი.

2. წმინდა პავლეს ტაძარი (1708 წ.), არქიტექტორი კრისტოფერ რენი

3. სამეფო პავილიონი ბრაიტონში, 1787 წელი; არქიტექტორი ჯონ ნაში. ეს საოცარი შენობა ბრიტანეთის კოლონიებისთვის დამახასიათებელ ყველა სტილს აერთიანებს.

1

ტიუდორების არქიტექტურა

ტიუდორების მეფობის ხანა (1485-1603) არა მხოლოდ ინგლისში, არამედ მთელ ბრიტანეთში შუასაუკუნეების არქიტექტურის განვითარების ბოლო ეტაპია. ის რენესანსული პრინციპების დანერგვის მცდელობის პერიოდსაც მოიცავს. ამ სტილმა განვითარების პროცესის კულმინაციას 1500-1560 წლებში მიაღწია, გვიანდელი გოთიკიდან მოყოლებული, დედოფალ ელიზაბეთ I-ის მმართველობის ჩათვლით. ამ დროის საცხოვრებელი ნაგებობები უპრეტენზიო, „ხალხური“ ტრადიციული მეთოდებით შენდებოდა და შესაბამისი იერსახით გამოირჩეოდა – ფასადებზე გამოსახული ხის სტრუქტურითა და ჩალის გადახურვით. მონასტრებისა და ციხესიმაგრეების არქიტექტურა ასკეტური და მკაცრი იყო. ამ ეპოქის დასაწყისში აგური საკმაოდ იშვიათ სამშენებლო მასალას წარმოადგენდა, თუმცა მოგვიანებით მას ყველაზე ხშირად იყენებდნენ.

ამ, ერთი შეხედვით, თანამიმდევრული აღწერილობის მიუხედავად ბრიტანეთსა და ლონდონში მოგზაურობისას, არქიტექტურული თვალსაზრისით, ბევრ უცნაურობას გადააწყდებით – შეგხვდებათ მრავალი ისეთი შენობა, რომელიც კლასიციზმის, გოთიკის, რენესანსის, აღმოსავლური თუ ეგვიპტური არქიტექტურის ქმნილებებს მოგაგონებთ, თუმცა ისინი, ძირითადად, XVIII-XIX საუკუნეებშია აშენებული. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ამ მოვლენამ, რომელიც ბრიტანეთის იმპერიის აყვავებასა და მის მსოფლიო ბატონობას დაემთხვა, ე. წ. Revival Styles-მა, ქვეყნის არქიტექტურა მნიშვნელოვნად გაამრავალფეროვნა და დახვეწა.
ამ პერიოდს წინ ბრიტანული ბაროკო უძღოდა. აღსანიშნავია, რომ იმ დროის სამ აღიარებულ ვარსკვლავს – სერ კრისტოფერ რენს, ჯონ ვანბრუსა და ნიკოლას ჰაუკსმორს – მხოლოდ ბაროკოს არქიტექტორებად ვერ მივიჩნევთ, რადგანაც ისინი, თავიანთი სურვილისამებრ, ნეოკლასიციზმში, შერეულ ეკლექტიზმსა თუ ნებისმიერ სხვა სტილში მუშაობდნენ.

Deanery Tower, Hadleigh

1. *„არქიტექტორის ოცნება“, თომას ქოული*
2. *„მარწყვის გორაკი“, 1747 წელი; ტუიკენჰემი*
3. *უილიამ შექსპირის მეუღლის, ენ ჰეთეუეის სახლი*

პირველი მათგანი ინტელექტუალი იყო და ბრიტანული არქიტექტურის მწვერვალი – წმინდა პავლეს ტაძარი ააგო; მეორე ფრანკმასონი გახლდათ და მის შენობებს (ძირითადად, ეკლესიებს) ხშირად შეხვდებით ე. წ. საშინელებათა ჟანრისა და მისტიკურ თემებზე შექმნილ ფილმებსა თუ ლიტერატურულ ნაწარმოებებში; მესამე საერთოდ არ იყო არქიტექტორი, მაგრამ ისეთი დახვეწილი გემოვნება ჰქონდა, რომ მაღალ საზოგადოებაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, ამიტომაც უამრავ დაკვეთას იღებდა.

ამრიგად, მიუხედავად ევროპული წარმომავლობისა, ბრიტანული არქიტექტურა სრულიად თავისებურად ახდენს სტილთა ინტერპრეტაციასა და ურთიერთშერწყმას, განსაკუთრებით ქვეყნის განვითარების საუკეთესო ხანაში, როდესაც ბრიტანეთი ყველა სფეროში მოდის კანონმდებელი ხდება.

განახლების სტილი

გამორჩეულად მინდა შევეხო სწორედ Revival Styles-ს – მოვლენას, რომელიც ბრიტანეთის არქიტექტურული იერსახისათვის ძალზე მნიშვნელოვანია. თომას ქოულის ნახატს „არქიტექტორის ოცნება“ ეწოდება. ის ნათლად ასახავს XVII-XIX საუკუნეებში შექმნილ ზოგად ვითარებას: შემოქმედი დროის თვალსაწიერიდან გაჰყურებს ისტორიულ წარსულს, არქიტექტურულ მიმართულებებსა თუ ნაგებობებს; ფიქრობს, ყოყმანობს; ბარმენისა თუ ქიმიკოსის მსგავსად სტილებს ერთმანეთში ურევს, აზავებს, ანჯღრევს.

რატომ მოხდა ბრიტანეთში არქიტექტურის ასეთი განვითარება და რატომ შეიძინა მან სწორედ იქ განსაკუთრებული მრავალფეროვნება? ამ კითხვაზე პასუხის გაცემაში XVII საუკუნის ბრიტანული არისტოკრატიის გემოვნების გაცნობა დაგვეხმარება. იმ დროიდან „მაღალი არისტოკრატიისთვის“ დამახასიათებელი ზოგადი ესთეტიკის ჩამოყალიბება იწყება. ახალი საცხოვრებელი

2

Anne Hathaway's Cottage, Shottery, Warwickshire

3

უბნებიც მრავლდება. არისტოკრატია მათ საკუთარ სახელებს არქმევს (მაგ., საუთჰემპტონი). შენობების სტილი ნეოკლასიკურია, რაც გასაკვირი სულაც არ არის – მაღალი საზოგადოების წარმომადგენლები ხომ ანტიკური ფილოსოფიისა და ლიტერატურის მოტრფიალენი არიან, ლათინურსა და ძველბერძნულს სწავლობენ, ზეპირად იციან ციტატები ვერგილიუსისა თუ ჰომეროსის ნაწარმოებებიდან....

ეს მაინც არ არის კლასიკური რომაული ან ბერძნული არქიტექტურა, მას საფუძვლად იტალიელი არქიტექტორის, ანტონიო პალადიოს გვიანრენესანსული სტილი უდევს. რატომ პალადიო? თუ ლონდონის სტრუქტურასა და, ასევე, პალადიოს ვილა „როტონდას“ გავიხსენებთ, პარალელის გავლება მარტივია – პალადიო შენობას ცალკე მდგომ არქიტექტურულ ერთეულად კი არ აღიქვამდა, არამედ მას გარემოსთან ერთად აპროექტებდა. სწორედ ამიტომ შეაჩერა არისტოკრატიამ თავისი არჩევანი სწორედ ამ სტილზე და პალადიანიზმიც „გამეფდა“.

1747 წელს კი ყველაფერი ერთმა ახალგაზრდა არისტოკრატმა, პრემიერ-მინისტრის ვაჟმა ჰორას უოლპოლმა შეცვალა, როდესაც საკუთარი სახლის აშენება გადაწყვიტა. როგორც კი სტილის შერჩევის საკითხი წამოიჭრა, უოლპოლმა უკვე დამკვიდრებული მოდა უარყო და სასახლის ნეოგოთიკურ სტილში აგება მოისურვა. საკუთარი აღმატებული საზოგადოებრივი სტატუსის წყალობით უოლპოლს სრულიად არ აღელვებდა კრიტიკოსების მხრიდან მოსალოდნელი უარყოფითი რეაქცია. პროექტში უოლპოლმა გააერთიანა კლასიკური ბრიტანული გოთიკის მნიშვნელოვანი შენობების დეტალები და მახასიათებლები, თავისი გემოვნებით ბევრი რამ დაუმატა, რის შედეგადაც ლეგენდარული ნეოგოთიკური სასახლე „მარწყვის გორაკი“ (Strawberry Hill) აშენდა.

შენობამ ისეთი რეზონანსი გამოიწვია, რომ მალე დათვალიერების მსურველთათვის ბილეთების გაყიდვა დაიწყეს. ნაბიჯ-ნაბიჯ ნეოგოთიკამ ერთი პატარა ექსპერიმენტული მამულიდან დიდ საზოგადოებრივ პროექტებში გადაინაცვლა და განვითარდა. ეს სტილი უაღრესად პოპულარული გახდა. მას მრავალმხრივ იყენებდნენ როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივ ნაგებობებში.

1830-იან წლებში, ხანძრის შემდეგ, ბრიტანეთის პარლამენტის შენობის აგება ჩარლზ ბერისა და ოგასტეს პიუჯინის ნეოგოთიკური პროექტის მიხედვით გადაწყდა, რასაც აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა. გამოჩნდნენ ძველბერძნული სტილის მომხრეები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ არა რენესანსში, არამედ ძველბერძნულ არქიტექტურაში უნდა ვეძიოთ სწორი მიმართულებები, მით უმეტეს, რომ იმხანად საბერძნეთში ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები კეთდებოდა. ძველბერძნულს მოჰყვა შეთავაზებები ნეორომაული, ნეობიზანტიური, აღმოსავლური, ჩინური, შვეიცარიული და სხვა მიმდინარეობების სახით. ყველა თავისუფალი იყო არჩევანში, თუნდაც სტილთა შეზავებაში.

არისტოკრატიის ადგილს ნელ-ნელა იკავებდა ახალი ბურჟუაზია, რომელიც არც ფილოსოფიის, არც ლიტერატურისა და არც წიგნის მოყვარული არ იყო. უგემოვნოდ აგებულმა შენობებმა კუნძული „დაიპყრეს“. ევროპაშიც იგივე პროცესი მიმდინარეობდა, თუმცა ბრიტანეთი მისი უდავო ლიდერი იყო. ამის მაგალითად ერთი სახალისო ამბავი შეგვიძლია გავიხსენოთ: ჩრდილოეთ ირლანდიაში შეძლებულმა წყვილმა სახლის აშენება გადაწყვიტა. ქმარი კლასიციზმის ტრფიალი იყო, ცოლი კი – გოთიკის მოყვარული. ხანგრძლივი კამათის შემდეგ არქიტექტორმა მათ კომპრომისული პროექტი შესთავაზა: სახლის წინა ფასადი კლასიცისტური იყო, ხოლო უკანა – გოთიკური; ინტერიერშიც ასეთივე „პარიტეტი“ იკვეთებოდა.

Art and Kraft-ის მოძრაობის წევრებმა სცადეს, ეს არეული ვითარება დაერეგულირებინათ, თუმცა ხელოსნობასა და ხელოვნების სინთეზზე დამყარებული არქიტექტურა იმდენად ძვირადღირებული აღმოჩნდა, რომ ასეთ ხარჯებს მხოლოდ ერთეულები თუ გასწვდებოდნენ.

ეს პროცესი ერთიანად არ შეწყვეტილა. კითხვებზე პასუხი პროგრესმა გასცა. ინდუსტრიალიზაციამ და ტექნოლოგიების განვითარებამ მშენებლობის დარგის ლიდერებად პრაგმატული ინჟინრები აქცია. მათთვის ზედმეტი, არაფრის მომცემი დეკორირება უცხო ხილი იყო. ფილოსოფია, ხელოვნება და არქიტექტურაც პროგრესისა და მოდერნიზმის მხარეს გადავიდა. თუჯისა და მინისაგან აშენდა „ბროლის სასახლე“ (Crystal Palace) და ქაოსი ნელ-ნელა ისტორიას ჩაჰბარდა. ბრიტანულ არქიტექტურაში ახალი ეპოქა დაიწყო.

ბიგ ბენი

ბიგ ბენი მასიური ზარია, რომელიც საათის კოშკში კიდია და 13 ტონაზე მეტს იწონის. ამ საათმა პირველად 1859 წლის 31 მაისს დარეკა. 2012 წლის ივნისში თემთა პალატამ დაადგინა, რომ საათის კოშკს ელიზაბეთის კოშკი (ელიზაბეთ თაუერი) დარქმეოდა დედოფლის ბრილიანტის იუბილესთან დაკავშირებით.

საბაბატო

უესთმინსთერის საბაბატოს გოთიკური ტაძარი იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი. აქ იხილავთ შესანიშნავ მხატვრობას, მშვენიერ ვიტრაჟებს და სხვა რელიგიურ არტეფაქტებს. საბაბატოში დაკრძალულნი არიან ჩარლზ დიკენსი, ჩარლზ დარვინი, დოქტორი სამუელ ჯონსონი, ჯეფრი ჩოსერი. 1066 წლიდან დღემდე სწორედ ამ ტაძარში ეწყობა მეფეთა კორონაცია.

ინგლისური ბაღები

ლონდონი პარკების გალერეაა. ქალაქის საუკეთესო ხუთეულში GREEN PARK-ი და ST JAMES'S PARK-ი ლიდერობენ. ეს უძველესი პარკები უესთმინსტერშია. გირჩევთ, აუცილებლად ესტუროთ REGENT'S PARK-ს, VICTORIA PARK-ს და ცნობილ HYDE PARK-ს. ზომიერი კლიმატის წყალობით პარკები, პრაქტიკულად, მთელი წლის განმავლობაში მწვანეა.

2016 წელს ბრიტანეთი თავისი მთავარი მეგაღის, ღანსელოტ ბრაუნის დაბადების 300 წლისთავს აღნიშნავს.

არსებობს მეტაფორა, რომ მთელი ინგლისი ერთი დიდებული ბაღია, დიდოსტატი მებაღის მიერ გაშენებული, რომელიც ქალის სილამაზესავით მსუბუქია, თანაც ნახევარტონებითა და მინიშნებებით გესაუბრება. ინგლისურ ბაღში არ არის ფრანგული პომპეზურობა, იტალიური სიმდიდრე და ესპანური ეგზოტიკურობა. თავისუფლება, ძალდაუტანებლობა და ბუნებრივობა – აი მისი სამი მთავარი თვისება.

იყო დრო (1066-1500), ინგლისში ბაღს მხოლოდ უტილიტარული დანიშნულება ჰქონდა – მას თავისი პატრონი მცენარეული საკვებით უნდა უზრუნველეყო, თუმცა იქ ყვავილებიც ხარობდა; ტიუდორების ეპოქას ლანდშაფტის დიზაინის წარმოშობის ხანად მოიხსენიებენ, როცა სიმეტრია, გაკრეჭილი ხეები, გადაწნული ხეივნები, მარადმწვანე მცენარეები უტილიტარულ ფუნქციას შეერწყა, ასევე, გამოჩნდა ქანდაკებები ცხოველებისა თუ ნიმფების გამოსახულებებით.

XVII საუკუნეში, ჰუგენოტების პერიოდში, აღმოსავლური და ჰოლანდიური მცენარეები შემოვიდა, შეიქმნა მებაღეობის საზოგადოებები, გაშენდა ბოტანიკური ბაღი და ორანჟერეები. მოგვიანებით გაბატონდა ე. წ. ფრანგული პარკის სტილი, რომელიც მალე წმინდა ინგლისურმა ბაღმა შეცვალა და მისი ავტორი შეუდარებელი ლანსელოტ ბრაუნი იყო.

ინგლისური პარკის ზურმუხტოვანი მდელოები, პატარა გორაკები, ფერწერული უწესრიგობით დარგული ხეები, დაკლაკნილი წყაროები ბრაუნის დამსახურებაა, რომელიც 1764 წელს, სამეფო კარის მებაღე გახდა.

სწორედ მან შექმნა ახალი, ე. წ. „პეიზაჟის სტილი“, რომლის გამიც მანამდე დამკვიდრებული მოდური ფრანგული ბაღის ყველა ნიშანი გაანადგურა – სწორკუთხა ხეივნები, ლაბირინთები, ყვავილოვანი ბუჩქები; ბრაუნმა ხელოვნური ტბორები დააშრო, გუბურები გაათხრევინა, ხეები ისე შეაჯგუფა, რომ პეიზაჟი ინტიმური გაეხადა.

იგი თვით ბუნების ასლის შექმნას ცდილობდა, რადგან „პოეტის შეგრძნებებითა და მხატვრის თვალით“ აშენებდა. „ბუნებაში სწორი ხაზები არ არსებობს“, – ეს იყო მისი შემოქმედების მთავარი პრინციპი: მან სრულყო კონტრასტები და ხედები, საზღვარი გაავლო პარკსა და მის გარშემო მდებარე ტყე-ველს შორის, ბილიკები სენტიმენტალურ, სასეირნო და ჩამოსაჯდომ ადგილად აქცია, საიდანაც მშვენიერი ხედები იშლებოდა.

თუ ფრანგული ბაღი აბსოლუტიზმის პირმშო იყო, ბრაუნის ინგლისური პარკი დემოკრატიის შთამომავალი გახლდათ. ამიტომაც გირჩევთ, აუცილებლად ესტუმროთ უძველეს ინგლისურ ბაღებს და ბუნებისა და ადამიანის მიერ შექმნილი ლანდშაფტის შედევრებით ისიამოვნოთ.

ბლენემის სასახლის (Blenheim Palace) პარკი საუკეთესოთა შორის გამორჩეულია. 800 ჰექტარზე გადაჭიმულ ამ ბაღს ბრაუნი 11 წლის განმავლობაში ქმნიდა. აღსანიშნავია, რომ მას XII საუკუნის მუხის კორომისთვის ხელი არ უხლია. ამჯერად პარკში 900-წლოვანი 60 მუხის ხე ხარობს. აქვეა ბრაუნის აშენებული ჩანჩქერიც – Grand Cascade, რომელიც ერთ-ერთი ულამაზესია ინგლისში. მამული ოქსფორდშირში, ლონდონიდან დასავლეთით, ავტომობილით საათ-ნახევრის სავალზე მდებარეობს. ბილეთი 22 ფუნტი დაგიჯდებათ.

ბერგლი ჰაუსი (Burghley House) გრაფი ექსეტერის რეზიდენციის ირგვლივ მდებარე პარკია. ბრაუნმა ის 1755-79 წლებში გადააკეთა. სწორი ხეივნები „გაამრუდა“, ტბა და ორანჟერეა გააშენა, საზაფხულო სახლი და ე. წ. „ლომის ხიდი“ ააგო, რომლებიც დღეს ამ უძველესი მამულის ღირსშესანიშნაობად მიიჩნევა. ლინკოლნშირში, ლონდონის ჩრდილოეთით, 2 საათის და 40 წუთის სავალზე, საავტომობილო გზით ჩასვლა შეგიძლიათ. პარკის დათვალიერება 14 ფუნტი დაგიჯდებათ.

კომპტონ ვერნის (Compton Verney) მამულსა და პარკს, რომელშიც ბრაუნის მიერ გენიალური წესრიგით დარგული 3000 ძირი მუხა, კედარი, იფანი და თელა ხარობს, 1990 წლიდან საქველმოქმედო საზოგადოება პატრონობს. აქ შესანიშნავი არტ-გალერეაა განთავსებული. იორკშირში, ლონდონის ჩრდილოეთით, საავტომობილო გზით საათსა და 50 წუთში ჩახვალთ. ბილეთი 8 ფუნტი ღირს.

საკურორტო ქალაქი ჰეროგეიტი (Harrogate) იორკშირის საგრაფოს ჩრდილოეთში მდებარეობს, სადაც ბრაუნი განსაკუთრებული მონდომებით იღვწოდა. ეს ბრიტანეთის ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქია. ამ რეგიონში მის მიერ შექმნილი ათეულობით ბაღია. ბრაუნის ესკიზები და ფერწერული ტილოები, რომლებზეც ეს ბაღებია გამოსახული, ივნისის ბოლოდან Mercer Art Gallery-ში გამოიფინება. ამ ქალაქში ჩასვლას ლონდონიდან ჩრდილოეთით მიმავალი გზით 3 საათსა და 20 წუთს მოუნდებით. ბილეთი კი 19 ფუნტი ღირს.

ყვავილების გამოფენა ჩელსიში

ევროპის მებაღეობის მექად მიჩნეული ჩელსის ყვავილების ფესტივალი დამთვალიერებელს ამცნობს, რომ სულ მალე ნისლიან ალბიონზე ზაფხული დადგება – გამოფენა ყოველ გაზაფხულზე The Royal Hospital Chelsea-ს საგამოფენო ცენტრში ტარდება. ეს მსოფლიოში ყვავილების, ლანდშაფტის დიზაინისა და მებაღეობის ყველაზე გრანდიოზული გამოფენაა, რომელიც ამ ხელოვნებაში მოდურ ტენდენციებს განსაზღვრავს.

პირველი გამოფენა ჯერ კიდევ 1862 წელს კენსინგტონში ჩატარდა და მას მერე ყოველწლიურად იმართებოდა, თუმცა 1913 წელს ჩელსიში, სამეფო ჰოსპიტალის ულამაზეს შემოგარენში მებაღეობის სამეფო საზოგადოებამ (RHS – the Royal Horticultural Society) უკვე საერთაშორისო გამოფენა მოაწყო.

ჩელსის ყვავილების შოუში მონაწილეობა ძალიან პრესტიჟულად მიიჩნევა, რადგან წარმატებულ დიზაინერთა შემოქმედების სანახავად აქ ასობით ათასი მნახველი მოდის. ინგლისელებისთვის ხომ ბაღის მოვლა წმიდათაწმიდა საქმეა.

მებაღეებსა და დიზაინერებს ჩელსის შოუზე ავსტრალიიდან, იაპონიიდან, სამხრეთ აფრიკიდან და ა. შ. თავიანთი ნამუშევრები მკაცრი, მაღალი კლასის ჟიურის წინაშე გამოაქვთ. ექსპოზიციის თემა ყოველწლიურად წინასწარ ცხადდება. წლევანდელი გამოფენა ინგლისის დიდებული მებაღის, ლანსელოტ ბრაუნის 300 წლისთავს მიეძღვნა, თემა კი იურული პარკის ლანდშაფტი იყო, რომელიც ორგანიზატორებს ბუნებისმეტყველების ისტორიის მუზეუმმა (The Natural History Museum) შთააგონა.

ასკოტის დოღის მსგავსად, ჩელსის ყვავილების ფესტივალი ელიტარულ ღონისძიებებს შორის გამორჩეულია. მას მაღალი საზოგადოების წევრები და ცნობილი ადამიანები სტუმრობენ, მათ შორის, თვით დედოფალი, სამეფო ოჯახის წარმომადგენლები; ქეით მოსი და ბენედიქტ კამბერბეჩი კი თურმე თავგადაკლული მებაღეები არიან.

ჩელსის ყვავილების ფესტივალს დაუწერელი დრესკოდი აქვს: ჯენტლმენებისათვის – მსუბუქი ბამბის შარვალი და სელის ქსოვილის ჟაკეტი, ხოლო ქალბატონებისათვის – ყვავილებით ან პასტელის ფერებში მოხატული ქსოვილის კაბა. და რაც მთავარია, არ დაგავიწყდეთ ყვავილებიანი შლაპა და პიკნიკის კალათა მარწყვითა და შამპანურით.

BBC-ს სატელევიზიო პროექტის ფარგლებში, ბრიტანელებმა ისტორიაში უდიდესი თანამემამულის გამოვლენა განიზრახეს და 2002 წელს მესაბამისი გამოკითხვაც მოაწყვეს. მილიონზე მეტი რესპონდენტიდან 447 423 ხმით პირველობა სერ უინსტონ ჩერჩილმა მოიპოვა. ათეულში ასევე აღმოჩნდნენ იზაბელარდ ბრუნელი, დედი დაიანა, ჩარლზ დარვინი, უილიამ შექსპირი, ისააკ ნიუტონი, ჯონ ლენონი, ელიზაბეთ I, ჰორაციო ნელსონი და ოლივერ კრომველი.

ჩერჩილი, უინსტონ ჩერჩილი!

ბიძინა ბარათაშვილი

ცნობა ჩერჩილის დაბადების შესახებ მეორე დღესვე დაიბეჭდა „თაიმსის“ პირველ გვერდზე. წერილიდან ირკვევა, რომ ლედი რენდოლფმა არად ჩაადგო ექიმების რჩევა, ბლენჰეიმის საგვარეულო სასახლეში (ლეგენდარული ვუდსტოკის მახლობლად) მოწყობილ მეჯლისზე უზომოდ ბევრი იცეკვა და ამის გამო მშობიარობა ვადაზე ორი თვით ადრე დაეწყო, შვილი კი სულაც საგარდერობოში გაჩინა!

აქვე იბადება პირველი ლეგენდაც: უინსტონ ჩერჩილი არ არის ჰერცოგი მარლბოროს ვაჟი! საბაბი: წყვილის ურთიერთობა შორს იყო იდეალურისგან. ქმარი ბევრს ავადმყოფობდა და ძირითად დროს პოლიტიკურ კარიერას უთმობდა. ცოლს გარს უამრავი თაყვანისმცემელი ეხვია, უინსტონის მამამ საცოლე გაცნობიდან მესამე დღეს დანიშნა, მათ მალევე იქორწინეს, ბავშვი კი 7,5 თვის მერე გაუჩნდათ. არსებობს ეჭვი, რომ დედა უკვე ფეხმძიმედ იყო, როცა რენდოლფმა ითხოვა. სახელდება სავარაუდო მამაც – უელსის პრინცი ბერტი.

დედა

ჯენი ჯერომი, ამერიკელი მილიონერის ქალიშვილი, ზოგი ვერსიით, ამერიკის პრეზიდენტის, ფრანკლინ რუზველტის შორეული ნათესავი იყო, ზოგით – ინდიელ ინოკეზთა შთამომავალი, ზოგი მკვლევარი კი ორივე ამბავს აერთიანებს. ერთი რამ ფაქტია: მომავალი პრემიერის ბებია კლარისა უილკოკსი მუქი ფერის კანითა და არაანგლოსაქსური გარეგნობით გამოირჩეოდა, თანაც თავად იჩემებდა ნახევრად ინდიელობას. ცნობილია ლედი ჩერჩილის გატაცება ახალგაზრდა მამაკაცებით. მისი მეორე ქმარი, ჯორჯ კორნუოლის-უესტი უინსტონის ტოლი იყო, მესამე, მონტეგიუ პიპენ პორჩი – უინსტონზე 3 წლით უმცროსი!!!

მამა

რენდოლფ სპენსერ-ჩერჩილი მე-7 ჰერცოგი მარლბოროს, ჯონ სპენსერ-ჩერჩილის უმცროსი ვაჟი იყო, რომლის გვარიც სათავეს ვილჰელმ ნორმანდიელისგან იღებს, მაგრამ დროთა განმავლობაში გაღარიბდა და შვილს მამისგან არანაირი სამკვიდრო აღარ ერგო. ბრიტანეთის იმჟამინდელი პრემიერი ბენჯამინ დიზრაელი ხუმრობდა კიდეც, ისინი ჰერცოგებად ვეღარ ჩაითვლებიან, საამისოდ მეტისმეტად ღარიბები არიანო. მიუხედავად ამისა, რენდოლფმა მოასწრო დედოფალი ვიქტორიას კარზე ჯერ ინდოეთის საკითხებში მინისტრობა, მერე კი კანცლერი ხაზინადარიც გახდა. მისი სიკვდილის მიზეზიც ბურუსითაა მოცული. ჟურნალისტი ჰარისი, პოლიტიკოს ჯენინგსზე დაყრდნობით, წერს, რომ მეგობრებმა მთვრალი რენდოლფი მახინჯ მეძავს შეატოვეს, რომელმაც ათაშანგი გადასდო და სწორედ ამან იმსხვერპლა.

უინსტონი გადიამ გაზარდა, რაც ჩვეულებრივი ამბავი იყო. ამბობენ, რომ ერთმა არისტოკრატმა პარკში მოსეირნე მომვლელს ბავშვების სილამაზე შეუქო და ძალიან გაიკვირვა, როდესაც გაიგო, რომ საკუთარ შვილებზე საუბრობდა! თავად დაბერებული პრემიერი ვაჟიშვილთან გატარებული ვახშმის შემდეგ გამოუტყდა მას, რომ იმ საღამოს რენდოლფ უმცროსს უფრო მეტი დრო დაუთმო, ვიდრე მამამისმა თვითონ უინსტონს – მთელი ცხოვრების მანძილზე.

განათლება

დაწყებითი განათლება უმცროსმა ჩერჩილმა ასკოტში მიიღო, სადაც მასწავლებლები მას ხშირად როზგავდნენ დაუმორჩილებლობისთვის. მერე იყო ჰეროუ, ბოლოს კი – სენდჰერსტის სამხედრო აკადემია, სადაც მესამე ცდით ჩააბარა. აქედან მოდის მითი, თითქოს უინსტონს სწავლა არ უყვარდა; სინამდვილეში ეს მხოლოდ იმ საგნებზე ითქმის, რომლებიც არ აინტერესებდა, ლიტერატურის, ისტორიის, სამხედრო ტაქტიკისა და სტრატეგიის ცოდნაში კი მას ბადალი არ ჰყავდა.

ამ პერიოდშივე ყალიბდება ჩერჩილის შესანიშნავი იუმორის გრძნობა. თურმე ერთხელ მასწავლებელს საჯაროდ უთქვამს მისთვის: უინსტონ, მე თქვენით უკმაყოფილების სერიოზული საფუძველი მაქვსო, რაზეც უმალ ენამოსწრებული (თანაც თავხედური) პასუხი მიუღია: „სერ, დამასწარით. მეც თქვენზე ზუსტად იმავეს თქმას ვაპირებდი!“

ჩერჩილი, უინსტონ ჩერჩილი!

იან ფლემინგს თავისუფლად შეეძლო, თავისი აგენტი 007-ისთვის ბონდის ნაცვლად ჩერჩილი დაერქმია. თავად განსაჯეთ: სამხედრო კარიერა მან ჰუსართა პოლკში დაიწყო, მაგრამ მალე თავგადასავლების საძიებლად კუბას მიაშურა და ესპანელებს იქაური ამბოხების ჩახშობაში დეხმარა, რისთვისაც „წითელი ჯვრით“ დააჯილდოეს. ამასთან, ახალგაზრდა უინსტონმა ლიტერატურული ტალანტიც გამოავლინა და „დეილი მეილისათვის“ სტატიების ციკლი მოამზადა, რომელიც შემდგომ „ნიუ-იორკ თაიმსმაც“ გადაბეჭდა.

შემდგომი ორი წელი მებრძოლ-კორესპონდენტმა ინდოეთში გაატარა და აქაც ბევრი იომა – ამჯერად პუშტუნებთან. ეს პერიოდი მან მოგვიანებით აღწერა წიგნში „მალაკანდის საველე კორპუსის ისტორია“, რომელიც 8500 ტირაჟით დაიბეჭდა და ავტორს დიდი პოპულარობა მოუტანა. ინდოეთს ჯერ სუდანი მოჰყვა, სადაც ჩერჩილი უკვე „მორნინგ სტარს“ წარმოადგენდა და ახალ ბესთსელერს („ომი მდინარესთან“) ამზადებდა. ლეგენდის მიხედვით, ომდურმანთან ბრძოლაში მან პირადად მოკლა 4 კაცი, ერთს კი თავი გაუპო! იმავე წელს იგი სამხრეთ აფრიკაში გადაბარგდა ბურებთან საომრად, ტყვედ ჩავარდა, გაიქცა, შემდეგ კი გენერალ ჰემილტონს თავი ვიქტორიას ჯვრის ორდენზე წარადგენინა.

მწერლობა

მისი ლიტერატურული მოღვაწეობის ზენიტი 1953 წელს იყო, როდესაც შვედეთის აკადემიამ ჩერჩილი ამ დარგში ნობელის პრემიით დააჯილდოვა, თანაც მისი კანდიდატურა თვით ერნესტ ჰემინგუეის ამჯობინა!

ქალები

მართალია, ჩერჩილს რამდენიმე რომანს მიაწერენ, მაგრამ მთავარი ადგილი მის ცხოვრებაში კლემენტინა ჰოსიეს ეკავა. მათ 1908 წელს გაიცნეს ერთმანეთი, უკვე 12 სექტემბერს ვესტმინსტერში იქორწინეს და სიკვდილამდე აღარ დაშორებულან. სხვათა შორის, სწორედ ქორწილში აჩუქა ედვარდ VII-მ მომავალ პრემიერს მოოქრულთავიანი ხელჯოხი წარწერით: „ჩემს ყველაზე ახალგაზრდა მინისტრს“, რომელსაც ჩერჩილი მთელი სიცოცხლე თან ატარებდა. კლემენტინასადმი დამოკიდებულების საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ასეთ ეპიზოდს: ერთ-ერთ ბანკეტზე დასმულ კითხვაზე: „ვინ იქნებოდით სხვა ცხოვრებაში?“ – ჩერჩილმა უპასუხა: „მისის ჩერჩილის მეორე ქმარი!“

სხვა ქალბატონების მიმართ ის ასეთი გალანტური არ იყო. როდესაც 1946 წელს პარლამენტის დეპუტატმა ბესი ბრედოკმა მიაძახა: „სერ, თქვენ მთვრალი ხართ!“ – ჩერჩილმა უპასუხა: „მართალი ბრძანდებით, მის, მაგრამ მე ხვალ გამოვფხიზლდები, თქვენ კი უშნო, მოგრეხილი ფეხები გაქვთ და, სამწუხაროდ, ამას არაფერი ეშველება!“ შემდგომში ეს ეპიზოდი არაერთ ანეკდოტს დაედო საფუძვლად.



1. *უინსტონ ჩერჩილი სენდჰერსტის სამხედრო აკადემიაში*
2. *დედა - ბარონესა ჯენი ჯერომი*
3. *მეუღლე - კლემენტინა ჰოსიე*
4. *ქალიშვილი - მერი ჩერჩილი*

კიდევ უფრო ენამოსწრებული იყო პასუხი გაბრაზებული ლედი ასტორის ნათქვამზე, თქვენი ცოლი რომ ვიყო, ჩაიში აუცილებლად საწამლავს ჩაგიყრიდითო. „თქვენ რომ ჩემი ცოლი იყოთ, იმ ჩაის მე თვითონ სიამოვნებით დავლევდი!“ – უპასუხა ჩერჩილმა.
თუმცა იყო კიდევ ერთი მანდილოსანი, რომელიც მასთან სიცოცხლის ბოლომდე მეგობრობდა – შამპანურის მწარმოებელი პოლ როჟეს მომხიბვლელი მეუღლე ოდეტა, რომელიც პრემიერს ელჩმა დაფ კუპერმა წარუდგინა 1944 წელს პარიზში გამართულ მიღებაზე. ოდეტას ხათრით პრემიერი მთელი სიცოცხლის მანძილზე ყველგან უწევდა რეკომენდაციას კომპანიის მისამართს – Pol Roger, 44 Avenue de Champagne, Epernay და ამ შამპანურს მსოფლიოში საუკეთესო სასმელს უწოდებდა. პასუხად, 1984 წელს გამოყვანილ ახალ კუპაჟს ოდეტამ Cuvée Winston Churchill-ი დაარქვა.

პოლიტიკა

„ყველაზე დიდი ბრიტანელი“ ნამდვილად არ გამოირჩეოდა პარტიული ერთგულებით. პოლიტიკაში პირველი ნაბიჯები კონსერვატორებთან ერთად გადადგა 1899 წელს და ერთი წლის შემდეგ პარლამენტშიც მათი კვოტით მოხვდა, მაგრამ 5 წლის შემდეგ უკვე დამოუკიდებელი უპარტიო დეპუტატია, ხოლო 1906 წლიდან – ლიბერალი და კოლონიების მინისტრის მოადგილე; ამავე პარტიას წარმოადგენდა ფინანსთა მინისტრად მოღვაწეობისას, თანაც ისე ეფექტურად, რომ იქამდე მეორეხარისხოვნად მინნული უწყების ხელმძღვანელს ანაზღაურება ელიტასთან გაუთანაბრეს. 1910 წელს იგი შინაგან საქმეთა სამინისტროში გადაბარგდა, მომდევნო წლიდან კი საზღვაო სფერო ჩაიბარა და უმალ მისი მოდერნიზაცია მოახდინა – ფლოტი ქვანახშირიდან ნავთობის საწვავზე გადაიყვანა, ამისთვის ირანთან დაიწყო თანამშრომლობა და ბრიტანეთს სპარსეთის ყურეში გაუჩინა გეოპოლიტიკური ინტერესი. მასვე ეკუთვნის ავიამზიდების შექმნის ინიციატივა და რომ არა 1915 წელს დარდანელის სრუტის ხელში ჩაგდების წარუმატებელი ოპერაცია, კაცმა არ იცის, კიდევ რას იზამდა! ასე კი, სამსახურის დატოვება და მოქმედ ჯარში დაბრუნება მოუწია შოტლანდიელ ჰუსართა პოლკოვნიკად.

პოლიტიკოსი ჩერჩილის პოპულარობას ასევე ახლდა სახალისო ეპიზოდები. როდესაც 1900 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის

ემზადებოდა, ერთმა ბუზღუნამ ასეთი სიტყვებით გამოისტუმრა: „უმალ ეშმაკს მივცემ ხმას, ვიდრე შენ!“ „გასაგებია, – მიუგო ჩერჩილმა, – მაგრამ თუკი თქვენი მეგობარი უარს იტყვის კანდიდატურის დაყენებაზე, მაშინ მაინც შემეძლება, თქვენი იმედი მქონდეს?“

1922 წელს ლეიბორისტებმა არჩევნები წააგეს და 2 წელიწადში ჩერჩილი ისევ კონსერვატორებს შეუერთდა! ყოფილი თანამებრძოლი ლეიბორისტების მძაფრ კრიტიკას ასე გამოეხმაურა: ჩემი კოლეგების აზრი ოდნავ მაინც რომ მაინტერესებდეს, ალბათ მეწყინებოდაო.

ახალ გუნდში ცივად მიიღეს – ურთიერთობა პრემიერ ნევილ ჩემბერლენთან აშკარად ვერ აეწყო და ჩერჩილსაც ჩრდილში გადანაცვლება მოუწია. 30-იანი წლების ბოლომდე დროს იგი ფრაქციაში ინდოეთისა და გერმანიის წინააღმდეგ გამოსვლებს უთმობს, მეტწილად ლიტერატურულ ასპარეზზე აქტიურობს და მახვილგონიერებას ხვეწს.

1931 წელს იუმორით განთქმულმა ბერნარდ შოუმ ჩერჩილს უდეპეშა: „დაგიჯავშნეთ 2 ბილეთი ჩემი ახალი პიესის პრემიერაზე. შეგიძლიათ მოიყვანოთ მეგობარი, თუ ასეთი საერთოდ გყავთ“. პასუხმა არ დააყოვნა: „სამწუხაროდ, დაკავებული ვარ, მაგრამ სიამოვნებით დავესწრები მეორე წარმოდგენას, თუ ასეთი საერთოდ იქნება“.

ჩერჩილი ახალგაზრდობიდანვე ახერხებდა აუდიტორიის მონუსხვას და ყოველთვის გამორჩეულ მოსაუბრედ ითვლებოდა. რად ღირს თუნდაც მისი რეაქცია 1938 წელს ნევილ ჩემბერლენის მიერ ჰიტლერული გერმანიის სასარგებლოდ მიუნხენში ხელმოწერილ გარიგებაზე: „თქვენ გქონდათ არჩევანი ომსა და უღირსობას შორის და უღირსობა აირჩიეთ, ამიტომ აუცილებლად მიიღებთ ომს!“ ან მიმართვა მოსახლეობისადმი ომის პირველ დღეებში (უკვე პრემიერ-მინისტრის რანგში): „ვერაფერს შემოგთავაზებთ შრომის, ოფლისა და ცრემლის გარდა! ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ ხმელეთზე, ზღვაზე და ცაში, ყველა საშუალებით, რათა კაცობრიობას ავაცილოთ ტირანია, რომლის მსგავსიც მას ჯერ არ უნახავს! რა არის ჩვენი მიზანი? მხოლოდ გამარჯვება, ნებისმიერ ფასად, ყველა უბედურების მიუხედავად! სხვაგვარად ვერ გადავრჩებით, დაიღუპება ყველაფერი, რაც კი რამ ძვირფასი არსებობს! ჩვენ ეს არ უნდა დავუშვათ და არც დავუშვებთ!“

საპირისპირო შინაარსის მითის მიხედვით კი, იგი სულაც არ იყო კარგი ორატორი, ენა ებმოდა, საუბარი უჭირდა და რადიოში მის ნაცვლად ტექსტს მსახიობს აკითხებდნენ. მაშ, რა არის აქ მართალი? ის ნამდვილად არ იყო ენაბლუ, თუმცა მამისგან გამოჰყვა შიშინი – ასო „ს“-ს „შ“-დ გამოთქვამდა. სერ ალექს სემენთან მკურნალობამ და მუდმივმა ვარჯიშებმა ეს ნაკლი თითქმის გაუქრო, მაგრამ „ცხვირში“ საუბრის მანერა დაუტოვა. რაც შეეხება დუბლიორ-მსახიობს, ესეც მითია. ბევრ მონოგრაფიაში წაიკითხავთ, თითქოს ჩერჩილმა იუარა 1940 წლის 4 ივნისს თემთა პალატაში ნათქვამი მგზნებარე სიტყვის რადიოთი გამეორება და მის ნაცვლად ეს აქტიორმა ნორმან შელიმ გააკეთა. სინამდვილეში იმ საღამოს არანაირი ტრანსლაცია არ ყოფილა, უბრალოდ, დიქტორმა წაიკითხა რამდენიმე ნაწყვეტი პრემიერის გამოსვლიდან.

ომის პირველ წლებში ჩერჩილი დღეში 18 საათს მუშაობდა და, ამასთან, ხუმრობის ხალისსაც ინარჩუნებდა. როდესაც გერმანელთა ავიაციის დაბომბვამ რადიოს პირდაპირ ეთერში მოუსწრო, მსმენელებს უთხრა: „თქვენთვის კარგი ამბავიც მაქვს, მათ კვლავ ვერ მოარტყეს პარლამენტის შენობას!“
პრემიერი ვერ იტანდა კომუნისტებს და ჯერ კიდევ 1917 წელს ლამობდა მათ განადგურებას. მიუხედავად ამისა, ომის წლებში ის აქტიურად თანამშრომლობდა სტალინთან და ამასაც ირონიულად ხსნიდა: „ახლა მხოლოდ ერთი მიზანი მაქვს – ჰიტლერის განადგურება! ის რომ ჯოჯოხეთს დასხმოდა თავს, ალბათ სატანასაც გამოვუცხადებდი ლოიალობას!“

სტალინისადმი სიმპათიის ამბავიც პრესის გაბუქულია – არც ერთი აღფრთოვანებული გამონათქვამი დოკუმენტურად არ დასტურდება, ისევე როგორც მითი ჩერჩილის სომხური კონიაკისადმი სიყვარულის შესახებ. ხშირად წაიკითხავთ, რომ

სტალინმა ბრიტანელს თეირანში „დვინი“ გაასინჯა და ჩერჩილიც მას მერე მხოლოდ ამ მარკის კონიაკს ეტანებოდა, ხოლო როცა სასმელს გემო გაუფუჭდა, სტალინს ტექნოლოგი მარგარ სადრაკიანის „გულაგის“ ბანაკიდან გამოშვებაც კი მოუწია. სინამდვილეში სადრაკიანი არსად არ გადაუსახლებიათ, ის 1948-73 წლებში ერევნის კონიაკის ქარხანაში მუშაობდა, „დვინი“ კი 1945 წელს გამოუშვეს და თეირანში ჩერჩილი მას ვერ გასინჯავდა. მისი საყვარელი ბრენდი HINE-ი იყო.

საბჭოეთთან მეგობრობა დიდხანს მაინც არ გაგრძელებულა. გადამდგარმა პრემიერმა 1948 წელს, ამერიკაში ვიზიტის დროს ფულტონის კოლეჯის კათედრიდან ისტორიული სიტყვა თქვა და „ცივ ომს“ დაუდო სათავე. სწორედ მაშინ გაისმა პირველად ტერმინი „რკინის ფარდა“, რომელსაც პოლიტოლოგები დღემდე იმეორებენ. მორიგი მითის მიხედვით, ჩერჩილი ამზადებდა ატომურ თავდასხმას საბჭოთა კავშირის 25 ქალაქზე, რომელთა შორის თბილისიც ფიგურირებდა. ჩერჩილის „სისხლისმსმელობა“ ცალკე საუბრისა და უამრავი ჭორის თემაა.

ჩერჩილმა იცოდა პერლ ჰარბორზე სავარაუდო თავდასხმის შესახებ და განზრახ არ გააგებინა ამერიკელებს, რათა ისინი ომში ჩაეთრია. სინამდვილეში ბრიტანელებმა იაპონელთა კოდის მხოლოდ 5-20% გაშიფრეს და ზუსტი მონაცემები, უბრალოდ, არ არსებობდა.

1. ჩერჩილმა იცოდა ქოვენთრიზე მოსალოდნელი საავიაციო თავდასხმის შესახებ, გერმანელებს დააწვევინა ინგლისური ქალაქი და გაწირა 507 ადამიანის სიცოცხლე, რათა კოდი „ენიგმას“ სამომავლო გამოყენების პერსპექტივა შეენარჩუნებინა. რეალურად, 1940 წლის 14 ნოემბრის ღამეს ინგლისელები 5 სავარაუდო ადგილას ელოდნენ თავდასხმას. ამათგან, ქოვენთრიში ჩერჩილმა მოსახლეობის რაოდენობრივი შეფარდებით 5-ჯერ მეტი ზარბაზანი გამოაყოფინა, ვიდრე ლონდონში, თუმცა ქალაქი ამანაც ვერ გადაარჩინა.

2. ომის დროს ჩერჩილის გამო მოხდა „ბენგალიური ჰოლოკოსტი“. 1943-45 წლებში მართლაც დაიღუპა შიმშილით 7 მილიონი ინდოელი, მაგრამ ამის მიზეზი იყო, ერთი მხრივ, იაპონიის მიერ ბირმის ოკუპაცია და საზღვრის ჩაკეტვა, აგრეთვე, დამანგრეველი ციკლონი. ომის მდგომარეობაში მყოფ ბრიტანეთს გაუჭირდებოდა სამ ფრონტზე გახლეჩა, თუმცა ჩერჩილს არც მაშინ დაუკლია ზრუნვა სიტუაციის განსამუხტავად. ზოგადად, ინდოელთა ანტიპათიას აქვს საფუძველი – ჩერჩილი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ინდოეთისათვის დამოუკიდებლობის მინიჭებას, ისევე როგორც ყველა სხვა კოლონიის შემთხვევაში. სხვათა შორის, ჩერჩილის პრემიერობისას იმპერიის შემადგენლობიდან არც ერთი კოლონია არ გასულა. არც ისაა ტყუილი, რომ ჩერჩილი რასისტული გამონათქვამებით გამოირჩეოდა.

საინტერესოა, რომ ზოგიერთ მითს საკუთარი თავის შესახებ ჩერჩილი თავად ქმნიდა. იგი არაპუნქტუალური იყო. ამის საილუსტრაციოდ ხშირად იხსენებენ მის დაგვიანებას უელსის პრინცის სადილზე და პრინცესა ელიზაბეთის ქორწილში. თავად „დამნაშავე“ ბოლოს გამოტყდა, რომ ამგვარად საკუთარი პერსონისადმი ინტერესს აღვივებდა.

ჩერჩილი უზომოდ ბევრს ეწეოდა. ჩვენი გმირის კლასიკური სტერეოტიპული პორტრეტიც ხომ ასეთია – სიგარით ხელში. ამბობენ, რომ დღეში ის 7-15 სიგარას ეწეოდა, მარაგში კი მუდმივად 3000 ცალი უნდა ჰქონოდა, ხოლო როგორც კი ეს რაოდენობა ოდნავ მოიკლებდა, იგი უმალ უკავშირდებოდა კუბას. რეალურად, ჩერჩილი სიგარას ყოველთვის მხოლოდ ნახევრამდე ეწეოდა, 1947 წელს კი, თიაქრის ოპერაციის გამო, საერთოდ არ მიჰკარებია მას 2 კვირის მანძილზე. თვითმხილველთა თქმით, ფულტონში თავისი ცნობილი გამოსვლის წინ მან მძღოლს მანქანა გააჩერებინა და დემონსტრაციულად აანთო სიგარა – შეკრებილი აუდიტორია საფირმო ნიშნის გარეშე ვერ აღმიქვამსო.

როდესაც ჟურნალისტებმა ასაკში შესულ პრემიერს სთხოვეს, აეხსნა (აშკარად არაჯანსაღი ცხოვრების წესის ფონზე) მისი ენერგიულობის საიდუმლო, ასეთი უცნაური პასუხი მიიღეს: „მე არასოდეს დავრბოდი, თუ შემეძლო მევლო, არ დავდიოდი, თუ შემეძლო ვმდგარიყავი, არ ვიდექი, თუ შემეძლო ვმჯდარიყავი და არ ვჯდებოდი, თუ შემეძლო ვწოლილიყავი! ასე რომ, ჭამეთ, სვით, მოწიეთ რამდენიც გენებოთ და, რაც მთავარია, არანაირი სპორტი!“ არადა, ჩერჩილი შესანიშნავი სპორტსმენი იყო: 52 წლამდე პოლოს თამაშობდა, 73 წლამდე ჯირითობდა, სიბერეშიც კი ბევრს ცურავდა და ჯანმრთელობასაც უფრთხილდებოდა; სწორედ ამის დამსახურებაა, რომ 2 ინსულტის მიუხედავად 90 წლამდე იცოცხლა.

აღსანიშნავია, რომ როდესაც მან 80 წლის იუბილე იზეიმა, ტელეკომპანია BBC-მ სპეციალური 5-კაციანი ჯგუფი შეკრიბა, რომელსაც დაევალა ექსპრემიერის „ბოლო დღეების“ გადაღება დასაფლავების ჩათვლით. ამ ხუთეულიდან ჩერჩილის სიკვდილს მხოლოდ 2 მოესწრო!

1965 წლის ზამთარში მან მესამე ინსულტი გადაიტანა და 24 იანვარს, ზუსტად მამამისის სიკვდილის 70-ე წლისთავზე, სერ უინსტონ ჩერჩილი გარდაიცვალა. ცოტა ხნით ადრე მან უკანასკნელად იხუმრა: „მე კი ვარ მზად შემოქმედთან შესახვედრად, მაგრამ საინტერესოა, ის თუა მზად ამგვარი გამოცდისთვის?!“



უინსტონ ჩერჩილი 1. არისტოტელე ონასისთან; 2. მარია კალასთან; 3. დედოფალ ელიზაბეთ მეორესთან; 4. ვაჟიშვილთან და კოკო შანელთან; 5. ჩარლი ჩაპლინთან; 6. ალბერტ აინშტაინთან.

დიდება დედოფალს!

სალომე დადუნაშვილი

ამბობენ, რომ ვარდისფერი, თითქმის გამჭვირვალე კანი აქვს, ნაზი და ფაფუკი, თვალები კი – ცოცხალი და მწვანე. კიდევ ამბობენ, რომ საოცარი სიმსუბუქისა და საბავშვო საპნის სურნელი ახლავს მის გამორჩენას.

ამბობენ.

მე არ ვიცი. ან კი საიდან?! ინგლისის დედოფალს ჯერ ვერ შევხვდი. როცა ამ ზაფხულს, საბედისწერო ბრექსიტის წინ, სარეფერენდუმო მღელვარებას მისი დაბადების დღის მოახლოების სასიამოვნო ფუსფუსი დაემთხვა, კუნძული დედოფლის 90 წლის იუბილეს აღნიშვნის ზღვაში ჩაიძირა.

„ფორტუმმა და მეისონმა“ საიუბილეოდ საკოლექციო ჩაის სერვიზი გამოუშვა მისი უდიდებულესობის ფერწერული მედალიონებით. ტურისტებმა გაიხარეს – ინგლისის დედოფალთან ერთად ჩაის დალევის ერთადერთი შანსი არ გაუშვეს ხელიდან. სერვიზი კარგად „წავიდა“.

1926 წლის 21 აპრილს ქვეყნიერებას მოევლინა ქალი, რომელმაც ყველაზე დიდი დრო გაატარა ინგლისის ტახტზე. გაერთიანებული სამეფოს, კანადის, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის დედოფალი. მისი მმართველობის დროს მას ხელიდან გამოეცალნენ ქვეშევრდომები იამაიკიდან, ბარბადოსიდან, სოლომონის, ბაჰამისა და პაპუა ახალი გვინეის კუნძულებიდან, გრენადიდან, ტუვალუდან, სენ ლუსიიდან და სენ ვინსენიდან. ბელიზმა, ანტიგუამ და ბარბუდამაც მოიპოვეს დამოუკიდებლობა.

1952 წლიდან, რაც ელიზაბეთი ინგლისის ტახტზე ავიდა, დრო შეიცვალა, მსოფლიო შეიცვალა. იმპერია აღარ არსებობს, მაგრამ არის ის. უცვლელი, თავისი ტიარებითა და ღიმილით, რეზინის ჩექმებითა და ნიკაპთან შეკრული „ჰერმესის“ აბრეშუმის შარფებით, ცხენზე ამხედრებული, ისევე როგორც ახალგაზრდობაში, როცა იგი „გულების მპყრობელი“ დედოფალი იყო.

მისი ახალგაზრდული შემართება და ღიმილი ისე სჭირდებოდა მეორე მსოფლიო იმის დროს შესუსტებულსა და გადაღლილ კუნძულს, როგორც არასდროს. ის საჭირო იყო. უდრეკი, ლამაზი და ყოველთვის ყველაზე მნიშვნელოვან ადგილზე მყოფი.

აი ის, მაღალ ტრიბუნაზე, უინსტონ ჩერჩილის გვერდით, ან სამხედრო ფორმაში გამოწყობილი, წითელი ჯვრის მანქანასთან – ყოველთვის იღიმის, ყოველთვის ელეგანტურია, შავი პრიალა თმითა და ფართო ინგლისური ღიმილით.

მერე იყო მისი საოცარი ჯვრისწერა, რომლის რადიოტრანსლაციას „ბიბისის“ მეშვეობით 200 მილიონი მსმენელი უსმენდა მთელ მსოფლიოში.

ოჰ, ეს იყო საოცრება, ნამდვილი ზღაპარი. საქმროც ზუსტად ისეთი აღმოჩნდა, როგორიც საჭირო იყო: მაღალი, ლამაზი, შეყვარებული. ფილიპ მოუნტბატენი, დღეს ედინბურგის ჰერცოგი, მაშინ კი საბერძნეთისა და დანიის პრინცი. სამეფოს გარეშე, ფინანსურად მწყრალ მდგომარეობაში მყოფ მართლმადიდებელ პრინცს ერთი უდავო პრივილეგია ჰქონდა: ის მომავალ დედოფალს უყვარდა. იგი დღემდე ასეთია – მდუმარე, მამაკაცური; მხარი, რომელზეც დედოფალს შეუძლია ცოტა დაისვენოს.

აი ასე, მთელი ერის თვალწინ, მაგრამ მომავალი მეუღლის ნაცისტებთან კონტაქტებში შეჩნეული გერმანელი ნათესავებისა და ბიძის, ედუარდის გარეშე იზეიმეს ახალომგამოვლილ, 1947 წლის ინგლისში (ელიზაბეთს სპეციალური კუპონები დასჭირდა იმისთვის, რომ საკაბე შეეძინა) სამეფო ქორწილი. ერთნი მოწვეულთა სიაში საეჭვო კონტაქტების გამო ვერ მოხვდნენ, მეორემ კი თავად გაწყვიტა კავშირი ოჯახთან რა ხანია.

ისე, კაცმა რომ თქვას, დიდი სიყვარულის ისტორია რომ არა, არ ეყოლებოდა ინგლისს დედოფალი ელიზაბეთი. ბიძამისს, ედუარდ VIII-ს ის უცნაური ამერიკელი ქალი რომ არ შეხვედროდა, ელეგანტური და თამამი, ერთხელ უკვე გათხოვილი ქალი.

ამ დიდი სიყვარულის გამო ედუარდს ინგლისის სამეფო ტახტი და გვირგვინი ბულონის ტყეში მდებარე სასახლესა და უზრუნველ, პასუხისმგებლობისგან თავისუფალ ცხოვრებაზე რომ არ გაეცვალა, ალბათ ახლა ინგლისს სულ სხვა დედოფალი ეყოლებოდა. მაგრამ გაცვალა, წავიდა. მთელი ცხოვრება გაატარა თავისი საყვარელი ქალის ჩინური კერამიკული მოპსებისა და „კარტიეს“ ბროშების გარემოცაში და არც უნანია არასდროს.

ბედნიერად იცხოვრა და მშვიდად მოკვდა. სასიყვარულო ბუდე ბულონის ტყეში ბოლოს არაბ მილიარდერს, ალ ფაედს ერგო, ელიზაბეთის რძლის, დაიანას საბედისწერო სიყვარულის – დოდის მამას. რა პატარაა მაინც არისტოკრატთა და მილიარდერთა სამყარო!

დაიანა – კიდევ ერთი კრიზისი, ყველაზე მძიმე, რომელიც კი სამეფო კარს გადაუტანია. ახალგაზრდა ლამაზი ქალი ზედმეტად ბევრი ნაჭრისგან შეკერილ, გაზის ღრუბელივით საქორწილო კაბაში, დაბნეული ღიმილითა და სიყვარულით სავსე თვალებით. რა მალე გადაიქცა იგი ბრწყინვალე დედოფლად! ახლა დაიანა იყო გულთა მპყრობელი დედოფალი. დედოფალი, რომელსაც ასე გულამოსკვნით გლოვობდნენ დღედაღამ.

ელიზაბეთმა ამასაც გაუძლო, დინჯად და აუღელვებლად. თითქმის მშრალად, დაგვიანებით, საჯაროდ გამოხატული სამძიმრით, რომელიც დიდხანს ვერ აპატიეს. გაუძლო ბრალდებებსაც და ჰელენ მირენსაც მის როლში.

გაუძლო და ნელ-ნელა უფრო და უფრო დაემსგავსა დედას, ინგლისის კიდევ ერთ საყვარელ მოხუც დედა-დედოფალს, ყოველთვის მხიარულსა და ზედმეტად მკვეთრ ფერებში ჩაცმულს. ახლა ისიც ასეთია. მთელი ინგლისი დიდხანს ალაპარაკა იმაზე, თუ რატომ შეარჩია დაბადების დღისთვის ის ფოსფორისფერი კოსტიუმი.
ლაპარაკობენ იმაზეც, თუ რამდენი ქუდი, ბროში და ტიარა აქვს დედოფალს; რომ მისი შვილი ფუქსავატია, შვილიშვილები კი უსაქმურები არიან. ის ყველაფერს უძლებს დედოფლის მოთმინებით. კიდევ ერთი სამეფო ქორწილი კი ისევ ყველაფერს თავის, სამეფო ადგილზე აბრუნებს. შვილთაშვილების ფოტოები ყველაზე მკაცრ კრიტიკოსებსაც კი ულბობს გულს.

დედოფალი ელისაბედი ყველგანაა. არ ტოვებს საქველმოქმედო ღონისძიებებს, ჩელსის ყვავილების გამოფენებს და ასკოტს. ისევ და ისევ ყველა ლაპარაკობს იმაზე, თუ რამდენი ბრილიანტი ბრწყინავდა მის მხარზე და, მგონი, არავინ ფიქრობს იმაზე, რა იქნება მის გარეშე. მისი ოჯახის ზღაპრული, ფანტაზიური მომხიბვლელობის გარეშე, რომელიც 21-ე საუკუნეში სულ სხვა ელფერს იძენს. მაგალითად, დედოფლის გარეშე აზრი დაეკარგებოდა ბრიტანული სოციალური კალენდრის ისეთ მნიშ-ვნელოვან მოვლენას, როგორიცაა როიალ ასკოტი. დედოფალი ანას მიერ 1711 წელს დაარსებული ეს დოღი დღემდე მაგნიტივით იზიდავს მთელ მსოფლიოს და აქ გადამწყვეტი არ არის ლამაზი ცხენები და მაღალი ფსონები. როიალ ასკოტის დროს სამეფო ოჯახი ცხენებშებმული ეტლით ყოველდღე მიბძანდება მეზობლად მდებარე უინძორის სასახლიდან ასკოტზე. სამეფო ეტიკეტი,

რომელიც ამ პერიოდის განმავლობაშია დაცული, უცვლელია წლების მანძილზე. სანუკვარი სამკერდე ნიშნების მფლობელი (მის გარეშე სამეფო აკსოტზე ვერ მოხვდებით) მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგიძლიათ გახდეთ, თუ ვინმემ, ვინც უკვე 4 წელია ზედიზედ ესწრება ამ დოღს, რეკომენდაცია გაგიწიათ. სამკერდე ნიშნების ფერი ყოველდღე იცვლება, ამიტომ ერთდღიანი საშვის მფლობელებს მართლაც ერთი შანსი აქვთ, სამეფო ოჯახსა და არისტოკრატიას მიუახლოვდნენ.

მიუხედავად იმისა, გაქვთ თუ არა სამეფო ოჯახთან სივრცის გაყოფის უფლება, დოღზე შესაბამისი კაბისა და ქუდის გარეშე ვერ მოხვდებით. მამაკაცებისთვისაც მკაცრი დრესკოდი მოქმედებს – მის დასაცავად სევილ როუზე მოგიწევთ გავლა და ცილინდრის

შეძენაც. თავად დედოფალი სიამოვნებით აძლევს მაგალითს თავის ქვეშევრდომებს და ყოველდღიურად იცვლის ცისარტყელისა და ტროპიკული ტყის ბინადართა ფერთა გამის კოსტიუმებსა და ქუდებს.

სამეფო ოჯახის შესახებ იღებენ სერიალებს, აკრიტიკებენ გაზეთებში, უყვართ ან დაუფარავად სძულთ, მაგრამ ფაქტია, რომ თანამედროვე სამყაროში საბავშვო ზღაპრების გმირებიდან რეალურ ცხოვრებაში მხოლოდ რამდენიმე გვხვდება. თუნდაც შორეული, მაგრამ რეალური დედოფლის, მეფის, პრინცებისა და პრინცესების არსებობა პლანეტის მოსახლეობის უდიდეს ნაწილში სასიამოვნო ეიფორიას იწვევს. ადამიანების ლტოლვა სამეფო კარისკენ საკმაოდ განსხვავდება ძალაუფლების ხიბლისგან, ვინაიდან რეალური ძალაუფლება სამეფო კარს არ გააჩნია და იმ შესაძლებლობასაც კი, რომელიც კონსტიტუციით კვლავაც აქვს, არ იყენებს.

ინგლისის დედოფალმა ვერ ან არ „უშველა“ ბრექსიტს, თუმცა ამბობენ, რომ შეეძლო.

კითხვა: „რა საჭიროა დედოფალი, თუ ის ბრექსიტისგან ვერ გვიხსნის?“ – კიდევ ერთხელ გაისმა ინგლისში, მაგრამ უპასუხოდ დარჩა.

იმიტომ, რომ ალბათ მაინც საჭიროა.

და არა მხოლოდ იმიტომ, რომ მისი გამოჩენა სასიამოვნო ფორიაქს იწვევს, არა მხოლოდ მისი ქუდების ექსტრავაგანტულობისა და ღიმილის უცვლელი ნათების გამო, არამედ ალბათ იმიტომაც, რომ ჩვენს ცვალებად სამყაროში ის კვალავ რჩება უცველად, მუდმივ სიდიდედ, კონსტანტად, რომლის გარეშე ცხოვრებაც საოცრად უხალისო იქნება.

სანამ ბიღი კანონად იქცევა, დიდი ბრიტანეთის დედოფალმა მას ე. წ. სამეფო სანქცია უნდა დაადოს. დედოფალს დღემდე აქვს უფლება დაადასტუროს, უარყოს ან გადადოს კანონპროექტის ძალაში შესვლა, თუმცა რეალობაში ასეთი რამ არ მომხდარა – 1708 წლიდან არც ერთ ბრიტანელ მონარქს არ დაუდია ვეტო პარლამენტის მიერ შეთავაზებულ ბილზე.

ბრიტანეთის საპარლამენტო სისტემა ერთ-ერთი ყველაზე კარგად აწონ-დაწონილი და მწყობრი პოლიტიკური სისტემაა მსოფლიოში; სწორედ ბრიტანული გამოცდილება უდევს საფუძვლად ბევრი სხვა ქვეყნის საპარლამენტო წყობას, თუმცა თავად ბრიტანეთის პარლამენტს არაერთი უცნაურობა ახასიათებს.

დავიწყოთ იქიდან, რომ ბრიტანეთში კონსტიტუცია არ არსებობს! უფრო სწორად, არ არსებობს ერთიანი დოკუმენტი, რომელშიც ჩამოყალიბებული იქნებოდა სახელმწიფოს მართვის პრინციპები. მის ნაცვლად სახელმწიფოს მართვის საფუძველში დევს უამრავი ცალკეული კანონი და ტრადიცია.

დიდი ბრიტანეთის მოქალაქეები პრემიერ-მინისტრს არ ირჩევენ, ისინი მხოლოდ ფავორიტი პარტიის წევრებს აძლევენ ხმას პარლამენტში ასარჩევად. მას შემდეგ, რაც საყოველთაო არჩევნების ოფიციალური შედეგები გამოქვეყნდება, იმ პარტიის ლიდერი, რომლის ყველაზე მეტი წევრიც შევიდა პარლამენტში, მიდის ბაკინგემის სასახლეში და დედოფალს ახალი მთავრობის ფორმირების ნებართვას სთხოვს. საბედნიეროდ, კიდევ ერთი ძველი ადათის თანახმად, დედოფალი ამ თხოვნას ყოველთვის დადებითად პასუხობს.

ბრიტანეთის პარლამენტში ორი პალატაა – თემთა (ქვედა) და ლორდთა (ზედა). ლორდთა პალატის წევრებს დედოფალი ნიშნავს ხელისუფლებისა და ანგლიკანური ეკლესიის 26 ყველაზე გავლენიანი ეპისკოპოსის რეკომენდაციით.

ყველა კანონპროეტი, რომელიც პარლამენტში წარმატებით გავა, ლორდთა პალატამ უნდა განიხილოს და რატიფიცირება მოახდინოს. ლორდებს უფლება აქვთ (და ხშირად იყენებენ კიდევაც) კანონპროექტის რატიფიცირებაზე უარი განაცხადონ, თუმცა თემთა პალატას, პარლამენტის 1911 და 1949 წლების აქტებზე დაყრდნობით, კანონპროექტის მიღება მაინც შეუძლია.

1911 წლიდან მოყოლებული, ასეთი უკიდურესი ზომა თემთა პალატამ 7-ჯერ გამოიყენა, ბოლოს – 2004 წელს ძაღლებით ნადირობის აკრძალვისთვის.

თემთა პალატის საპარლამენტო სეხიების დროს დარბაზის ცენტრში დევს ცერემონიალური ოქროს კვერთხი, რომელიც დედოფლის ძალაუფლების სიმბოლოა. მის გარეშე პარლამენტის სხდომა ბათილია.

ბრიტანეთის პარლამენტის ადათ-წესები

თემთა პალატა კენჭისყრის ძველებურ და საკმაოდ უცნაურ მეთოდს იყენებს: კენჭისყრის გამოცხადების შემდეგ დამსწრე დეპუტატებს 8 წუთი აქვთ იმისთვის, რომ ორიდან ერთ-ერთ ოთახში შევიდნენ: ოთახში „დიახ“ ან ოთახში „არა“. დროის გასვლისთანავე ორივე ოთახის კარი იკეტება და იქ მყოფი დეპუტატების რაოდენობას ითვლიან.

დიდი ბრიტანეთის პარლამენტის ქვედა პალატის სხდომა ლოცვით იწყება: მღვდელი ხმამაღლა კითხულობს ლოცვას, დეპუტატები ფეხზე მდგომნი ლოცულობენ. ეს ტრადიცია 1558 წლიდან მოდის.

შლაპები საპარლამენტო ეტიკეტის ნაწილი იყო და დეპუტატებს სხდომათა დარბაზში ყოფნისას ეფარათ; იხდიდნენ დარბაზში შესვლისას ან იქიდან გამოსვლისას. შლაპა კარგ სამსახურს უწევდა პატრონს სკამის დასაკავებლადაც. დღეისათვის შლაპა უნდა ეფაროს ყველა მამაკაც პარლამენტარს, როდესაც იგი სპიკერს მიმართავს. მედლების და სხვა გამოსარჩევი სამკერდე ნიშნების ტარება, რომლებიც მონარქის კეთილგანწყობას ან მადლობას გამოხატავს, ბრიტანეთის პარლამენტში აკრძალულია.

წარსულის კიდევ ერთი გადმონაშთია ბურნუთი. სათუთუნე თემთა პალატის შესასვლელთან დევს, თუმცა ძალიან ცოტა თუ სარგებლობს ამ შესაძლებლობით. ბურნუთი (საყნოსავი თუთუნი) თამბაქოს ერთადერთი სახეობაა, რომელიც თემთა პალატასა და კომიტეტებშია დაშვებული; თამბაქოს მოწევა ინგლისის პარლამენტში ჯერ კიდევ 1693 წელს აიკრძალა.

ლორდ-კანცლერი მატყლით სავსე ტომარაზე ზის, რაც ეროვნული სიმდიდრის სიმბოლოა. წეს-ჩვეულება შუასაუკუნეებიდან მოდის, როცა ინგლისი მატყლის და მატყლის ნაწარმის მთავარი ექსპორტიორი იყო ევროპაში. ამჟამად ტომარას არა მარტო დიდ ბრიტანეთში, არამედ თანამეგობრობის სხვა ქვეყნებში ნაწარმოები მატყლითაც ავსებენ, რითაც ამ ქვეყნების ერთიანობას გამოხატავენ.

ინგლისური მუსიკა

ლაშა გაბუნია

გაერთიანებული სამეფოს ინგლისი აშშ-სთან ერთად თანამედროვე მუსიკალური შოუბიზნესის ერთ-ერთი ცენტრია, ისევე როგორც პარიზი და საფრანგეთი – მოდის, ან ჰოლივუდი – კინემატოგრაფიისა. თანამედროვე ინგლისური მუსიკის აღმასვლის და ლიდერობის ისტორია გასული საუკუნის 1960-იანი წლებიდან იწყება, როდესაც „ბრიტანული შეჭრა“ მოხდა ჯერ ამერიკაში, მერე – მთელ მსოფლიოში. იმ პერიოდში ინგლისურმა (და არა მარტო ინგლისურ-ენოვანმა) მუსიკამ ფირსაკრავებიდან, რადიო-ებიდან, მაგნიტოფონებიდან, ტელევიზიებიდან, თეატრებიდან და კინოთეატრებიდან მსოფლიოს შეუტია. ამ წარმატებული შტურმის შემდეგ ინგლისელ შემსრულებლებს პლანეტის ყველაზე მოშორებულ წერტილებშიც კი მოუსმენდით. საერთოდ, ამერიკული ჩარტები საკმაოდ მკაცრია უცხო ქვეყნის შემსრულებლების მიმართ (არაამერიკელისთვის ამერიკულ ჩარტებში მოხვედრა დღესაც საკმაოდ რთულია), თუმცა 1960-იანებში The Beatles-ის, The Rolling Stones-ის, The Who-ს, Cream-ისა და სხვა ინგლისელთა შემოტევას ვეღარ გაუძლო: ამერიკელებმა საკუთარ ქვეყანაში ინგლისელებს დაუთმეს ლიდერობა. ევროპაში ეს უფრო უმტკივნეულოდ მოხდა და დღესაც ასეა.

მუსიკალური ხელოვნება ინგლისში ყოველთვის მაღალ დონეზე იყო, თუმცა ევროპის სხვა მუსიკალურ ქვეყნებთან შედარებით მან მსოფლიოს კლასიკურ მუსიკას უფრო ნაკლები გამოჩენილი კომპოზიტორი და მუსიკოსი მისცა. მე-17 საუკუნეშ ინგლისს და, ზოგადად, ბრიტანეთს მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცვლილებები მოუტანა. რევოლუციების და ომების შედეგად საუკუნის ნახევრისთვის მონარქია დაემხო და რესპუბლიკა შეიქმნა. ხელისუფლებაში მოსული პროტესტანტები (პურიტანები) არ აღიარებდნენ საეკლესიო მუსიკას და წვავდნენ ნოტებს, ანადგურებდნენ მუსიკალურ ინსტრუმენტებს. ზეპური ხელოვნება ცოდვად შეირაცხა, თუმცა 1660 წელს ინგლისში მონარქია აღდგა და ტახტზე კარლ II სტიუარტი ავიდა. მისი ბრძანებით მეფის კარზე მხატვრული და მუსიკალური ცხოვრება გაცოცხლდა, შეიქმნა სამეფო კაპელა, სტუმრად იწვევდნენ იტალიურ საოპერო დასებს. ამ პერიოდიდან დაიწყო მუსიკოსების, მომღერლების, ინსტრუმენტალისტების კონცერტები. ქვეყანაში მუსიკალური ცხოვრება განახლდა და მუსიკოსებს უკვე საშუალება ჰქონდათ, სხვა ქვეყნების ოსტატთა ნამუშევრებს გასცნობოდნენ. კლასიკურ მუსიკაში საქვეყნოდ აღიარებული ინგლისელი კომპოზიტორები იყვნენ: ჰენრი პერსელი (1659 – 1695), ჯორჯ ფრედერიკ ჰენდელი (1685 – 1759), უილიამ ბოისი (1711 – 1779), ჯონ სტენლი (1712 – 1786), სერ ედუარდ ელგარი (1857 – 1934), რალფ ვოან უილიამსი (1872 – 1958), გუსტავ ჰოლსტი (1874 – 1934) და ედუარდ ბენჯამენ ბრიტენი (1913 – 1976). არ უნდა დაგვავიწყდეს მენესტრელთა – მოხეტიალე პოეტ მუსიკოსთა (მათ შორის იყვნენ ქალებიც) შემოქმედებაც, რომელიც შუასაუკუნეებში მთელ ევროპაში და, რა თქმა უნდა, ინგლისშიც კარგად იყო განვითარებული. ამ ტიპის მუსიკოსთა უმეტესობის სახელები არ შემორჩენილა, თუმცა მათ დიდი გავლენა მოახდინეს ფოლკ-მუსიკის ჩამოყალიბებაზე, რომელიც ინგლისში დღემდე ძალიან პოპულარულია.

სწორედ კლასიკის, ფოლკის, ჯაზის და კიდევ ამერიკაში ჩასახული ახალი მუსიკალური სტილის – როკენროლის შერწყმის შემდეგ, მე-20 საუკუნის 1950-იანი წლებიდან დიდ ბრიტანეთში თანამედროვე მუსიკის მძლავრი ტალღა აგორდა, რომელმაც ქვეყნის ყველა ქალაქი და სოფელი მოიცვა. ამ მიმართულების მთავარი სიმბოლო ელექტროგიტარა გახდა, რომელსაც მოზარდები და მოზრდილებიც კი ყიდულობდნენ. როკენროლის და ბლუზის შესრულება „კაიტიპობის“ ერთგვარი საზომიც კი იყო. 1960-იანი წლების ინგლისის ერთ-ერთი ქალაქის პოლიციის უფროსმა ინტერვიუში აღნიშნა: „ჩემი ნება რომ იყოს, მთელ ქვეყანაში ყველა მოზარდს გიტარას ჩამოვურიგებდი და დაკვრას ვასწავლიდი, რადგან ახალი მუსიკის შემოსვლის შემდეგ ქალაქში ბევრად იკლო უსაქმურთა და დამნაშავეთა რიცხვმა“.

ახალი მუსიკა ახალგაზრდებისთვის მარტოოდენ გართობის საშუალება არ იყო. იგი გაცილებით მეტს ნიშნავდა – ის იყო ცხოვრების სტილი, ამავე დროს, პროტესტიც წინა თაობების მიმართ, რომელთაც მეორე მსოფლიო ომი თავიდან ვერ აიცილეს. ლონდონი 1950-60-იანი წლების, ომგამოვლილი ევროპელი ახალგაზრდების კულტურულ ცენტრად, დედაქალაქად იქცა, სადაც საინტერესო პროცესები მიმდინარეობდა. ახალგაზრდები ტკბებოდნენ ნანატრი მშვიდობით. ოღონდ ის მთავარი მუსიკალური მოვლენა, რომელმაც გადატრიალება, რევოლუცია მოახდინა თანამედროვე მუსიკაში და, ზოგადად, აზროვნებაში, ლონდონიდან მოშორებით, ერთ პროვინციულ მეზღვაურთა ქალაქ ლივერპულში გაჩნდა 1960-იანი წლების დასაწყისში. ამ მოვლენას The Beatles ერქვა.

ქართველები ვამბობთ, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო და ეს გამოთქმა ინგლისელებსაც ერგება, რადგან „ბითლზის“ პირველი სერიოზული დამფასებელი გერმანელი, კერძოდ, ჰამბურგელი მსმენელი იყო. დიდი გერმანული წარმატების შემდეგ ჯგუფს სამშობლოშიც მიაქციეს ყურადღება. თავს უფლებას მივცემ, „ბითლზთან“ ერთად კიდევ ერთი ლეგენდა, The Rolling Stones-ი ვახსენო, რადგან ბრიტანული მუსიკის აღზევების ეპოქის დასაწყისი ამ ორი, აბსოლუტურად განსხვავებული, მაგრამ უმნიშვნელოვანესი მუსიკალური ჯგუფის გარეშე წარმოუდგენელია. სხვათა შორის, „როლინგები“ დედაქალაქელები – ლონდონელები არიან. ბითლზი ოდნავ უფრო ადრე შეიქმნა. ამ ორმა ჯგუფმა თავდაყირა დააყენა მთელი სამყარო. მათ ძლიერ შეცვალეს კულტურაც, აზროვნებაც; უზარმაზარი გავლენა იქონიეს თანამედროვე მუსიკის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე – როკში, პოპში, მეტალში, პანკში და ა.შ. მათ შემოქმედებაში, ნებით თუ უნებლიეთ, თითქოს ყველაფერმა მოიყარა თავი.

კარიერის დასაწყისში ორივე ჯგუფს კარგად გამოკვეთილი იმიჯი ჰქონდა. „ბითლზის“ ბიჭები მსმენელს უყვარდა, მათ დანახვაზე ჭკუას კარგავდნენ ფანატი გოგონები, რაც არ ითქმის „როლინგების“ წევრებზე, რომლებიც აშკარად ანტიგმირები იყვნენ. შესაბამისად, „ბითლზები“ ხალხისა და პრესის საყვარელი მუსიკოსები იყვნენ, რომელთა მისამართითაც არავინ იშურებდა კნინობით სიტყვებს; „როლინგები“ კი იმ ეპოქის „ცუდი ბიჭების“, ანტიგმირების ერთგვარ ეტალონადაც კი იქცნენ, რომლებიც, მართალია თავისებურად, მაგრამ მაინც უყვარდათ, თუმცა მათ მოფერებით არავინ მიმართავდა.

კარგად მოგეხსენებათ, თუ რა საკულტო მნიშვნელობა აქვს ინგლისში ჩაის სმის რიტუალს. ჰოდა, ერთ-ერთმა გაზეთმა გააკეთა გამოკითხვა – ჩაიზე რომელ ჯგუფს მიიწვევდით, „ბითლზს“ თუ „როლინგებსო“? მკითხველის აბსოლუტურმა უმრავლესობამ სურვილი გამოთქვა, ჩაიზე მხოლოდ „ბითლზის“ წევრები მიეპატიჟებინა. საშუალო ბრიტანელი არც თავისი ქალიშვილის გაშვებას აპირებდა კინოთეატრში „როლინგების“ რომელიმე წევრთან ერთად. დიახ, ასეთი უაზრო გამოკითხვებიც ტარდებოდა, სადაც, რა თქმა უნდა, „საყვარელი“ ლენონი, მაკარტნი, რინგო სტარი და ჰარისონი „იმარჯვებდნენ“.

ამ ორი ჯგუფის ამერიკაში გასტროლს, ოკეანისგაღმა მათ წარმოუდგენელ წარმატებას მოჰყვა სწორედ იმ კულტურული ფენომენის დაბადება თანამედროვე მუსიკაში, რომელსაც „ბრიტანული შეჭრა“ (British Invasion) ეწოდა. ამ დიდებულ აქტში, რასაც ჩრდილო ამერიკის კონტინენტის და შემდეგ უკვე მთელი მსოფლიოს მუსიკალური ჩარტების და საკონცერტო დარბაზების წარმატებული დალაშქვრა მოჰყვა, „ბითლზის“ და „როლინგების“ გარდა, მონაწილეობდნენ 1960-იანი წლების ისეთი ლეგენდარული ინგლისური ჯგუფები, როგორებიც იყვნენ: The Who, The Kinks, The Yardbirds, Cream, The Animals, The Zombies და სხვები.

ამ შესანიშნავ ჯგუფებს ახლა ცალ-ცალკე არ განვიხილავ, თუმცა აუცილებლად უნდა ვთქვა ისიც, რომ მსოფლიოში პირველი როკ-ოპერა სწორედ The Who-მ დაწერა 1969 წელს და მას „Tommy“ ერქვა. შემდეგ ისევ და ისევ ინგლისელმა თანამედროვეობის ერთ-ერთმა ყველაზე გამოჩენილმა კომპოზიტორმა ენდრიუ ლოიდ ვებერმა როკ-ოპერის კლასიკური ნიმუში, „Jesus Christ Superstar“ დაწერა და ის ეპოქალურ ნაწარმოებად იქცა.

მომდევნო ათწლეულებშიც ინგლისში რამდენიმე მუსიკალური სტილი ჩამოყალიბდა. სცენაზე უდიდესი შემსრულებლები გამოჩდნენ, რომელთაც უზარმაზარი გავლენა იქონიეს თანამედროვე მუსიკის განვითარებაზე. არ შეიძლება, არ ვახსენოთ: Pink Floyd, Led Zeppelin, Black Sabbath, Queen, Jethro Tull, David Bowie, King Crimson, Emerson Lake and Palmer, Alan Price, Yes, Genesis, Uriah Heep, Deep Purple, Iron Maiden, Judas Priest, Brian Eno, Elton John, Rod Stewart, Electric Light Orchestra, Nick Drake, Slade, Sweet, The Police, Depeche Mode, The Buggles, The Smiths, Kate Bush, Eurythmics, Talk Talk, Joy Division (შემდეგში New Order), The Clash, The Stranglers, The Cure, Nick Cave And The Bad Seeds, Pet Shop Boys, Gary Numan, Duran Duran, Radiohead, Underworld, Chemical Brothers, Massive Attack, Coldplay, Muse, PJ Harvey, Blur, The Verve და კიდევ უამრავი სხვა, რომლებზეც დღეს დგას თანამედროვე მუსიკა.
ინგლისში რამდენიმე მუსიკალური სტილი განვითარდა და შეიქმნა კიდეც, რომელთა შორისაც შეიძლება გამოვყოთ: ჰევი მეტალი, პროგრესივ როკი, ჰარდროკი, ფსიქოდელიური როკი, პოსტპანკი, სინთპოპი, ტრიპჰოპი, ახალი ტალღა, პოსტროკი, ბრიტპოპი, ელექტრონული მუსიკის ჟანრები და სხვა.

1970-იანი წლების მეორე ნაწილში მსოფლიო შეძრა ახალმა საპროტესტო მუსიკალურმა ტალღამ, რომელიც მართალია, ამერიკაში ჩაისახა, მაგრამ პროდიუსერ მალკოლმ მაკლარენის დამსახურებით, სწორედ ინგლისიდან მოედო სამყაროს. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე რადიკალური სტილი თუ მოძრაობა (შემდგომში კულტურად წოდებული), რომელსაც პანკი ერქვა და ჯგუფ Sex Pistols-ის დაბადებისთანავე ყველა დანარჩენ არსებულ მუსიკალურ სტილთან ერთგვარ წინააღმდეგობაში მოვიდა. პანკების აბსოლუტური უმრავლესობა უპირისპირდებოდა უფროს თაობას, მონარქიასაც კი. ისინი დიდი მუსიკალური ოსტატობით არ გამოირჩეოდნენ, თუმცა უზარმაზარ დრაივს, მუხტს ატარებდნენ და კარგი დეკლამატორები იყვნენ. მე-2 „ბრიტანული შეჭრა“ მსოფლიოში 1981 წელს დაიწყო, როდესაც საერთაშორისო მუსიკალური ტელეარხი MTV გავიდა ეთერში.

ზოგადად, ინგლისურმა მუსიკამ მსოფლიო მასშტაბით დიდი გავლენა იქონია ადამიანების მოდაზე, ქცევაზე; საერთოდ, მსოფლიო კულტურაზე. 1970-იან წლებში თუნდაც პანკების ჩაცმულობა თავისით არ გაჩენილა. მისი ავტორი ცნობილი ინგლისელი დიზაინერი ვივიენ ვესტვუდია, ზემოხსენებული მალკოლმ მაკლარენის ცოლი. მანამდე, გავიხსენოთ თუნდაც სათვალეები: „ლენონები“, „მაკარტნები“, ყელიანი სვიტერები, რომელსაც დღემდე „როლინგებს“ ვეძახით და კიდევ ბევრი რამ. 1980 და 1990-იანი წლების ინგლისური მუსიკიდანაც ბევრი რამ შედიოდა ყოველდღიურ მოდასა თუ კულტურაში, ხოლო ბრიტანეთის დროშა ერთგვარად ხარისხიანი მუსიკის სიმბოლო გახდა და ბევრ მელომანს აქვს.

ინგლისი ცნობილია მუსიკალური ფესტივალებით, თუმცა მათ შორის ყველაზე სახელგანთქმული „ბრიტანულ ვუდსტოკად“ წოდებული გლასტონბერის ფესტივალია, რომლის სრული სახელი ასე წარმოითქმის: Glastonbury Festival of Contemporary Performing Arts (გლასტონბერის თანამედროვე საშემსრულებლო ხელოვნების ფესტივალი); მას შემოკლებით გლასტონბერის ან გლასტოსაც ეძახიან. ეს რამდენიმედღიანი ზეიმი 1970 წელს ფერმერმა მაიკლ ივისმა დააარსა და მისივე რძის ფერმის ტერიტორიაზე ტარდება, რომელიც ინგლისის სამხრეთ-დასავლეთით, სომერსეტის საგრაფოში მდებარეობს და რამდენიმე კილომეტრითაა დაცილებული ქალაქ გლასტონბერიდან. რამდენიმე სცენაზე მიმდინარე კონცერტების გარდა, ფესტივალზე საეკვაო ფოლკლორული კოლექტივები და საცირკო დასებიც გამოდიან, ეწყობა სამხატვრო ექსპოზიციებიც. ფესტივალზე მოსახვედრი ბილეთი საკმაოდ ძვირია, თუმცა დამსწრეთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მუსიკის ახალი სტილების ერთი ნაწილი ამერიკაში ჩაისახა, ინგლისმა ისინი მეტად ორიგინალურად გადაამუშავა და სრულიად ახალი, ერთგვარად „დაწშენდილი“ სახით დაუბრუნა მსოფლიოს. შეიძლება ითქვას, რომ ინგლისმა ჯაზის შემდეგ გაჩენილ საეკვაო მუსიკას დიდი შარმი, დრაივი, სიმძიმე, ექსპერიმენტულობა და ინტელექტი შესძინა. წლებთან ერთად თანამედროვე ინგლისური მუსიკის მაღალი დონე ძირს არ ეცემა და სწორედ ამიტომ, ინგლისურ სცენას და „ბრიტ-ევარდის“ დაჯილდოებებს მთელი მსოფლიო ისევ დიდი ინტერესით ადევნებს თვალყურს.

„საინტერესო ადამიანები ქმნიან საინტერესო მოვლენებს!“

დავით საყვარელიძე

მგონი, უკვე ყველამ იცის ვესტ ენდის კომერციული თეატრების შესახებ, სადაც 30-40 წლის განმავლობაში ყოველდღე ერთი და იგივე სპექტაკლი მიდის და ბილეთის შოვნა მაინც ძალიან ძნელია. აგრეთვე, ყველამ იცის საქვეყნოდ განთქმული მიუზიკლების შესახებ.

მსოფლიოში არის რამდენიმე დიდი კომპანია, რომელიც მუსიკალურ სპექტაკლებს დგამს და გაყიდული ბილეთებიდან შემოსული თანხებით მდიდრდება, მაგალითად, კომპანია „კამერუნ მაკინტოში“, რომელსაც პროდიუსერის სახელი და გვარი დაერქვა. იგი ფლობს არა მარტო მუზიკლებს, არამედ რვა თეატრის შენობასაც (www.cameronmackintosh.com). მეორე ასეთივე ძლიერი კომპანია კომპოზიტორ ენდრიუ ლოიდ ვებერის კუთვნილი „რილი იუზფულ თეატრია“ (www.reallyuseful.com).

მესამე კომპანიაა „უოლტ დისნეი“ , რომელსაც მხოლოდ ერთი სპექტაკლი – „მეფე ლომი“ აქვს ლონდონში წარმოდგენილი (www.lionking.com) და მისი შემოსავლები სხვა დანარჩენის შემოსავლებს უტოლდება.

ლონდონში ჩასულების უსაყვარლესი ადგილი თეატრი „გლობუსია“, რომელიც მდინარე ტემზის სამხრეთ სანაპიროზეა აგებული. ეს იმ ორიგინალი შექსპირის „გლობუსის“ ასლია, ზუსტად ისეთივე ტექნოლოგიით აშენებული, როგორითაც შექსპირის დროს აიგო. ლურსმანიც კი არ არის გამოყენებული ამხელა ხის თეატრის მშენებლობაში.

იმავე სამხრეთ სანაპიროზე ინგლისის სამეფო ნაციონალური თეატრის ბეტონის შენობა დგას – ყველა ინგლისელისთვის სიამაყის და ღირსების ადგილი. ის ლოურენს ოლივიემ, უდიდესმა ინგლისელმა მსახიობმა, დედოფლის მიერ გამოყოფილი თანხებით ააშენა.
ლონდონის ცენტრში, კოვენტ გარდენში ლონდონის სამეფო საოპერო თეატრი დგას. იქვე ახლოს მდებარეობს ინგლისის ნაციონალური ოპერის შენობა – „ლონდონის კოლიზიუმი“.



ინგლისისკენ მიმავალი მოგზაური ამ ინფორმაციას ადვილად მოიპოვებს. მე მაინც ისეთ რამეზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას, რაც მე თვითონ ძალიან მაინტერესებს და მაფორიაქებს.

ერთხელ პატარა უილიამ დევენანტი შემთხვევით ღვაწლმოსილ ოქსფორდელ მოხუცს დაეჯახა და აქოშინებულმა, ბოდიში მოუხადა. მოხუცმა ჰკითხა, ასე საით მიიჩქაროდა. უილიამმა, რომელიც სიხარულს ვერ მალავდა, უპასუხა: „ჩემი ნათლიმამა ჩამოვიდა და უნდა ვნახო!“ მოხუცმა ბრიტანული სარკაზმით ჭკუა დაარიგა: „ახალგაზრდავ, სიტყვა „ნათლია“ ამოიღე და მხოლოდ „მამა“ იხმარე“.

საქმე ის გახლავთ, რომ ოქსფორდის მაშინდელ საზოგადოებაში გავრცელებული ხმებით, უილიამის ნათლია სინამდვილეში მისი ბიოლოგიური მამა იყო. პატარა უილიამი ამ კაცის უკანონო შვილი ეგონათ. უილიამ დევენანტის ნათლია კი ოფიციალურად, არც მეტი, არც ნაკლები, უილიამ შექსპირი გახლდათ. დიახ, სწორედ ის უილიამ შექსპირი!

ამბობდნენ, რომ უილიამ შექსპირი, ლონდონისკენ გზად მიმავალი, ოქსფორდში ხშირად ათევდა ღამეს. სწორედ ერთ-ერთი ასეთი „ღამის გათევის“ შემდეგ, 9 თვის თავზე ოქსფორდელ ქალბატონს, ჯეინ შეფერდს ვაჟი შეეძინა. 1606 წელს ადგილობრივი ტაძრის დავთარში ჩაიწერა: „მოინათლა და ღმერთისკენ ჭეშმარიტ გზას დაადგა მონაი ღვთისა უილიამ დევენანტი“.

დევენანტი ამ ქალბატონის კანონიერი მეუღლის გვარი იყო. ჭორებს კი ამძაფრებდა ის გარემოება, რომ მშობლებმა სიცოცხლეში არაფერი იღონეს ამ ჭორების გასაქარწყლებლად; აგრეთვე, დიდი ფიზიკური მსგავსებაც. მკვლევრები იმაზე საუბრობენ, რომ უილიამ შექსპირს და უილიამ დევენანტს ისეთი ერთნაირი ნიშნები ჰქონდათ, რომლებიც მხოლოდ ერთი გენის მატარებლებს შეიძლება ჰქონოდათ. ამ მსგავსებას ბენ ჯონსონმაც კი მიუძღვნა ფრაზა: „რა არს მშობლისგან დამალული, რაც არ გაცხადდეს შვილის ნაკვთებში“ (თარგმანი ჩემია).

დევენანტი აღმერთებდა უილიამ შექსპირს, უყვარდა გაუცნობიერებლად, ერთგვარი ბავშვური აღფრთოვანებით. შექსპირის გარდაცვალებას მან ტრაგიკული ოდა მიუძღვნა. თავიდანვე ხვდებოდნენ, რომ პატარა უილიამში უდიდესი ნიჭი და განუსაზღვრელი შესაძლებლობები ბუდობდა. არც შემცდარან. კაცობრიობა მას ბრიტანეთის უდიდეს პოეტად, მწერლად და დრამატურგად მიიჩნევს.

პირადად ჩემთვის კი იგი უსაყვარლესი ისტორიული ფიგურაა, რადგან, ამავე დროს, უნიჭიერესი საოპერო პროდიუსერი და იმპრესარიო იყო. იგია პირველი ბრიტანული ოპერის ლიბრეტოს ავტორი. მან, პირველმა ბრიტანეთის ისტორიაში, ააშენა ოპერის თეატრი.

ძალიან საინტერესოა მისი ბიოგრაფია: უილიამ დევენანტი ოქსფორდიდან ლონდონში გადავიდა, სადაც მეფე ჩარლზ პირველის მფარველობით სარგებლობდა. მისი დახმარებით მოიპოვა კიდეც ოპერის გამართვის ლიცენზია, მაგრამ სამოქალაქო ომის, პურიტანი ოლივერ კრომველის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების, მეფე ჩარლზ პირველის თავის მოკვეთის და ახალი მმართველობის დამყარების გამო ვერ შეძლო ოპერის აგება. ოლივერ კრომველმა მთელ ბრიტანეთში აკრძალა თეატრი, მაგრამ დევენანტმა მაინც მოახერხა და ლიცენზია მოიპოვა. მან ოპერას დაარქვა „მუსიკა

რეჩიტატივების თანხლებით“. ამ გონებამახვილურმა სვლამ გაამართლა. უილიამს უკვე აღებული ჰქონდა მფლობელობაში რუთლანდების სასახლე და სასახლის ეგრეთ წოდებულ ჩოგბურთის კორტებზე ოპერის თეატრი ააშენა, იქვე წარმოადგინა საკუთარ ლიბრეტოზე შექმნილი ოპერა „როდოსის ალყა“. ეს იყო 1656 წელს. ხუთი ინგლისელი კომპოზიტორი ერთად წერდა ამ ოპერას.

შეიძლება ითქვას, რომ ურთიერთგამომრიცხავი ამბები ხდებოდა მის ცხოვრებაში. დევენანტი ციხეში ჩასვეს, სიკვდილს შემთხვევით გადაურჩა. შემდეგ საფრანგეთში გადავიდა, დევნილობაში. სიფილისი შეეყარა. ამ სენმა ცხვირი დაუზიანა, ნესტო მოსძვრა. ეს გრავიურაზე, მის პორტრეტშიც ჩანს. იწვალა და ბოლოს გარდაიცვალა.

დანამდვილებით არავინ იცის, იყო თუ არა იგი შექსპირის უკანონო შვილი, მაგრამ ის კი სიმართლეა, რომ უილიამ დევენანტი ოპერაზე ფანატიკურად შეყვარებული უდიდესი პოეტი, ბრიტანეთის ოპერის დამაარსებელი და პირველი ინგლისური საოპერო ნაწარმოების ავტორია.

დიახ, მხოლოდ საინტერესო ადამიანებს აქვთ უნარი, საინტერესო მოვლენები შექმნან!

ROYAL OPERA HOUSE

სამეფო ოპერის თეატრი მსოფლიოში ცნობილი კოვენტ გარდენის თეატრია, რომელმაც სახელი გაითქვა როგორც ტრადიციული საოპერო წარმოდგენებით, ისე თანამედროვე წამყვან საოპერო კომპოზიტორებთან – ჰარისონ ბირთვისლთან, მარკ-ენტონი ტურნაჟთან და და თომას ადესთან თანამშრომლობით. ამ სცენაზე გამოდიან მსოფლიო საოპერო ვარსკვლავები: ჯოის დიდონატო, პლასიდო დომინგო, რენე ფლემინგი, ხუან დიეგო ფლორესი, ანგელა გეორგიუ, იონას კაუფმანი, ანა ნეტრებკო და ბრინ ტერფელი.

Bow St, Covent Garden, London

ROYAL ALBERT HALL

ალბერტის სამეფო დარბაზი, რომელიც 1871 წელს გაიხსნა, ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ისტორიული შენობაა. მან 150 000-ზე მეტ დადგმასა და სხვა ღონისძიებას უმასპინძლა.

ამ ექსტრაორდინარულ და სახასიათო შენობაში მოგითხრობენ მისი არქიტექტურის, სამეფო პატრონაჟის, აქ გამართული დადგმების შესახებ.

Kensington Gore, London

SHAKESPEARE'S GLOBE

შექსპირის სამეფო თეატრი დრამატული თეატრია ღია ცის ქვეშ. ის წარმოადგენს შექსპირის სამეფო თეატრის შენობის რეკონსტრუქციას, სადაც დიდ სათამაშო მოედანზე შექსპირის მრავალი პიესა იდგმებოდა.

21 New Globe Walk, Bankside

ლონდონის მთავარი მიუზიკლები

1. „ალადინი“
Prince Edward Theatre-ში
დისნეის „ალადინი“ ბროდვეიზე მიღწეული არნახული წარმატების შემდეგ ლონდონის უესთ-ენდში სცენას იპყრობს.

2. „მეფე ლომი“
Lyceum Theatre-ში
დისნეის ანიმაციური ფილმის „მეფე ლომის“ ადაპტირებული, ჯილდოს მფლობელი ვარიანტია, რომლის მუსიკა ელტონ ჯონს ეკუთვნის. მიუზიკლი გამოირჩევა განსაკუთრებული კოსტიუმებით და შესანიშნავი სპეცეფექტებით.

3. „საბრალონი“
Queen's Theatre-ში
კამერონ მაკინტოშის „საბრალონი“ 22 ენაზე იხილა 70 მილიონზე მეტმა მაყურებელმა მსოფლიოს 44 ქვეყანაში და ბილეთების გაყიდვით დღემდე ყველგან რეკორდს ხსნის.

4. მიუზიკლი „პატიდდა“
Cambridge Theatre-ში
დენის კელისა და ტიმ მინჩინის მიუზიკლის სცენაზე შემოიჭრება როალდ დალის ნოველის გმირი, პატარა გოგონა მატილდა, რომლის უჩვეულო უნარებით აღფრთოვანებული დარჩებით.

დევიდ კომა

სალომე დადუნაშვილი

დევიდ კომას შორდინში ვხვდები, ლონდონის ყველაზე ახალ-გაზრდულ, გადარეულ უბანში. აქ ყველაფერი დულს და ბრწყინავს, ყველა შემხვედრი მომავალი ვარსკვლავი ან გენიოსია. მე უკვე ნამდვილ ვარსკვლავს ველოდები. კომა ამ უბანში მუშაობს, თუმცა თავისი ტემპის გამო ცოტა ხანს თუ უწევს სადმე შეჩერება – საკუთარი ხაი და „ტიერი მიუგლერის“ სახლის კრეატიული დირექტორობა მუდმივ გადაადგილებას მოითხოვს.

ჩემკენ მოქრის საოცრად ენერგიული ადამიანი მხიარული ცისფერი თვალებით.

„უჰ, ძაალიან მშია, მოდით, თან ვისაუბროთ და თან ვჭამოთ, ოკ?“ ხელს მავლებს და ერთ წუთში მეზობელი სახლის სახურავზე ვართ, დახურულ კლუბში, აუზის გარშემო გაშენებული ლიმონის ხეების ჩრდილში. ახალგაზრდები კოქტეილს წრუპავენ. ყველა გიღიმის, მოკლედ, სამოთხეა. „აქვე უნდა გითხრათ, რომ არ მიყვარს ინტერვიუების მიცემა. საშინლად ვნერვიულობ. ჩემთვის მთავარია, გავაკეთო ჩემი საქმე, შევკერო ლამაზი ტანსაცმელი. მე ვიცნობ დიზაინერებს, რომლებიც ძალიან კარგად უკეთებენ საკუთარ თავს პრომოციას. ყველას არწმუნებენ, რომ მათი ტანსაცმელი საუკეთესოა, ყველგან ჩნდებიან. მე ეს არ შემიძლია. მე ორ სახლს ვხელმძღვანელობ, საკუთარ „დეივიდ კომას“ და ფრანგულ სახლს „ტიერი მიუგლერს“. არავინ ამას სკოლაში არ გვასწავლის, რომ ჩვენი მოვალეობების უდიდესი ნაწილი საერთოდ არ იქნება დაკავშირებული არტთან. ეს უფრო კარგი მენეჯერის უნარებია, რაც მე პირადად ყოველდღიურად მჭირდება. უნდა იყო ლიდერი და მართო ადამიანები. მარტო არტთან შეხება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგიძლია შეინარჩუნო, თუ საშუალო რგოლის დიზაინერად მუშაობ დიდ სახლში. როგორც კი ზემოთ მიდიხარ კარიერულ კიბეზე, უკვე სულ სხვა რაღაცების კეთება გიწევს“.

და დრო როდის რჩება რაღაცის შექმნისთვის?
ძალიან ცოტა დრო რჩება (ეცინება). რასაც ხედავთ, ეს კოლექტიური მუშაობის შედეგია. მე ვიგონებ კონცეფციას, ვაკეთებ უხეშ სკეტჩებს, ვსახავ მიმართულებას და ვუხსნი ყველას, რა მაძლევს ინსპირაციას. მერე ვანაწილებ დავალებებს და გუნდი იწყებს მუშაობას. არჩევ ახალ იდეებს და ასე გადადიხარ ეტაპიდან ეტაპზე.

არ გიფიქრიათ, რომ ამდენი წვალება კარიერისთვის, თუ თითქმის მთელ შემოქმედებით პროცესზე უარის თქმა გიწევს, არც ღირს?
არა, არასდროს. ყოველთვის ვოცნებობდი ამაზე, ლიდერობაზე, საკუთარ ბიზნესზე. ამას მოჰყვება, ბუნებრივია, მოვალეობებიც. ეს მოდის ბიზნესია. ბიზნესი და არა არტი და თუ ბიზნესი არ მუშაობს, არ ვარგა. მინდა თუ არა, რომ ხანდახან ყველაფერი მივაგდო და ლოს-ანჯელესში რაღაცები ვხატო? კი, მინდა, მაგრამ ძალიან ამბიციური ვარ და ამიტომ ეს სურვილი ხშირად არ მიჩნდება.

თქვენი ყველაზე ველური ოცნება რა არის?
იცით, ყველაფერი, რაზეც ვოცნებობდი, ამიხდა. ცოტა უცნაური ბავშვი ვიყავი და სულ ასე ვფიქრობდი, კონკრეტულად და ინტენსიურად. ვხედავდი ჩემს მომავალს. მე გავუშვი კოსმოსში ჩემი სურვილი ისეთი სიძლიერით, რომ ყველაფერი ამიხდა. 30 წლისთვის ყველაფერს მივაღწიე, რაც მინდოდა. ახლა უკვე ერთი წელია იმაზე ვფიქრობ, რაზე ვიოცნებო (იცინის).

იქნებ, უბრალოდ, ბედნიერი უნდა იყოთ?
კი, რა თქმა უნდა. ასეცაა. მინდა, რომ ყველაფერი განვითარდეს, გაიზარდოს. ვისახავ მიზნებს, მაგრამ ეს აღარაა ის ველური ოცნება. ეს არის რეალური სურვილები, რომლებიც, ვიცი, ახდება. ბავშვობაში, როცა თვალებს ვხუჭავდი, ვხედავდი, როგორ ვცხოვრობ ლონდონში, მაქვს საკუთარი მოდის სახლი. ახლა კი მინდა, ყველა ჯანმრთელი იყოს.

და რა არის ახლა თქვენთვის შთაგონების წყარო? დიდი და პატარა წყაროები. მით უმეტეს, როცა ტვინის ორად გაყოფა გიწევთ, ორ კომპანიაზე?
მე მიყვარს ლოდონონი. ეს ჩემი ქალაქია. აქ არის უამრავი ემოცია, ენერგია, რაღაც, რაც სულ გაფხიზლებს. ტრადიციების დაცვა და, ამავე დროს, ყველაფერი ახალი. აქვთ მიმღებლობა ყველაფერი უცნაურისა. ეს მოვლენები პარალელურად არსებობს. გაწონასწორებულობა – სიახლე და სიგიჟე. აქ არ უყვართ არაფერი ძველმოდური და უნიჯო. არა მხოლოდ მოდის სფეროში. არავის აინტერესებს ტრადიციული ხელოვნების გამეორება. მე ამ ქალაქმა ძალიან კარგად მიმიღო; აქ 7 წელი ვსწავლობდი. სულ ვიმარჯვებდი, ყველას ვუყვარდი, რაღაც არაბუნებრივი იყო ეს დამოკიდებულება. აქ უფრო ეხმარებიან ჩამოსულებს, ვიდრე ჩვენს სამშობლოში – ერთმანეთს. მთელი ბიზნესი გრანტებსა და კონკურსებზე ავაშენე. სხვა ქვეყანაში ამას ვერ მოვახერხებდი. კარგად ვსწავლობდი. არაერთხელ მოვიგე პრიზი წლის საუკეთესო კოლექციისთვის. მოდის ბრიტანულმა საბჭომ დამაფინანსა და მხარი დამიჭირა. ყოველ წელს ვიღებდი ამ გრანტს. მათ გარეშე ჩემთან პირველ ჩვენებებზე არავინ მოვიდოდა. შოურუმები მომიწყვეს ყველგან, მთელ მსოფლიოში. ამას მე თვითონ ვერაფრით გავაკეთებდი.

რატომ აირჩიეთ თავიდან ინგლისი და არა საფრანგეთი?
12 წლის ვიყავი და სულ მოდაზე ვფიქრობდი, ესკიზებს ვაკეთებდი. დედამ მაჩუქა წიგნი – „100 წელი მოდაში“, სადაც ბოლოში იყო სია დიზაინერებისა და სკოლებისა, რომლებშიც ისინი სწავლობდნენ. მაშინვე ვთქვი, რომ სწავლა მხოლოდ სენ მარტინში მინდა. რაც შეეხება სტარტაპს, ბრიტანეთი ამ კუთხით საუკეთესო არჩევანია. არსად არ არის ამისთვის უკეთესი პირობები.

და რა არის ამისთვის საჭირო?
ამისთვის საჭიროა წარმატებული ბიზნესი ააწყო. კარგი გუნდი, მხოლოდ იმაზე განუწყვეტელი ფიქრით, თუ როგორ შექმნა ისეთი ტანსაცმელი, რომელიც ყველას მოუნდება.

რომ ჯენიფერ ლოპესს უნდოდეს შენი კაბის ჩაცმა?
არა, ეს სულაც არ არის რთული. საჭიროა, რომ მაღაზიებს უნდოდეთ შენი კოლექციების ყიდვა და ქალებს, რომლებიც მაღაზიებში მიდიან, უნდებოდეთ შენი კაბები. ხშირად, როცა ახალგაზრდა დიზაინერები იწყებენ საქმეს, არც ფიქრობენ იმაზე, თუ რომელ დიდ უნივერმაღში უნდათ, რომ მათი ტანსაცმელი ეკიდოს, რომელი ბრენდის გვერდით ან რომლის ნაცვლად. ამაზე ფიქრი კი უპირველეს ყოვლისა ღირს. მე ვიცი, რა არის ჩემი პლუსი. ვიცი, როგორ შევქმნა ძალიან ლამაზი, ქალური, სექსუალური და სტრუქტურული ტანსაცმელი, რომელიც გაიყიდება. ეს არის უმნიშვნელოვანესი. მე ვიპოვე ჩემი ნიში. ვიცი, რა არის ჩემი ძლიერი მხარე. ქალი უნდა გამოიყურებოდეს ქალურად და, ამავე დროს, ძალიან ღირსეულად, იმისდა მიუხედავად, სად აქვს ტანსაცმელს ჭრილი და რამდენად ღრმა არის ის. როცა ჯერ კიდევ პეტერბურგში ვსწავლობდი, შტიგლიცის აკადემიაში, ანატომიის გაკვეთილები გვქონდა. ეს ძალიან დამეხმარა, ქალის სხეულს კარგად ვიცნობ. ვერ დახატავ შიშველ ნატურას, თუ ანატომია არ იცი.

რითაა გამორჩეული ბრიტანული მოდა?
მიუხედავად იმისა, რომ აქ ვსწავლობდი, ჩემი ტანსაცმელი არ არის ტიპური ბრიტანული მოდისთვის. ბრიტანული მოდა არის მრავალფენოვანობა, ეკლექტიკურობა, ცოტა კიჩი, ძალიან ბევრი ექსპრესია, ფაქტურა, პრინტი, პროპორცია და უსაზღვრო თავისუფლება. და, ასევე, უცხოს მიმღებლობა. გადახედეთ ლონდონის მოდის კვირეულს. დიზაინერები ყველა ქვეყნიდან არიან, ბერძნები, შვეიცარიელები... ეს ანიჭებს ბრიტანულ მოდას განსაკუთრებულ ფერადოვნებას. იმისთვის, რომ ბრიტანული მოდა შექმნა, არ არის აუცილებელი, იყო ბრიტანელი.

როცა პირველად ტიერი მიუგლერი გამოჩნდა, ყველას დაამახსოვრა თავი განსაკუთრებულად თეატრალური კოლექციებით, რომელიც ალბათ არასოდეს დაგავიწყდება. რამდენად ადვილია ესოდენ ჩამოყალიბებული იმიჯის გაგრძელება?
ეს მართლაც რთულია, მაგრამ მე ვოცნებობდი ამ სამსახურზე. მე ვიცნობდი ამ ბრენდს, მიყვარდა ის. ასეთ წინადადებებზე უარს არ ამბობენ, მაგრამ მე მართლა მინდოდა ეს პოზიცია. როცა ამ თანამდებობაზე დავინიშნე, საკუთარ თავს ზუსტად ეს კითხვა დავუსვი და პასუხი ვერ ვიპოვე, ამიტომაც გადავწყვიტე, დინებას გავყოლოდი. მნიშვნელოვანია ისიც, რომ როცა „ტიერი მიუგლერი“ ახსენდებათ, ძირითადად, ეს კუტიურის შოუებია, მე პრეტ ა პორტეზე ვმუშაობ. ახლა სხვა დროა. ეს უნდა იყოს თანამედროვე ახალი ტანსაცმელი, რომელიც გესმის და გინდა. მინდა, ამ საკულტო ბრენდს სრულიად ახალი სული შთავბერო. თანაც, რა თქმა უნდა, საოცარი პატივისცემით მისი წარსულისადმი. ჩემს ინტუიციას ვენდობი და ეს მუშაობს.

დაგვისახელეთ რამდენიმე ადგილი ლონდონში, რომელიც ყოველთვის გაძლევთ შთაგონებას.
პირველ ადგილზე ყოველთვის ჩემი საძინებელი იქნება.

გადასარევია, მაგრამ იქ ტურისტები ვერ მოხვდებიან და იქნებ საზოგადოებრივ ადგილზე გვეფიქრა?
(იცინის) ჩემს საყვარელ სასეირნო ტურს გეტყვით: სენ პოლზე ჩამოსვლა, მილენიუმის ხიდის გადაჭრა და თეით მუზეუმამდე მისვლა. ეს არის ის, რაც ყოველთვის მშველის და ტვინს მიწმენდს.

შევდივარ თეითში, ვათვალიერებ, ვფიქრობ. შემდეგ წიგნების მაღაზიიდან აივანზე გავდივარ, ვეწევი და ისევ და ისევ ვფიქრობ. ეს ჩვევა სკოლიდან შემომრჩა. ასევე ძალიან მიყვარს ჩვენი კოლეჯის ბიბლიოთეკა. იქ უკვე დიდი ხანია აღარ ვსწავლობ, მაგრამ მაინც მივდივარ და ვმუშაობ, ვისვენებ. ეს იყო თავის დროზე უდიდესი შთაბეჭდილება ჩემთვის. ამდენი წიგნი მოდაზე არსად მენახა.

რამდენად აქტუალურია სტრუქტურული ცვლილებები მოდის სამყაროში?
მოდა საოცრად აჩქარდა. ტემპი იმდენად დიდია, რომ არ შეიძლება, ამას ყურადღება არ მიაქციო. მოდაში ახალი თაობა, ახალი სახეები მოდიან და ყველაფერს თავიდან იწყებენ. ყველაფერი იმდენად სწრაფად იცვლება, რომ სეზონურობასაც კი აღარ აქცევენ ყურადღებას. იცვლება ისიც, თუ როგორ აჩვენებენ თავიანთ ტანსაცმელს სახლები. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ყველა 4 კოლექციას აჩვენებს წელიწადში. ტანსაცმელი იმდენია, რომ თვალს ვერ გააყოლებ. ვგრძნობ, რომ რაღაც აშკარად შეიცვლება. დიზაინერებს აქვთ ცვლილებების სურვილი. ტემპი ასეთი ვერ დარჩება. მეც ერთ კვირას ლონდონში ვატარებ, მეორეს – პარიზში. ამას კიდევ მთელ მსოფლიოში მოგზაურობა ემატება. ჯერ არ ვიცი, რა და როგორ, მაგრამ რაღაც რომ აუცილებლად მოხდება, ფაქტია.

დენდის სამი წესი:

არასდროს გაოცდეს (დენდისთვის გარეგნული თავდაჭერა იმპერატივში გადადის);

შეინარჩუნოს გულგრილობა, როდესაც მოულოდნელობით სხვებს აოცებს (მისთვის აუცილებელია, გააოცოს გარშემო მყოფები, რათა თავი დაამახსოვროს, მაგრამ არასოდეს იქნება მომაბეზრებელი);

გაეცალოს საზოგადოებას, როგორც კი შთაბეჭდილებას მოახდენს (დენდი მკაფიოდ განსაზღვრავს საზოგადოებაში თავისი ყოფნის „დოზას“).

დენდი (inგ. Dandy) – XIX საუკუნის სოციალურ-კულტურული ტიპი: მამაკაცი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საკუთარი გარეგნული სახის და ქცევის ესთეტიკას, დახვეწილ მეტყველებას. დენდიზმი XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე აღმოცენდა ინგლისში, როგორც რეაქცია მდიდარი ბურჟუების სოციალური ფენის როლის ზრდაზე საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში და მთელ ევროპაში გავრცელდა.

დენდიზმი – ეს არის პროტესტი მიმბაძველობისა და ვულგარულობის, სტერეოტიპული ქცევისა და აზროვნების წინააღმდეგ. დენდი, უპირველეს ყოვლისა, არატრივიალურია, ის მაინცდამაინც არ აქცევს ყურადღებას მიღებულ წესებს და პირობითობებს, არამედ თავად კარნახობს წესებს, უფრო მეტიც, მოდაში შემოაქვს ისინი.

ბრიტანულ დენდიზმში თავიდანვე ორი მიმდინარეობა უწევდა ერთმანეთს კონკურენციას: „სპორტსმენები“ (buck) და „ლამაზები“ (beau; ფრანგულიდან – ლამაზი). „ლამაზებს“ სპორტი გულზე არ ეხატებოდათ, ისინი დიდ დროს უთმობდნენ მოდას და საკუთარი თავის მოვლას. მათი საუკეთესო გასართობი იყო აუჩქარებელი სეირნობა ქალაქში, ანტიკვარიატის მაღაზიის სტუმრობა და მკერავთან ვიზიტი. მათ სძაგდათ მელიებზე ნადირობის ან დაბრკოლებების გადალახვით ჯირითის მსგავსი „უხეში“ სოფლური გასართობები. დენდი-სპორტსმენები, პირიქით, ცხენოსნობას, ნადირობას, კრივს მისდევდნენ. არისტოკრატები მათ სპონსორობას უწევდნენ და თავად იღებდნენ მათგან კრივის გაკვეთილებს, როგორც, მაგალითად, ბაირონი.

დენდის მეტყველების მანერაში თავს იჩენს მინიმალიზმის პრინციპი. დენდის საუკეთესო ჟანრია აფორიზმი – მოკლე, სხარტი და ტევადი გამონათქვამი. დენდის საუბარი არ შეიძლება იყოს მონოტონური და დამღლელი: ის სხარტად ამბობს თავის „BONS MOTS“-ს (მოსწრებულ სიტყვებს), რომელსაც მაშინვე აიტაცებენ და ციტირებენ. ამასთან, ჭეშმარიტი დენდი არასდროს იმეორებს ორჯერ ერთსა და იმავეს.

დენდიზმის კულტურაში ჩამოყალიბდა განსაკუთრებული ცნება – ფლანირება (ფრანგული სიტყვიდან flâner – ნელი სეირნობა ქალაქში). განსაკუთრებულ როლს თამაშობს ნებიერად სიარული, თავისი არსით – დიდებული (როგორც მაშინ მიაჩნდათ), რომლის მიმიკური ანალოგია სახის ნაკვთების უძრაობა.

დენდიზმის გამორჩეული წარმომადგენელი იყო ჯორჯ ბრამელი, რომელსაც „ელეგანტურობის პრემიერ-მინისტრი“ შეარქვეს. უზადო გემოვნების მქონე ბრამელი გავლენიანი ადამიანი გახდა, იგი იყო მომავალი მეფის, გეორგ IV-ის მეგობარი და კონსულტანტი მოდის საკითხებში. მასვე ეკუთვნის წიგნი „მამაკაცის და ქალის კოსტიუმი“. იგი მკვეთრად განსხვავდებოდა მაღალი საზოგადოების პეწენიკებისაგან, რომლებიც ექსტრავაგანტულობით იქცევდნენ ყურადღებას. ბრამელის პრინციპი იყო „შესამჩნევი შეუმჩნევლობა“ (conspicuous inconspicuousness), რომელიც მამაკაცის კოსტიუმის ესთეტიკას დაედო საფუძვლად.

აქ ისევ თავს იჩენს მინიმალიზმის პრინციპი: გადატვირთული ფუფუნების ნაცვლად დენდი თავს უფლებას აძლევს, მხოლოდ ერთი დახვეწილი, გამომსახველობითი დეტალით გააფორმოს თავისი უზადოდ შეკერილი კოსტიუმი, რომელიც მისი ნატურის უკიდურესი არისტოკრატიზმის გამოხატულებაა. ბრამელის პიროვნების მნიშვნელობაზე მიუთითებს გამოთქმა, რომელსაც ბაირონს მიაწერენ: „უმჯობესია, იყო ბრამელი, ვიდრე ნაპოლეონი“.

დენდი არის ადამიანი, რომელიც ქმნის საკუთარი ბედის რომანტიკულ სცენარს, რითაც ხორცს ასხამს პირადი ნების ყოვლისშემძლეობას (ამის მაგალითი იყო ბრამელის და ბაირონის ბედი. დენდიზმი წარმოუდგენელია რომანტიკული ინდივიდუალიზმის გარეშე, რომელიც ხშირად ყველაზე შეუფერებელ მომენტში ავლენს თავს). გარკვეულწილად ეს არის საკუთარი თავის კულტი, როგორც ცხოვრების მიზანი.

ცნობილია, რომ ბევრი მწერალი იყო დენდი, როგორებიც არიან, მაგალითად: ბაირონი, ბულვერ-ლიტონი, დიზრაელი, დიკენსი და თეკერეი, ოსკარ უაილდი და სერ მაქს ბირბომი – ინგლისელთაგან; ბალზაკი, სტენდალი, ბარბე დ’ერბილი, ბოდლეერი, პიერ ლოტი და მარსელ პრუსტი – ფრანგთაგან. მწერალი-დენდების რომანებში ბევრი რამე ავტობიოგრაფიულია.

ვინ არის დენდი?

უგრაფოდ, ელეგანტური მამაკაცი, არისტოკრატი, დახვეწილი გემოვნების მქონე ადამიანი, რომელიც მხოლოდ საუკეთესოს ეძებს და პოულობს, თუ ეს მთელი ფილოსოფიაა?

ალბათ ცოტაა ქვეყანაზე ქალი, რომელმაც ამდენი იცის დენდის შესახებ. ის მათ იცნობს, სწავლობს, წერს მათზე წიგნებს და ამზადებს გამოფენებს. ალის ჩიკოლინის ლონდონში იცნობს ყველა, ვინც საჭიროა და ალისიც ყველას იცნობს. დროა, ჩვენც გავიცნოთ.

ბრიტანელი მამაკაცები საოცრად ექსტრავაგანტულები არიან. მამაკაცის კოსტიუმი გაცილებით უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე წარმოგვიდგენია. შეგიძლიათ ჩაიცვათ ჟილეტი, ან არ ჩაიცვათ, გამოეწყოთ ერთბორტიან ან ორბორტიან პიჯაკში, გქონდეთ ან არა გაუთოებული ხაზები შარვალზე. ამასთან, შეგიძლიათ თამაში.

ყველაფერი დეტალებშია, დენდი დეტალებშია. ეს არ არის აუცილებლად ხავერდი და ატლასი, ან განსაკუთრებული ზღვარგადასული ექსტრავაგანტულობა.

ეს არის ჯენტლმენი, რომელიც ვითომდა ელეგანტურად, მაგრამ არა აგრესიულად ექსტრავაგანტულადაა ჩაცმული, მაგრამ როცა დეტალებს დააკვირდები, ხედავ, რომ მისი წინდები განსაკუთრებულადაა მოხატული, ან პიჯაკის სარჩულია უჩვეულო ფერის, ან საკინძეების გაკეთების საინტერესო მეთოდი აქვს. სწორედ ეს არის ის დეტალები, რომლებშიც დენდი ჩანს. მას აქვს ის, რაც სხვას არავის აქვს. არსებობს უცვლელი ქცევის კოდექსი, რომელიც მამიდან შვილზე გადადის. იმიტომ, რომ არისტოკრატულ ოჯახებს ჰყავთ საკუთარი მკერავები, რომლებთანაც არაერთი თაობა იკერავს ტანსაცმელს და მათ ეს გამოარჩევს.

ეს არის სევილ როუს სტილი. რა თქმა უნდა, დროთა განმავლობაში ჩნდებიან მამაკაცის კოსტიუმის ახალი მკერავები, რაც ნამდვილად ცალკე მდგომი დარგია და ისეთ დიზაინერებს, როგორებიც არიან: სპენსერ ჰარტი, რიჩარდ ჯეიმსი და ოსვალდ ბოატენგი – თანამედროვე დენდის ჩაცმულობაში ახალი დეტალები შემოაქვთ. სპენსერ ჰარტი უაღრესად თანამედროვეა და, ამავდროულად, სევილ როუს ყველა ტრადიციას იცავს.

მხოლოდ ჯენტლმენს შეეძლო გახამებული ქათქათა პერანგი სცმოდა და მხოლოდ მისი ცხოვრების სტილი იძლეოდა იმის საშუალებას, რომ თეთრი ტყავის ხელთათმანი, რომელსაც დღეში 6-ჯერ მაინც იცვლიდა, მუდამ სუფთა ჰქონოდა. ეს იყო მამაკაცი, რომელიც ხელთათმანის ძირითად ნაწილს ერთ სამკერვალოს უკვეთდა, ცერა თითის ნაწილს კი – მეორეს, რადგან მათ ეს უკეთ გამოსდიოდათ. ის, თუ რა სუნამო ესხა მას და როგორ წარდგებოდა საზოგადოების წინაშე, უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი საკითხი იყო მის ცხოვრებაში.

არსებობს მოსაზრება, რომ რაც უფრო ხელმისაწვდომი და გავრცელებულია მაღალი კლასის ტანსაცმელი, მით უფრო მეტია შანსი დენდის წარმოქმნისთვის. თუმცა ეს ასე არ არის.

> **ესე იგი, მიგაჩნიათ, რომ ჭეშმარიტ დენდის აუცილებლად საკმაოდ სოლიდური თანხა სჭირდება სახის შესანარჩუნებლად?**

დიახ, ეს სრულიად აუცილებელია. ჩვენ აუცილებლად უნდა განვასხვავოთ, უბრალოდ, საინტერესოდ და გემოვნებით ჩაცმული მამაკაცი და დენდი. დენდი – ეს ექსკლუზიურობაა, რომელსაც ვერც ერთი მასმარკეტის მაღაზია ვერ მოგცემთ. ეს შენი საყვარელი ფერის ძაფით შემოვლებული ღილკილოებია. ქსოვილი, რომლისგანაც კოსტიუმი იკერება, საოცარი ხარისხის უნდა იყოს. და, რაც მთავარია, თქვენს ტანზე მორგებული თარგი. უბრალო მოკვდავებს არ ჰყოფნით ფული იმისთვის, რომ შესაბამისი ხარისხის ტანსაცმელი შეიძინონ. მასმარკეტი ზუსტი ანტიპოდია იმისა, რასაც დენდიზმი წარმოადგენს.

ან უნდა გქონდეთ საოცარი სტილის გრძნობა და გამოცდილი თვალი, რათა ვინტაჟ-მაღაზიებში განსაკუთრებული ნივთები გამოარჩიოთ, ან ისევ და ისევ, არისტოკრატი უნდა იყოთ, თუნდაც უკვე არც თუ ბევრი ფულით, მაგრამ მამის დანატოვარი ექსკლუზიური კოსტიუმების გარდერობით, რომელიც ზუსტად გერგებათ. ასე რომ, ან უნდა გქონდეთ ბევრი ფული, რომ ეს ყველაფერი შეიძინოთ, ან ბევრი დრო, რომ ამ ყველაფრის იაფად შესაძენად ძებნას დაუთმოთ, ან სოციალური წვდომა, რაც ნიშნავს, რომ მაღალი კლასის საზოგადოებას განეკუთვნებით და ყველაფერი ანდერძით გერგოთ.

> **დენდისთვის შესაფერისი კოსტიუმის ყიდვა იტალიაშიც შესაძლებელია, თუ მხოლოდ და მხოლოდ ბრიტანეთში იქმნება შესაბამისი ტანსაცმელი?**

რა თქმა უნდა, ინგლისში. დენდიზმის ტრადიციის უდიდესი ღალატი იყო ის, რომ ჯეიმს ბონდს იტალიური კოსტიუმი ეცვა. რა თქმა უნდა, ეს იყო ღრმა და უმნიშვნელოვანესი შეცდომა, ამიტომ პასუხი იქნება: „არა“. იტალიაში შექმნილი კოსტიუმით მამაკაცს სულ სხვა რამის თქმა სურს. ეს ტანსაცმელი, სწორედაც რომ, სხვა საქმისთვისაა შექმნილი. ეს არის ტანსაცმელი მოშვებული, თავისუფალი მამაკაცებისთვის, რომლებისთვისაც კომფორტი უმნიშვნელოვანესია.

ბრიტანული კოსტიუმი დენდიზმის ერთი შემადგენელი ნაწილია, მაგრამ ეს უფრო ფართე ცნებაა. მას თავისი ფილოსოფია აქვს. ეს არის მამაკაცის სიძლიერის, მასკულინური სილამაზის გამომხატველი ტანსაცმელი, რომელიც ამ მიზნისთვისაა შექმნილი.

ბრიტანელი მკერავი სკულპტორივით ძერწავს მამაკაცის სხეულს. ის ქმნის ადონისს. იტალიური კი გულისხმობს, რომ არსებული ადონისი, უბრალოდ, უნდა შეიმოსოს.

> **ბრიტანელი მკერავები გეხმარებიან, რომ შენი სხეულის „საუკეთესო ვერსია“ აჩვენო საზოგადოებას. თუ მხრის ხაზი დახრილია, ის უნდა ამაღლდეს, თუ მუცელი ცოტა მოეგვა, ის მჭიდროდ მოდგარმა ქიღლტმა უნდა დამალოს. ეს, ფაქტობრივად, კორსეტია მამაკაცებისთვის. იმ დროს, როცა „ბრიონი“ ელოდება თქვენგან, რომ იდეალურ სხეულს დაახვედრებთ.**

ბრიტანულ კოსტიუმს ამიტომაც მიიჩნევს ზოგიერთი ცოტა არაკომფორტულად, მაგრამ ამაში მე განსაკუთრებულ თავისუფლებას ვხედავ. ეს ტანსაცმელი გიტოვებს შანსს, გქონდეს სხეული, რომელსაც ატარებ და, ამავე დროს, გაცილებით უკეთ გამოიყურებოდე.

ინგლისური კოსტიუმი



ინგლისური ტრადიციული კოსტიუმის თარგი **სხეულზე მომდგარია**, ვიწრო სახელოებით. ხშირად პიჯაკს ზურგის მხარეს, გვერდებზე **ორი ჯრილი** აქვს; მხრები უფრო ვიწროა, მაგრამ უფრო მაღალი – იტალიურ კოსტიუმთან შედარებით. ბრიტანელი მკერავები უფრო მეტად იყენებენ **ქსოვილის გასამაგრებელ ფენებს**, რომ **პიჯაკი** უფრო **სტრუქტურული** გახდეს, რომელიც შეიძლება იყოს **ერთბორტიანი ან ორბორტიანი**. შარვალი მაღალწელიანია და ორი ან სამი ნაკეცი აქვს წელის ხაზთან. მისი თარგი უფრო თავისუფალია, მაგრამ არც განიერი. **ქსოვილი**, რომლითაც კოსტიუმებს კერავენ, **მძიმე და ხისტია**. ლაცკანები უფრო მეტადაა გამაგრებული დამატებითი ფენით.

ინგლისური კოსტიუმი უფრო მეტ კონტროლში აქცევს სხეულს და გათვლილია იმაზე, რომ მაქსიმალურად უკეთ წარმოაჩინოს მამაკაცი მისი აღნაგობის კორექციის მეშვეობით.

სევილ როუ ტრადიციული ბრიტანული კოსტიუმის სამშობლოა. ეს ქუჩა ლონდონის უბან მეიფეარში, სადაც მაღალი შეძლების არისტოკრატიული ოჯახები სახლობდნენ, ყოველთვის იზიდავდა საუკეთესო თერძებს მთელი ბრიტანეთიდან. ინგლისური კოსტიუმი განსაკუთრებით შვენის საშუალო ტანის მამაკაცებს.

სწორედ Savile Row-ზე განვითარდა ეგრეთ წოდებული Bespoke – შეკვეთით კერვა ყველა დეტალის კლიენტის მოთხოვნილებაზე მორგებით და მისი სხეულის კორექციაზე გათვლით. ამ სერვისით, ცხადია, მხოლოდ ყველაზე შეძლებული ადამიანები სარგებლობდნენ.

სწორედ იმის გამო, რომ ბრიტანული კოსტიუმი ინდივიდუალური კერვის ტრადიციებზე ჩამოყალიბდა, მას განსაკუთრებით ახასიათებს ტანზე მორგებული ტანსაცმლის სახე.

ბევრი მცირე დეტალი, სხეულზე მჭიდროდ მორგებული თარგი, ვიწრო სახელოები, მაღალი მხრები და შარვლის მაღალი წელი ბრიტანულმა კოსტიუმმა სამხედრო ფორმიდან აიღო – არისტოკრატთა უმრავლესობა ხომ ჯარში მსახურობდა. ჭრილებს პიჯაკის უკანა მხარეს, გვერდებზე კი ტრადიციულად განვითარებულ საცხენოსნო სპორტს უნდა ვუმადლოდეთ. მსგავსი კერვის სტილი გაცილებით უფრო ძვირადღირებულია.

მე-19 საუკუნის არისტოკრატი მამაკაცის დღის განრიგი და, შესაბამისად, ჩაცმულობაც საკმაოდ მკაცრ ეტიკეტს ექვემდებარებოდა. დღის განმავლობაში სახლში მამაკაცებს ეგრეთ წოდებული სმოქინგ ჯექეთები – ხავერდის ან ატლასის რბილსაყელოიანი ჟაკეტები ეცვათ, დღის ვიზიტების დროს, განსაკუთრებით პროვინციაში, შეზღუდული ფერთა გამის ეგრეთ წოდებული თეილქოათები ანუ ფრაკები, ხოლო საღამოს ვახშამზე, რომლისთვისაც აუცილებლად ყველას უნდა გამოეცვალა – შავი ფრაკი.

ყველაფერი მაშინ შეიცვალა, როცა უელსის პრინცმა ვახშამზე ჩასაცმელად მკერავს სევილ როუდან ფრაკის ქსოვილისგან პიჯაკის შეკერვა შეუკვეთა, სმოკინგის თარგის მიხედვით. ეს გაცილებით უფრო არაფორმალური სახის სამოსი იყო, ვიდრე მკაცრი ეტიკეტი მოითხოვდა. საინტერესოა, რომ ამერიკამ, სადაც ეს კოსტიუმი „ტოქსიოდოს“ სახელით გავრცელდა, გაცილებით უფრო ადრე მიიღო პრინცის „სკანდალური“ ტანსაცმელი, ვიდრე კონსერვატიულმა ინგლისმა, სადაც პროვინციებში მამაკაცები დიდი ხნის განმავლობაში მხოლოდ ფრაკებში გამოწყობილნი ცხადდებოდნენ ვახშამზე.

ინგლისური კოსტიუმისთვის დამახასიათებელია: დამატებითი ღილები პიჯაკის სახელოზე, რომლის ერთი საღილე კილო შესაძლოა სხვა ფერის ძაფით იყოს ამოხვეული, გვერდითი ჭრილები პიჯაკის უკანა მხარეს და დამატებითი პატარა ჯიბე ბილეთებისთვის, ძირითადი ჯიბის ზევით. ქილეტი ინგლისური კოსტიუმის განუყოფელი ნაწილია და მამაკაცისთვის ხშირად კორსეტის დანიშნულება აქვს.

არც ერთ ქვეყანას არ შეუტანია მამაკაცის კოსტიუმის განვითარებაში ისეთი წვლილი, როგორიც ინგლისს. სევილ როუს ტრადიციის ათვლის წერტილი ოფიციალურად 1860 წელია, მაგრამ დიდი გადატრიალება მამაკაცის ტანსაცმელში საუკუნის ბოლოს მოხდა.

Morning Suit Etiquette
განსაკუთრებული შემთხვევისთვის

სათანადოდ ჩაცმა-დახურვა, გარკვეულწილად, დანაღმულ მინდორზე გავლის ტოლფასია და განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, როცა ე. წ. Morning Suit-ის ეტიკეტის სრული დაცვით სამოსის შერჩევა გჭირდებათ.

პიჯაკი – ჩვეულებრივ, ეს წელში გამოყვანილი, ერთბორტიანი, ასევე ერთ (იშვიათად, ორ) ღილზე შეკრული და წაწვეტებულსაყელოიანი სამოსია.

ქილეტი – წესით, ის მხოლოდ რუხი, მქრქალი ყვითელი ან ღია-ლურჯი შეიძლება იყოს - თუკი პიჯაკს შავი ფერისას ამჯობინებთ.

შარვალი – რუხი ან შავი ელფერისა და, როგორც წესი, ზოლებიანი უნდა შეარჩიოთ. ზოლები სხვადასხვა სიგანისა და სიმკვეთრის შეიძლება იყოს. ზოგჯერ შესაძლოა წვრილკუბოკრული ქსოვილიც გირჩიოთ.

პერანგი – ზოგადად, ჩამოგრძელებული საყელოს შემთხვევაში ჰალსტუხი აუცილებელია; ასეთ დროს პერანგის მაჯებიც ორმაგი ჯობს, ხოლო საყელო – ან წვერწამახული, ან მომრგვალებული ფორმისა.

გულის ჯიბე – იქიდან ერთი ფერის ან სულაც ზოლიანი აბრეშუმის ცხვირსახოცი შეიძლება მოგიჩანდეთ. ის შესაბამისად დაკეცილიც უნდა იყოს.

ფეხსაცმელი – ზონრებიანი იქნება თუ უზონრო, დაბალ თუ მაღალყელიანი, უმჯობესია შავი ფერისა გეცვათ.

DEGE& SKINNER

სამეფო პატენტის მფლობელ სამკერვალო ატელიეში Dege & Skinner 1865 წლიდან მამაკაცის საუკეთესო სამოსს კერავენ. აქვე შეიძენთ მამაკაცებისათვის საჭირო აქსესუარებს და მზა პერანგებს.

იმ მომხმარებელთათვის, ვისაც თავად არ შეუძლიათ ესტუმრონ სევილ როუს 10 ნომერში მდებარე ამ სამკერვალოს, იქით მიაკითხავენ და ზომებსაც შინ აუღებენ - იქნება ეს აშშ-ში, ევროპის ქვეყნებში თუ გაერთიანებული სამეფოს ფარგლებში.

საგანგებო შემთხვევებში კი არც მხოლოდ ეს გეოგრაფიული არეალია შემოსაზღვრული.

სამკერვალოს ნაწარმი ინდივიდუალური მონახაზისა და თარგის მიხედვით იკერება, ატელიეში დადგენილი სტანდარტების მიხედვით. გამოცდილი თერძები და მკერავები, სულ ცოტა, სამოც კაც-დღეს მაინც უთმობენ სამნაწილიანი სანაქებო კოსტიუმის შეკერვას, 55-ს – ორნაწილიანს, და დაახლოებით 40-ს – ერთნაწილიან საუკეთესო ხარისხის პიჯაკს.

აქაური ნაწარმი განსაკუთრებული მოთხოვნით სარგებლობს, როცა საქმე ისეთ პირწმინდად ინგლისურ ღონისძიებებზე დასწრებას ეხება, როგორიცაა ასკოტის დღი, უიმბლდონის საჩოგბურთო ტურნირი, ჰენლის სამეფო რეგატა თუ კრიკეტის სამეფო შეჯიბრი.

სამოქალაქო და სპორტული სამოსის ცნობილი ექსპერტები და, ასევე, სამხედრო ფორმის მწარმოებლები, სკინერები უკვე საუკუნეზე მეტია ტანსაცმლით უზრუნველყოფენ სამეფო ოჯახს, ცნობილ ბიზნესმენებს თუ სამხედრო მაღალჩინოსნებს.

150-წლიან გამოცდილებაზე დაყრდნობით, აქაური თერძები ხშირად სტუმრობენ სანდჰერსტის სამეფო სამხედრო აკადემიასაც – ბრიტანელი ოფიცრებისათვის სამომავლო სამოსის შესაქმნელად უცილობელი ახალი იდეების მოსაძიებლად.

Dege& Skinner-ს პატივი ერგო, სამხედრო ფორმები შეეკერა უფლისწული უილიამისა და უფლისწული ჰარისთვის, როცა მათ სამხედრო სამსახურის დრო მოუვიდათ.

საქმის ცოდნა ატელიეს მსოფლიოში აღიარებულმა ვიქტორია და ალბერტის მუზეუმმაც დაუფასა, სადაც უკვე არაერთხელ გამოიფინა მისი შექმნილი სხვადასხვა სამხედრო სამოსი.

10 Savile Row, London

დიდი ბრიტანეთი ტანსაცმლის მამაკაცური სტილის დამამკვიდრებელია. სწორედ აქ შეხვდებით ყველაზე თამამ დიზაინერებს, დარწმუნდებით თერძების ხელოვნებამდე აყვანილ ოსტატობაში.

KENT, HASTE & LACHTER

ლეგენდარულ მკერავს ჯონ კენტს თავისი სახასიათო, განუმეორებელი სტილი აქვს: ის არ ცდილობს კლიენტისაგან რაიმე სახე შექმნას, მისი პიჯაკები თავად იმ ინდივიდუალობის გაგრძელებად იქმნება, რომელიც თითოეულ კლიენტს ახასიათებს. ტერი ჰეისტი, მისი პარტნიორი, სრულიად განსხვავებულია. მათსავე ატელიეში მოღვაწეობს ლონდონის საუკეთესო პერანგების შემქმნელი სტივენ ლახტერი. მისი 30-წლიანი საქმიანობა ადასტურებს, რომ საუკეთესოდ მორგებულ პერანგებს, საშინაო ხალათებს და პიჟამოებს ქმნის, რაც ერთდროულად ტრადიციულად ინგლისურიცაა, ელეგანტურიც და ზუსტად მორგებულიც კლიენტის გარდერობზე.

კოსტიუმის შეკვეთის ფასი £2000-იდან იწყება.

7 Sackville St, London

TURNBULL & ASSER

ჯერმინ სორითზე მდებარე Turnbull and Asser-ი (T&A) 1885 წლიდან სარგებლობს მამაკაცების გაუნელებელი ინტერესით, თუმცა დღეისათვის სახელგავარდნილი აქაური პერანგები მხოლოდ მე-20 საუკუნის დამდეგს იქცა ყურადღების საგნად.

ვიღასთვის აღარ აუღიათ ზომები აქაურ თერძებს: უინსტონ ჩერჩილი გინდა, ჩარლი ჩაპლინი, პიკასო, იან ფლემინგი, ჯეიმზ ბონდის როლის უკლებლივ ყველა შემსრულებელი, ამჟამინდელის ჩათვლით, და თვით პრინცი ჩარლზიც კი.

1981 წელს სწორედ მან მიანიჭა ამ დაწესებულებას პირველი სამეფო პატენტი. Turnbull & Asser-ის კოლექციებში შეხვდებით უამრავ სხვადასხვა ფერსა და ორნამენტს.

ზოგი პერანგი ერთი ფერისაა, ზოგი ზოლებიანი, ზოგი კი – კუბოკრული. ორნამენტები კი ნამდვილად ორიგინალურობით გამოირჩევა.

71-72 Jermyn St, St James's, London

სევილ როუ და ჯერმინის ქუჩა თერძების საქმიანობისა და ხელით კერვის ლამის სინონიმად იქცა; აქ უკვე კარგა ხანია ყველაზე მოდური და სასურველი სამოსი იკერება მამაკაცებისთვის. სწორედ ამიტომ სტუმრობდნენ ხშირად აქაურობას სერ უინსტონ ჩერჩილი თუ კრინცი ჩარლზი.

ინგლისური სამკერვალო სკოლისთვის დამახასიათებელია ოთხი ნაწილისაგან შემდგარი თარგი, მყარი საყელო და მანჟეტები – Turnbull & Asser-ი კლასიკური ინგლისური პერანგის შესანიშნავი ნიმუშია. მისი ღირებულება 150-დან 220 ფუნტამდეა.

EDWARD SEXTON

შეუძლებელია ედვარდ სექსტონის კოსტიუმები ნანახი არ გქონდეთ, თუნდაც ლეგენდარული „ბითლზის“ ალბომის – Abbey Road-ის გარეკანზე. ის მრავალი ათწლეულია როკენროლური კოსტიუმების მთავარ შემოქმედად ითვლება მთელ მსოფლიოში. თუმცა არა მხოლოდ მუსიკოსები, უამრავი კლიენტი ირჩევს მას კლასიკური და თანაც გამორჩეულად ორიგინალური სამოსის შესაკვეთად.

26 Beauchamp Place, London

RICHARD JAMES

Richard James-ის შარვლები არაკუჭვადი ბამბისგან (Sharkskin Wool, 98 პროცენტი ბამბა, 2 პროცენტი ელასტინი) იკერება. ხელით შეხებისას ქსოვილი ურბილესია, თან მსუბუქია. ეს შარვლები თანამედროვე ინგლისურ სტილშია შეკერილი; გამოირჩევა საკმაოდ მაღალი წელით, დამალული შესაკრავით. შარვალი ვიწროა, თუმცა – არა შემოტმასნილი. საქამრესთან ნაკეცები არ აქვს, ქამარი კი კლასიკურია. ამ შარვლებს ოთხი ჯიბე აქვს: ორი წინ და ორი უკან. უკანა ჯიბეები შიგნიდან ჩაკერებულია, ერთი ჯიბე კი ღილით მაგრდება.

Richard James-ის შარვლების ღირებულება £204-იდან 246 ფუნტამდეა.

Bespoke Shop
19, Clifford St, London

RBJ SIMPSON

ტყავის ქეისების, პორტფელებისა და ჩანთების შეკვეთით დამზადებას თუ გეგმავთ, ეს მთავარი მისამართია ლონდონში: სოლიდური ფასის გადახდა ნამდვილად ღირს, აქ დამზადებული ნივთი მთელი ცხოვრება გექნებათ.

Unit 33, Cremer Business Centre, Cremer St, London

თუ სამოგზაურო ჩანთების, ჩემოდნების და აქსესუარების შეძენა გსურთ, RBJ Simpson-ი საუკეთესო არჩევანია.

JOHN LOBB

ეს მამაკაცის ფეხსაცმლის მწარმოებელი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ინგლისური კომპანიაა. თუმცა არსებობს ორი „ლობი“: ერთი ლონდონურია, ხელნაკეთი და შეკვეთილი ფეხსაცმლის მწარმოებელი, მეორე კი Hermes-ის მფლობელობაშია და შეკვეთილ ნაწარმთან ერთად მზა პროდუქტსაც სთავაზობს მომხმარებელს.

John Lobb-ის კლასიკური ტყავის ფეხსაცმლის საფასური 795 ფუნტიდან იწყება.

88 Jermyn St, London

GEORGE CLEVERLEY

ჯორჯ კლივერლის მე-20 საუკუნის საუკეთესო მეწაღედ მიიჩნევენ, მისი გამოგონებაა ფეხსაცმლის კონცხის ფორმის ცხვირი, რომელიც კვადრატისა და ნახევარწრის ფორმებს აერთიანებს. ეს მოდელი დღემდე ატელიეს სავიზიტო ბარათია. პატარა მაღაზიაში შეკვეთებსაც იღებენ და ფეხსაცმელი ხელით იკერება მეორე სართულზე განთავსებულ სახელოსნოში. თუ გაინტერესებთ, კერვის პროცესს თავადაც შეგიძლიათ თვალი ადევნოთ.

13 The Royal Arcade, 28 Old Bond St, London

CROCKETT & JONES

ფეხსაცმლის წარმოებით განთქმულ, შუა ინგლისში მდებარე ქალაქ ნორთჰემფთონში 1879 წელს დაფუძნებული ფირმა Crockett & Jones ცნობილია თავისი უმაღლესი ხარისხის, „გუდიარის“ რეზინისლანჩებიანი ნაწარმით. მამაკაცებისთვის სამი სახეობის არჩევანი არსებობს: Hand Grade, Main Line და Shell Cordovan. დაბალქუსლიანი ფეხსაცმლისა და წაღების ახალ კოლექციას ქალებსაც სთავაზობენ.

ამ ოჯახის უკვე მეხუთე თაობა წარმატებით უძღვება საქმეს და უწინდებურაჯნდ ინარჩუნებს ტრადიციული ხელობის ხარისხისა და მომსახურების უმაღლეს სტანდარტს, რაც აგერ უკვე 135 წლის მანძილზე იზიდავს უამრავ მომხმარებელს.

92 Jermyn St, St James, London

PANTHERELLA

Pantherella-ს კოლექციაში შალის წინდები ჭარბობს, თუმცა წინდების შემადგენლობაში ყოველთვის შედის ნეილონი (70 პროცენტი მერინოსის შალია, 30 პროცენტი – ნეილონი).

Pantherella გამოირჩევა კლასიკური ორნამენტების სიუხვით, სადა ან თვალშისაცემი, სერიოზული ან ირონიული – არჩევანი დიდია.

წინდის ბოლო, თითების ადგილი, ხელითაა დამაგრებული. Pantherella-ს წინდა ინგლისში მზადდება და წყვილის საწყისი ფასია £15.

მამაკაცური მოდის დამკვიდრება სწორედ დიდი ბრიტანეთის სატახტო ქალაქში ხდება. აქ იქმნება და აქვე იროვეა მისი ყველა წესკანონი. სევილ როუდან მოყოლებული, ისთ-ენდის ყველაზე თამამი, ახალი დაწესებულებების ჩათვლით – ყველგან იპოვით ისეთ ადგილს, სადაც მოდით დაინტერესებული მამაკაცი გონივრულად დახარჯავდა ფულს.

DRAKES

რთულია, უფრო ინგლისური სტილის ჰალსტუხების მოძებნა, ვიდრე Drakes-ის ჰალსტუხებია. აბრეშუმის ქსოვილები სპეციალურად ბრიტანეთშივე მზადდება, თვითონ ჰალსტუხები კი – მთლად ლონდონის ცენტრში. პრინტი ხელით კეთდება. სერიული მოდელების გარდა ამ აქსესუარს შეკვეთითაც კერავენ. ჰალსტუხების ფასი 100 ფუნტიდან იწყება.

3 Clifford St, London

JOHNSTONS OF ELGIN

თივთიკის ბეწვეულის ნაწარმით სახელგანთქმულმა ამ შოტლანდიურმა ფირმამ 1915 წელს თავისი პირველი მაღაზია გახსნა ლონდონში. Johnstons of Elgin-ი თავის ფაბრიკებში თივთიკის საუცხოო ქსოვილს, ნაქსოვ ტანსაცმელსა და სხვადასხვა აქსესუარს აწარმოებს. როცა Johnstons of Elgin-ის ნამდვილ ნაწარმს შეხვდებით სადმე, შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ ის შოტლანდიაშია წარმოებული და ჯერ კიდევ 1797 წელს დაარსებული ამ კომპანიის ხარისხის უმაღლეს სტანდარტს განასახიერებს. ხელმარჯვე ოსტატები თანამედროვე ნაწარმსაც უნარჩუნებენ თაობების მიერ წარსულში დამკვიდრებულ მიმზიდველობას.

77 New Bond St, London

SEAN O'FLYNN

ლონდონში მამაკაცის საუკეთესო პერანგს შეკვეთით აქ კერავენ. შონ ო'ფლინი თავად ქმნის თარგს და მკერავების საქმიანობასაც აკონტროლებს. სახელგანთქმული ოსტატის თავმდაბლობა მისი კლიენტების ერთგულების წინაპირობაა. აქვე შეგიძლიათ შეიძინოთ პერანგებიც ქალის საქმიანი კოსტიუმისათვის.

6 Sackville St, London

VOYAGER კომენტარი

დიდ ქალაქებში, განსაკუთრებით ლონდონში, მაღაზიები 19:00 საათამდე მუშაობენ კვირის 7-ვე დღეს. ჭედარებით პატარა ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში სამუშაო დღეებში დაწესებულებები ზემდეგი გრაფიკით მუშაობენ:

9:00 ან 10:00 საათიდან 17:00 ან 17:30 საათამდე, ხუთშაბათს შეიძლება – უფრო გვიანობამდეც. ძალიან ხშირად კვირა გამოსასვლელი დღეა ხოლმე.

დედოფალი ელიზაბეთი მაკინტოშის ლაბადით

MACKINTOSH

წყალგაუმტარი, რეზინისებრი ქსოვილისგან დამზადებული ლაბადა, ან ამავე სტილის მამაკაცის საზაფხულო, გაბარდინის პალტო XIX საუკუნის შუა ხანებში მოდურად იქცა.

1823 წელს შოტლანდიელ ქიმიკოს ჩარლზ მაკინტოშს მორიგი ექსპერიმენტის ჩატარებისას პიჯაკის სახელოები კაუჩუკის ხსნარით დაესვარა. გარკვეული დროის შემდეგ მან შეამჩნია, რომ სახელოები აღარ უსველდებოდა. ქიმიკოსმა ეს აღმოჩენა დაპატენტა და კომპანიაც დააარსა. მაკინტოში – ეს არის ლაბადა, რომელიც წვიმისგან გვიცავს. მას ელეგანტურობასა და, მით უმეტეს, მოხდენილობაზე პრეტენზია არ გააჩნია.

2007 წელს Mackintosh იაპონურმა ფირმამ Yagi Tsusho-მ შეისყიდა. იაპონიაში მაკინტოშის ლაბადები განსაკუთრებით პოპულარულია, თუმცა არანაკლებ წარმატებით იყიდება სამშობლოში, დიდ ბრიტანეთში.

ორიგინალური მაკინტოშის წარმოებაში მხოლოდ ნატურალური კაუჩუკი გამოიყენება, რომელსაც მალაიზიიდან ღებულობენ. ნაკერები რეზინითაა დაფარული და ამიტომ წყალგაუმტარია. ღილებიან შესაკრავზე საფირმო გრავიურაა დატანილი. ღილებს მანქანის დახმარებით აკერებენ. მაკინტოშის ორიგინალები, როგორც კაცის, ისე ქალის ლაბადები, შოტლანდიაში ხელით მზადდება. შეძენა შეგიძლიათ საფირმო მაღაზიაში, Harrods, Lissom & Muster, End Clothing-ში.
ფასი £550-იდან იწყება.

19 Conduit St, London



SWAINE & ADENEY

ქოლგების მწარმოებელმა 1836 წლიდან, ტომას ბრიგმა პირველი შეკვეთა სამეფო კარისაგან 1893 წელს მიიღო, როცა ნახელავით თვით მისი უდიდებულესობა, დედოფალი ვიქტორია დაინტერესდა. მსგავსი პატივი მანამდე ქოლგების არც ერთ ოსტატს არ ღირსებია.

მოგვიანებით ბრიგების ნაკეთობებით მეფე ედვარდ მეშვიდე და ყველა შემდგომი მონარქი სარგებლობდა. 1943 წელს, კომპანია Thomas Brigg & Sons-ი სხვა კომპანიას, კერძოდ, Swaine & Adeney-ს შეუერთდა და ასე შეიქმნა ცნობილი Swaine, Adeney, Brigg & Sons-ი. „ბრიგის“ ქოლგა უმაღლესი ხარისხით გამოირჩევა და ეს ბრენდი სამეფო ოჯახისთვის, პრემიერ-მინისტრებისთვის თუ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის უცნობილეს პირთათვის დაკვეთების შესრულების საუკუნოვანი ტრადიციითაა ცნობილი.

ნამდვილი ბრიტანული სტილის ერთ-ერთი გამორჩეული მაგალითი – ტომას ბრიგის ქოლგა რჩეული მასალისა და განსაკუთრებული ოსტატობის იშვიათი ნიმუშია: მისი ღერძი და სახელური მხოლოდ კაკლის იშვიათი ჯიშის ხისაგან მზადდება, წვერი ოქროცურვილი ან მოვერცხლილი აქვს, ხოლო ქსოვილის მასალად შავ ნეილონს ანდა ხელით ნაქსოვ აბრეშუმს იყენებენ, რომელიც უაღრესად გამძლე ჩონჩხზე იჭიმება.

7 Piccadilly Arcade, Off Jermyn St, London

JAMES SMITH & SONS

საუკეთესო ქოლგებს ლონდონში, James Smith & Sons-ის ატელიეში უკვე 180 წელია ამზადებენ. ყველაზე პოპულარული მოდელი დღემდე Malacca Cane-ია. ის ევროპაში ყველაზე ძველი ქოლგების მაღაზიაა სახელოსნოსთან ერთად.

აქ პირველად გამოიყენეს ფოქსის ჩარჩო – ფოლადის გაპოხილი კარკასი, რაც იმის გარანტიაა, რომ მსოფლიოში ვერანაირი ქარი და წვიმა ვერ შეძლებს, თქვენი ქოლგა გადმოაბრუნოს.

მამაკაცებისათვის საუკეთესო არჩევანი კვლავ წითელი ხის ან ლერწმის ხელნაკეთი ქოლგაა. აქვე შესაძლებელია მზისგან დამცავი ქოლგის შეძენაც.

53 New Oxford St, London

ინგლისი ყველაზე წვიმიანი ქვეყნაა მთელ ევროპაში, რის უმთავრესი მიზეზიც დაბალი ატმოსფერული წნევის გავლენაა, რაც ატლანტის გავლით აღმოსავლეთისაკენ ვრცელდება.

აქ წელიწადის ყველაზე მშრალი მონაკვეთი მარტიდან ივნისამდე გრძელდება, ყველაზე ნალექიანი კი – სექტემბრიდან იანვრის ჩათვლით.

ინგლისის მიმდებარე ზღვების შედარებით თბილი წყალი ხელს უწყობს ზომიერი ჰავის გაბატონებას, ხოლო გოლფსტრიმის დინებას ჰავა, საერთოდ, ზომიერად ოკეანურამდე დაჰყავს. ალბიონის კუნძულზე ხშირია ნისლიც; ცა თითქმის მუდამ მოღრუბლულია და მზეც იშვიათად ანათებს.

წვიმაც თითქმის მუდამ წვრილად ცრის და თქეში აქ გვარიანი იშვიათობაა. როგორც წესი, ზაფხულობით ტემპერატურა არასოდეს აჭარბებს 30°C, ზამთარში კი ღამითაც არ ჩამოდის -7 °C-ზე დაბლა. ისტორიულად, +38 °C-ზე მეტი და -18 °C-ზე ნაკლები ტემპერატურა აქ არც არასოდეს დაფიქსირებულა.

რას ნიშნავს სამეფო პატენტი

ლონდონის სენტ ჯეიმზის ქუჩას თუ დაუყვებით, უამრავ სავაჭრო დაწესებულებაზე შენიშნავთ გამოსახულ გერბებს – იქნება ეს ღვინითა და სპირტიანი სასმელებით მოვაჭრე Berry Bros & Rudd, დოქტორ ჰარისის (Harris) აფთიაქი, რომელიც მთლად ჰარი პოტერის სამყაროდან გადმოტანილს ჰგავს, მეწაღე ჯონ ლობის (John Lobb) მაღაზია თუ სადალაქო Trufitt& Hill-ი.

By Appointment to HRH The Duke of Edinburgh

By Appointment to HRH The Prince of Wales

By Appointment to HM The Queen

ზოგჯერ ამგვარი გამოსარჩევი ნიშანი კარზე მხოლოდ ერთი კიდია, ზოგჯერ – ორი და სამიც. ეს იმას ნიშნავს, რომ დაწესებულება სამეფო პატენტს ფლობს, ანუ საქმიანი კავშირი აქვს დედოფალთან, ედინბურგის ჰერცოგთან, მეფისწულ ჩარლზთან ან, გარკვეულ შემთხვევებში, სამივესთან ერთად. პატენტის მისაღებად აუცილებელია, სულ ცოტა, ხუთ წელიწადზე მეტხანს მოემსახურო სამეფო ოჯახს; თუმცა ზოგ ამგვარ კომპანიას სასახლესთან ურთიერთობის გაცილებით ხანგრძლივი ისტორიაც აქვს: მაგალითად, Twining Teas 150 წელზე მეტია, რაც სამეფო კარს ამარაგებს.

LAUNER

ინგლისის დედოფალს ხელჩანთის გარეშე ვერსად ნახავთ და, როგორც წესი, ის Launer-ის ნახელავს ამჯობინებს. სხვადასხვა შემთხვევისთვის მას ორმოცზე მეტი ჩანთა აქვს, რომლებიც მთლიანად ხელით მზადდება პატარა ქალაქ უოლსოლში, ბირმინჰემის ახლოს. თითოეული მათგანი ნატითაა გაწყობილი და შესაკრავებად ოქროს ფირფიტები აქვს მორგებული.

Launer-ის ტყავეულის კოლექციაში ასევე ნახავთ საფულეებსა თუ აიფონის ბუდეებს, მაღალი ფასის მიუხედავად საოცარი სისადავით რომ გამოირჩევა. მათი შეძენა კი შესაძლებელია Fortnum & Mason-ში.

www.launer.com

BARBOUR

სამი პატენტის მფლობელი ეს კომპანია თავისი გამორჩეული, წყალგაუმტარი ქურთუკებით ამარაგებს დედოფალს, ედინბურგის ჰერცოგსა და მეფისწულ ჩარლზს.

კომპანია დაფუძნების დღიდან ჩრდილო-აღმოსავლეთი ინგლისის ერთ პატარა ქალაქ საუთშილდში საქმიანობს და სტილის უცვლელი ერთგულებით აწარმოებს მოდურ თუ ყოველდღიურ ტანისამოსს.

www.barbour.com

CHARLES OWEN & CO

ამ ასიოდე წლის წინათ დაფუძნებული და დღემდე ერთი ოჯახის საკუთრებაში მყოფი კომპანია სამეფო ოჯახს და, აგრეთვე, აშშ-ის ცხენოსანთა ფედერაციასაც მუდმივად ამარაგებს საცხენოსნო ქუდებით. მისი ნაწარმი ინგლისისა და ჩრდილო უელსის საზღვართან მდებარე ულამაზეს საბაზრო ქალაქ რექსჰემში მზადდება. ამ ბოლო დროს მათ დამცველი აღჭურვილობის დამზადებასაც მიჰყვეს ხელი – სხვათა შორის, ადრე სწორედ აქ მზადდებოდა კორპის ჩაფხუტები ბრიტანელი ჯარისკაცებისთვისა თუ ტროპიკულ სარტყელში მომუშავე მეცნიერ-მკვლევართათვის.

www.charlesowen.co.uk

JAN CONSTANTINE

Jan Constantine-ი ულამაზეს ხელით ნაქარგ საშინაო სამოსს ამზადებს, ისევე როგორც სამეფო გერბით დამშვენებულ ბალიშებს, კოსმეტიკის ხელჩანთებს წარწერით – „ღმერთო, ჰფარავდე დედოფალსა“.

87-135 Brompton Road, Knightsbridge London

CORGI

კარგ ფეხსაცმელს წინდაც შესაფერისი სჭირდება და უელსის პრინცმაც ჯერ კიდევ 1989 წელს დაუფასა Corgi-ს მისი უმაღლესი ხარისხის ნაწარმი, როცა სამეფო პატენტი მიანიჭა.

corgi ESTABLISHED 1892

უელსში 1892 წელს დაფუძნებულ ამ კომპანიას ჯერაც იგივე ოჯახი მართავს; აქაური დიზაინერის, ლაიზა ვუდის ნახელავი კი მაღალი მოდის არაერთი სახლის ნიშნით გამოჩენილა მსოფლიოს ყველაზე მოდურ მაღაზიებში. მამაკაცისა თუ ქალის ბუნებრივი ბამბის სქელი თუ თხელი წინდები (წყვილი) 15 გირვანქა სტერლინგი ღირს, ქაშმირის კი – 49 და მეტიც.

www.corgihosiery.co.uk

მოგზაურობის ხიბლი იმ მეგობრებისა თუ ნათესავებისთვის სამახსოვრო საჩუქრების შერჩევაა, რომლებთან ერთად წამოსვლა ვერ მოახერხეს. საჩუქრის შერჩევა ბრიტანეთში ნამდვილად არ გაგიჭირდებათ: ტრადიციული ბრიტანული სტილისა და ხელწერის მქონე ნაწარმს ბოლო დროს კიდევ ახალ-ახალი იდეების კვალი დაეტყო და არჩევანიც უფრო გამრავალფეროვნდა.

ASPINAL OF LONDON

დიდი ბრიტანეთის ბევრი სტუმრისთვის განსაკუთრებით სასურველია ისეთი სასაჩუქრე ნივთების შეძენა და თან ისეთ ადგილებში, რომლებიც, ასე თუ ისე, სამეფო ოჯახს უკავშირდება. Aspinal of London კემბრიჯის ჰერცოგის მეუღლისა და მისი დის, პიპა მიდლტონის საყვარელი სავაჭრო ადგილია, განსაკუთრებით – ულამაზესი ტყავის ხელჩანთების გამო.

46 Marylebone High St, London

VOYAGER გირჩევთ

რას მიიჩნევენ ქარგ საჩუქრად ბრიტანელები

ბრიტანელებისათვის ნებისმიერი ნივთის ჩუქება არ შეიძლება. გირჩევთ, მეგობარსა თუ მასპინძელს უსახსოვროთ კარგი წიგნი, მაღალი ხარისხის ფრანგული ღვინო ან შოტლანდიური ვისკი, ძვირადღირებული შოკოლადი (ტრიუფელები), ძვირფასი ფოთლოვანი ჩაი ან კარგი აფრიკული ყავა. საერთოდ, ბრიტანელებს წესად აქვთ ე. წ. კალათის (Hamper) გაკეთება, რომელშიც დელიკატესებს აწყობენ. კალათას სასურველ მისამართზე გზავნიან, ან სტუმრობისას თან მიაქვთ. მასში ბევრი პატარ-პატარა საინტერესო საჩუქარი აწყვია. თუ კალათაში დახურულ ბაზარში ნაყიდ სტილტონს, ჩატნის, ყველის ნამცხვრებს, კარგ წითელ ღვინოს, პიტნის შოკოლადს, ჩაისა და მარმელადს ჩააწყობთ, მასპინძელს აუცილებლად გაახარებთ. ასევე, ერთობ მიღებულია დასარგავი მცენარეების ჩუქება.

MULBERRY

Mulberry-მ ისეთი უჩვეულო დიზაინის ჩანთებით გაითქვა სახელი, როგორიცაა, ვთქვათ, „Alexa“ – ბრიტანული მოდის სამყაროს საკულტო ფიგურის, ალექსა ჩანგის პატივსაცემად შექმნილი ჩანთა. ძვირფასი ტყავეული ნაკეთობების ამ ბრენდს კემბრიჯის ჰერცოგის მეუღლეც სწყალობს და მათი ნახელავი Polly Push Lock Tote-ით დაიარება. 1971 წელს Mulberry სამხრეთ-დასავლეთ ინგლისში, სამერსეტის საგრაფოში დაფუძნდა და დღემდე სწორედ იქ აწარმოებს თავის საქვეყნოდ განთქმულ ტყავის ხელჩანთებს.

SMYTHSON

შეგიძლიათ შეიძინოთ Smythson-ის ხელნაკეთი ბლოკნოტი ყოველდღიური ჩანაწერებისათვის მისივე საფირმო მაღაზიაში ბონდ სთრითზე და დიდ სავაჭრო ცენტრებშიც: harrods, Harvey Nichols, fortune and maison. აქვეა სხვა საკანცელარიო ნივთები და ტყავის აქსესუარები.

40 New Bond St, London

FOYLES

წიგნის მაღაზია 1903 წელს დაარსდა და იქიდან მოყოლებული, მას ერთი ოჯახი მართავს. ის ქალაქის შუაგულში ტრადიციული წიგნით ვაჭრობის რაიონის ღირსშესანიშნაობად იქცა. აქ არის 200 000 წიგნი, რომლებიც 6 სხვადასხვა დონეზეა განლაგებული; აქვეა კაფე, სამხატვრო გალერეა, იმართება ლიტერატურული საღამოები, ცოცხალი მუსიკის კონცერტები.

107 Charing Cross Road, London

THE CAMBRIDGE SATCHEL COMPANY

აქ გელოდებათ უამრავი ჩანთა და ზურგჩანთა, რომლებიც საუკეთესო ბრიტანული ტყავისგან მზადდება ლესტერის მახლობლად. ჩანთების შეძენა შესაძლებელია ელიტურ მაღაზიებში მთელი ქვეყნის მასშტაბით, მათ შორის, Selfridges-ში, John Lewis-სა და Paperchase-ში. შეგიძლიათ შეკვეთითაც დაამზადებინოთ ჩანთა, ან შერჩეულ მოდელზე ინიციალები გააკეთებინოთ.

15 Shorts Gardens,
Covent Garden, London

LONDON BEATLES STORE

თუ გიყვართ „ბითლზები“, „როლინგ სტოუნები“, „პინქ ფლოიდი“, „ლედ ზეპელინი“, „აისი/დისი“, დევიდ ბოუი, „ქვინი“ – ეს თქვენი ადგილია!

მაღაზიაში იპოვით უამრავ ახალ და ორიგინალურ ნივთს, მაისურებს, ტანსაცმელს, საფულეებს, ჩანთებს, აქსესუარებს, მათარებს, პლაკატებს, ფოტოებს, ჩანაწერებს, DVD-ებს, ასევე, რელიკვიებს, სარეკლამო პოსტერების, ავტოგრაფების და სხვა საინტერესო ნივთების ჩათვლით.

231-233 Baker St, London

BENWYVISKILTS

ტრადიციული, შოტლანდიაშივე ნართავი შალის ქსოვილისგან ხელით შეკერილი კილტი ბენ უაივისისგან აქ შეგიძლიათ შეიძინოთ. სურვილის შემთხვევაში, ზომასაც ადგილზევე აგიღებენ და თადარიგსაც დაიჭერენ, თუკი მომავალში წონაში მომატებას აპირებთ. ფასები 375 გირვანქა სტერლინგიდან იწყება.

DR MARTENS

ეს ლეგენდარული ბრენდი ცისარტყელის ყველა ფერის ფეხსაცმელს აწარმოებს, თუმცა კლასიკურად შავი ფერის ფეხსაცმელი ითვლება. Dr Martens-ის მაღაზიები ლონდონის ყველაზე მოდურ რაიონებშია – კოვენტ გარდენსა და კარნაბიში.

17-19 Neal St, London

WILLIAM & SON

ამ საფირმო მაღაზიებში არა მარტო ნატურალური ტყავისგან დამზადებულ სამგიდო თამაშების კომპლექტებს იპოვით, რომლებიც იდეალური საჩუქარია, არამედ ქალისა და მამაკაცის ტანსაცმლის და საიუველირო ნივთების ბრიტანულ ბრენდებს, ტყავის ჩანთებს და სამოგზაურო აქსესუარებს. ის საუკეთესო ადგილია ხელთათმანებისა და საზამთროდ ქუდის შესარჩევადაც.

33 Bruton St, London

ROCOCO CHOCOLATES

გაიგემრიელეთ სიცოცხლე გამორჩეული შოკოლადით, რომელიც Rococo Chocolates-ის ბუტიკებში იყიდება ლონდონსა და ჩესტერში. ფირმა Rococo 30 წელზე მეტი ხნის წინათ შეიქმნა. მისი მხურვალე თაყვანისმცემლების რიცხვშია მომღერალი ადელიც.

321 Kings Road

HARRY'S OF LONDON

ზოგადად, კაცებისათვის საჩუქრის შერჩევა – თქვენი მამა იქნება, მეუღლე, ძმა თუ ვაჟიშვილი – უფრო დიდი თავსატეხია ხოლმე, თუმცა ბრიტანეთის დროშიანი ფაჩუჩების ჩუქება მუდამ კარგი არჩევანია. მათი შეძენა ლონდონში, Harry's of London-შიც შეგიძლიათ და, ასევე, სამ სხვა მაღაზიაშიც დედაქალაქის დასავლეთ ნაწილში. აქ სპორტული ფეხსაცმლის შესანიშნავი არჩევანიცაა.

68-69 Burlington Arcade,
Mayfair, London

WEDGWOOD

ქაშანურის ჭურჭლის ლეგენდარულმა მწარმოებელმა Wedwood-მა დიზაინერ კიტ კემპთან ერთად წელს ფაიფურის ჭურჭლის ახალი კოლექცია გამოუშვა, რომლის დიზაინში მითოლოგიური ცხოველების გამოსახულებებია გამოყენებული. ჭურჭლის შეძენა შეგიძლიათ Wedgwood-ის მაღაზიაში ქალაქ სტოკ-ონ-ტრენტში და ლონდონის დიდ სავაჭრო ცენტრებში.

CUTLER AND CROSS

გამორჩეულად ნატიფი ბრიტანული სათვალეების 1969 წელს შექმნილი ბრენდი Cutler and Gross სრულიად შეუდარებელ, უმაღლესი ხარისხის მზის სათვალეებსა და აქსესუარებს ამზადებს. ეს კომპანია თანდათანობით, ბრიტანული დახვეწილი სტილის, შემოქმედებითი მიდგომისა და ოსტატობის სინონიმად იქცა. უმაღლესი ხარისხის ჩარჩოები დღეს უკვე იტალიაში მზადდება და, ძირითადად, ნაკეთობისა და დიზაინის სრულყოფილი შერწყმის ნიშუშად ითვლება. Cutler and Gross-ი წლების განმავლობაში თანამშრომლობდა მოდის სამყაროს ვარსკვლავებთან, ვისთან ერთადაც ფუფუნების საგნად ქცეული სათვალის ისეთი ჩარჩოები შექმნეს, რომლებიც მხოლოდ შეზღუდული რაოდენობით მზადდებოდა. ესენია: კანადელი დიზაინერი Erdem და, ასევე, Maison Martin Margiela, Comme Des Garsçons, Mulberry, Alberta Ferretti.

16 Knightsbridge Green, London

GLOBE

დიდ ბრიტანეთში ნაყიდი საჩუქრები და სუვენირები რამეში ხომ უნდა ჩაალაგოთ! საბედნიეროდ, ლონდონში, პიკადილიზე, ისტორიულ სავაჭრო რიგ Burlington Arcade-ში, დღემდე საქმიანობს Globetrotter-ი, სადაც გამორჩეული ხიბლის მქონე ჩემოდნებს ჯერ კიდევ 1897 წლიდან ამზადებენ.

1901 წელს, აქაური ნახელავის გამოსაცდელად, ჩემოდანზე ერთტონიანი სკილო შეაყენეს და ამით არც არაფერი დაშავებულა – არც ჩემოდანს მოსვლია რამე და, ასე განსაჯეთ, არც სკილოს.

კომპანია მუდმივად სიახლეზეა მომართული და თანამედროვე ცნობილ დიზაინერ-მოდელიერებთანაც თანამშრომლობს, ოღონდ ამ ნაწარმის უკვე საყოველთაოდ ცნობილი გამძლეობა კვლავინდებურად მისი უპირველესი გამოსარჩევი ნიშანია.

35 Albemarle St, London

HARRODS

ქალის, მამაკაცის, ბავშვის ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და აქსესუარების გარდა „ჰაროდსის“ მეხუთე სართულზე ფეხსაცმელების მოყვარულებს „სამოთხე“ ელოდებათ. Saint Laurent, Celine, Valentino, Kurt Geiger და Stuart Weizmann... უბრალოდ, უნდა იცოდეთ, რა გსურთ. თუკი სუნამოთი დათრობა გნებავთ, პირდაპირი მნიშვნელობით, „ჰაროდსის“ პირველ სართულზე მდებარე Perfume Gallery-ში უნდა შეიაროთ. მხოლოდ აქ შეგიძლიათ ისეთი ექსკლუზიური არომატი შეიგრძნოთ, როგორიცაა: Nasomatto, Bond №9, Roja, Byredo. ყველაზე მეტად „ჰაროდსში“ ძირითად სართულზე არსებული გასტრონომია გაგაოცებთ. აღმოსავლური ზღაპრის სუფრას მიმსგავსებული „ჰაროდსის“ ეს სივრცე ღვინით საოცარ გემოებს გაპოვნინებთ, ეგზოტიკური ხილით დაწყებული, შავი ხიზილალით დამთავრებული. იმის გამო, რომ მაღაზია 1985 წლიდან ძმებ ფაიედებს ეკუთვნოდათ, აქ ეგვიპტურ ესკალატორთან დოდი ალ ფაიედის და დაიანას ხსოვნის საპატივცემულო მემორიალს იხილავთ. „ჰაროდსის“ პირველ კლიენტებს შორის იყვნენ ოსკარ უაილდი, ჩარლი ჩაპლინი, ლოურენს ოლივიე, ვივიენ ლი, ზიგმუნდ ფროიდი... და, რაღა თქმა უნდა, სამეფო ოჯახის წევრები.

87-135 Brompton Road, Knightsbridge, London, SW1X 7XL

HARVEY NICHOLS

ბრიტანული „ჰარვი ნიკოლსი“ თანამედროვე მოდის მიმდევართა საყვარელი სავაჭრო ადგილია. ის Harrods-იდან რამდენიმე მეტრის სავალზე, Knitbridge-ზე მდებარეობს. „ჰარვი ნიკოლსში“ მამაკაცის და ქალის ტანსაცმლის, ფეხსაცმლის და აქსესუარების დიდი არჩევანია. მამაკაცის განყოფილება მინუს სართულზე თანამედროვე მოდის მუზეუმს მოგაგონებთ.

გიყვართ სათვალეები? მაშინ აუცილებლად ეწვიეთ Harvey Nichols-ს და მოირგეთ ეს აქსესუარი Linda Farrow-ს, Mykita-ს, Atelier vin Doux-ს, და Cutler Gross-ის უახლესი კოლექციებიდან. არ დაგავიწყდეთ, რომ „ჰარვი ნიკოლსის“ ბოლო სართულზე შოპინგის შემდეგ უგემრიელესი სუში შეგიძლიათ მიირთვათ, ან ღია ტერასაზე, ხედთან ერთად, ერთი ჭიქა შამპანურით დატკბეთ.
„ჰარვი ნიკოლსის“ ინტერიერიც და ექსტერიერიც ერთნაირად საინტერესოა. ამ სავაჭრო ცენტრს „სელფრიჯის“ მსგავსად ულამაზესი და ძალიან კრეატიული ვიტრინებითაც გამოარჩევთ. წინასაშობაოდ ამ უნივერმაღის ვიტრინები ხელოვნების ნამდვილ შედევრებად იქცევა ხოლმე.

Knightsbridge, 109 - 125 Knightsbridge, London SW1X 7RJ

LIBERTY

1875 წელს აგებულმა, ტიუდორის არქიტექტურულ სტილში შესრულებულმა ულამაზესმა შენობამ Marlborough street-ზე 1924 წელს მიიღო დასრულებული სახე და მალევე გახდა პოპულარული. აქ ნახავთ ისეთი ბრენდების ექსკლუზიურ კოლექციებს, როგორიცაა: Martin Margiela, Ann Demeulemeester, Philip Lim, Jean Muir და ბევრი სხვა. Liberty ცნობილია გრაფიკული ბეჭდვით, ორიგინალური ნივთებით ინტერიერისათვის და საჩუქრებით, თუმცა აქ იყიდება სამკაულები, სუნამოები და ძვირფასი ნივთებიც. წინასწარ გეტყვით, რომ „ლიბერთიში“ საკმაოდ სქელი საფულე დაგჭირდებათ, თუმცა თუ მაინცდამაინც რამე კონკრეტულის ყიდვას არ აპირებთ, მაშინ ისე, უბრალოდ დათვალიერებითაც კმაყოფილი დარჩებით.

Regent St, London W1B 5AH

SELFRIDGES

ამ სავაჭრო ცენტრში 500-ზე მეტი ბრენდის ტანსაცმელი, ჩანთები, ფეხსაცმელები და სათვალეებია წარმოდგენილი. თუ აქსესუარებით ხართ დაინტერესებული, ეს ის ადგილია, რომელიც ყველაზე მეტად გჭირდებათ. გარდა ამისა, „სელფრიჯში“ ჯინსის ყველაზე დიდი არჩევანია. მხოლოდ ერთ სართულზე აქ 60-ზე მეტი ბრენდის ჯინსია წარმოდგენილი, „პრიმარკიდან“ დაწყებული, „კრისტოფერ კეინით“ დასრულებული. ცალკე ამბავია „სელფრიჯის“ ვიტრინები. ამ ვიტრინებში ძალიან ცნობილი ფოტოგრაფების ნამუშევრებიც გამოფენილა არაერთხელ. „სელფრიჯის“ ვიტრინების ინსტალაციების ფოტოები ხშირად იბეჭდება ისეთ ჟურნალებში, როგორიცაა: Vogue, Dwell, Icon, Frame, Creative Review, Harper's Basaar, The New York times...

400 Oxford St, London W1A 1AB

NEW BOND STREET & SLOANE STREET

თუ დიდ უნივერმაღლებში სართულებზე შერეული კოლექციების ნახვა გეზარებათ და თქვენთვის ერთი მაღაზიიდან მეორეში გადასვლა სიძნელეს არ წარმოადგენს, თანაც ამინდიც ხელს გიწყობთ, მაშინ Bond Street-ის ან Sloane Street-ის გზას დაადექით. ამ ქუჩებსა და მათ კვეთებზე თითქმის ყველა ცნობილი ბრენდის მაღაზიაა წარმოდგენილი.

Sloane Street-ი ზაფხულში საუკეთესო ადგილია ქალის და მამაკაცის ერთობლივი შოპინგისთვის. სანამ ქალბატონები Marni-ს, La Perla-ს, YSL-ს, Joseph-ს ან Prada-ს ათვალიერებენ, მამაკაცებს (თუ შოპინგი მობეზრდებათ) შეუძლიათ გარეთ საოცარი მანქანების თვალიერებით დატკბნენ. ლონდონის ცნობილი Bond St-ი ექსკლუზიური ბრენდებითაა განთქმული. ამ ქუჩაზე ისეთი მოდის სახლების დროშებია აღმართული, როგორიცაა: Chanel, Ralph Lauren, Hermes Burberry, Rollex, Chopard და De Beers.

ბრიტანეთის დედაქალაქში ისეთი ბრენდების მაღაზიებსაც იპოვით, რომლებიც სხვა ქვეყნებში რომელიმე ლუქს-კლასის სავაჭრო ცენტრში მხოლოდ მცირე კოლექციებითაა წარმოდგენილი ან სულაც არ არის. აქ კი მხოლოდ ერთ პატარა Brook street-ზე Maison Martin Margiela-ს ერთი კი არა, მთელი ორი მაღაზიაა განლაგებული. მეზობლად კი Issey Miyake-ის და Pleats Please-ის უწონად ტანსაცმელს, Jo Malon-ის მათრობელა არომატების მაღაზიას, Pal Ziler-ის მამაკაცების უახლეს კოლექციას და Sonia Rykiel-ის საფირმო ფერებში გადაწყვეტილ ბუტიკს ნახავთ.

ჯინსების მოყვარულთათვის რამდენიმე მისამართი გვაქვს: Donna Ida's ბუტიკი ჩელსიში მდებარეობს. აქ ჯინსები მხოლოდ ქალბატონებისთვის მოიძებნება, Skinny-დან ტრენდულ მაღალწელიან ჯინსებამდე – Acne Studios-ს ჯინსები დოვერ სთრითზე. Rag & Bone-ის და All Saints-ის მაღაზიები Sloane Square-ზე ნებისმიერი გემოვნების ჯინსის მოყვარულს დააკმაყოფილებენ. ჯინსი, რომელსაც წლობით გემრიელად ატარებთ, Philip Plein-ის მაღაზიაში შეგიძლიათ შეიძინოთ, ის Bond Street-ზე სულ ახლახან გაიხსნა. აქ ჯინსი ყველა სიტუაციისთვის მოიძებნება.

DOVER STREET MARKET

DSM მოდის მოყვარულთა ახდენილი ზღაპარია. აქ ქალის და მამაკაცის ტანსაცმელი და ფეხსაცმელი ხუთ სართულზეა განლაგებული. Comme des Garçons-ის შემქმნელის, რეი კავაკუბოს დიზაინის ეს კონცეპტუალური მაღაზია ლონდონის Must See / Must Shop ადგილია.

სამკაულების მოყვარულებს, რომლებსაც სუსტი გული აქვთ, აქ შესვლას არ ვურჩევდით. Delfina Delettrez-ის, Sophie Bille Brahe-ს, Repossi-სა და სხვა ცნობილი საიუველირო სახლების ნიმუშები შესასვლელშივე მოგჭრით თვალს.
თუ გინდათ, ყველასგან გამორჩეულად და განსაკუთრებულად გამოიყურებოდეთ, აუცილებლად მიაკითხეთ ამ მაღაზიას და დიზაინერების კოლექციების გარდა სხვადასხვა ინსტალაციაც დაათვალიერეთ.

დაბოლოს, აქ დიდი სიურპრიზიც გელით: კიბის უჯრედში, სართულებს შორის, გაოცდებით და, ნიკო ფიროსმანის ნამუშევრების ბეჭდურ ასლებს იხილავთ. როგორც შევიტყვეთ, რეი კავაკუბო ქართველი მხატვრის თაყვანისმცემელი ყოფილა.

წელს „დოვერ სთრითს მარკეტი“ ახალ მისამართზე გადავიდა:
18 Haymarket, St James's, London SW1Y 4DG.
მეტრო: Piccadilly Circus, Charing Cross, Leicester Square.

Matches – 5 ბუტიკისგან შემდგარი მაღაზიების რიგი ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ Wimbledon Village-შია განლაგებული. Matches-ის მაღაზიებში კაცისა და ქალის ტანსაცმლის უახლესი კოლექციებია წარმოდგენილი.

ჩვენთვის ალბათ განსაკუთრებით საინტერესო იქნება დემნა გვასალიას მიერ შექმნილი Balenciaga-ს და Vetements-ის კოლექციების ხილვა, ამის გარდა, იქ Self-Portrait-ს, The Row-ს და ბევრი სხვა ცნობილი ბრენდის ტანსაცმელს და ფეხსაცმელსაც მონახავთ.

36 High St, Wimbledon Village

ASPREY

Asprey-მ, რომელიც ტყავის ნივთების, ძვირფასეულობის, ვერცხლეულობისა თუ აქსესუარების წარმოებითაა ცნობილი, ჯერ კიდევ 1781 წელს დაამკვიდრა ბრიტანული ფუფუნების საგნების სტანდარტი. თავდაპირველად მან საქმიანობა სამხრეთ ინგლისში, სარეიში დაიწყო, თუმცა 1847 წელს ლონდონში გადაინაცვლა და ნიუ ბონდ სთრითზე დაიდო ბინა. კომპანიას ხანგრძლივი ურთიერთობა აკავშირებს დიდი ბრიტანეთის სამეფო ოჯახთან, რაც მე-19 საუკუნეში მისთვის დედოფალ ვიქტორიას მიერ პირველი სამეფო პატენტის მინიჭებით დაიწყო.

www.asprey.com

GRAFF DIAMONDS

ლონდონის საოქრომჭედლო Graff Diamonds-ი მხოლოდ გამორჩეულად იშვიათ ქვებზე მუშაობს და ოსტატობით ცნობილი მისი ნახელავი ამ საქმის ყველა საფეხურს მოიცავს – დამუშავებიდან საბოლოო გაწყობამდე. 2013 წელს სწორედ აქ შეიქმნა გულსაბნევი Peacock, რომელიც ფერადი ბრილიანტების 120-კარატიან განსაცვიფრებელ ერთობლიობას წარმოადგენს.

100 მლნ დოლარად შეფასებული ეს ნაკეთობა უახლეს ისტორიაში შექმნილთაგან ერთი-ერთი უძვირესია.

www.graffdiamonds.com

SEROTONIN VINTAGE

თუ გსურთ, 80-იანი წლების დისკოთეკაზე იგრძნოთ თავი, მაღაზია თქვენთვისაა. გამოცოცხლებული შორდიჩის განწყობას ამ მაღაზიის სტილი ზუსტად ემთხვევა.

194 Brick Lane, London E1 6SA

CATH KIDSTON

Cath kidston-ში ყვავილებით მოჩითული წმინდად ინგლისური სტილის წინსაფრებისთვის, სუფრების, ყველა სხვა საყოფაცხოვრებო ნივთისა და სუვენირების გამო ღირს შესვლა. 100-პროცენტიანი ბრიტანულობა გარანტირებულია.

French Railways House,
178-180 Piccadilly,
London W1J 9ER

KOKON TOZAI

უნიკალური მაღაზიაა, სადაც არა მხოლოდ მულტიბრენდული ტანსაცმელი, არამედ ცხოვრების სტილი იყიდება. სოჰოში წამოწყებულმა ამ ბიზნესმა უკვე მოიცვა ლონდონი და პარიზი. საინტერესო და უცნაური ტანსაცმლის, მუსიკისა და ნივთების შესაძენად მიბრძანდით მისამართზე:

57 Greek St, London W1d 3dx

RELIGION

თუ რამე უფრო კონტროვერსიული გსურთ, ან თინეიჯერი შვილის გულის მოგება გინდათ, Religion-ი სათქვენო მაღაზიაა. აქ უხვად ნახავთ საინტერესო ადგილებზე მხატვრულად გახვრეტილ ტანსაცმელს.

154 Brick Lane, London E1 6 RU

FOUN AND VISION

ამ სრულიად უნიკალურ ვინტაჟური ტანსაცმლის მაღაზიაში ცნობილი მარკების სამოსს აღმოაჩენთ, რომელიც არა თუ მოდიდან არ გასულა, არამედ უნიკალურობის გამო ყველასგან გამოგარჩევთ. ყველაზე საინტერესოდ ჩაცმული გოგონების ხილვა თუ გსურთ, ამ მაღაზიაში შეიარეთ.

104 Golborne Rd,
London W10 5PS

OLLIE BOW AND SON

თუ ოდესმე ალი ბაბას გამოქვაბულში მოხვედრაზე გიოცნებიათ, შეგიძლიათ მიაკითხოთ მაღაზიას Ollie Bow and Son. აქ არის ძველი სათამაშო აპარატები, ბარების ნეონის აბრები, სათამაშო გემები და კიდევ ათასი რამ, რაც თქვენს ბინას განუმეორებელს გახდის.

69 Golborne Road,
London W10 5np

BOXPARK

BOXPARK-ი ტრენდული Shoreditch-ის შუაგულშია. ორიგინალური დიზაინის მოლი კონტეინერებითაა აგებული. BOXPARK-ი ახალი ბიზნესებისთვის ორიგინალური გარემოს შესაქმნელად და Start-up-ების გასავითარებლად საუკეთესო ადგილია. აქ იხილავთ უახლეს გამოგონებებს და მრავალ ინოვაციას, იყიდით ყველა-ფერს, მოდური ტრენდებიდან დამანტრიგებელ საჩუქრ-ბამდე.

2-10 Bethnal Green Road
E1 6GY, UK
მეტრო/მატარებელი:
Shoreditch High St

LES COUILLES DU CHIEN

სრულიად შესანიშნავი ადგილია, თუ განსაკუთრებულ საჩუქარს ეძებთ. ამ უცნაური ნივთებისა და ანტიკვარიატის მაღაზიაში აუცილებლად იპოვით რაღაც გამორჩეულს.

საინტერესო ავეჯისა და ინტერიერის ნივთების გარდა ეს მაღაზია უცნაური და იშვიათი სახეობების პეპლებითა და მწერებით, ნიუარებითა და მინერალებით ვაჭრობს. ერთი შეხედვით, დაუჯერებელია, რომ ეს მწერები რეალურად არსებობენ; პეპლებს კი, თქვენი მოთხოვნით, ულამაზეს ჩარჩოში ჩასვამენ და ისე მოგართმევენ.

65 Golborne Rd, London W10 5NP

ONE NEW CHANGE

ლონდონის შოპინგის რუკაზე არც ისე დიდი ხნის წინათ მონიშნული სავაჭრო ცენტრი One New Change-ი დამოუკიდებელ და ქსელების ფილიალ მაღაზიებს მასპინძლობს.

ცენტრს მომუშავე ადამიანები უმეტესწილად შუა კვირაში სტუმრობენ, ამიტომ უქმეებზე One New Change-ი მშვიდი და გრილი ადგილი ხდება და მისი გარემო მკვეთრად განსხვავდება ოქსფორდის ქუჩის ხალხმრავლობისგან. ცენტრში საუკეთესო რესტორნებია, მათ შორის, Gordon Ramsay's Bread St Kitchen.

1 New Change EC4M 9AF
მეტრო: St Poul's

THE HACKNEY SHOP

ეს წამოწყება მოგებაზე არაა ორიენტირებული და Hackney-ს კრეატიულ მცხოვრებთ და კოლექციოვებს შესაძლებლობას აძლევს, The Hackney Shop-ის ფარგლებში საკუთარი Pop-up (ანუ დროებითი) მაღაზია გახსნან სრულიად უფასოდ. ამ არაჩვეულებრივი ინიციატივის შედეგად, აქ ნახავთ აღმოსავლეთ ლონდონელი დიზაინერების მიერ შემოთავაზებულ მოდის მომავალს.

99 Morning lane
მატარებელი:
Hackney Central

CASS ART

ამ მცირერიცხოვან მაღაზიათა ქსელის ყველაზე დიდი ფილიალი ლონდონის კრეატიულ საზოგადოებას Islington-ის უბანში ემსახურება. ამ სამსართულიან არქიტექტურულ ტრიუმფში ხელმისაწვდომი ფასის არტ-მასალები იყიდება. აქაურობა ჩვეულებრივ დამთვალიერებელს შთაგონების პოვნაშიც კი ეხმარება.

66-67 Colebrooke Row N1 8AB
მეტრო: Angel

ARBON INTERIORS

შესანიშნავი მაღაზია ძველი არქიტექტურული დეტალების, ბუხრების, კარებებისა და სხვა საინტერესო ნივთების შესაძენად.

80 Golborne Road,
London W10 5PS

BEYOND RETRO

2002 წელს Cheshire St-ზე, ყოფილ რძის ქარხანაში გახსნილი ეს მაღაზია ლონდონური ეკლექტიკური მოდის სცენის ფლაგმანად იქცა. ის გამოცდილი მოგზაურების და ცნობილი ადამიანების მაგნიტია ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში. რეტრო მაღაზია მრავალი ლეიბლის მეორად ტანსაცმელს ყიდის, თუმცა აქ მარტო ვინტაჟი როდია, გასაყიდად ფენენ ტრენდულ ტანსაცმელსაც ახალგაზრდა დიზაინერებისგან და ვინტა-ჟური აქსესუარებიც იყიდება.

58-59 Great Marlborough St,
London W1F 7JY

CIRCUS

ეს მაღაზია ორიგინალურად და გამორჩეულად ჩაცმის მოყვარულთა საყვარელი ადგილია. Circus-ი ახალგაზრდა დიზაინერების სამოსით და ვინტაჟური აღმოჩენებით ვაჭრობს. აქ ბევრ რამეს აღმოაჩენთ, ხელმისაწვდომი ფასის არტ-ნამუშევრებით და სახლის აქსესუარებით დაწყებული, ლექსების კრებულამდე და თანამედროვე კერამიკამდე.

Brixton Village SW9 8PS
მეტრო: Brixton

UNIVERSAL WORKS

მამაკაცის სამოსის ეს ბრენდი ერთმანეთს უთავსებს ბრიტანულ მემკვიდრეობას, ტრადიციულ სტილს და თანამედროვე ტენდენციებს.

40 Berwick St W1F 8RX
მეტრო: Tottenham Court Road

WOLF & BADGER

მაღაზია პოპულარიზაციას უწევს დამოუკიდებელ მოდას, სამკაულებს, აქსესუარებს და ინტერიერის დიზაინის ბრენდებს. საინტერესო კონცეფცია მას აქცევს ადგილად, სადაც იპოვით დიზაინერების ლეიბლებს და მოდის ინდუსტრიის უახლეს კრეატიულ გამოსასვლელ ტანსაცმელს.

46 Ledbury Road W11 2AB
Notting Hill Gate

THE GOODHOOD STORE

მოდისა და lifestyle-ის მაღაზია Goodhood გამოკვეთილად სკანდინავიური დიზაინისაა. ძალიან საინტერესო ინტერიერში ქალის და მამაკაცის ტანსაცმლის, ფეხსაცმლის და აქესესუარების გარდა სახლის და, უბრალოდ, ყოველდღიური გამოყენების ორიგინალური ნივთები იყიდება.

41 Coronet St N1 6HD
მეტრო: Old St

THE HATTON GARDEN

ოქრომჭედლების ეს უბანი ლონდონის ძველი ქალაქის შუაგულში ჯერ კიდევ შუასაუკუნეებიდან ითვლება ძვირფასეულობით ვაჭრობის ცენტრად. დღეს აქ 300-ზე მეტი საოქრომჭედლო თუ სავაჭროა თავმოყრილი, სადაც ბრიტანეთის ათასზე მეტი საუკეთესო ოსტატი-ხელოსანი საქმიანობს და ანტიკური თუ ფუტურისტული სტილის ნაირსახეობებს წარმოგვიდგენს.

www.hatton-garden.net

TK MAXX

აქ შესვლა თქვენი ბიუჯეტი-სათვის მომგებიანია, ხოლო თქვენთვის – საინტერესო. ცენტრალური ლონდონის TK MAXX-ის ქსელებში ქალის, მამაკაცის და ბავშვის ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და აქსესუარები დიდი ფასდაკლებითაა წარმოდგენილი. რას აღარ აღმოაჩენთ აქ: Marni, Joseph, Love Moschino, Prada, Rochas... ოღონდ ეს ყველაფერი ამ მაღაზიაში მინიმუმ 60%-იანი ფასდაკლებით იყიდება. TK MAXX-ი ლონდონში რამდენიმე მისამართზეა, ამიტომ თქვენი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით აირჩიეთ ყველაზე ხელსაყრელი ფილიალი.

ZADIG AND VOLTAIRE

სულ ცოტა ხნის წინათ ფრანგულმა ბრენდმა Zadig and Voltaire-მა თავისი აუთლეტი Kings Road-ზე გახსნა. ამ ბრენდის ულამაზეს კოლექციას თუ გადახედავთ, გაითვალისწინებთ მის ფასებს და იმასაც გაიხსენებთ, რა ხშირად გითქვამთ საკუთარი თავისთვის უარი ფასების გამო, მაშინ ლონდონში აუთლეტ მაღაზიას აუცილებლად უნდა ესტუმროთ.

57 King St Hammersmith W6
9HWLondon

BICESTER VILLAGE

მატარებლით მხოლოდ 46 წუთის სავალზე ლონდონიდან ლუქს-კლასის აუთლეტ სოფელში აღმოჩნდებით. აქ 130-ზე მეტი ცნობილი ბრენდის ბუტიკს ნახავთ და თითოეულ ნივთზე, სულ ცოტა, 70%-ზე მეტს დაზოგავთ, რესტორნების და კაფეების დიდი არჩევანი კი თქვენს დღეს Bicester Village-ში დაუვიწყარს გახდის.

NOTSOBIG

ლონდონში ბევრი ისეთი მაღაზიაა, სადაც მოდის მოთხოვნების მცოდნე ბიჭუნებსა თუ გოგონებს მართლა მაგარ და თან „სადიდო“ ტანისამოსს შესთავაზებენ. Notsobig-ი, რომლის სახელიც როალდ დალის „უშველებელი ნიანგის“ ერთ-ერთი გმირის მიხედვითაა შერჩეული, ჰაიგეიოთის უბანში მდებარეობს. მისი დამფუძნებელი ჯეინ უაილსი პირადად არჩევს მოდურ, მოსახერხებელ და თან სახალისო ჩასაცმელს ბავშვებისათვის და ცნობილი დიზაი-ნერების გარდა იმედისმომცემ, ნიჭიერ ახალგაზრდებთანაც თანამშრომლობს.

31a Highgate High St,
London

PAPOUELLI

მოდური ფეხსაცმლის მოყვარულებმა Papouel-li-ს ფილიალებს უნდა მიაშუროთ, მერილებონისა და ბელგრავიას უბნებში. ბავშვთა ფეხსაცმლის ოსტატები აქ პატარებსაც დაახვედრებენ კლასიკური სტილისა და თან უაღრესად მოსახერხებელ ნახელავს, რაც საგანგებოდ ბავშვის მოთხოვნებსა და გემოვნებასაა მორგებული. აღსანიშნავია, რომ ამ ბოლო დროს კომპანიამ პატარა ზომის ტანსაცმლის წარმოებასაც მიჰყო ხელი.

43 Elizabeth St, London

COUVERTURE & THE GARBSTORE

ლონდონის ნოთინგ ჰილში მდებარე მაღაზია Couverture& The Garbstore გემოვნებიანი საქონლის ნამდვილი საბადოა. მისი ბავშვთა განყოფილება დიდი ბრიტანეთის ყველაზე ცნობილ დიზაინერთა დახვეწილი ნახელავითაა მიმზიდველი.

188 Kensington Park Road
Notting Hill, London

ინგლისური პარფიუმერიისთვის სწორედ ის თვისებებია დამახასიათებელი, რომლებიც ამ ერს გამოარჩევს: თავშეკავებულობა, სიმკაცრე და თანმიმდევრულობა, ქედმაღლური ელეგანტურობა, არისტოკრატიულობა, ლაკონიურობა და სიზუსტე.

FLORIS

სუნამოს სახლი Floris 1730 წლიდან არსებობს ლონდონში და მას დღესაც დამფუძნებლების შთამომავლობა განაგებს. დამფუძნებლები კი ხუან ფამენიუს ფლორისი და მისი მეუღლე იყვნენ.

1820 წელს მათ სამეფო პატენტიც მიიღეს, როგორც მეფე ჯორჯ მეოთხის პირადმა მომმარაგებლებმა. ამ სახლის მომსახურებით წლების მანძილზე სარგებლობდა სამეფო კარი, არაერთი სახელმწიფო მოღვაწე თუ გამოჩენილი პირი, მათ შორის, უინსტონ ჩერჩილი და კინოვარსკვლავი მერილინ მონრო.

დღეს Floris-ი ოთხი მთავარი კოლექციითაა ცნობილი: „სუნამოები მამაკაცებისათვის“, „სუნამოები ქალთათვის“, „კლასიკური კოლექცია“ და „კერძო კოლექცია“. ამ სახლის პირველი ბრენდული სუნამო ჯერ კიდევ 1786 წელს, უახლესი კი 2016 წელს შეიქმნა.

89 Jermyn St, St James's, London

CREED

Creed-ის პარფიუმერიის სახლი 1760 წელს ჯეიმს ჰენრი ქრიდმა დააარსა.

იმის მიუხედავად, რომ Creed-ის ლაბორატორია 1856 წელს პარიზში გადავიდა, ამ ბრენდის არომატები ჯეშმარიტად ინგლისურია – მკაცრი, გამოკვეთილი, ელეგანტური და ძლიერი, როგორიცაა, მაგალითად, კლასიკური სურნელი მამაკაცებისთვის Erolfa, მასკულინური და დინამიკური Green Irish Tweed, ან სულაც ჩერჩილის საყვარელი არომატი Tabarome. აღსანიშნავია, რომ Love in White ამერიკის ამჟამინდელი პირველი ლედის, მიშელ ობამას საყვარელი სუნამოა.

PENHALIGON'S

ვიქტორიანულ ეპოქაში „პენჰალიონის“ ნაწარმმა სამეფო კარზე უდიდესი აღიარება მოიპოვა და მას შემდეგ სანიმუშო გემოვნების სიმბოლოდ იქცა. Penhaligon's-ის კოლექციის ყველა არომატი სტილისა და უზადო ინგლისური მანერების დღესასწაულია. როგორც ცნობილია, Bluebell-ი, რომლის ფუძეშიც ცისფერი მაჩიტას ყვავილის ხალასი, მსუბუქი, ოდნავ მომწარო სურნელია, პრინცესა დაიანას ერთ-ერთი საყვარელი სუნამო იყო.

წმინდა ინგლისურ სურნელად მიიჩნევა English Fern Penhaligon's, რომლის შემადგენლობაშიც ეროვნული პარფიუმერიის ტრადიციული კომპონენტები შედის: ნემსიწვერა, ლავანდა, სამყურა, ხის სურნელით გაჟღენთილი სანდალოზი, მუხის ხავსი და პაჩული. მამაკაცებისთვის ნამდვილ ინგლისურ არომატად აღიარებულია Black Vetyver Café. მისთვის დამახასიათებელია სიფაქიზე და ცენტრალური კომპონენტების (ვეტივერიასა და ყავის) სიმკვეთრე, რომელთა შეხამებაც ხაზს უსვამს ბრიტანულ თავშეკავებულობას.

WASHINGTON TREMLETT

ბრენდი 1870 წელს დაარსდა, როგორც მამაკაცებისთვის განკუთვნილი ელეგანტური პერანგების მწარმოებელი ფირმა. პერანგები დიდი პოპულარობით სარგებლობდა. სწორედ ფირმის დამაარსებლის, ბატონი ტრიმლეტის პერსონას მიაწერენ თანამედროვე ჰალსტუხის გამოგონებას, რომელმაც იმ დროის მამაკაცის სამოსში შარფები და ბაფთები ჩაანაცვლა.

ბრენდი გვთავაზობს საფირმო არომატებს, რომლებიც უმაღლესი ხარისხისა და უზადო სტილის გამო რჩეულთა კატეგორიაში შედის. აღმოსავლური სურნელი Black tie უნისექსის კატეგორიას განეკუთვნება. მისი კომპოზიცია შედგება ხის, ყვავილებისა და სუნელების ნოტებისგან, რაც ძალიან ელეგანტურსა და, ამავდროულად, მგრძნობიარე არომატს ქმნის.

MPH (Miles Per Hour) კი მხოლოდ მამაკაცური სურნელია, რომელიც სუნთქვის შემკვრელი სიჩქარის, ადრენალინის, დრაივისა და სითამამის განსახიერებაა. ესაა თავგადასავლების, ჯირითისა და რბოლის აზარტის, სიძლიერისა და აღმატებულობის არომატი, რომლის ფუძეშიც ციტრუსები, ლავანდა, წიწაკა, თამბაქო და მუხის ხავსია შეხამებული.

JO LOVES...

დატკბით ბრიტანული პარფიუმერიის დედოფლის, ჯო მელოუნის მიერ შექმნილი დახვეწილი არომატით. იპოვეთ თქვენი არომატი საფირმო მაღაზიაში Jo Loves.

42 Elizabeth St, London

JO MALONE

მდიდრულობისა და უბრალოების განსაცვიფრებელი შეხამების წყალობით Jo Malone-ის პარფიუმერიამ მთელ მსოფლიოში უამრავი თაყვანისმცემელი შეიძინა. ბრენდის პროდუქცია იმდენად დახვეწილია, რომ მის ყველაზე ერთგულ კლიენტებსაც კი აოცებთ, რომ კომპანია მხოლოდ 19 წლისაა. მისი დამაარსებელი წარმატებული ლონდონელი კოსმეტოლოგი ჯო მელოუნია. იგი გვთავაზობს არომატთა ექვს ჯგუფს: ციტრუსის, ხილის, ნაზი ყვავილის, ყვავილის, სუნელისა და ხის. ამ ახალგაზრდა ბრიტანული მარკის პარფიუმერული კოლექცია კი სულ 35 არომატისგან შედგება.

MURDOCK

სადალაქო მომსახურების კლასიკური სახეობები, როგორიცაა, ვთქვათ, ტრადიციული პარსვა სამართებლით, წვერის შეკრეჭა თუ სხვადასხვაგვარი ვარცხნილობის დაყენება, დღესაც სენტ-ჯეიმზის უბნის სადალაქოების დიდ გამოცდილებას ემყარება, თუმცა ახლა უკვე თანამედროვე მამაკაცების მოთხოვნებსაა მორგებული. აქაური დალაქები ჯენტლმენს მუდამ სრული კომფორტის განცდას უქმნიან და მისთვის ყველაზე შესაფერისი სტილის შერჩევაშიც ეხმარებიან. მერდოკის სადალაქოში, რომელიც, თავისთავად, ულამაზესი დიზაინით გამოირჩევა და ვიქტორიანული სტილისა და მოდერნული ხელოვნების უნიკალურ შეხამებას წარმოადგენს, სულ ხუთი სავარძელი დგას. აქ მამაკაცის ჰიგიენისათვის აუცილებელი უამრავი ნაწარმისა თუ აქსესუარის ნახვა-შეძენა შეგიძლიათ და ახლად გამოცემული წიგნების ფართო არჩევანიც დაგხვდებათ ლოდინის დროს გადასაკითხად. კოვენტ გარდენზე მდებარე ეს სადალაქო მამაკაცური ფუფუნების ნამდვილი სავანეა.

18 Monmouth St, Covent Garden, London

CARTER AND BOND

ორშაბათიდან შაბათამდე აქ არა მარტო თმას შეიკრეჭ კაცი, არამედ მთელ ლონდონში ყველაზე უკეთ გაგპარსავენ პირს და, გაპარსულზე, საუკეთესო მასაჟსაც გაგიკეთებენ ცხელი პირსახოცით. აქვე დაგხვდებათ პარსვის შემდეგ მოსახმარი ისეთი ლოსიონებს ფართო არჩევანი, როგორიცაა: Agua de Colonia, Baxter of California, Beardsley, Bounder, Czech & Speake, Lucky Tiger, Marvis, Proraso... და, აგრეთვე, საგანგებოდ შერჩეული ფუნჯები, სამართებლები თუ სხვადასხვა აქსესუარი. მომხმარებელს შეუძლია აქაური დალაქი შინაც დაიბაროს: ამ შემთხვევაში წვერის შეკრეჭა-შესწორების საფასური 14 გირვანქა სტერლინგიდან იწყება, სამართებლით პარსვისა და თმის შეკრეჭისა კი – 34-იდან.

189 Westbourne Grove, London

SWANKY

თუ მხოლოდ საპარიკმახეროში ვიზიტით ვერ შემოიფარგლებით და გსურთ, საკუთარ გარეგნობაზე უფრო მეტად იზრუნოთ, Swanky-ს უნდა მიაკითხოთ. აქ ყველა სალონური პროცედურის ჩატარებაა შესაძლებელი, როგორიცაა: წარბის კორექცია, წამწამების დაგრძელება, მანიკიური, პედიკიური და სხვა. ჩაწერა აუცილებელია.

გაითვალისწინეთ, რომ ასეთი სალონების უმრავლესობაში საკრედიტო ბარათის ნომერს ითხოვენ, ვინაიდან თუ ჩაწერის მიუხედავად პროცედურაზე არ გამოცხადდებით და 24 საათით ადრე არ გააუქმებთ ვიზიტს, ღირებულების 50 პროცენტს გადაიხდით.

335 Portobello Road, London W10 5 SA;
Tel. 020 89697580
26 Chamberlayne Road, London NW10 3 JD;
Tel. 020 89 64 2569

MICHAELJOHN

ულტრათანამედროვე ექსტერიერის მიუხედავად Michaeljohn-ი მაინც ძველი სკოლის მდიდრულ სალონად რჩება, რომელიც მეიფეარის უბანში მდებარეობს.
მას ხშირად სტუმრობენ პრინცესა ბეატრისი, ჟურნალ Vogue-ის მთავარი რედაქტორი ანა ვინტური და ჰოლივუდის ვარსკვლავები – კამერონ დიასით დაწყებული და დრიუ ბერიმორით დამთავრებული.

25 Albemarle St, London

MW NAILS

ინტერიერი ერთი-ერთში იმეორებს 70-იანი წლების ავიალაინერების შიდა სივრცეს და განსაკუთრებულ მომსახურებად Captain's Cockpit-ი ითვლება: სამოცდაათწუთიანი პროცედურა გულისხმობს მანიკიურს, მასაჟს და ექსფოლიაციას. ჩვეულებრივი მანიკიური აქ 15 გირვანქა სტერლინგი დაგიჯდებათ, ზემონახსენები პროცედურა კი – £69.

Old Spitalfields Market,
111B Commercial St, London

უქუდოდ თავი ქუდში ვერ გექნებათ

ამ ბრძნულ აზრს ბრიტანელები უკვე არაერთი საუკუნეა ჯიუტად მისდევენ და მართალია, ქუდების ზომა, თარგი, იერი თუ მასალა გაბატონებულმა მოდამ უამრავჯერ შეცვალა, **თავმოყვარე ბრიტანელი უქუდოდ** მაინც არსად გამოჩნდება.

შესაბამისი თავსაბურავის ტარება კარგა ხანია მაღალი წრის საზოგადოებას უკავშირდება, თუმცა, საბედნიეროდ, დღეს არა მარტო სამეფო ოჯახი თუ დიდგვაროვანი ხალხი, არამედ რიგითი ადამიანებიც საგულდაგულოდ ირჩევენ ქუდს, სხვადასხვა შემთხვევის მიხედვით – იქნება ეს დღეი, ავტორბოლა, ჩოგბურთის თუ კრიკეტის თამაში და, რა თქმა უნდა, ქორწილი.

სხვადასხვა ფილმიდან თუ 2011 წელს სამეფო ოჯახის წევრების ქორწილების პირდაპირი ტრანსლაციის მეშვეობით დღეს უკვე მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ჯეშმარიტ ბრიტანელ პატარძლის დედას უთუოდ „ზღაპრული“ ქუდი უნდა ეხუროს; ზოგადად, სტუმრების თავსაბურავი კი ფერების ზღვად უნდა აღიქმებოდეს. რაც შეეხება მასალას, აქ ჩალის ქუდსაც შეიძლება შეხვდეთ და აბრეშუმისასაც, ბუმბულებით გაწყობილსა თუ შედარებით სადას, ხოლო სიძის მეგობრებს უთუოდ ცილინდრები უნდა ამშვენებდეთ და მოუთმენლად ელოდნენ ეკლესიაში პატარძლის გამოჩენას.

იმავე სამეფო ქორწილების წყალობით ამ ბოლო დროს ქუდები თითქოს გარდასულ დროში გვაბრუნებენ და თუკი ერთ-ერთი ამგვარი თავსაბურავის მფლობელი თქვენც გინდათ გახდეთ, რაღა თქმა უნდა, ისევ სახელგანთქმულ ბრიტანელ მექუდეებს უნდა მიაკითხოთ.

LOCK & CO

ჩარლი ჩაპლინი-სათვის დამზადებული ქუდი მსახიობს ისე მოეწონა, რომ ოსტატს სამადლობელი წერილი გაუგზავნა.

ლონდონურ მაღაზიას Lock & Co ოთხასწლიანი ისტორია აქვს. თუ საუკეთესო თავსაბურავს ეძებთ, სწორედ ამ დაწესებულებას უნდა მიაკითხოთ. 1850 წელს აქაურმა მექუდეებმა შექმნეს ქვაბურა ქუდი, რომელიც დღემდე ინგლისელების ელეგანტურობის სიმბოლოდ აღიქმება. Lock & Co-ს ფეტრის ქუდი (Fedora) პოპულარულია იმიტომ, რომ შეგიძლიათ ათასგვარი ფორმა მისცეთ, ასიმეტრიული სკულპტურისაც კი. ცილინდრების და ჟოკეის ქუდების გარდა აქვე შეიძენთ ქუდის შესანახ ყუთებსა და ტროსტებსაც. ამ კომპანიის ქუდები განსაკუთრებით საკულტო და პოპულარული კინომ გახადა.

6 St James's St, London



STEPHEN JONES

უშრეტი გამომგონებლობის და უმაღლესი ოსტატობის წყალობით სტივენ ჯონსი საკუთარი ნახელავით ამარაგებდა პრინცესა დაიანას. მანვე მოაწყო ქუდების გამოფენა ვიქტორია და ალბერტის მუზეუმში და თავისი განუმეორებელი წვლილიც შეიტანა ისეთი დიზაინერების ჩვენებებში, როგორებიც არიან: ვივიენ ვესტვუდი, ჟან-პოლ გოტიე, გალიანო, მარკ ჯეიკობსი და სხვ. ათწლეულების მანძილზე ქუდების მისეულ კოლექციებს სახელებიც ერთმანეთზე მყვირალა და უჩვეულო ჰქონდა: მაგალითად, „Murder by Millinery“, „Passport to Pleasure“ და „E=mc²“. დღეს სტივენ ჯონსის არა მარტო თავსასაბურავი, არამედ პარფიუმერიაც შეგიძლიათ შეიძინოთ მისსავე მაღაზიებში კოვენტ გარდენსა თუ დაუერ სთრით მარკეტზე. ფასები აქ £250-იდან იწყება.

36 Great Queen St, London

PHILIP TREACY

2011 წელს გამართული სამეფო ქორწილის 30-ზე მეტ მონაწილეს თავსაბურავების სამყაროში გახმაურებული სახელის მქონე ფილიპ ტრეისის ნახელავი ქუდები ეხურა. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა პრინცესა ბეატრისისა და ვიქტორია ბეჭჰემის თავსაბურავები. ამოუწურავი ნაირფეროვნების ქუდებით ლედი გაგასაც სწორედ ის ამარაგებს. ხელოვნების დონეზე აყვანილი მისი ნახელავი სლოუნ სქვეას მახლობლად მდებარე საფირმო მაღაზიაში შეგიძლიათ მოიზომოთ.

69 Elizabeth St, London

SOTHEBY'S

„სოთბის“ აუქციონი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძველი სააუქციონო სახლია. მას, „კრისტისთან“ ერთად, ანტიკვარიატის და ხელოვნების ნაწარმოებების სააუქციონო გაყიდვის მსოფლიო ბაზრის 90% უჭირავს. Sotheby's ლონდონში 1744 წლის 11 მარტს დააარსა წიგნით მოვაჭრე სემუელ ბეიკერმა. ამ დახურულ „კლუბში“ მაშინ მხოლოდ არისტოკრატებს შეეძლოთ მუშაობა. 250 წელზე მეტი ხნის მანძილზე „სოთბის“ აუქციონი მუდმივად ვითარდებოდა: აქ დანერგილი თანამედროვე ინოვაციები – როგორიცაა აუქციონით ვაჭრობის ტრანსლაცია ინტერნეტით და ინტერნეტით ფსონის დადება რეალურ დროში – დღეს საშუალებას აძლევს მსურველებს, მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან მიიღონ ვაჭრობაში მონაწილეობა.

„სოთბის“ ყველა აუქციონზე დასაწრეა უფასოა და ყველასთვის ღიაა, უაცილებელი არ არის, ვაჭრობაში მიიღოთ მონაწილეობა. აუქციონთა უმეტესობა დღის საათებში ტარდება, თუმცა ზოგი საღამოს იმართება და მათზე დასასწრებად ბილეთია საჭირო. „სოთბის“ აუქციონების დიდ ნაწილზე გასაყიდად გააქვთ ხელოვნების ნაწარმოებები, ანტიკვარული და დეკორატიული ნაკეთობები, წიგნები და მანუსკრიპტები, საიუველირო ნაწარმი და ღვინოები, თუმცა დროდადრო ისეთი უჩვეულო, უიშვიათესი უნიკალური ნივთებიც იყიდება, როგორიცაა, მაგ., კალათბურთის წესების პირველი კრებული ან შესანიშნავად შენახული დინოზავრის ჩონჩხი.

34-35 New Bond St

„სოთბის“ ყველა აუქციონზე დასწრება უფასოა და ყველასთვის ღიაა, აუცილებელი არ არის, ვაჭრობაში მიიღოთ მონაწილეობა. აუქციონთა უმეტესობა დღის საათებში ტარდება, თუმცა ზოგი საღამოს იმართება და მათზე დასასწრებად ბილეთია საჭირო.

CHRISTIE'S

მსოფლიოში უძველესი სააუქციონო სახლი Christie's ჯერ კიდევ 1766 წელს შეუდგა ფერწერული ტილოების, ავეჯის, საიუველირო ნაკეთობებისა და იშვიათი ღვინოების გაყიდვას. იმავე წელს, 5 დეკემბერს ლონდონში ჯეიმს კრისტიმ პირველი აუქციონი გამართა. ის 80-ზე მეტი კატეგორიის საგნებს ყიდის, მათ შორის, ფერწერულ ტილოებს, დეკორატიულ და საიუველირო ნაკეთობებს, იშვიათ ღვინოებსა და საკოლექციო ნიმუშებს.

„კრისტის“ აუქციონი, მის მიერ ადრე გაყიდული ანალოგების საფუძველზე, უსასყიდლოდ აფასებს ხელოვნების იმ ნაწარმოებთა ღირებულებას, რომელთა აუქციონზე გატანაც შესაძლებელია. ნივთის საორიენტაციო ღირებულება შეგიძლიათ მოითხოვოთ ფოსტით ან ინტერნეტით. „კრისტის“ აუქციონის საკომისიოს (ღირებულების დანამატი) სკალა ცვალებადია და წლიური გაყიდვების საერთო თანხას ეფუძნება. საკომისიოს რაოდენობა იცვლება ვაჭრობის ჩატარების ადგილის მიხედვით, აგრეთვე, სავაჭრო და საქველმოქმედო ორგანიზაციებთან მიმართებით.

8 King St, St James's, London

BONHAMS

სააუქციონო სახლი „ბონემსი“ გამომსახველობითი ხელოვნების ნაწარმოებების და ანტიკვარიატის ერთ-ერთი ყველაზე ძველი და ყველაზე დიდი აუქციონისტია მსოფლიოში. ის 1793 წელს დააარსა თომას დოდმა.

თანამედროვე სახით Bonhams-ი ჩამოყალიბდა 2001 წლის ნოემბერში კომპანიების – Brooks-ისა და Phillips Son & Neale-ის შერწყმის შედეგად. 2002 წელს მან ამერიკული Butterfields-ი შეიძინა, ხოლო 2003 წლის აგვისტოში „ბონემსის“ ჯგუფში გაერთიანდა ავსტრალიური Goodman-ი, რომელსაც სააუქციონო დარბაზები აქვს სიდნეიში.

დღეისათვის „ბონემსი“ ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ყველაზე სწრაფად მზარდი სააუქციონო სახლია მსოფლიოში.

ის მეტ აუქციონს სთავაზობს მომხმარებელს, ვიდრე ნებისმიერი მისი კონკურენტი – „ბონემსი“ ყოველდღიურად 700-ზე მეტ ნივთს ყიდის 70 კატეგორიაში, რომელიც მოიცავს საიუველირო ნაწარმს, ფაიფურს, ავეჯს, სხვადასხვა სახის იარაღს, ღვინოს, ფერწერულ ნამუშევრებსა და სხვა.

101 New Bond St, London

KIDZANIA

ცენტრი, რომელიც „ბრითიშ ეარვეისის“ შექმნილია, იმდენად გენიალური იდეაა, რომ მისი დათვალიერება არა მხოლოდ ბავშვებისთვის, მშობლებისთვისაც ფრიად საინტერესო გამოცდილება იქნება. ეს არის ბავშვთა ქალაქი **KIDZANIA**, რომელიც ნოთინგ ჰილთან ახლოს მდებარე უზარმაზარ შოპინგ მოლშია განთავსებული. თუ ბავშვი საკმარისად დამოუკიდებელია, 8-9 წლის მაინც, ამ მოგზაურობაში მისი მარტო გაშვებაც შესაძლებელია. ბევრი მშობელი ასეც იქცევა: სანამ საყიდლებითაა დაკავებული, ბავშვი ქიდზანიაში თამაშობს.

იმისთვის, რომ ქიდზანიაში გაემგზავროთ, აეროპორტში „ჩექ ინ“-ის გაკეთება მოგიწევთ. იყიდით „თვითმფრინავის“ ბილეთს და უკვე ბავშვთა ქალაქში ხართ. წარმოიდგინეთ ჩვეულებრივი ქალაქი თავისი მაღაზიებით, საავადმყოფოებით, საცხობებით, სახანძრო განყოფილებებით, კაფეებით, შოკოლადის და ტორტების ფაბრიკებით. ეს ყველაფერი ნამდვილია (რეალური ფირმების მიერ გახსნილი), უბრალოდ, მცირე ზომის და იქ ბავშვები მუშაობენ. ქალაქს აქვს თავისი ფული, რომლის გარკვეულ ნაწილს ბილეთთან ერთად მიიღებთ და შეგიძლიათ ნებისმიერ მაღაზიაში დახარჯოთ. თუ მუშაობას დაიწყებთ, მაგალითად, გამყიდველად მაღაზიაში ან სუპერმარკეტში, ან საავადმყოფოში, ხელფასს გადაგიხდიან. ყველა დაწესებულებას საკუთარი უნიფორმა აქვს. ასევე შეგიძლიათ იმუშაოთ შოკოლადის ქარხანაში. ეს სამსახური, რა თქმა უნდა, დიდი პოპულარობით სარგებლობს, შოკოლადიც ნამდვილია და მომზადების პროცესიც.

ეს აბსოლუტურად უნიკალური სივრცეა, რომლის ანალოგიც ჯერჯერობით არ არსებობს. შეგიძლიათ ბავშვებთან ერთად შებრძანდეთ ქალაქში – უფროსებისთვის აქ გარკვეული ზონებია, სადაც სურვილის შემთხვევაში ყავასაც დალევთ. ცალკეა გამოყოფილი ტერიტორია 3 წლამდე ბავშვებისთვისაც. ისინი სწავლობენ, რა არის ფულის შოვნა და შემდეგ მისი დახარჯვა. თამაში და ქალაქი იმდენად შესანიშნავია, რომ ერთადერთი პრობლემა ბავშვების იქიდან გამოყვანაა.

ბილეთების შეძენა ინტერნეტით ჯობია: www.london.kidzania.com

Westfield London Shopping Centre, Ariel Way, London

SEA LIFE LONDON AQUARIUM

დიდი ქალაქის რიტმისგან, ხალხმრავალი მაღაზიებისგან და ბავშვებისთვის ხშირ შემთხვევაში მოსაწყენი გალერეების დათვალიერებისგან თქვენ თუ არა, პატარები მაინც შეიძლება დაიღალონ და სანამ მთქნარებით ჩამოგეკიდებიან ტანსაცმელზე, სახლში ან სასტუმროში დასასვენებლად დაბრუნებას ნამდვილად აჯობებს, ლონდონის აკვარიუმს ესტუმროთ და ზღვის და ოკეანეების სამყაროს სილამაზით დატკბეთ.

ადგილი ხალხმრავალია და რიგში დგომა რომ არ მოგიწიოთ, VIP: Behind the Scenes Tour-ის ბილეთები შეიძინეთ. გიდი, რომელიც ამ ტურში გაგიძღვებათ, რიგებს აგაცილებთ და აკვარიუმის ისეთ სივრცეებში შეგიყვანთ, რომლებიც ჩვეულებრივი დამთვალიერებლებისთვის დაკეტილია.

40 წუთის განმავლობაში ბავშვები აღტაცებით ირბენენ უზარმაზარი შუშების წინ, მიაჩერდებიან უცნაურ და აქამდე არნახულ თევზებს და ზღვის სხვა არსებებს. გიდი მათ საშუალებას მისცემს ნახონ, თუ როგორ მზადდება საკმელი 5000-ზე მეტი წყლის ბინადრისთვის და როგორ უვლიან მათ აკვარიუმის მესვეურები. ხმალთევზას გრძელი ცხვირი და ხერხივით ფარფლები თქვენც დაგარწმუნებთ იმაში, რომ ლონდონის აკვარიუმის დათვალიერება კარგი აზრი იყო.

County Hall, Westminster Bridge Rd, London

CHESSINGTON WORLD OF ADVENTURES

Chessington World of Adventures ლონდონის ცენტრიდან ათიოდე მილის დაშორებით მდებარე საოჯახო კურორტია, რომელსაც საკუთარი ზოოპარკი და აკვარიუმიც აქვს. უფროსებიც ვერ დარჩებიან გულგრილნი პინგვინების სასაცილო ცხოვრების შემხედვარე ან აკვარიუმის შუშასთან ახლოს მცურავი მრისხანე ზვიგენის მიმართ. ზღვის ლომები და სხვა მათნაირი ზარმაცი არსებები იდეალურად მოწყობილ გარემოში კარგად გრძნობენ თავს. ტერიტორია ათ თემატურ მხარედ იყოფა, სადაც ორმოცამდე ატრაქციონია ყველანაირი გემოვნების და ასაკის ადამიანებისთვის. პარკში „მხიარული მთების“ (ატრაქციონი „ამერიკული მთები“) მრავალფეროვანი არჩევანია. საშიშ გვირაბებში გასვლისას, დინოზავრის ზურგზე ან წყლით სავსე არხებში დიდი სისწრაფით მოძრავ მეკობრეთა გემზე თქვენი და ბავშვების ხელებაწეული და, ცოტა არ იყოს, შეშლილსახეებიანი სელფები წლების მერეც სახალისო დასათვალიერებელი იქნება, რადგან აქ ყველაფერი იმისთვისაა შექმნილი, რომ ოჯახის ყველა წევრმა იხალისოს.

დასვენებას თუ დააპირებთ, შეგიძლიათ ბავშვებს სათამაშო აპარატების და მცირე ატრაქციონების ჟეტონები ჩაუთვალოთ და თქვენ კი რესტორნების და კაფეების მრავალფეროვან სიაში არჩევანი გააკეთოთ.

Leatherhead Rd, Chessington

ტრანსპორტი: მატარებელი CHESSINGTON SOUTH RAIL, შემდეგ კი ავტობუსი #71

PUPPET PLANET

მარიონეტები სიმებზე, მარიონეტები მავთულებზე და ხელზე ჩამოსაცმელი თოჯინები მთელი მსოფლიოდან Puppet Planet-ის მაღაზიის თაროებზე იყრიან თავს. ამ ჯადოსნურ მაღაზიას აქვს საკუთარი თეატრის სცენა, სადაც შეგიძლებათ გამოსცადოთ ნებისმიერი მარიონეტი და ბავშვებთან ერთად გაითამაშოთ სახალისო ან საინტერესო სცენა. არც ის დაგავიწყდეთ, რომ მარიონეტების კოლექცია ძალიან ეფექტური და ლამაზია. დაიწყეთ ბავშვებთან ერთად ახალი თავგადასავალი, რომელიც წლებს გაუძლებს.

787 Wandsworth Road, Vauxhall, London

LONDON DUCK TOURS

ხანგრძლივი და დამღლელი ექსკურსიების ნაცვლად შეგიძლიათ მარტივად დაჯავშნოთ ბილეთი ამ სახალისო ტურზე და ლონდონის მთავარი ღირსშესანიშნაობები საათ-ნახევარში შემოიაროთ ბავშვებთან ერთად ისე, რომ უკმაყოფილო არავინ დარჩება. ყვითელი ძველი სამხედრო ავტობუსი-ამფიბია, დიახ, ნამდვილი ამფიბია მანქანა ჯერ ხმელეთზე მოგატარებთ თქვენ და თქვენი ოჯახის პატარა წევრებს ქალაქის სხვადასხვა ცნობილ ადგილს, შემდეგ კი გვერდებს აიკაპიწებს და ნამდვილი ყვითელი იხვივით შეცურდება მდინარეში.

ბავშვების აღფრთოვანება უსაზღვროა, როდესაც ავტობუსი დაცურავს და მისი ფართოდ გაღებული ფანჯრებიდან ყველაფერი არაჩვეულებრივად მოჩანს. მცურავ ავტობუს-ამფიბიას მხიარულებას ხალისიანი გიდიც მატებს, რომელიც მგზავრთაგან არავის აძლევს მოდუნების და მოწყენის საშუალებას.

სხვა საინტერესო ადგილების გარდა სწორედ ის აჩვენებს პატარებს M6-ის შენობას, რომელიც ჯეიმზ ბონდის „სამსახურია“ და საინტერესოზე საინტერესო შენობა – განსაკუთრებით ბიჭებისთვის. ყველა მოზარდმა იცის, შიგნით რა მაგარ „სათამაშოებს“ ამზადებენ სხვადასხვა აგენტისთვის. ტემზაზე გასეირნება კი გოგონებსაც ძალიან გაართობს და გაახალისებს.

HAMLEYS TOY STORE

თუ ლონდონში ბავშვებთან ერთად ხართ, გირჩევთ, ეწვიოთ Hamleys-ის სათამაშოების მაღაზიას, რომელიც მსოფლიოში ასეთი ტიპის მაღაზიათა შორის ყველაზე ძველია. თქვენ წარმოიდგინეთ, 1760 წელსაც ბევრ მშობელს მიჰყავდა თავისი პატარები Hamleys-ის სათამაშოების მაღაზიის გახსნაზე და მას შემდეგ ეს ტრადიცია გრძელდება. შვიდ სართულზე გამოფენილი 50000-მდე სათამაშო პატარა დამთვალიერებელს სრულ ბედნიერებას მიანიჭებს, თქვენს ჯიბეს კი – გარკვეული ზომის ზარალს მიაყენებს. აქ მთელი მსოფლიოდან ჩამოსულ უამრავ დამთვალიერებელს იხილავთ, რადგან Hamleys-ის სათამაშოების მაღაზია ერთგვარი ტურისტული ატრაქციონივითაა.

188–196 Regent St, London

შესანიშნავი ამბავი ბავშვისთვის
საჩუქრის ძებნით გაწამებული მშობლების საყურადღებოდ!

თუ თქვენს შვილს ჰარი პოტერი უყვარს, აღარაფერზე იფიქროთ და პირდაპი კინგს კროსის სადგურისკენ გაემართეთ. იქ ცენტრალური ფოიეს კუთხეში მაღაზია „9¾“ გაიხსნა. ეს სწორედ იმ პლატფორმის ნომერია, საიდანაც სახელგანთქმული ჰოგვართსის ექსპრესი გადიოდა ჯადოქრობის სკოლის მიმართულებით.

კინგს კროსის სადგურის თანამშრომლებს ისე მობეზრდათ კითხვის – „სადაა კლატფორმა 9 და ¾?“ მოსმენა, რომ მე-9 და მე-10 კლატფორმებს შორის ნიშანი დაკიდეს და კედელში ნახევრად შესული ურიკაც დაამონტაჟეს.

ამ საოცარ მაღაზიაში, რომლის შესასვლელთანაც ჯადოსნური ქუდი შეგიძლიათ მოირგოთ და ჰოგვართსის ფაკულტეტებზე გადანაწილდეთ, ყველაფერია, რაც კი ჰარი პოტერს და მის მაგიურ სამყაროს ეხება: ჯადოსნური ჯოხები, რომლებიც მოძრაობისას ანათებს, მანტიები, ცოცხები, ჰოგვართსში მიღების წერილებიც კი. თუ ბავშვთან ერთად მოგზაურობთ, მისთვის აქ მოხვედრა უდიდესი სიამოვნება იქნება, თუმცა დიდი განსაცდელი – თქვენი ჯიბისთვის. მაღაზიასთან არსებობს ელფების ოთახი, სადაც შესაძლებელია დაბადების დღეებისა და ზეიმების გადახდა.

„9 ¾“, Kings Cross, Kings Cross Station, London

„ჰარი პოტერის“ პირველი ფილმის მე-15 წლისთავის აღსანიშნავად WARNER BROS. STUDIO TOUR LONDON – THE MAKING OF HARRY POTTER-ი წარმოგიდგენთ სცენებს და სახასიათო ნივთებს ამ ფილმიდან. სტუდიაში ექსკურსიის დროს იხილავთ ავთენტიკურ რეკვიზიტებს, კოსტიუმებს და სცენებს, სადაც „ჰარი პოტერის“ 8 ფილმი გადაიღეს.

22 ივლისიდან 5 სექტემბრამდე – „ფილოსოფიური ქვის პოვნა“.
15 ოქტომბრიდან 4 ნოემბრამდე – მე-15 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი.
19 ნოემბრიდან არ გამოტოვოთ „ჰოგვართსი თოვლში“.
ბილეთის ფასი: სრულწლოვანთათვის £55.00-იდან, ბავშვებისთვის £50.00-იდან, ოჯახებისთვის £205.00-იდან.
ბილეთები წინასწარ შეიძინეთ.

Studio Tour Drive, Leavesden
www.wbstudiotour.co.uk

ტომ სტოპარდის სერდო

ლაშა ბუღაძე

ინგლისელი დრამატურგი ტომ სტოპარდი იყო ყველაზე გაციებული ადამიანი, ვინც კი საერთოდ შემხვედრია ცხოვრებაში.

სწორედ გაციებული და არა გრიპით ინფიცირებული, ან კიდევ სიცხით გათანგული და, რაც მთავარია, არც მობუზული და სევდიანი, როგორც ზოგადად ახასიათებთ გაციებულებს. ის ისე იქცეოდა, თითქოს დაბადებისთანავე გაციებული ყოფილიყო და მთელი ცხოვრება ისე გაევლო, ისე დაეწერა ყველა ტექსტი – მათ შორის, „როზენკრანცი და გილდენსტერნი დაიხოცნენ“ – ისე მოეყვანა ცოლი, ისე შეეთხზა ცნობილი ფილმების სცენარები (ვთქვათ, „შეყვარებული შექსპირი“) და ისე შეექმნა კიდევ ერთი შედევრი – „არკადია“, რომ არც ერთი დღე არ ეცხოვრა გაუციებლად.

ჩანდა, რომ დიდი სისათუთით შეერჩია პალტო და ყელსახვევი, თხელი ჟაკეტი და იქიდან თითქოს უგერგილოდ ამოჩრილი (სინამდვილეში, მისი მდგომარეობისთვის არანორმალურად შესაბამისი) პერანგის საყელო. შარვალიც ისეთი ჩაეცვა, ხავერდის, და წინდაც კი ისეთი შეერჩია, სტაფილოსფერი (როგორც ამბობენ, ინგლისელები მუქ წინდებს ვერ იტანენ), რომ ყველაფერს მის სასიამოვნო გაციებაზე მიენიშნებინა.

როგორც კი სკამზე ჩამოჯდა და მოგვესალმა, და როცა ეს, პრინციპში, სინტაქსურად მნიშვნელოვანი გახდა მისი ძნელად დაბადებული მონოლოგისთვის, პიჯაკის ჯიბიდან საოცარი სიფრთხილითა და რუდუნებით, რიტუალური სიმშვიდით ამოიღო გაციების მთავარი ატრიბუტი – ცხვირსახოცი და ზომიერი ფშვნვითი (და არავითარ შემთხვევაში, ეგრეთ წოდებული ჩახვნვით, როგორც ეს გერმანელებს სჩვევიათ) ჩაბერა ნესტოებს. უფრო სწორად, ეს გასუფთავებაც არ იყო: ის დარბაისლურად შეყოვნდა, ნელა და ღირსების შეგრძნებით გაშალა ცხვირსახოცი და პიანისტის პროფესიონალიზმით, ენით აუწერელი ბედნიერების შეგრძნებით გაიქლასუნა ცხვირზე. ცხვირის შესუფთავებისთვის განკუთვნილი დრო გამორჩეულად მნიშვნელოვანი წუთები რომ იყო, ეს მისი დახვეწილი მოძრაობით და იდუმალი შეყოვნებით გამოიხატებოდა:

როცა შეციებული ინგლისელი კაცი ცხვირსახოცით ისუფთავებს ნესტოებს, დრო უნდა გაჩერდეს და ვინც სადღაც მიდიოდა, ადგილზე შედგეს, ვინც კარს აღებდა, უხმაუროდ მიკეტოს, ვინც მანქანას ქოქავდა, ძრავა გამორთოს, ხოლო ვინც ჩაის ისხამდა, წყლის დენა შეაჩეროს, რათა გაციებულს მშვიდად და ყურადღებით შეეძლოს ჰიგიენურ-თერაპიული რიტუალის აღსრულება. შეჩერდი წამო! გაციებული ინგლისელი ჯიბიდან იღებს ცხვირსახოცს!

შემთხვევითი არაა, რომ სწორედ ტომ სტოპარდის მთავარი პიესით შევდივართ სხვა დიდი ინგლისელი ავტორის, შექსპირის უმთავრეს ტექსტში – „ჰამლეტში“, თუმცა ცხირსახოცისადმი ფატალურ პანეგირიკად, ცხადია, „ოტელო“ უნდა ჩაითვალოს და არა დანიელი უფლისწულის ტრაგედია, რადგან „ოტელოში“ ცხვირსახოცი იმათაც კი სჭირდებათ, ვინც არც არასდროს გაციებულა. ყოველ შემთხვევაში, პიესის მოქმედების დროს გრიპით არავინ იტანჯება, მაგრამ ყველას საბრალო დეზდემონას ცხვირსახოცი აკერია პირზე, განსაკუთრებით მის ფიზიკურად ტახივით ჯანმრთელ, მაგრამ ფსიქიკურად არასტაბილურ ქმარს, რომელსაც დიდი ინგლისელი ავტორი რამდენჯერმე ამოაძახებინებს კუნძულელების საყვარელ სიტყვას: „ცხვირსახოცი!“

მაგრამ მე ახლა არა შექსპირს, არამედ სტოპარდს ვუყურებდი, რომელიც ამაყად მოთენთილი იჯდა რამდენიმე უცხოელი დრამატურგისგან შეკრული წრის შუაგულში და რუდუნებით კეცავდა ცხვირსახოცს. ცხვირის მოხოცვის რიტუალი უკვე დასასრულს უახლოვდებოდა და ამიტომ მას თავისუფლად შეეძლო თავისი ძნელად დაბადებული მისალმების გაგრძელება, თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, მან ამინდის შესახებ წამოიწყო საუბარი, რადგან ეს უკვე მისალმებიდანაც ჩანდა, რომ ლაპარაკის დაწყება უჭირდა; ხოლო როცა ინგლისელს (მათი გავლენით კი, სხვა ნაციონალობის ნებისმიერ წარმომადგენელს) ლაპარაკის დაწყება უჭირს, ის აუცილებლად ჩამოაგდებს სიტყვას ამინდზე.

ტომ სტოპარდმა მელანქოლიური სიხარულით აღნიშნა, რომ გარეთ შესანიშნავი ამინდი იდგა, რაზეც ყველანი ერთხმად დავეთანხმეთ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ სტოპარდის შთაბეჭდილებას ვიზიარებდით, რადგან თუნდაც ჩემი, ანუ ქართველი ადამიანის წარმოდგენით, ერთმნიშვნელოვნად ცუდი ამინდი იყო – ფანჯარას წვიმის წვეთები ეცემოდა, ხოლო ცაზე შავი ღრუბლები მიდი-მოდიოდნენ.

ყოველ შემთხვევაში, მზეს დღეს მხოლოდ ათი პროცენტით უნდა გამოენათებინა, როგორც დილის გადაცემებში ამცნეს ბრიტანეთს, მაგრამ ჯერჯერობით არც ეს ათპროცენტიანი მზე ჩანდა სადმე.

მაგრამ იქნებ სტოპარდს მიაჩნდა ეს ამინდი კარგ ამინდად და მე სულ სხვაგვარი წარმოდგენა მქონდა ამინდის მისებურ აღქმაზე? იქნებ ეს ათპროცენტიანი (და ჯერ არგამოსული მზე) მისთვის სავსებით მზიან დღედ ითვლებოდა? ან იქნებ, როგორც გაციებულს, აძლევდა კიდეც ხელს ასეთი არგამონათებული ათპროცენტიანი მზე, რადგან ოთხმოცპროცენტიან მზეში, როცა ყველა ლონდონის მდელოებზე იქნებოდა მიწოლილი და ის კი ინგლისური გაციებით მოთენთილი, თავს ბევრად უფრო უხერხულად და სევდიანად იგრძნობდა, ვიდრე ახლა იყო?!

წვიმა ინგლისში ისეთივე პროფესიული ფენომენია, როგორც, ვთქვათ, გაციება. სად, მაგალითად, ქართული წვიმა და სად ინგლისური!

ინგლისში წვიმა რაღაცნაირი აკადემიური პროფესიონალიზმით მოდის და არა ქაოტურად და უსისტემოდ. ანუ მრავალნაირმა ბრიტანულმა წვიმამ ზუსტად იცის, როგორ წამოვიდეს და რამდენი ხნით, და ეს იცის ხალხმაც, ვისაც ამ წვიმის ქვეშ მოუწევს (ან არ მოუწევს) პროფესიული გაწუწვა. თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ინგლისში არ მინახავს ადამიანი, რომელიც თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ იქნებოდა გაწუწული: ინგლისში წვიმისგან არავინ ილუმპება, თუკი ეს თავად ადამიანის ნება-სურვილი არაა. თუკი ინგლისურ წვიმებს ჩვენს წვიმებს შევადარებთ, ადვილად დავრწმუნდებით, თუ როგორი არააკადემიურია ქართული წვიმები მათთან შედარებით.

ინგლისელებისგან განსხვავებით, უმეტესად, არც ჩვენ ვიცით, როგორ დავუხვდეთ წვიმებს და, ჩემი შთაბეჭდილებით, ვერც ქართულმა წვიმებმა გამოიმუშავეს ქცევის მოდელები: ჩვენთან თითქოს სათლიდან ასხამს, წვიმა ბრაზიან თქვეშად ან შეურაცხმყოფელ ტალახად მოდის და ადამიანურ სახეს უკარგავს მოულოდნელად შესველებულ ქალს თუ კაცს. ამ დროს, ინგლისში წვიმა საოცრად ინტელიგენტურია – ან ღირსეულად ცრის, ან ამაყად ჟინჟლავს, ან კიდევ კეთილსურნელოვან, არააგრესიულ და სიმეტრიულ წვეთებად წვეთავს. ზოგჯერ თქვეშიც არის და ოკეანის ქარბუქით მოტანილი ცერად მოვარდნილი ზეციური წყალიც, მაგრამ ესეც მკაცრად განსაზღვრული დროით და ფორმით.

ჩვენსავით არაპროფესიონალური წვიმაა საბერძნეთშიც, სადაც ვერავინ ხვდება, რა ქნას და როგორ, როცა წვიმა მოდის – წვიმა იქ დიდ დაბნეულობას, ანარქიას და ქაოსს იწვევს, რასაც ვერ ვიტყვით ჭექა-ქუხილზე, რომელიც საბერძნეთში მაშოკირებლად გამაყრუებელია. ალბათ ამიტომაც ჩათვალეს ძველმა ბერძნებმა, რომ ზევსი სწორედ ამ ხმაურით ცდილობდა თავისი ძალის, ან გნებავთ, რისხვის დემონსტრირებას.

ერთი სიტყვით, ტომ სტოპარდმა ინგლისური წვიმის სიმპათიურობაზე ჩამაფიქრა, რადგან ისიც ისეთივე დახვეწილი იყო, როგორც ფანჯრის მინაზე კომპოზიციურად სწორად განლაგებული ინგლისური წვიმის წვეთები.

გაციებულმა კაცმა სწორედ ამ ფანჯარას გახედა, როცა დღევანდელი ამინდი შეაქო, მერე კი ისევ ჩვენკენ მოაბრუნა თავი და სურდოსგან შეწითლებული სახით მოგვაჩერდა. ამწუთას კიდევ უფრო მეტად ტრაგიკული მეჩვენა, ვიდრე თუნდაც ორიოდე წუთის წინ იყო, როცა ჯიბეში იდებდა ცხვირსახოცს. ეტყობოდა, რაღაც უშლიდა ხელს, რომ ლაპარაკი დაეწყო, თითქოს იმ ინგლისურ სიტყვებს ვერ იხსენებდა, რომლითაც კიდევ რაღაცაზე უნდა ესაუბრა დღევანდელი ამინდის გარდა. პალტო, რომელიც ეცვა, ცოტა ხნის წინ საოცრად უხდებოდა მის გაციებულობას, ახლა კი ტომარასავით ჩამოჰკიდებოდა და ჯიბეც კი, სადაც ცხვირსახოცი ჩაედო, უსამართლოდ დაწეულიყო მიწამდე, რაც შეუძლებელს ხდიდა მის ხელმეორედ და, რაც მთავარია, ელეგანტურად ამოღებას.

არ მომჩვენებია: სტოპარდი შეშინებული, გაფართოებული თვალებით გვიყურებდა და პირიც ისე ჩამოეღო, თითქოს ჰაერი არ ჰყოფნიდა. ვიფიქრე კიდეც, შეუძლოდ ხომ არ გახდა-მეთქი და ისიც დავინახე, რომ ვიღაცა, ვინც ჩემსავით შეწუხებულიყო სტოპარდის შემაშფოთებელი გაშეშებით, ოხვრით წამოიწია თავისი სკამიდან... ერთმანეთს გავხედეთ: „სტოპარდი ცუდადაა, რამე უნდა ვიღონოთ!“

მაგრამ უეცრად მოხდა ის, რაც ინგლისელს ყველა სხვაზე უკეთ გამოუდის და რაშიც ის ჭეშმარიტი ვირტუოზია; და რაც მისთვის თითქმის საკრალურ ტრადიციულ აქტთა ტოლფასია – ზოგჯერ მქუხარე და მგრგვინავი, ზოგჯერ მოკლე და დახშულ სივრცეში აფეთქებული, ზოგჯერ ტრაგიკული და კათარტული, განმწმენდი და აღმადგენელი, ხმამაღალი და ხმადაბალი, სხარტი და განგრძობითი, ვოკალური და კატასტროფულად დამაფრთხობელი, გარდამტეხი და ახალი გზის მაჩვენებელი, ახალი სუნთქვის გამხსნელი...

რა იყო ეს? ეს იყო ცემინება. სტოპარდმა დააცემინა!
და მივხვდი, რომ ის დილიდან ელოდა ამ დაცემინებას, ან შეიძლება, საერთოდ, გუშინდელი ღამიდან.
და ამ დაცემინებას ელოდა ყველა, ვინც ამ ოთახში შეკრებილიყო მის მოსასმენად.

სტოპარდმა დააცემინა გრძლად და ერთგვარი გამღერებით, რასაც თითქმის დათქმულივით დაემთხვა ათპროცენტიანი მზის გამონათება.

მან დააცემინა შვებით და ცოდნით, დამცემინებლის მრავალწლიანი გამოცდილებით – ექსტაზით, შვებით და მედიტაციური გასხივოსნებით...

დააცემინა და საკუთარი თავი დაიბრუნა.
ჩვენ წინ ახლა ბედნიერი ადამიანი იჯდა.

– Ѕо, – თქვა მან და დაცემინების შემდეგ ელეგანტურად ამოწეული ჯიბისკენ წაიღო ხელი, საიდანაც თავისი ცხვირსახოცი უნდა ამოეღო ღირსეული მოხდენილობით.

დროთა კავშირი აღდგა. ის ახლა საუბარს დაიწყებდა. როგორც იქნა, ენა გაეხსნა...

ფეხბურთის განცდები კუნძულზე

აკა მორჩილაძე

რას უნდა მოჰყვე ინგლისურ ფეხბურთზე? ის ხომ გლობალიზაციის მსხვერპლია.

იმთავითვე, ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა საქვეყნო გლობალიზაცია არ არსებობდა, ინგლისის ნაკრები საერთაშორისო ფეხბურთში წვალობდა, თუმცა ფეხბურთში გლობალიზაცია იმ დროიდან იყო, როცა პირველი მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარება გადაწყვიტეს. ესეცაა, რომ ფეხბურთი ინგლისში გამოიგონეს და გამომგონებელს გამოგონებული არასდროს დაავიწყდება.

დღეს, როცა ინგლისს ისლანდია აძევებს ევროპის ჩემპიონატიდან, მანამდე კი იმას გაუძევებია ინგლისის ეს მარად უცნაური, წარმოუდგენელი, შექსპირული ტრაგედიით დალახვრული ნაკრები, ვისაც არ დაზარებია, რა უნდა თქვა ინგლისურ ფეხბურთზე?

ჩვეულებრივ, პირხისტნი ასე ამბობენ ხოლმე, რომ ინგლისელებმა ფეხბურთის თამაში არ იციან. ალბათ ამის თქმის უფლება აქვთ ბრაზილიელებს, იტალიელებს და კიდევ სხვებს. ყველას არა, მაგრამ ვიღაც მრავალგზის გამარჯვებულთ.
ის, რომ ინგლისელებმა ფეხბურთის თამაში არ იციან, სისულელეა, რადგან რა ფრესკებიც არ უნდა წარმოადგინონ იტალიელებმა, ჩილელებმა და სხვა უძველესი იმპერიების მობურთალმა შთამომავლებმა, რა კალჩიო და აცტეკების მეხიკო ოჩეინტაისესებიც არ უნდა გაგვახსენონ, ცნობილია ერთი ამბავი, რომ როგორც უამრავი სხვა დიდი თუ პატარა თამაშის, ისე ფეხბურთის წესების დამდგენნი და შემომღებნი გახლავან ინგლისელები.

ასე მოხდა: დედოფალ ვიქტორიას დროებაში ინგლისელებმა სპორტი აიღეს ეროვნულ სახალხო თვისებად და ღამის ყველაფრის წესები დაადგინეს. ბრიტანია იყო ქვეყანა, რომელიც ერთი ხანობა იმხელა იყო, რომ იქ მზე არ ჩადიოდა და იქ მიღებული ყოველი წესი მიდიოდა იქ, სადაც მზე არ ჩადიოდა ანუ მსოფლიოს კიდით კიდემდე.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ის ხალხი არ ვართ, რომ რადიარდ კიპლინგის ლექსები ვიზეპიროთ თეთრი კაცის, გამორჩევით კი ინგლისელის განსაკუთრებულობის შესახებ, მაგრამ ეს კი მაინც ცნობილია, რომ ფრიმეისონ არმზის ლუდხანაში, კოვენტ გარდენზე, მრავალთაგან ერთ დედოფლის დიდ ქუჩაზე ქალაქ ლონდონისა, ას ორმოცდაათზე მეტი წლის წინათ დადგინდა ფეხბურთის ის წესები, რომლებსაც დღემდე ვერ გადაუხვიეს, ათასი ცვლილების მიუხედავად.

ახლა ჭიდაობაა: დღევანდელი თავისუფალ ქვისმთლეთა იარაღის ის პაბი – სწორედ ისაა, სადაც 1863 წელს ფეხბურთის გადამწყვეტი წესები შეადგინეს, თუ ეს ლუდხანა ადრე ორასიოდ იარდში მდებარეობდაო.

ცხადია, ამას ფეხბურთისთვის აღარანაირი მნიშვნელობა აქვს. იმ ერთით ნაკლულმა დუჟინმა კლუბმა, რომელმაც ამ პაბში ფეხბურთის, რაგბისეული ბურთის თამაშისა და ყოველგვარი სასკოლო თუ უბან-პროვინციული ბურთაობის ერთმანეთისგან სამუდამო გამოყოფას მოაწერა ხელი, მსოფლიოს უდიდეს თამაშს საფუძველი შეუქმნა.

იმ დღეთა ლონდონის უუძველეს კლუბთაგან დღეს ცოცხალია მხოლოდ ერთი, პატარა, ერთი ბეწო „სივილ სერვის ფუთბოლ ქლაბი“. სამოქალაქო მომსახურების გუნდი. ის ერთადერთია, რომლიც ჟამთა სიავეს თუ სიკეთეს გადაურჩა და დღეს სამხრეთის სამოყვარულო ლიგაში ირჯება, ვითარცა ცოცხალი მოწმე ფეხბურთის წესთა შექმნისა.

სამხრეთის ლიგიდან უკიდურესად შორია მილიარდერ პრემიერ-ლიგამდე, მაგრამ ინგლისში ამგვარი მისწრაფება არაფერს ნიშნავს, ოცნების გარდა. ოცნება კი, მოგეხსენებათ, მთვლემარეა.

მით უმეტეს, ინგლისურ ფეხბურთში. აქ მთავარი – ტრადიცია და ერთგულებაა. სიყვარულის, თანაგანცდის, მარადიულობის ერთობა რაღაცასთან, რაც ოდესღაც იყო. „პაპაჩემი „ლეიტონ ორინეტს“ ქომაგობდა, მე „ლეიტონის“ მაისურით მეძინა“. „ჩვენ ბავშვობაში „ქრიუ ელიგზანდრას“ თამაშებზე დავდიოდით, მამას ყოველთვის ჰქონდა ბილეთები“. „როგორ ვიარო სხვის თამაშზე?! ჩვენ ასი წელიწადია „ბრენტფორდს“ ვქომაგობთ. ნახე, როგორ აიწია მაღლა?!“

ასეთი რამ იქ ჩვეულებრივია და უცნაურობასაც არ შეიცავს. რატომ ქომაგობდი „ქრიუს“, როცა ამ ქალაქში „არსენალი“, „ტოტენჰემი“, „ჩელსი“, „ვესტ ჰემი“, „ფულემი“, „მილუოლი“, „ქუინზ პარკი“, „კრისტალ პალასი“ და ვინ აღარაა? იმიტომ, რომ ეს ჩვენი უბანი, ჩვენი წარსული და ჩვენი ტრადიციაა. ჩვენ ასე ვართ მართლები და წრფელნი. ძლიერი და სახელოვანნი კი არა. იქ მთავარი იმ შაბათის ამბავია. რა ვქენით ამ უქმეებზე. სხვა სიგრძეგანისა მერე ვიკითხოთ. უცნაურია, ძველია, მაგრამ ასეა.

ხშირად მოსაწყენია ხოლმე იმ ინგლისური ამბების თხრობა, რომლებიც რაღაც ახლის დასაწყისს აღწერენ. მსოფლიო დღეს სხვანაირია.

წარსულს დიდად არავინ ითვლის. არავინ იხსენებს, რომ ოდესღაც „ნიუკასლ იუნაიტედმა“ თავისი შავ-თეთრ ზოლიანი ფორმები გაუგზავნა „იუვენტუსს“. არავინ იხსენებს, როგორ დააარსეს ინგლისელმა რკინიგზელებმა არგენტინის მეტორპოლია კლუბები, ან „ფლამენგო რიოში“, „მენგო“, რომელიც იშვა, რათა გაიმარჯვოს, ან „მილანი“, ან სხვები და, საერთოდ, ეს ინგლისური პილიგრიმობა თუ საფეხბურთო როჯკობა მხოლოდ ნახევარ აბზაცს იტევს ხოლმე წიგნებში. ამ დროს კი, მთელი ეს დიდი, სადღაც დარჩენილი ისტორია იმაში გვეხმარება, რომ გავიგოთ, რა არის ინგლისელისთვის ფეხბურთი.

ძველ წიგნებში, მომხიბვლელ, საინტერესო წიგნებში უამრავ რამეს ამოვიკითხავთ. იქ უამრავი რამაა მოულოდნელი. ბრაზილია დიდი ქვეყანაა, მაგრამ ინგლისი ალბათ პირველია იმათ შორის, ვინც ამდენ წიგნს ბეჭდავს ფეხბურთზე. ეს საოცრებაა. ამ წიგნებში ფეხბურთი ისეთივე ცოცხალია, როგორც მინდორზე.

ფეხბურთის გულისგულიდან მოყვარულ კაცს ერთი თვისება აქვს: რაც გინდა რომ თამაში იყოს, თუნდაც სულ „ჭე“ კლასის გუნდებისა, თუნდაც ბორჩალოს გუნდებისა, როგორც ძველად იტყოდნენ თბილისში, ის მაინც გაჩერდება და თამაშს უყურებს. ტელევიზორს არ ვგულისხმობ.

ტელევიზორის ფეხბურთი კიდევ ცალკე რამეა. ალბათ უმაღლესი კლასია დღეს. მაგრამ არსებობს ფეხბურთი, რომელიც ვერასდროს მოხვდება ტელევიზორში. ჩვენში ეგებ ამას ეზოს ფეხბურთიც ერქვას, თუმცა დღეს ეზოს ფეხბურთი თითქმის აღარ არსებობს. ინგლისში კი ეს ნამდვილი ფეხბურთია. ამ ნამდვილ ფეხბურთს ბევრი სახელი ჰქვია. რა აღარ, სახალისო სახლებიც კი: პაბის გუნდი, კვირა დილის ფეხბურთი და სხვა კიდევ რამდენიმე.

ერთ-ერთი ამათგანი კი არის მოწაფეთა ფეხბურთი.

ჩვენთან, სადაც უამრავი საფეხბურთო სკოლა და აკადემია არსებობს, მოწაფეების ხსენება არ გაუკვირდებათ, მაგრამ საქმე ისაა, რომ ინგლისში მოწაფეთა ფეხბურთი ყოველგვარი სპორტსკოლის და ბავშვის გამილიონერების სურვილის გარეშე არსებობს. სკოლაში თუ დადიხარ, თუ შენი სკოლის გუნდში თამაშობ და თუ ოდნავ ვარგიხარ, აუცილებლად გაგიწევს გული შენი უბნის გუნდისკენ და იქაც თამაშობ.

ასე რომ, ბიჭობიდანვე ორივე გუნდში ირჯები.

ახლა, ვინმე იტყვის, კოპაკაბანა არც ერთი გუნდი არ არის, რახან ინგლისური ნაკრების საბოლოო შედეგი სამარცხვინოა, მაგრამ ინგლისური ფეხბურთის და ინგლისელი ხალხის ურთიერთდამოკიდებულების გასაგებად აუცილებელი სწორედ ეს სამოყვარულო სულის და ტრადიციის გუნდებია: თუნდაც უბნის პაბის გუნდი, რომელიც რომელიმე მეზობელი პაბის გუნდს ეთამაშება ნახევრად ღიპიანი, ნახევრად სვირინგიანი კაცებით. ანდა კვირა დილის ნაკრები: უფრო სპორტული, პაბში არ გამოსიებული კაცებით, ან მოწაფეთა სკოლის თუ უბნის ყველა ნაკრები.

ფეხბურთი ინგლისში ყოველთვის უგრაღო კაცების თამაში იყო. კაი-კაი სკოლების მოწაფენი და სტუდენტები უფრო რაგბის კავშირის ბურთაობას მისდევდნენ, რახან ის სამოყვარულო იყო. ანუ იმ ძველი გაგებით, ფულზე არ ითამაშებოდა. სირცხვილიც კი იყო, აგერ, გასული საუკუნის 90-იან წლებამდე რაგბის თამაში ხელფასის აღება.

ფეხბურთში კი, პირიქით, მთელ კვირას ოფლის მღვრელი მუშა-წვრილ მოსამსახურენი პარასკევს შეიკრიბებოდნენ და, თავ-თავიანთი ქუჩა-სამსახურ-უბნის კლუბებად გამოყოფილნი, დასცხებდნენ ერთმანეთს ფულზე. ის ორი კაპიკი იმათთვის შეღავათი იყო.

ფეხბურთი იმის გამოა ყველაზე დემოკრატიული და თავისუფალი თამაში, რომელშიაც ჯატარა დიდს დაამარცხებს. ეს იმის გამოა, რომ იქ ბურთის ხელში დაჭერა და გაქცევა არ შეიძლება და საქმე მხოლოდ ფეხით კეთდება. ასევე, იმიტომაც, რომ ამ წესისთვის ადამიანებმა თავი დადეს და ეს წესები განვითარების საშუალებას იძლეოდა.

სხვანაირად ეს თამაში არ იარსებებდა, იქნებოდა რაღაც მოუხეშავი, ერთხელ სასეირო თამაში, რომელსაც ბევრ სკოლაში დღესაც მისდევენ ინგლისში.

ინგლისის ნაკრები კი, ძირითადად, იმიტომ ვერ თამაშობს გამარჯვებულ ფეხბურთს, რომ ფეხბურთელი მომეტებულად განიცდის ნაკრებში მიწვევას, ამდენი განცდისგან კი ან აღარაფერი გამოსდის, ან საბოლოოდ ფეხებზე იკიდებს თამაშს, რაც იმასაც გულისხმობს, რომ უზომო სიღრმის და სიყვარულის მიუხედავად ინგლისში ფეხბურთი და ფეხბურთელობა უბრალოდ სპორტსმენობის იქით არასდროს მიდის.

ეს სპორტია და მორჩა! თუნდაც კაცი კვირაში მილიონს იღებდეს, ის ამისთვის, როგორც სპორტსმენი, თავს დადებს, მაგრამ, როგორც ადამიანი, იმაზე მეტს არაფერს იზამს, რასაც ზეინკალი – თავის დაზგასთან. რაღაც ამბავში ეს ლამაზიც კია. რაღაც ამბავში ეს მარცხდება. მაგრამ ინგლისში ასეა. თავგანწირული და დასისხლიანებული ტერი ბუტჩერი და პოლ ინსი, ნაიარევი ფეხებით განთქმული ენდი ტაუნსენდი და თავგანწირული ჯულიან დიკსი მხოლოდ სპორტი და მისი საოცარი სულია და მეტი არაფერი.

ამიტომ, ინგლისი აგებს და ინგლისი იმედოვნებს. სიყვარული ფეხბურთისადმი არ კვდება.

სპორტული სამეფო

ბიძინა ბარათაშვილი

შესანიშნავმა ინგლისელმა ფეხბურთელმა
გარი ლინეკერმა ერთხელ იხუმრა: ფეხბურთს
2 გუნდი თამაშობს და ბოლოს ყოველთვის
გერმანელები იმარჯვებენო! ამ გამონათქვამის
პერიფრაზი შეიძლება ასე ჟღერდეს:
**სპორტის სხვადასხვა სახეობას ბრიტანელები
იგონებენ და მერე სხვები იმარჯვებენ!**

მართლაც, ფეხბურთის გამომგონებლებმა 20-იდან მხოლოდ ერთი საშინაო მუნდიალი მოიგეს (1966), ევროპის 15 პირველობიდან – ვერც ერთი და აგერ უკვე ისლანდიასთანაც მარცხდებიან! რაგბის მსოფლიო თასის 8 გათამაშებიდან – ერთში გაიმარჯვეს, ქალთა ჩოგბურთში 30 წელია არაფერი მოუგიათ... ეს სია შეიძლება კიდევ დიდხანს გავაგრძელოთ...

თუმცა მთავარი ხომ გამარჯვება არაა! გაცილებით მნიშვნელოვანია, რომ მსოფლიოს სტადიონებზე შეკრებილი აუდიტორია და მილიონობით ტელემაყურებელი სწორედ ბრიტანელებს უნდა უმადლოდეს საყვარელი სანახაობის არსებობას!!! მოდით, ერთად გადავავლოთ თვალი ნისლიან ალბიონზე გამოგონილი ზოგიერთი სპორტის სახეობის ისტორიას.

ფეხბურთი. ბურთის ფეხით თამაშს ადამიანები მთელ დედამიწაზე ოდითგანვე ცდილობდნენ, მაგრამ თანამედროვე ფეხბურთის სამშობლოდ მაინც ინგლისი ითვლება, სადაც მხოლოდ 1324-1667 წლებში მსგავსი თამაშის 30 ვარიაცია შეიქმნა. 1848 წელს კემბრიჯში დღევანდელთან მიახლოებული წესებიც დაიწერა, ხოლო 1857 წელს პირველი საფეხბურთო კლუბი – „შეფილდი“ დაარსდა.

რაგბი. ლეგენდის მიხედვით, 1823 წელს რაგბიში მდებარე სკოლის მოსწავლემ უილიამ უებ ელისმა საფეხბურთო მატჩის წესები დაარღვია, ბურთი ხელში აიტაცა, გაიქცა და... სპორტის სრულიად ახალ სახეობას დაუდო სათავე! ამის აღსანიშნავად შშობლიური სკოლის ეზოში უებს ძეგლი დაუდგეს.

ჩოგბურთი. ბევრი მონაცემით, ჩოგბურთი XII საუკუნის ფრანგული თამაშია, ხოლო მისი „ინდორ“ (დახურულ სივრცეში) ვერსია XVI საუკუნეში ინგლისელებმა განავითარეს. რაც შეეხება თანამედროვე თამაშს, მისი წესები 1860-იან წლებში ბირმინჰემის კროკეტის მოედნებზე შეიქმნა.

სკვოში. ზემოთ დასახელებული „ინდორ“ ტიპის თამაშობები მთელ მსოფლიოშია გავრცელებული. მათგან ერთ-ერთი უპოპულარულესი – სკვოში პირველად XIX საუკუნეში ითამაშეს ჰაროუს სკოლაში. მის წინამორბედად კი Rackets-ი მიიჩნევა, რომელიც თურმე ფლიტ სთრითის ციხის ტუსაღებს მოუგონიათ თავის შესაქცევად.

მაგიდის ჩოგბურთი (ან პინგ-პონგი). ვიქტორიანული ეპოქის გასართობია, რომელსაც თავდაპირველად წიგნებითა და გოლფის ბურთით თამაშობდნენ სასადილო მაგიდაზე. პირველი მსოფლიო ჩემპიონატიც ლონდონში გაიმართა 1926 წელს.

ბალახის ჰოკეი. ინგლისურ სკოლებში დაინერგა XIX საუკუნის დასაწყისში, 1849 წელს კი ლონდონში პირველი კლუბიც ჩამოყალიბდა.

ყინულის ჰოკეი. მართალია, ეს თამაში სპორტის წმინდა კანადურ სახეობად მიიჩნევა, მაგრამ იქ პირველად 1820-იან წლებში ინგლისელმა ჯარისკაცებმა ითამაშეს, როგორც ბალახის ჰოკეის ეგზოტიკური ნაირსახეობა.

ნეტბოლი. ქალთა კალათბურთის ეს სახეობა ჰემპსტედის კოლეჯის შვედმა მასწავლებელმა მარტინა ბერგმან-ოსტერბერგმა გამოიგონა XIX საუკუნის 90-იან წლებში და მაშინვე შეასწავლა თავის სტუდენტებს.

ბოულსი. ბურთების პროფესიული სროლა საუთჰემპტონში დაუწყიათ 1299 წელს. ამბობენ, რომ სერ ფრენსის დრეიკმაც გაირთო თავი 1588 წელს პლიმუთში და ისე გაემგზავრა „უძლეველი არმადის“ გასანადგურებლად.

კრიკეტი. ოფიციალურად სათავეს ტიუდორების ეპოქაში იღებს, თუმცა, სხვა ვერსიით, ედვარდ II მას ჯერ კიდევ 1301 წელს თამაშობდა. სახელწოდების ეტიმოლოგია კი ჯოხის აღმნიშვნელ ძველ ფრანგულ, ჰოლანდიურ და ინგლისურ სიტყვებში უნდა ვეძიოთ.

ბეისბოლი. ზოგიერთი წყარო ამტკიცებს, რომ ამერიკელთა საყვარელი თამაშიც ბრიტანული წარმოშობისაა. ჯონ ნიუბერი წიგნში "A Little Pretty Pocket-Book" 1749 წელს სურეიში გამართულ მატჩს აღწერს. ამავე თამაშზეა საუბარი ჯეინ ოსტინის რომანშიც "Northhanger Abbey" (1817).

რაუნდერსი. კრიკეტისა და ბეისბოლის ნაზავია და დღეს მას მეტწილად სკოლის დაწყებითი კლასების ბავშვები ეთანებიან. ბრიტანეთში ის XV საუკუნის მეორე ნახევრიდანაა ცნობილი, იქამდე კი Stoolball-ი ერქვა.

ბადმინტონი. XVII საუკუნეში ინგლისელი ჯარისკაცები ინდოეთში მსგავსი თამაშებით ირთობდნენ თავს, რომლებსაც ბეთლდორი (Battledore) და შატლკოკი (Shuttlecock) ერქვა.

სნუკერი. ინდოეთშივე დაიბადა ბილიარდის ყველაზე პოპულარული ნაირსახეობა – სნუკერი, რომელიც იქ XIX საუკუნეში (1874-75 წწ.) დაბანაკებულმა ჯარისკაცებმა მოიგონეს. სახელწოდება საჯარისო სლენგზე პირველწლოვან კადეტს უკავშირდება.

დარტსი. ასევე ჯარისკაცების, კერძოდ, მშვილდოსნების გამოგონებაა, რომლებიც სამიზნედ ლუდის კასრების ძირებს იყენებდნენ. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 1530 წელს ანა ბოლეინმა მეუღლე ჰენრი VIII-ს დარტსის დაფა უსაჩუქრა. სხვათა შორის, ეს მეფე ისტორიაში ერთ-ერთ პირველ ჩოგბურთელადაც ითვლება.

გოლფი. მსგავს გართობას ჯერ კიდევ ანტიკურ რომსა და ძველ ჩინეთში ეთანებოდნენ, მაგრამ თანამედროვე გოლფის სამშობლოდ XV საუკუნის შოტლანდია ითვლება. უძველესი მოედანი – Musselburgh Links-ი კი ისთ ლოუშენში მდებარეობს, სადაც, ლეგენდის თანახმად, დედოფალი მერი (მარია სტიუარტი) თამაშობდა 1567 წელს.

ქერლინგი. ესეც სკოტების გამოგონებაა. უძველესი კლუბი – Kilsyth Curling Club-ი კი 1718 წელს ჩამოყალიბდა.

ბოულინგი. პირველი დანადგარი – „კატაპულტა“ 1850 წელს კრიკეტის ცნობილმა მოთამაშემ ნიკოლას ფელიქსმა დაამზადებინა.

ქვეყნად ბევრია სპორტის ისეთი სახეობა, რომლებსაც ადამიანები პარალელურად სხვადასხვა ქვეყანაში მისდევდნენ და, ამდენად, მათი წარმომავლობის დადგენა შეუძლებელია. ქვემოთ ჩამოვთვლით ზოგიერთ მათგანს, რომლებშიც პირველად ოფიციალური შეჯიბრება ბრიტანეთში გაიმართა.

დერბი. ინგლისელებს თანამედროვე დოღის გამოგონებაზეც აქვთ პრეტენზია და ამის არგუმენტად კიპლინგკოტის დერბის ასახელებენ, რომელიც 1519 წლიდან ყოველწლიურად იმართება – წელს ის 497-ედ ჩატარდა!

პოლო. მსგავსი თამაშები მრავლადაა ცნობილი ძველ სპარსეთშიც და საქართველოშიც (ისინდი), მაგრამ ოფიციალური წესები ინგლისში დაიწერა XIX საუკუნის მიწურულს.

მშვილდოსნობა. პირველი ოფიციალური ტურნირი – Scorton Arrow სკორტონში (იორკშირი) გაიმართა 1673 წელს. მონაწილენი 100 იარდის დისტანციიდან მიზანში ისროდნენ.

კრივი. ანტიკური ხანიდან მოყოლებული, მამაკაცები მუშტი-კრივში არკვევდნენ ურთიერთობას, მაგრამ თანამედროვე კრივის პირველი მატჩი, კრისტოფერ მონკის ინიციატივით, სწორედ ინგლისში გაიმართა 1681 წლის 6 იანვარს.

ნიჩბოსნობა. ცნობილია, რომ ყველაზე პოპულარული დუელი კემბრიჯისა და ოქსფორდის უნივერსიტეტებს შორის 1829 წლიდან იმართება, მაგრამ ნიჩბოსანთა პირველი შეჯიბრებაც რომ მდინარე ტემზაზე მოეწყო 1715 წელს, ბევრმა არ იცის. ეს იყო Dogget's Coat and Badge-ი, რომელიც დღემდე პოპულარულია და ყოველ ზაფხულს უყრის თავს მაყურებელს ლონდონის 11 ხიდზე – სწორედ ამ დისტანციას გადიან ნავები.

სპორტის საზაფხულო სეზონი ასოცირდება საკვებთან, სასმელსა და მოდასთან: ბლაპები ასკოტში გამართულ საცხენოსნო შეჯიბრებასთან, მარწყვი ნაღებით კი – უიმბლდონთან.

ბრიტანული განათლება

მარიკა შალიკაშვილი

ბრიტანეთში მიღებული განათლება დასაქმებისა და კარიერული წინსვლის გარანტიად და მყარი მომავლის ფუნდამენტად ითვლება. ბრიტანული დიპლომები და **აკადემიური ხარისხი განსაკუთრებით საპრესტიჟოა**. ამას, პირველ რიგში, სხვადასხვა დარგის გამორჩეული სპეციალისტების – პროფესორების სიმრავლე, სწავლების **თანამედროვე** და **მუდმივად სიახლეზე ორიენტირებული მეთოდები** და **უახლესი ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო დაწესებულებები** განაპირობებს.

ამგვარი რეპუტაციის მოსაპოვებლად ბრიტანულმა განათლების სისტემამ მრავალსაუკუნოვანი გზა განვლო და ეტაპობრივი ტრანსფორმაცია განიცადა. ეპოქაში, როდესაც ინგლისელთა დიდი ნაწილი, განსაკუთრებით კი დაბალი ფენის წარმომადგენლები განათლების მიღებას ვერ ახერხებდნენ და სასწავლო დაწესებულებების ნაცვლად შვილებს სამუშაოდ გზავნიდნენ, ჰენრი მეექვსემ Kynge's College of Our Ladye of Eton besyde Windesore ანუ დღეს „იტონის“ სახელით ცნობილი კოლეჯი დაიფუძნა.

1440 წლიდან ის მამრობითი სქესის 70 ე. წ. „მეფის რჩეულ მოსწავლეს“ უსასყიდლო განათლებას სთავაზობდა. „იტონის“ დასრულების შემდეგ მეფის რჩეულებს სწავლა „კემბრიჯის სამეფო კოლეჯში“ უნდა გაეგრძელებინათ. ჰენრი მეექვსემ დაარსებისას კოლეჯს მრავალრიცხოვანი მიწის ნაკვეთი და საეკლესიო რარიტეტები გადასცა. მან რომის პაპიც კი დაარწმუნა, „იტონისთვის“ წარმოუდგენელი პრივილეგია – ინდულგენციის გაცემის უფლება მიენიჭებინა, თუმცა ედვარდ მეოთხის გამეფების შემდეგ კოლეჯს ამ პრივილეგიებით სარგებლობა შეუწყდა.

1798 წელს ჯოზეფ ლანკასტერმა გახსნა უფასო სკოლა, სადაც მონიტორინგის სისტემით უფროსკლასელები მუშათა კლასის წარმომადგენელთა შვილებს უსასყიდლოდ ასწავლიდნენ. 1833 წელს კი ეს მისია სახელმწიფომ უკვე ოფიციალურად დააკისრა ეკლესიებსა და საქველმოქმედო დაწესებულებებს. 1891 წელს სახელმწიფოს გადაწყვეტილებით სწავლა უფასო გახდა. 1902 წლის „განათლების აქტის“ თანახმად კი, საშუალო განათლების უზრუნველყოფას სახელმწიფო თავის თავზე იღებდა.

პარალელურად, მე-19 საუკუნის ბრიტანეთში აქტუალური გახდა გუვერნანტის ანუ აღმზრდელის ინსტიტუტი. მათ მდიდარი ოჯახები საკუთარი შვილების აღზრდას ანდობდნენ. დედოფალი ვიქტორიას დროინდელ ინგლისში გუვერნანტი ქალის სახე იყო მუქი ფერის სამოსში გამოწყობილი, გამორჩეულად მკაცრი და მომთხოვნი შუა ხნის ქალბატონი; მოგვიანებით კი ის „მერი პოპინსისეულმა“ აღმზრდელმა ჩაანაცვლა. ზღაპრის გმირი „ჯადოსნური ძიძა“ ახალ ეპოქაში გადასვლის ერთგვარ მინიშნებად იქცა. ეს იყო ახალგაზრდა, გემოვნებით ჩაცმული ქალბატონი, რომელიც ჯადოქრობას მიმართავდა და არღვევდა დაწესებულ მკაცრ ჩარჩოებს. ტოლერანტი ძიძა მერი პოპინსი აღზრდის ჰუმანური მეთოდებით გამოირჩეოდა, ის სუბორდინაციასაც ნაკლებად იცავდა.

საუნივერსიტეტო განათლების მოდელიც ბრიტანეთში შეიქმნა. ოქსფორდის და კემბრიჯის უნივერსიტეტები საუკეთესო პოზიციას უკვე 8 საუკუნეა იკავებენ.

იტონი

იტონის სკოლა ბერქშირში, უინძორების სასახლის მახლობლად მდებარეობს. მასში 13-იდან 18 წლამდე ასაკის 1300 მოსწავლე იღებს განათლებას. „იტონი“ ერთ-ერთია ბრიტანეთში შემორჩენილი იმ 4 სკოლიდან (Harrow – ჰეროუ, Radley – რედლი, Winchester – ვინჩესტერი), სადაც მხოლოდ ბიჭები სწავლობენ. „იტონში“ სწავლა წელიწადში საშუალოდ 32 000 ფუნტი სტერლინგი ჯდება. მას ბრიტანეთის სავიზიტო ბარათს უწოდებენ და საუკუნეების მანძილზე სამეფო ოჯახებისა და არისტოკრატიის უცვლელი არჩევანია, როცა საქმე მათი შვილების განათლებაზე მიდგება.

სავალდებულო განათლება

სავალდებულო განათლება ბრიტანეთში მხოლოდ 5-იდან 16 წლამდე მოზარდებზე ვრცელდება. სკოლის დასრულების შემდეგ მათ შეუძლიათ სწავლა განაგრძონ, ან მუშაობა დაიწყონ. ინგლისში, უელსსა და შოტლანდიაში განსხვავებული განათლების სისტემა მოქმედებს, თუმცა მთლიანობაში ისინი ერთი მოდელით ხელმძღვანელობენ. ბრიტანული განათლების სისტემა ორად იყოფა: სახელმწიფო და კერძო; უკანასკნელში მიღება 7 წლის ასაკიდან იწყება.

მზადება უნივერსიტეტისთვის

ბრიტანეთში უნივერსიტეტში მოსახვედრად სავალდებულოა: საშუალო სკოლის ატესტატი, სამოტივაციო წერილი ანუ ესე საკუთარი თავის აღწერით; უცხოელი სტუდენტებისთვის, ასევე, ინგლისური ენის საერთაშორისო გამოცდის – „ტოეფელის“ ან „აიელტიესის“ ჩაბარება. ალტერნატიული ვარიანტია ინგლისური ენის შემსწავლელი ერთწლიანი პროგრამა, ე. წ. Foundation.

ბაკალავრიატი და მაგისტრატურა

ბაკალავრისა და მაგისტრის წოდებას ბრიტანეთის 180-ზე მეტი უნივერსიტეტი გასცემს. ინგლისსა და უელსში ბაკალავრიატის ხანგრძლივობა 3, შოტლანდიაში კი 4 წელია. გამონაკლისია არქიტექტურისა და სამედიცინო ფაკულტეტები, სადაც სწავლა საშუალოდ 5-იდან 7 წლამდე პერიოდს მოიცავს. მაგისტრატურაში სწავლა კი ერთ ან ორ წელს გრძელდება. ცხადია, რომ ბრიტანეთში განათლების მიღება განსაკუთრებით მაღალ თანხებთან არის დაკავშირებული, თუმცა უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ განსხვავებით სხვა ქვეყნებისგან, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხანგრძლივობა აქ არა ოთხი და ორი, არამედ სამი და ერთი წელია.

60-იან წლებამდე არისტოკრატიის წარმომადგენლები, თავად ყოფილი „იტონელები“, ვაუის დაბადებისთანავე უკავშირდებოდნენ „იტონის“ დირექტორს, წარსულში საკუთარ ხელმძღვანელს, და წინასწარ ჯავშნიდნენ ადგილს „იტონში“, რაც ჩანასახშივე გულისხმობდა პრესტიჟსა და სამომავლოდ პრესტიჟული სამეგობრო წრისა და კონტაქტების შეძენას.

„იტონელები“ არიან სამეფო ოჯახის წარმომადგენლები, პრინცი უილიამი და პრინცი ჰარი. ცნობილია, რომ „იტონი“ ბრიტანეთის 19-მა პრემიერ-მინისტრმა დაამთავრა. ამ კოლეჯის კედლებში აღიზარდნენ მსოფლიოში სახელგანთქმული პოლიტიკოსები, დიპლომატები, მეცნიერები და ხელოვანები. ბრიტანელები ხშირად ხუმრობენ, რომ „იტონელები“ ერთმანეთს დანახვისთანავე ცნობენ. „იტონში“ მოსახვედრად მზადება, ყველაზე გვიან, 7 წლის ასაკიდან იწყება. ჩარიცხვას წინ უძღვის 5 ურთულესი გამოცდა. შეზღუდულია ადგილები, რადგან თითო კლასში მაქსიმუმ 22 მოსწავლეა.

კოლეჯის 25 საერთო საცხოვრებელში ყველა მოსწავლეს აქვს საკუთარი ოთახი და ჰყავს პერსონალური ტუტორი. „იტონს“ აქვს დრესკოდი – უნიფორმა, რომლის ჩაცმაც სავალდებულოა, 300 ფუნტი სტერლინგი ღირს. „იტონში“ დაცულია მოსწავლეთა ვინაობის ანონიმურობაც, ამიტომ „იტონელების“ გვარები გასაიდუმლოებულია და მათ მხოლოდ სახელებით მიმართავენ. „იტონს“ აქვს საკმაოდ მკაცრი შინაგანაწესი, რომლის დარღვევის შემთხვევაში მოსწავლეები სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა სასჯელს იმსახურებდნენ. მე-16 საუკუნიდან მოყოლებული, ე. წ. გაროზგვა დასჯის ერთ-ერთი მეთოდი იყო. ურჩი „იტონელებისთვის“ გაროზგვის დღედ პარასკევი იყო დაწესებული. დასჯის ამ მეთოდმა „იტონში“ 1980 წლამდე გასტანა და მოგვიანებით გამაფრთხილებელი წერილების მიღებით შეიცვალა. უკიდურეს სასჯელად კი დღემდე რჩება კოლეჯიდან გარიცხვა.

ბრიტანეთის სამეფო ოჯახის განათლება

დედოფალი ელიზაბეთ მეორე და მისი და – მარგარეთი სამეფო ოჯახის უკანასკნელი წარმომადგენლები იყვნენ, რომლებმაც, ძველი ტრადიციების მსგავსად, განათლება სახლში რეპეტიტორების მეშვეობით მიიღეს. მათი აღზრდა გუვერნანტ ქალს – მერიონ კროუფორდს ჰქონდა მინდობილი.

რაც შეეხება პრინც ჩარლზს, ის თავდაპირველად „ჰილ ჰაუსის სკოლაში“ (Hill House School), შემდეგ კი „ჩიმ სქულში“ (Cheam School) სწავლობდა. ამის შემდეგ, 13 წლის ასაკში, ის „გორდონსთაუნის“ (Gordonstoun) საჯარო სკოლაში გაგზავნეს, 1970 წელს კი „კემბრიჯის სამების კოლეჯის“ (Trinity College, Cambridge) კურსდამთავრებული გახდა. ეს იყო პირველი შემთხვევა ბრიტანეთის ისტორიაში, როდესაც მონარქმა ან ტახტის მემკვიდრემ საუნივერსიტეტო ხარისხი მოიპოვა. პრინც ჩარლზის უფროსი ვაჟი და ტახტის მემკვიდრე, პრინცი უილიამი „იტონში“ 1995 წელს ჩაირიცხა, მან სწავლა შოტლანდიაში – „წმინდა ენდრიუს სახელობის უნივერსიტეტში“ (St. Andrews University) დაასრულა 2005 წელს.

ძმის მსგავსად პრინც ჰარიც „იტონელია“. მას არ აქვს საუნივერსიტეტო ხარისხი, თუმცა 10-თვიანი ტრენინგი გაიარა „სამეფო სამხედრო აკადემიაში“ (Royal Military Academy Sandhurst).

სწავლების ხარისხი

ბრიტანეთის უნივერსიტეტები გამორჩეულია ფაკულტეტებისა და კურსების მრავალფეროვნებით. ბრიტანეთის უნივერსიტეტის ხარისხი მნიშვნელოვანია როგორც კურსდამთავრებულის, ისე დამქირავებლისთვის, რადგან ის არა მხოლოდ თეორიულ, არამედ პრაქტიკულ მეთოდებს გულისხმობს.

ბრიტანეთის საუკეთესო უნივერსიტეტებისთვის პრიორიტეტულია სტუდენტების მცირე ჯგუფები, რათა მაქსიმალურად ბევრი დრო ჰქონდეთ ლექტორთან ინდივიდუალური მუშაობისთვის და ასევე ხელმისაწვდომი იყოს საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა.

მსოფლიოს 8 საუკეთესო უნივერსიტეტს შორის 4 სწორედ ბრიტანულია.

ამის მიზეზად შეიძლება დასახელდეს აქტიური კომუნიკაცია ლექტორებთან, თავისუფლება, იყო კრეატიული, მოტივაცია, საუკეთესო ბიბლიოთეკები, სამეცნიერო ლაბორატორიები, სახელოვნებო სტუდიები, თეატრები და სპორტული ცენტრები.

ოქსფორდი

მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული უნივერსიტეტი, რომელიც 8 საუკუნეს ითვლის, განსაკუთრებულად მაღალი აკადემიური მოსწრებისა და ნიჭის მქონე სტუდენტებს უღებს კარს. „ოქსფორდი“ 44 შიდა კოლეჯს აერთიანებს, რომლებიც დამოუკიდებელ, თვითმმართველ სისტემას წარმოადგენენ. აქცენტი „ტუტორიალურ“ ანუ ინდივიდუალურ სისტემაზე კეთდება. გასულ წელს საბაკალავრო პროგრამაზე 18 000 განაცხადი შევიდა და მხოლოდ 3200 სტუდენტი ჩაირიცხა; სამაგისტრო ხარისხის მოპოვების შანსი კი 24 000 მსურველიდან მხოლოდ 5200 სტუდენტს მიეცა.

„ოქსფორდი“ სტუდენტებს საბაკალავრო ხარისხის 250 კომბინაციას სთავაზობს. განსაკუთრებით აქტუალური და პრესტიჟული პოლიტიკური, ფილოსოფიური და ეკონომიკური ხარისხების სინთეზია. „ოქსფორდს“ მართავს კანცლერი, რომელსაც უვადოდ ირჩევენ.

უნივერსიტეტი 100-ზე მეტ ბიბლიოთეკას აერთიანებს, მათ შორის გამორჩეულად სახელგანთქმულია 1602 წელს აგებული „ბოდლეიანი – Bodleian“. საქვეყნოდ ცნობილია „ოქსფორდის მეცნიერების ისტორიის მუზეუმი“, რომლის რელიკვია ალბერტ აინშტაინის სამუშაო დაფაა. „ოქსფორდმა“ გამოზარდა 30-ზე მეტი მსოფლიო ლიდერი, ბრიტანეთის 26 პრემიერ-მინისტრი, ნობელის პრემიის 26 ლაურეატი და 120-ზე მეტი ოლიმპიური მედალოსანი. „ოქსფორდის“ სახელგანთქმულ კურსდამთავრებულს შორის არიან ინდირა განდი, ჰიუ გრანტი და სტივენ ჰოუკინგი. ოქსფორდის კურსდამთავრებულთა 95 პროცენტი სამსახურს სწავლის დასრულებისთანავე იწყებს. 2016 წლის მსოფლიო რეიტინგებში „ოქსფორდი“ რიგით მეორეა.

კემბრიჯი

ოქსფორდის მსგავსად ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული და ხანგრძლივი ისტორიის მქონე უნივერსიტეტი „კემბრიჯია“. მისი ისტორია 1209 წლიდან იწყება და ინგლისურენოვან ქვეყნებში რიგით მეორე უძველესი უნივერსიტეტია. ქალაქი კემბრიჯი ლონდონიდან ერთი საათის მოშორებით მდებარეობს.

გადმოცემის მიხედვით, ის კემბრიჯელ მეცნიერთა ჯგუფმა დააარსა, რომლებიც „ოქსფორდიდან“ იმიტომ წამოვიდნენ, რომ „ოქსფორდის“ ერთ-ერთმა სტუდენტმა ქალაქ კემბრიჯის მკვიდრი ქალბატონი მოკლა. უნივერსიტეტის შინაგანაწესი 1214 წელს შევიდა ძალაში, რომლის მიხედვითაც, სასწავლო დაწესებულებას რექტორი ხელმძღვანელობდა, წლის ბოლოს კი სტუდენტები გამოცდებს აბარებდნენ.

ბრიტანეთის საუკეთესო უნივერსიტეტები

THE HIGHER EDUCATION WORLD UNIVERSITY RANKINGS – 2015-2016:

კვლევის მიხედვით, ბრიტანეთის საუკეთესო უნივერსიტეტებს შორის **„ოქსფორდი“** ლიდერობს, მეორე ადგილს იკავებს **„კემბრიჯის უნივერსიტეტი“**, შემდეგი არის **ლონდონის იმპერიული კოლეჯი** (IMPERIAL COLLEGE LONDON), მეოთხე ადგილზეა **ლონდონის უნივერსიტეტის კოლეჯი** (UNIVERSITY COLLEGE LONDON), ხუთეულის ბოლო ადგილს კი **ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკური მეცნიერების სკოლა** (LONDON SCHOOL OF ECONOMICS AND POLITICAL SCIENCE) იკავებს.

დღეს „კემბრიჯში“ 18 000 სტუდენტი და აკადემიური პერსონალის 9000 წარმომადგენელი ცხოვრობს.

კემბრიჯი მე-13 საუკუნეშია აგებული, ის 31 კოლეჯს და 100-ზე მეტ საპროფესორო საცხოვრებელს აერთიანებს. „კემბრიჯის“ განსაკუთრებულად ძლიერი მხარე ტექნიკური მიმართულებაა და მას გამოზრდილი ჰყავს ცნობილ ბრიტანელ მეცნიერთა უდიდესი ნაწილი. არსებობის მანძილზე „კემბრიჯის“ ანგარიშზეა 92 ნობელიანტი. „ოქსფორდის“ მსგავსად „კემბრიჯიც“ ცნობილია „ტუტორიალური“ სწავლების მეთოდიკით.

სწავლის საფასური საშუალოდ 12 000 ფუნტი სტერლინგიდან 29 000 ფუნტ სტერლინგამდე მერყეობს, არჩეული ფაკულტეტის შესაბამისად; ამასთანავე, ყოველწლიურად სტუდენტები საქველმოქმედო მიზნით 5000 ფუნტს იხდიან, 8000 ფუნტს კი – საცხოვრებლის ქირის სახით. 2016 წლის მსოფლიო რეიტინგებში კემბრიჯის უნივერსიტეტი მეოთხე პოზიციას იკავებს.

ზღვისკენ

აკა მორჩილაძე

ეს ალბათ ისაა, რაც მოგენატრა.

ტყეებში გაჭრილი გზა, ალაგ-ალაგ გამომხტარი გორაკები და ბალახს მინდობილი ცხვრები, რომლებსაც თითქოს არასდროს დაკლავენ; წვიმა, რომელიც დიდად არ გაწუხებს, არც შენ და არც მანქანის მინას; მზე, რომელიც ამ თითქოს სამუდამო ღრუბლებს გამოხევს და დაგანათებს, ერთგულად და მეგობრულად;

გზისპირა პერსონაჟები, რომლებისთვისაც, უბრალოდ, მორიგი ვიღაც ხარ იმათთაგან, ვინც იქით მიდის, საითაც ყოველთვის მიდიოდა ყოველი ინგლისელი და, ასევე, თითქოს ხელგავარჯიშებული პეიზაჟისტის მიერ ნახატი ქალაქები და სოფლები, ჯერჯერობით მხოლოდ გზისპირები, რომელთაც ხედავ. კურდღლები, ეკლესიები, ძველი წიგნებიდან ამომხტარი რკინიგზის სადგურები, მეთევზეები, შენგან ვერდანახული მდინარის პირიდან რომ ბრუნდებიან, და შვიდი წლის გოგონები, შენთვის უცნობი საფეხბურთო, ეგებ სარაგბო გუნდების მაისურებით:

როგორც ერთი ძველი მწერალი იტყოდა, ძველი ინგლისის მწვანე გული. მთლად გული არა, უფრო სამხრეთი, თუ სამხრეთ-აღმოსავლეთი, მაგრამ მაინც მწვანე. ივლი იქამდე, სანამ მიადგები იმას, რაც ინგლისს აქცევს ინგლისად და რაც სხვას არავის აქვს ამდენი.
ზღვა.

ინგლისი ასეა: ლონდონიდან საითაც არ უნდა წახვიდე, მიადგები ზღვის ნაპირს. „დედამიწა ფორთოხალს ჰგავს, ჩვენ წყალი გვარტყია“, – თქვა ოდესღაც ხოსე არკადიო ბუენდიამ აქედან ძალიან შორს. მას ინგლისისა და კუნძულობისა არაფერი გაეგებოდა, მაგრამ ეს მართლაც ასეა.

ზღვა ყველგანაა, მაგრამ არავინ ისე არ გაშინაურებია მას, როგორც ინგლისელები. არა, ბევრი გაუშინაურდა, ძალიანაც, უკიდურესადაც, მაგრამ ასე, რომ ზღვა ამდენ საუკუნეს დარჩენილიყო ერის ყველაზე მთავარი, ძლიერი გზა იმისკენ, რისკენაც ის მიილტვოდა, სხვა არ ყოფილა. აჯობეს იმ ესპანელებს. ჰოლანდიელებსაც, პორტუგალიელებსაც.

ეგებ ზღვა რომ არ ყოფილიყო, არც ლტოლვა იქნებოდაო. ჰქონიათ ზღვები თავიანთი ნაპირის კიდეზე და დიდად არც შეუცურავთ, სამყაროს სიფართოვის გამოყენება არ უფიქრიათ.

ძველი ანეკდოტია ინგლისელისა და ზღვის შესახებ, რომელიც მაინცდამაინც ინგლისელთა მოყვარულებს არ მოუგონიათ:

წვიმა იყო და შევიდა ინგლისელი პაბშიო, დიდად ვერ გაშარაო, დალია უგემური ელი და მიირთო უეშმაკო, უმარილო საჭმელი, თევზი და კარტოფილიო. იმ წვიმაში წამოვიდა სახლში და დაუხვდა თავისი ულამაზო ცოლი, რომელმაც ქმრის სველი ტანსაცმელი კი მიაფინა ბუხართან, მაგრამ მისი გაშრობის არანაირი იმედი არ დარჩაო და დაწვნენ და ამ ინგლისელს გული არ მიუვიდა თავის ცოლზე, რომელიც, სიმართლე ითქვას და, დიდად არც ილტვოდა მისკენო და დაიძინეს, როგორც იყო, ნოტიო საბან-გობანში, ვითომ ერთად და ამ დროს ცალ-ცალკეო და რომ გაიღვიძეს, ისევ წვიმდა, მგონი, კიდევ უფრო უიმედოდ, ვიდრე წინა საღამოს და ცოლმა ინგლისელს შესთავაზა უშაქრო შვრიის ფაფა, ყველაზე უფრო სასარგებლო საუზმე მთელ მსოფლიოშიო.

ინგლისელმა როგორღაც გადაყლაპა რამდენიმე კოვზი, დაიხურა ქუდი და გამოვიდა სახლიდან იმ წვიმაში, ისე რომ ცოლს არ გამოსთხოვებია, ჩამოვიდა ქალაქის შუაგულში, სადაც დილიჟანსები იდგა, აიღო ბილეთი, ჩაჯდა საუთჰემპტონისკენ მიმავალ ეტლში, მივიდა საუთჰემპტონში, ჩაეწერა მეზღვაურად, ავიდა გემზე და ჯერ წვიმიანი შუადღე არ ჩამომდგარიყო, რომ გაცურა შორს, უნახავ სივრცეებში, ოკეანეში, რათა სადღაც ეპოვნა უკეთესი საჭმელი, უკეთესი სასმელი, უკეთესი ქალი და მზეო.

ოღონდ, ჩვენ იმაზე ვლაპარაკობდით, რომ ლონდონიდან ზღვისკენ მივდივართ. არა ტემზას გაყოლილი ნავებით, არამედ ინგლისური ოკრობოკრო გზებით, რომლებიც, როგორც ჩესტერტონი ამბობდა, ოდესღაც გაჭრა ვიღაცა ლოთმა. ჯერ კიდევ მანამდე, სანამ რიას ამაყი რომაელები მოადგებოდნენ.

ამ გზებს ოკრობოკროობისა აღარაფერი ეტყობა, მაგრამ მართლა მაგარი შეგრძნებაა, როცა იცი, რომ ეს გზები, ამ შემთხვევაში – აღმოსავლეთით, თუ სამხრეთით, თუ სამხრეთ-აღმოსავლეთით გაჭრილი გზები, ზღვისკენ მიემართება.

ჩვენცა გვაქვს რაღაც ასეთი, მაგრამ იმ კუნძულზე ეს მეტად ძლიერია. თანაც, როცა იცი, რომ ზღვა საზღვარი კი არ არის, არამედ გაგრძელება, რაღაც ახლის დასაწყისია. ჩვენ ვიცით, რომ სამხრეთითაა საუთჰემპტონი, ეს ძველი, წყლით დაუღლელი ქალაქი.

რაც აქედან გემი გასულა! რაც ამ ნაპირზე მოლოდინი მდგარა. რაც აქ ჩამოტვირთულა და რა თუთიყუშსაც აქ აუშლია ქოჩორი. ძველ მეზღვაურთა ადგილი, დღესაც ცნობილი არც თუ იოლი ქუჩებით და ამას მოდევნებული მუშტის ამბებით. აქეთ კიდევ პორტსმუთი, ისიც თითქოს ტყუპისცალი, საუთჰემპტონის მარადი მეტოქე და მოშეჯიბრე სანაოსნო ამბავში. დასავლეთით – ჰავანტი, დღეს დამცრობილი, მაგრამ მაინც რაღაცნაირი ნაპირით. ეს სულ ჰემპშირის ადგილებია.

ამ მხარეს აქედან იწყება ინგლისელის გასვლა ზღვაში. აქედან მიდიოდნენ საომრადაც, სავაჭროდაც, სათავგადასავლოდაც. გაგრძელებაზე კი, რა თქმა უნდა, ბრაიტონია, ბრაიტონია და ჰოუვი, ერთმანეთს შეზრდილნი, სრულიად განსხვავებულნი სხვა წყლისპირებისგან, უფრო რბილი ნაპირითაც და მზითაც უფრო განებივრებულნი, მხიარულნი, ჭრელნი. სამხრეთით კი ძევს ინგლისის კუნძულთაგან ყველაზე დიდი, ვათის კუნძული, მთლად ზღვებზე გადგმული, ოკეანის პირი.

პლაჟები, ქარიანი, თითქოს დასასვენებელი, თითქოს საკურორტო, საფესტივალო სულით, გაცინებული ხალხით, თუმც კი მაინც ერთგვარი ჩაფიქრებით.

არა, ბატონო, ინგლისისთვის ნაპირი ზედ წამოსაწოლად, გასარუჯად, მხარუდისთვის არ მიუციათ. სხვებს მისცეს, უხვად, დაუნანებლად, ღამაზად, ინგლისს კი – ვერა. სამაგიეროდ სხვა რამისთვის ბევრიც კი მოუვიდა.

ასე მიდიხარ ზღვისკენ სასექსის ან სულაც კენტის საგრაფოთა გზებით. მშვენიერი მგზავრობაა, მოგზაურობა თუ არა და, მგონი, მართლა ფიქრობ იმ კაცზე, საუთჰემპტონისკენ რომ გასწია. ინგლისი სულ ნაპირია, პლიმუთით, ბრისტოლით, ლივერპულით და წყალში შესაბიჯებლად გამზადებული ბიჭებით.

კი, დღეს ყველაფერი სხვანაირადაა და, საერთოდაც, ის გემობანა დიდი ხანია დასრულდა და ეს ქალაქებიც, ეს ადგილებიც, ეს ძველი ნავსადგურებიცა და დოკებიც, ეს მზეზე ფერნაცვალი დოკერის ქუდებიც და გარუჯული, ხმელი, სვირინგგახუნებული კაცებიც, წესით, აღარ უნდა არსებობდნენ.

თუმცა, რახან მათ ხედავ, ხვდები, რომ გადარჩენილან და თუმცა თითქმის აღარ არსებობს არც ერთი ხელობა, რომელსაც ისინი საუკუნეების განმავლობაში მისდევდნენ, ღმერთს რაღაცისთვის მაინც შემოუნახავს ეს ადგილებიც და კაცებიც.

ეგებ სწორედ შეხსენებად ინგლისის, მისი ნაპირის და ზღვის სამუდამო კავშირისა, რაღაც არც თუ იოლი, ფათერაკიანი, სიკვდილ-სიცოცხლის უწყვეტი პიწონა-დაპიწონათი გაჭერებული დიდი ისტორიისა, რომელმაც ძველი, მხიარული ინგლია ზღვების დედოფლად აქცია.
მერე კი გამოჩნდება ზღვა. მას ქალაქში შეუსვლელად დაინახავ. რახან ეს ინგლისია, ნამდვილი თავგადასავალი ზღვიდან იწყება.

სკარბორო

როცა XVIII საუკუნეში ინგლისელებმა მინერალური წყლებით მკურნალობა აღმოაჩინეს, მეთევზეთა მიძინებული ქალაქი სკარბოროსათვის ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროზე ახალი ცხოვრება დაიწყო.

პირველი სპა-ცენტრი XVIII საუკუნეში შეიქმნა და იმდენად პოპულარული გახდა, რომ მალე ვიზიტორების რაოდენობას ვერ აუდიოდა, ამიტომ კლდოვანი სანაპიროს ძირში, საიდანაც 2 სხვადასხვა თვისების მქონე ნაკადული მოედინებოდა, ქვიშიანი სანაპიროდან რამდენიმე ათეულ მეტრში, უზარმაზარი ქვის სპას შენობა აღმოცენდა. შუშისა და რკინის ზამთრის ბაღები და გალერეები, ორიგინალური ქვის აუზი, რომელიც ოკეანის მოქცევის დროს წყლით ივსებოდა და მუხლამდე ზოლიან საცურაო კოსტიუმებში გამოწყობილ ქალბატონებსა და ბატონებს მოდუნებული სხეულების გაკაჟებაში ეხმარებოდა, დღესაც უცვლელად ინარჩუნებს ეპოქის ხიბლს. ვიქტორიანულმა ხანამ სკარბოროს ახალი **„გრანდ ოტელიც“** მოუტანა, რომელიც აშენებისას ყველაზე დიდი იგურით ნაგები კონსტრუქცია იყო ევროპაში. 365-ნომრიანმა სასტუმრომ დიდხანს შეინარჩუნა ერთ-ერთი ყველაზე დიდი სასტუმროს წოდება და დღემდე აგრძელებს სამეფო კურორტისათვის დამახასიათებელ ტრადიციებს.

ვიქტორიანულ ინგლისში ჯანმრთელობაზე ზრუნვა და ზღვის ჰაერზე სეირნობა კულტის დონემდე იყო აყვანილი. სწორედ ამ მიზნებისთვის სკარბოროში არაერთი სასეირნო მარშრუტი შეიქმნა, რომელიც დღემდეა შემორჩენილი. ეს მარშრუტები ულამაზესი კლდოვანი სანაპიროთი ტკბობის საშუალებას მოგცემთ. შეგიძლიათ მე-11 საუკუნის ციხესიმაგრეც მოინახულოთ და გვიანი შუასაუკუნეების კოშკიც.

თუ სამეფო პათეტიკა მოგბეზრდებათ, შეგიძლიათ მეთევზეთა ყურეში გაისეირნოთ. აქ ცხოვრება ისევე გრძელდება, როგორც სპას შენობისა და ტურისტების გამოჩენამდე იყო.

სკარბოროს 2 ყურე ვიზიტორებმა და ადგილობრივმა მოსახლეობამ გაიყვეს. ერთ ყურეში დამსვენებლები და სერფერები ზამთარ-ზაფხულ ეთამაშებიან ოკეანეს, მეორეში კი, კატარა ნავსაყუდელში, ჰაგია იახტები და მეთევზეთა ნავები ისვენებენ. აქ დღესაც შეგიძლიათ ზეთიან ქაღალდში გახვეული თევზი და ჩიპსები იყიდოთ, ნავსაყუდელის ბაგირზე ჩამოჯდეთ და თოლიებს უყუროთ.

ლივერპულს ღირსშესანიშნავი ისტორია აქვს, მსოფლიოში მსხვილი საზღვაო ცენტრია და აქ ევროპაში ყველაზე ძველი ჩიღური კვარტალი მდებარეობს.

ლივერპული

საუკეთესო რამ, რითაც ლივერპულში შეიძლება დატკბეთ, მისი არქიტექტურაა. ლონდონს თუ არ ჩავთვლით, აქ უფრო მეტი არქიტექტურული ძეგლია, ვიდრე ბრიტანეთის ნებისმიერ სხვა ქალაქში. ლივერპულის ცენტრში არსებული უამრავი შენობა უნიკალურია. საქვეყნოდ ცნობილი მთავარი პირსის სანაპირო ზოლი 2004 წელს იუნესკოს მსოფლიო ძეგლების სიაში შევიდა.

პორტის შენობა – ლივერპულის სანაპიროს სიმბოლო – 1911 წელს აგებული ცათამბჯენი ქალაქის ულამაზეს ჰორიზონტზე დომინირებს. მისი დანიშნულება იყო, წარმოეჩინა ლივერპული, როგორც ბრიტანეთის იმპერიის მეორე ქალაქი. შენობის ცენტრალური გუმბათის სიდიადის გამო მას ისეთ ნაგებობებსაც კი ადარებენ, როგორიცაა წმინდა პავლესა და წმინდა პეტრეს ტაძრები.

ROYAL LIVER – ეს ცნობილი არქიტექტურული ანსამბლის, „სამი გრაციის“ (Three Graces) პირველი შენობაა. ნაგებობის თავზე კი ლივერპულელი ჩიტები (Liver Birds) სხედან და თავი ვირალისკენ (Wirral) მიუბრუნებიათ. საათის ციფერბლატი მდინარისკენაა მიმართული. მისი დიამეტრი ვესტმინსტერის საათის კოშკურაზე ექვსი ფუტით დიდია.

ALBERT DOCK – ლივერპულის პორტში მდებარეობს „ალბერტ დოკი“, რომელიც იუნესკოს მსოფლიო ძეგლთა სიაშია შეტანილი. ლივერპულის ამ ნაწილში შემონახულია XIX საუკუნის გემები. ამჟამად აქ მდებარეობს თეითის გალერეის (Tate) ლივერპულის განყოფილება და საზღვაო მუზეუმი (Maritime Museum), ასევე, უამრავი რესტორანი, ბარი და მაღაზია.

ქალაქში ორი დიდი ტაძარია – მოდერნული ნაგებობა, საეკლესიო არქიტექტურისთვის უჩვეულო Metropolitan Cathedral of Christ the King-ი და Liverpool Cathedral-ი. პირველი მათგანი ქალაქის მთავარი კათოლიკური ეკლესიაა, რომელსაც თავისებური ფორმის გამო ადგილობრივები „პედის ვიგვამს“ (Paddy's Wigwam) ან „რომის პაპის სასტარტო მოედანს“ (the Pope's launching pad) უწოდებენ. ტაძარი მსოფლიო არქიტექტურაში ნეოგოთიკური სტილის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია.



ლივერპული სიამაყით ინახავს მოგონებებს იმ უბრალო ბიჭების შესახებ, რომლებიც მუსიკის მსოფლიო ვარსკვლავებად იქცნენ. ბიტლომანიის ისტორია ჯონ ლენონისა და პოლ მაკარტნის სახლებში იწყება. აქ ახლა მუზეუმებია. Penny Lane-ის ქუჩაზე, სახლების კედლებზე ახალ აბრებსაც აკრავენ, მსოფლიოდან ჩამოსულმა თაყვანისმცემლებმა ისტორიის „პატარა ნამტვრევები“ სახლში რომ წაიღონ. ლეგენდარულ Cavern Club-ში კი საღამოობით შეგიძლიათ მოუსმინოთ ახალი ტალანტების ხმებს და არაჩვეულებრივი ლუდიც მიირთვათ.

THE BEATLES STORY

„ბითლზის“ მოკლე, თუმცა დეტალური ისტორია შეგიძლიათ მოისმინოთ ამავე სახელწოდების მუზეუმში – The Beatles Story. ის „ალბერტ დოკში“ მდებარეობს და ჯგუფის თაყვანისმცემლებისთვის სავალდებულოც კია მისი მონახულება.

აქაური აუდიოტური „ბითლზის“ მთელ ისტორიასა და მისი წევრების სოლო შემოქმედებაზე გიამბობთ, განუმეორებელ ატმოსფეროს კი უამრავი სამახსოვრო ნივთი ქმნის. აქ ინახება ჯორჯ ჰარისონის პირველი გიტარა და ჯონ ლენონის სათვალე. „ბითლზთან“ დაკავშირებული სხვა ღირსშესანიშნაობებია მათი სახლები პენი ლეინზე, სკულპტურული ძეგლები, „მარწყვის მდელოები“ და ა. შ.

ბილეთის ფასი £12.25-ია და საფასურში მულტიმედიური ფილმის, Pier Head-ის ჩვენება შედის.

ბრისტოლი

ლონდონიდან ბრისტოლამდე მატარებელით მგზავრობას 1,5 საათი სჭირდება.

SS GREAT BRITAIN-მა ცურვა 1843 წელს დაიწყო და XIX საუკუნის უდიდეს საინჟინრო მიღწევად მიიჩნევა – ის პირველი გემია ლითონის კორპუსით, რომელმაც ატლანტის ოკეანე გადაცურა. კონსტრუქციის ავტორი გენიალური იზამბარდ კინგდომ ბრიუნელია. გემმეუზეუმს ხანგრძლივი და ღირსეული ისტორია აქვს, რაშიც მის ბორტზე სეირნობისას დარწმუნდებით. თუ ბავშვებს თან წაიყვანთ, ისინი აღფრთოვანებულები მოივლიან მთელ გემს, თქვენ კი კორპუსის დათვალიერებას შეძლებთ.

CLIFTON SUSPENSION BRIDGE –

ბრიტანული ინჟინერიის შედევრი, კონსტრუქცია 1864 წელს გახსნეს და მას ბრისტოლის პეიზაჟიან ყველა ღია ბარათზე ი ხილავთ, რადგან ხიდი უკვე ქალაქის სავიზიტო ბარათია. ხიდიდან მოჩანს ხეობის შესანიშნავი პეიზაჟი, ფერდობებზე გაშლილი ტყე კი სეირნობისთვის იდეალური ადგილია.

პარკები – ბრისტოლი გამორჩეულად მწვანე ქალაქია. აქ 400-ზე მეტ პარკს, ბაღსა და მწვანე ზონას ნახავთ. აქ გაზონები ზამთარშიც მწვანეა. ბრისტოლსითიში მდებარე მამულ **ASHTON COURT**-ს კი აუცილებლად უნდა ეწვიოთ. აქ იხილავთ სასახლეს, უზარმაზარ პარკს, მოსეირნე ირმებსა და შვლებს.

WESTONBIRT ARBORETUM –

დენდრარიუმში უიშვიათესი ხეებისა და ბუჩქების უზარმაზარი კოლექციაა, რომელიც ვიქტორიანული ეპოქიდან მოყოლებული გროვდება. ხუთი სხვადასხვა ექსპოზიცია მოიცავს ადგილობრივ მცენარეებს და ეგზოტიკური ფლორის ნიმუშებს მთელი მსოფლიოდან.

ბრისტოლი ქუჩის სახელგანთქმული არტისტის, ბენქსის სამშობლოა. მის ადრეულ ნამუშევრებს ქალაქში, კედლებზე წააწყდებით. ქალაქის მუნიციპალიტეტი ხელოვნების ამ დარგის განვითარებას ხელს უწყობს და აქ „სთრით არტის“ ყველაზე დიდი ფესტივალები, მათ შორის, UPFEST-ი ტარდება.

ბათი

ინგლისის ჩრდილო-დასავლეთში (Southwest) შვიდი საგრაფოა: დორსეთი(Dorset), დევონი (Devon), კორნუოლი (Cornwall), ბრისტოლი (Bristol), გლოსთერშირი (Gloucestershire), სომერსეტი (Somerset) და ვილთშირი (Wiltshire). ყოველ მათგანს საკუთარი ისტორია და უნიკალური ატმოსფერო გამოარჩევს.



1

ბათში გასეირნება დროში მოგზაურობას ჰგავს – ანტიკური ხანიდან დღემდე. ეს ბრწყინვალე რომაული ქალაქი-კურორტი უძველესი მოქმედი სპა-სივრცეებითაა ღირსშესანიშნავი. ის ინგლისური ლიტერატურის პირველი ლედის, ჯეინ ოსტინის სამშობლოა. ქალაქამდე ძალიან ადვილად მიაღწევთ ლონდონიდან მიმავალი მატარებლით, ხოლო მგზავრობა სულ რაღაც საათ-ნახევარს გაგრძელდება.

ქალაქის ქუჩების თანამედროვე იერსახე XVIII საუკუნის გეორგიანული არქიტექტურის დამსახურებაა. ჭეშმარიტად ევროპული ნაგებობების ღირსება რომ შეაფასოთ, ქალაქის მთავარ ქუჩაზე უნდა მოხვდეთ და, ასევე, ბათის სააბატოს ეწვიოთ.

ROYAL CRESCENT

აუცილებლად გაიარეთ ფეხით დიდებულ ქუჩაზე Royal Crescent და უნიკალურ მოედანზე The Circus. შენობები რკალისებური ფორმითაა განლაგებული. სახლი ნომერი 1, Royal Crescent-ზე გეორგიანული ეპოქის ტიპური შენობაა. აქ შეიგრძნობთ იმდროინდელი ცხოვრების სტილს, დაათვალიერებთ ჩინებულ ინტერიერს, ავეჯს, ფერწერას, ქსოვილებს, ჭურჭელს, ხალიჩებს. ნაგებობები ღია ფერის ქვითაა აშენებული.

THERMAE BATH SPA

რომაული აბანოების ადგილას აშენებული ეს სამკურნალო კომპლექსი დღეს ღიაა ყველა მსურველისთვის, რომელსაც ნამდვილ რომაულ აბანოში მოხვედრა სურს. ოთხივე აუზში წყლის ტემპერატურა ცელსიუსით 33,5 გრადუსია, სიღრმე კი – 1,35 მეტრი. თერმული წყლების შემადგენლობაში 40-ზე მეტი მინერალური ნივთიერება შედის, მათ შორის, კალციუმისა და ქლორის მარილები. აუცილებლად მოინახულეთ სპას შენობის სახურავიც. აქ აუზი დაგხვდებათ, საიდანაც მთელი ქალაქის ხედი მოჩანს.

Hetling Pump Room, Hot Bath St, Bath

2

NEW ROYAL BATH

სპა-ცენტრ New Royal Bath-ის აბანოების პირველ სართულზე არის აუზი ჯაკუზით Minerva, მასაჟორი საშხაპით და ჩანჩქერით, სამკურნალო კაბინეტები და დასასვენებელი ოთახები.

შხაპი-ჩანჩქერის სიმძლავრე მსუბუქი ნისლის წვეთებიდან ტროპიკულ თავსხმამდე იცვლება.

ზედა საკურორტო კომპლექსი სახურავზეა და აქ წარმოუდგენელი სილამაზის ღია აუზი დაგხვდებათ.

2-საათიანი სეანსის ღირებულება New Royal Bath-ში £27-ია, 4-საათიანის – £37.

1. *Royal Crescent*
2. *მუზეუმი The Roman Baths*
3. *სასტუმრო Macdonald Bath Spa*
4. *Bath Abbey*
5. *პარკი Parade Gardens*
6. *ქალაქის ხედი*
7. *რესტორანი Pump room*

THE ROMAN BATHS

სამკურნალო მინერალური წყაროებით მდიდარმა ბათმა იმდენად მოხიბლა რომაელები, რომ მათ 2000 წლის წინათ აქ აბანოების კომპლექსი და ქალღმერთ მინერვას ტაძარი ააშენეს. შემდგომში ბათი უაღრესად პოპულარული კურორტი იყო ინგლისის მაღალი საზოგადოებისა და სამეფო ოჯახის წარმომადგენელთა შორის.

The Roman Baths-ის სამუზეუმო ტერიტორიაზე საინტერესო ისტორიას მსახიობები აცოცხლებენ. რომაული აბანოების შესასვლელში, სუვენირების მაღაზიის პირდაპირ, შეგიძლიათ ბუნებრივი წყაროს წყალი მიირთვათ. ობილი წყალი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა.

ექსკურსიის საფასური უფროსებისთვის – £12.75, ბავშვებისთვის – £8.5. 6 წლამდე ასაკის პატარებისთვის შესვლა უფასოა.

3

MACDONALD BATH SPA HOTEL

აქ მთელ ქალაქში საუკეთესო სპაა ჰიდროთერაპიული აუზით, რომლით სარგებლობაც სასტუმროს ბინადრებს უფასოდ შეუძლიათ.

ეს მდიდრული სასტუმრო ასოციაცია Macdonald Hotel & Resorts ჯგუფის საკუთრებაა. ის 1835 წელს აშენდა და დიდი ხნის განმავლობაში გენერალი ენდრიუსის რეზიდენცია, შემდეგ კი ვიუთა კოლეჯი იყო. 1912 წელს შენობა პრესტიჟულ სასტუმროდ გადააკეთეს.

კლასიკურ სტილში აშენებული ძველი სასახლე შადრევნებით და ნაკადულებით მორთული ლამაზი ბაღის შუაგულში დგას. დახვეწილი ინტერიერი ტრადიციული ბრიტანული მამულის ატმოსფეროს ქმნის. სასტუმრო სახელგანთქმულია თავისი კეთილმოწყობილი გამაჯანსაღებელი ცენტრით.

2015 წელს კი Macdonald Bath Spa Hotel-ი დიდ ბრიტანეთში საუკეთესო სპა-სასტუმროდ აღიარეს.

ორკაციანი ნომრის საფასური £270-იდან იწყება.

Sydney Rd, Bath

THE ROYAL CRESCENT HOTEL & THE BATH HOUSE SPA

XVIII საუკუნეში აგებული შენობა შთამბეჭდავი ფუფუნებითა და სიდიადით გამოირჩევა. სასტუმრო განსაკუთრებით ამაყობს suite-ის კატეგორიის ოთახებით. ყოველი მათგანი ისტორიული პიროვნების სახელობისაა, დიზაინი კი გასაოცარია – ძველი ფერწერული ტილოები, დახვეწილი ბუხრები, ხალიჩები, ბალდახინიანი საწოლები.

სასტუმროს სპა-ცენტრის ჰოლისტიკური პროგრამების ფართო სპექტრი სხეულისა და სულის ჰარმონიის მისაღწევადაა შემუშავებული.

The Bath House Treatment-ი საფირმო პროგრამაა; მკურნალობა მოიცავს საუნასა და ორთქლის ოთახებს, ხის აუზს, პილინგს ზღვის მარილით და სარელაქსაციო მასაჟს საგანგებოდ შემუშავებული სხვადასხვა ზეთის ნარევის გამოყენებით.

ორადგილიანი ნომრის ფასი £208-იდან იწყება (საფასურში სპათი სარგებლობაც შედის).

4

5

6

7

PUMP ROOM

ბათის კოლორიტის შეგრძნებისათვის აუცილებლად უნდა ისადილოთ რომაული აბანოების რესტორანში Pump room. აქ ადრე წყალსაქაჩები იყო, რომლებითაც წყალს თერმული წყაროებიდან იღებდნენ. ხალხი ამ ადგილას სწორედ სამკურნალო წყლის დასალევად მოდიოდა. მოგვიანებით ამ შენობაში მდიდრული წვეულებები და მეჯლისები იმართებოდა.

Abbey Chambers, Church St, Avon, Bath

BATH ABBEY

ქალაქის თავზე აღმართულ, გოთიკურ სტილში შესრულებულ ბათის სააბატოს კოშკებს ქალაქის შესასვლელიდანაც დაინახავთ. ის შუასაუკუნეებში ბათის ღია ფერის ქვითაა ნაშენი. ბათის საბატოში სრულიად ინგლისის პირველი მეფე აკურთხეს. კომპლექსის მონახულების შემდეგ დამთვალიერებელთათვის განკუთვნილ მოედანზეც ადით, რათა ქალაქის ხედებით დატკბეთ და თუ გაგიმართლათ, ზარის დარეკვასაც შეძლებთ.

PARADE GARDENS

ეს თვალწარმტაცი, არარეგულარულად მოვლილი, სხვადასხვა სტილის ქანდაკებებით შემკული ბაღია, საიდანაც პალტენის ხიდზე (Pulteney Bridge) მშვენიერი ხედი იშლება. ხიდი იტალიური სტილის ნაგებობაა, რომელიც 1773 წელს რობერტ ადამის პროექტით აშენდა (მასზე მაღაზიებია ჩამწკრივებული). ის ქალაქის ცენტრში მდებარეობს. ამ პარკს გულგრილად ვერ ჩაუვლით.

მუზეუმები

ბათში დაახლოებით 15 მუზეუმია, მათ შორის, ჯეინ ოსტინის გეორგიანული სტილის სახლ-მუზეუმი – ცნობილი რომანის („სიამაყე და ცრურწმენა“) ავტორის მგზნებარე თაყვანისმცემელთათვის. მწერალი რამდენიმე წლის განმავლობაში ბათში ცხოვრობდა; მოდის მუზეუმი, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ შეიცვალა სტილი და სილუეტები XVI საუკუნის ბოლოდან დღემდე.

Trinity College

კემბრიჯი

კემბრიჯი ინგლისური იდეალების განსხეულებაა. აქ მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული უნივერსიტეტი მდებარეობს. კემბრიჯის არქიტექტურის წარმოუდგენელი სიდიადე ყველაზე გამოცდილ დამთვალიერებლებზეც კი გამაოგნებელ შთაბეჭდილებას ახდენს. ქალაქის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მიმართ ინტერესი იმდენად დიდია, რომ აქაურობას ყოველწლიურად 3.5 მილიონი ადამიანი სტუმრობს. კემბრიჯის პოპულარობის წყალობით, მსოფლიოში უკვე ოცდაათი დასახლებული პუნქტი ატარებს ამავე სახელწოდებას.

ქალაქის გული, რა თქმა უნდა, კემბრიჯის უნივერსიტეტია. უკვე რვა საუკუნეა, რაც კემბრიჯი განათლების ხარისხის სტანდარტს წარმოადგენს.

უნივერსიტეტის ეზო

კემბრიჯის იდილიური ატმოსფერო სტუმრებს მშვიდი დასვენებისათვის განაწყობს – მდინარე კემში აუჩქარებელი ცურვა ვენეციური გონდოლების მსგავსი ნავებით, ბოტანიკური ბაღის თვალწარმტაც ხეივნებში გასეირნება, ადგილობრივი მუზეუმების მყუდრო დარბაზებში ისტორიის გაცნობა.

ქალაქში ნებისმიერი სტუმრის გემოვნების შესაფერისი უამრავი კაფე, პაბი და რესტორანია – მყუდრო ჩაის სახლები, მიშლენის ვარსკვლავით აღნიშნული რესტორნები, თანამედროვე გასტროპაბები და პატარა, მყუდრო სტუდენტური კაფეები. კემბრიჯშირის ჭაობების უშფოთველი სივრცე კი წყლის პირას დასვენებისთვის განკუთვნილი პოპულარული ადგილია.

Chappel of Kings College

ლონდონიდან კემბრიჯამდე 90 კილომეტრია და მატარებლით მგზავრობა მხოლოდ ერთ საათს გრძელდება.

MIDSUMMER HOUSE

ეს რესტორანი მიშლენის ორი ვარსკვლავითაა აღნიშნული და ერთ-ერთი საუკეთესოა კემბრიჯის მიდამოებში.

Midsummer-ი კლიენტებს სთავაზობს შესანიშნავ მენიუსა და დარბაზს დახურული საღილებისთვის. გარდა ამისა, რესტორნიდან მდინარე კემის გასაოცარი ხედი იშლება. რესტორანში მხოლოდ 55 ადგილია, ამიტომ გირჩევთ, მაგიდა წინასწარ დჯავშნოთ.

Midsummer Common, Cambridge

ELY CATHEDRAL

კემბრიჯის მიდამოებში მდებარე პატარა ქალაქ ილის მთავარი ღირსშესანიშნაობაა ტაძარი, რომელშიც უჩვეულოდაა შერწყმული რომანული და გოთიკური სტილის ელემენტები. მისი შენება 1083 წელს დაიწყო, თუმცა საუკუნეების განმავლობაში ნაგებობა სხვადასხვა სახეს იღებდა.

კემბრიჯშირის საგრაფოში ქოლეჯები მდინარე კემზე XIII საუკუნეში გაჩნდა. ამ ქოლეჯების პირველი სტუდენტები და პედაგოგები ოქსფორდიდან დათხოვილი ადამიანები იყვნენ. რამდენიმე ასწლეულის განმავლობაში პატარა სავაჭრო დასახლება თანდათან მსოფლიო საუკეთესო საუნივერსიტეტო ქალაქად იქცა.

St. John's College

კემბრიჯი ბრიტანული ტრადიციისა და განათლების სიმბოლოა. მის კურსდამთავრებულებს შორის არიან ისააკ ნიუტონი, ოლივერ კრომველი, მეფეები – ედვარდ VII და ჯორჯ VI, ფრენსის ბეკონი, ბაირონი, პრინცი ჩარლზი და ა. შ.

ფიცუილიამის მუზეუმში ეგვიპტის, საბერძნეთისა და აღმოსავლეთ აზიის სიძველეებია თავმოყრილი. 1816 წელს გრაფმა ფიცუილიამ მერიონმა ეს მუზეუმი კემბრიჯს გადასცა. აქ იხილავთ დიდი ფრანგი იმპრესიონისტების ნამუშევრებსა და XII-XX საუკუნეების დასავლეთევროპული ფერწერის შედევრების უმდიდრეს კოლექციას. აქვე ინახება უძველესი კერამიკისა და მინის ნაკეთობების, ძველებური მედლებისა და მონეტების ნიმუშები.

ზოოლოგიური მუზეუმი განთქმულია კოლექციით, რომლის შეგროვებაც 1814 წელს დაიწყო. აქ ბევრი უნიკალური ექსპონატია, რომლებიც მუზეუმს ჩარლზ დარვინმა გადასცა.

მეცნიერებათა ისტორიის მუზეუმში შეგიძლიათ დაათვალიეროთ სამეცნიერო ინსტრუმენტების უნიკალური კოლექცია – ექსპონატები შუასაუკუნეებიდან ჩვენს დრომდე.

კემბრიჯის კლასიკური არქეოლოგიის მუზეუმში ბერძნული და რომაული ქანდაკებების მსოფლიოში ყველაზე დიდი კოლექციაა შემონახული. ვიქტორიანულ ეპოქაში ამ მუზეუმს „არქეოლოგიური ლაბორატორია“ ერქვა.

Pembroke College

ანსამბლის მთავარი ღირსება პერპენდიკულარული გოთიკური სტილის სამლოცველოა. აქვეა სამების სახელობის კოლეჯიც (Trinity College).

Kings College-ი 1414 წელს დააარსა ინგლისის მეფე ჰენრი VI-მ, რომლის ქანდაკებაც შიდა ეზოს ამშვენებს. პერპენდიკულარული გოთიკური სტილის შენობა XV-XVI საუკუნეებშია აგებული. კოლეჯის სამლოცველო XVI საუკუნის ვიტრაჟებით არის შემკული. საკურთხევლის ზემოთ რუბენსის ფერწერულ ტილოებს იხილავთ.

St John-ის კოლეჯი ცნობილია ოხვრის ხიდით, რომელიც მისი წინამორბედი ვენეციური ოხვრის ხიდისგან განსხვავებული კონცეფციით აშენდა, როგორც სტუდენტების საგამოცდო შიშის განსხვეულება.

A Queens College-ი XV საუკუნეში დაარსდა. ერაზმუს როტერდამელი, სახელგანთქმული მწერალი, ენათმეცნიერი, რენესანსის ეპოქის დიდი ჰუმანისტი, ამ კოლეჯში ასწავლიდა. აქაურობა არა მარტო გვიანი გოთიკური არქიტექტურის წყალობითაა ცნობილი, არამედ ე. წ. მათემატიკის ხიდის გამო, რომელიც ისე ააგეს, ერთი ლურსმანიც კი არ გამოუყენებიათ.

უნივერსიტეტის ტაძარი (XII ს.), ეს უმშვენიერესი მრგვალი ნაგებობა, ერთ-ერთია ინგლისის ოთხ უძველეს ეკლესიას შორის.

კემბრიჯის ღირსშესანიშნაობათა შორისაა **უნიკალური ბიბლიოთეკა**, რომლის ერთ კუთხეში უჩვეულო საათს – „დროის მშთანთქმელს“ გადაწყდებით. ნახევარი მეტრის დიამეტრის ოქროს დისკზე ჭრიჭინა ზის და წამებს „ჭამს“, ფეხებით კი დისკს ატრიალებს, თვალს გვიკრავს და უსიამოვნო, ურუანტელის მომგვრელ ხმას გამოსცემს.

ამ უნივერსიტეტმა უდიდესი წვლილი შეიტანა ინგლისური ფეხბურთის განვითარებაში: 1848 წელს სწორედ აქ მოახდინეს თამაშის წესების კოდიფიცირება, რაც შემდგომში ფეხბურთის ასოციაციამ გაითვალისწინა.



ავტორი: მაია შარაშიძე

მეოცნებე კოშკების ქალაქი (City of Dreaming Spires) – ასე დაახასიათა ოქსფორდი პოეტმა მეთიუ არნოლდმა უნივერსიტეტისა თუ სხვა უმშვენიერესი შენობა-ნაგებობების გამორჩეული არქიტექტურის გამო.

ოქსფორდი (Oxenforda) ნიშნავს მდინარის ფონს ანუ გადასასვლელს ტემზაზე, რომელზეც საუკუნეების განმავლობაში ხარები გადაჰყავდათ.

ეს უძველესი ქალაქი ოქსენის საგრაფოში მდებარეობს; ის განათლების უმნიშვნელოვანესი კერა და გამორჩეული კულტურული ცენტრია. გრიტანული ინტელექტის სამყაროში მოგზაურობა უნივერსიტეტის მონახულების გარდა ბევრ სხვა საინტერესო სიურპრიზს გვირდებათ.

ოქსფორდი გაცილებით ძველია, ვიდრე აქაური უნივერსიტეტი. როცა „ქალაქს“ ამბობენ, მის არაინტელექტუალურ მოსახლეობას გულისხმობენ; ხოლო სიტყვა „მანტია“ შინაარსობრივად მოიცავს უნივერსიტეტს, პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს და ყველა იმ პირს, რომელსაც უნივერსიტეტთან რაიმე კავშირი აქვს (გრძელი მანტია მოუხერხებელი იყო ფიზიკური შრომისთვის და ამიტომ მისი მატარებლები „ხელით მომუშავეთა“ კლასისგან გამიჯნულნი იყვნენ).

ქალაქსა და უნივერსიტეტს შორის ოდითგანვე მტრული დამოკიდებულება არსებობდა. ამის დამადასტურებელი ერთ-ერთი ყველაზე საზარელი მაგალითია 1354 წლის 10 თებერვალს, წმ. სქოლასტიკა ნურსიელის დღეს მომხდარი შემთხვევა. ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა სტუდენტებმა პაბის (Public House) მესაკუთრე ცუდი ღვინის გაყიდვაში დაადანაშაულეს. ქალაქის მოსახლეობამ მოვაჭრეს მხარი დაუჭირა, რის გამოც მათ შორის შეტაკება მოხდა. წმ. მარიამის ეკლესიის ზარები სამ დღეს მოიხმობდა ქალაქის მოსახლეობას, რომელიც სასტიკად გაუსწორდა სტუდენტებს (63 მათგანი დახოცეს) და უნივერსიტეტის შენობები დაარბია.

უკვე 500 წელია, რაც ქალაქის მერი და მოსამართლეები დაღუპული სტუდენტების პატივსაცემად წმ. სქოლასტიკას სახელობის დღესასწაულს ესწრებიან და უნივერსიტეტს სიმბოლურ ხარკს – 63 პენის უხდიან.

ოქსფორდის დათვალიერება შესანიშნავად შეიძლება შეუთავსოთ კოთსუოლდში (Cotswolds) მოგზაურობას ან ჩილტერნის (Chiltern) მთვლემარე ტყეების მონახულების მარშრუტს.

მატარებლით ლონდონიდან ოქსფორდამდე სულ რაღაც ერთი საათის გზაა.

ოქსფორდის ბოდლეანის ბიბლიოთეკა (BODLEIAN LIBRARY) ევროპაში უძველესია და ბრიტანეთის ეროვნული ბიბლიოთეკის შემდეგ მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესია.

ASHMOLEAN

ეს მუზეუმი 1683 წელს დაარსდა. ის უნივერსიტეტის ხელოვნების და არქეოლოგიის ნიმუშების უძველესი სახლია. აქ ინახება ეგვიპტური მუმიები, ბერძნული და რომაული კლასიკური ქანდაკებები, რაფაელი, რემბრანდტი, უილიამ ტერნერი, ვან გოგი, ჩინური ხელოვნების ყველაზე დიდი კოლექცია დასავლურ სამყაროში. 2009 წელს მუზეუმის რესტავრაციასა და გაფართოებაზე 61 მილიონი ფუნტი სტერლინგი დაიხარჯა, რის შემდეგაც 39 ახალი გალერეა გაიხსნა. **შესვლა უფასოა.**

Beaumont St, Oxford

OXFORD UNIVERSITY MUSEUM OF NATURAL HISTORY

უნიკალურ მუზეუმში დაცულია ზოოლოგიური და პალეონტოლოგიური სახეობების 35 000 ნიმუში. 1860 წელს ჩარლზ დარვინის ევოლუციური თეორიის თაობაზე ცნობილი „დიდი დებატები“ სწორედ აქ გაიმართა. ეს ერთადერთი მუზეუმია, სადაც დრონტის („დოდო ჩიტი“) რბილი ქსოვილი ინახება – ყურადღება მიაქციეთ გადაშენებული დრონტის ჩონჩხს.

Parks Rd

სწორედ ეს ფრინველი ცოცხლდება „დოდო ჩიტის“ სახით წიგნში „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“.

PITT RIVERS MUSEUM

ამ მუზეუმის ვერნისაჟის ნიმუშები ანთროპოლოგიასა და არქეოლოგიას მოიცავს. უძველესი არტეფაქტების გარდა აქ ცალკე ინახება მეცნიერების განვითარების ისტორიის მუზეუმის ექსპოზიციაც, რომელზეც წარმოდგენილია უძველესი ხელსაწყოები: ელიზაბეთ I-ის, კარდინალ ვულსისა და ნოსტრადამუსის ინსტრუმენტები.

South Parks Road

ოქსფორდის უნივერსიტეტის მუზეუმები კულტურული ფუნქციის გარდა სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებსაც წარმოადგენენ. ქალაქის სამუზეუმო კოლექციაში 8,5 მილიონი ნივთი ინახება. ექსპოზიციებს ყოველწლიურად 2 მილიონამდე ადამიანი სტუმრობს.

უძველესი კოლეჯი Merton College

Christ Church College in Oxford

Radcliffe Camera and All Souls College

საუნივერსიტეტო პარკი

პარკი ოაზისია ოქსფორდის ცენტრში. მიწა, რომელზეც ბაღია გაშენებული, მერტონ კოლეჯს (Merton College) ეკუთვნოდა. ის 1850 წელს უნივერსიტეტმა შეისყიდა და 1864 წელს სპორტული და რეკრეაციული მიზნისთვის პარკი მოაწყო.

მეორე მსოფლიო ომის დროს პარკის ნაწილი დაყოფილი იყო 80 პატარა ნაკვეთად, რომლებსაც მოსახლეობა ბოსტნეულის მოსაყვანად იყენებდა. გადმოცემის მიხედვით, ამ მიწამ ხალხი შიმშილს გადაარჩინა. ასეთი ნაკვეთები დღესაც არსებობს ოქსფორდში და მათ ის ადამიანები იყენებენ, რომლებსაც კერძო ეზო ან ბაღი არ აქვთ.

საუნივერსიტეტო პარკში უმშვენიერესი ლანდშაფტი, სიმშვიდე და სუფთა ჰაერია.

PORT MEADOW

ყურეს პირას მდებარე უზარმაზარი მწვანე მინდორი ყველაზე დიდი გაშლილი ზეგანია ოქსფორდში. აქ თავისუფლად მონავარდე ცხენებს, საქონელსა და ბატებს დაინახავთ. Port Meadow-ს მიწა არასდროს მოხნულა და დათესილა, რადგან ოდითგანვე საძოვარი იყო; ამჟამად ქალაქს ეკუთვნის და მას მოსახლეობა დღესაც საძოვრად იყენებს. მშობლები ხშირად ყიდულობენ ბავშვებისთვის ცხენებს საჩუქრად, შემდეგ ქალაქის მთავრობას გადასახადს უხდიან, რომ ცხოველმა ამ მინდორზე ძოვოს.

OLD PARSONAGE HOTEL

ამ სასტუმროს შესანიშნავი, მრავალფეროვანი კერძებით გამორჩეული, დახვეწილი რესტორანი აქვს, სადაც კონსერვატიულ ბრიტანულ სამზარეულოსთან ერთად საუკეთესო თანამედროვე კულინარიულ შედევრებსა და ტკბილეულს შემოგთავაზებენ. თუ აქ ვახშმობას გადაწყვეტთ, იმ სასტუმროსაც მოინახულებთ, რომელშიც თვით ოსკარ უაილდი ცხოვრობდა.

1 Banbury Rd, Oxford

BELMOND LE MANOIR AUX QUAT'SAISONS

ეს რესტორანი ცნობილმა შეფ-მზარეულმა, ბრიტანეთის იმპერიის რაინდმა სერ რეიმონ ბლანმა დააარსა. ძვირადღირებული, უმაღლესი კლასის რესტორანი ოქსფორდის გარეუბანში, ულამაზეს სოფელ გრეით მილტონის სასტუმროში მდებარეობს. მიშლენის ორი ვარსკვლავი რეიმონ ბლანის სამზარეულოს „გენიალურმა საოცრებებმა“ დაიმსახურა. ახალთახალი ხარისხიანი სურსათი რესტორნის კუთვნილი მიწიდან სუფრაზე ინაცვლებს – საფირმო ხორცის რულეტად, სოკოს ღვეზელად, ბატკნის ჩაშუშულად თუ საუკეთესო ჩაროზად გარდაიქმნება. აქვეა მდიდარი ღვინის სარდაფი, რომლის 60 პროცენტს ფრანგული ღვინოები შეადგენს.

Church Rd, Oxford

GEE'S

ამ რესტორანს 1980 წლიდან დღემდე ოქსფორდში საუკეთესოს რეპუტაცია არ დაუკარგავს. აქ საუკეთესო ორანჟერეაცაა, სამზარეულო კი უნიკალური და უგემრიელესია. ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების კერძები შეშის ღუმელში მზადდება. Gee's-ში შეგიძლიათ დილით ყავის დასალევად მიბრძანდეთ, ან საღამოს სადღესასწაულო ვახშამი გამართოთ. რესტორანი შუადღის სადილსაც გთავაზობთ ფიქსირებულ ფასად, რომელიც ყოველკვირეულად იცვლება. აქ ღვინის მშვენიერი არჩევანია, ბარში კი შესანიშნავ კოქტეილს ამზადებენ.

61 Banbury Rd, Oxford

THE EAGLE AND CHILD

ეს უძველესი პაბი 1684 წელსაა დაარსებული. მასში 1939-62 წლებში ლიტერატურული წრის – „ინკლინგების“ წევრები ყოველდღე იკრიბებოდნენ ბუ-ხართან. მათი სულისჩამდგმელი „ბეჭდების მბრძანებლის“ ავტორი ჯონ ტოლკეინი იყო. აქ კითხულობდნენ ნაწყვეტებს ნაწარმოებებიდან, რომლებიც შემდეგ ფენტეზის ჟანრის კლასიკად აღიარეს. პაბში უჩვეულო, მყუდრო გარემო, გემრიელი ლუდი და კერძების ტრადიციული არჩევანია. პაბის მფლობელია ოქსფორდის St John's College-ი.

9 St Giles, Oxford

ASHMOLEAN DINING ROOM

შუადღისას ჩაის ან სადილის მისართმევად Ashmolean Dining Room-ი, რომელიც ოქსფორდის უნივერსიტეტის ხელოვნებისა და არქეოლოგიის მუზეუმის სახურავზე მდებარეობს, ყველაზე პოპულარული და კომფორტული ადგილია ქალაქში.

დატკბებით საუკეთესო ხედით, მრავალფეროვანი სამზარეულოთი და ევროპული ღვინის შესანიშნავი კოლექციიდან სასურველ მარკასაც ამოირჩევთ.

Ashmolean Museum, Beaumont St, Oxford

VARSITY CLUB

კლუბი დღეისათვის ოქსფორდში ყველაზე პრესტიჟული ადგილია, რადგან ოთხსართულიანი შენობის სახურავიდან წელიწადის ოთხივე დროს მშვენიერი ხედი იშლება. მაგიდა კლუბში წინასწარ უნდა შეუკვეთოთ. სახურავზე შეგიძლიათ გემრიელად ივახშმოთ და შამპანურიც მიირთვათ. ბარში, მესამე სართულზე, საუკეთესო კოქტეილებს ამზადებენ, პირველ სართულზე მდებარე დისკოთეკაზე კი ცეკვით ისიამოვნებთ.

9 High St, Oxford

PIERRE VICTOIRE

ოქსფორდში საუკეთესო ფრანგული ბისტრო მუდმივად სტუმრებითაა სავსე.

აქ აუცილებლად უნდა დააგემოვნოთ ქათმის ღვიძლი, ღვინოში ჩაშუშული ზღვის პროდუქტები, ფონდიუ სავოიურად, თაფლში შემწვარი იხვი, კრემ ბრულე, შოკოლადის ფონდიუ და ა. შ.

9 Little Clarendon St, Oxford

SHELDONIAN THEATRE

შელდონის თეატრი (1664-69 წწ.) ოქსფორდში აშენებული პირველი კლასიკური სტილის ნაგებობაა. მისი ავტორია ცნობილი ინგლისელი არქიტექტორი ქრისტოფერ უორენი. თეატრი უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს და მის დარბაზებში გამოსაშვები ცერემონიები, ლექციები, სპექტაკლები და ა. შ. იმართება. შელდონის თეატრი მუდმივად მასპინძლობს სიმფონიური და თანამედროვე მუსიკის კონცერტებს.

Broad St, Oxford

PHOENIX PICTUREHOUSE

კინოთეატრი, რომელიც 1913 წელს გაიხსნა, დღესაც საუკეთესო რეპერტუარით გამოირჩევა; სეანსის შემდეგ აქ მუდამ ფილმის ცხარე განხილვა მიმდინარეობს. კინოსეანსებზე ყოველთვის ინტელექტუალური საზოგადოება იკრიბება. აქ შეგიძლიათ უნიკალური და ძალზე საინტერესო ფილმების ჩვენებას დაესწროთ.

57 Walton St, Oxford

BLACKWELLS

Blackwells-ი უძველესი წიგნების მაღაზიაა ოქსფორდის ცენტრში, ბროდ სთრითზე მდებარე ასევე უძველეს შენობაში. ის 1879 წელს ბენჯამინ ბლეკელსმა დააარსა. მაღაზია დღესაც მის ოჯახს ეკუთვნის. ამ დაწესებულების ფართობი საგრძნობლად გაიზარდა მას შემდეგ, რაც გვერდით არსებული ბოდლეანის ბიბლიოთეკის ქვეშ მიწა გათხარეს და გვირაბი მაღაზიასთან დააკავშირეს. აქ საუკეთესო კაფეა ყავისა თუ ჩაის დასალევად. ოქსფორდელები ამ წიგნების ოაზისში მეგობრებს ხშირად უნიშნავენ შეხვედრას.

51 Broad St, Oxford

პროდუქტი და დელიკატესები

სად შეიძენთ პროდუქტს, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. დიდი სუპერმარკეტები – Waitrose, Saunsbury, Tesco, Asda, M&S, Co-op საუკეთესო ხარისხის ძვირადღირებულ პროდუქტს გვთავაზობენ. განსაკუთრებით გემრიელი ხორცი, თევზი და დელიკატესები Waitrose-ში იყიდება. საერთოდ, სტუმრად წასვლისას სუპერმარკეტში ნაყიდი დელიკატესის საჩუქრად წაღება ცუდ ტონად მიიჩნევა, მაგრამ თუ პროდუქტს Waitrose-ში ყიდულობ, გამონაკლისი დასაშვებია.

მაღალი და საშუალო კლასის ინგლისელები ძალიან დიდ ყურადღებას აქცევენ, ვინ სად ყიდულობს პროდუქტს და ხშირად ერთმანეთს აკვირდებიან, ვის რომელი მაღაზიის პარკი უჭირავს ხელში. ფასითა და ხარისხიანი მზა საჭმლით მეორე ადგილზე M&S-ია; ამ ორთან შედარებით იაფი და ხარისხიანია Tesco.

საუკეთესო ფასად კარგი პროდუქტის შეძენა ფერმერების ბაზარში (Farmers' Market) შეიძლება. ასეთი ბაზრობები ბრიტანეთში ძალიან პოპულარულია და გარკვეულ დღეებში თითქმის ყველა ქალაქში იმართება. აქ გლეხებს გასაყიდად თავიანთი პროდუქცია გამოაქვთ.

COVERED MARKET

ეს არის ოქსფორდის ცენტრში მდებარე ძველი ბაზარი, რომელიც სავსეა პატარა მაღაზიებით. აქ ყველაფერი საუკეთესო ხარისხისაა.

ოქსფორდულ დელიკატესებს შორის გამორჩეულად გემრიელია Frank Cooper's-ის მარმელადი, სტილტონის ფირმის ლურჯი და თეთრი ყველი, პომიდვრის ჩირი. თუ ორგანული ანუ ბიოპროდუქტების მოყვარული ხართ, მაშინ ამ ფირმის – Prince Charles's organic food brand Duchy Originals პროდუქცია შეიძინეთ, რომელიც 1990 წელს დაარსდა.

PAYNE AND SON

ეს ვერცხლეულის ძველი მაღაზიაა, რომელშიც საჩუქრის შეძენა კარგ ტონად მიიჩნევა. ის დღესაც დამაარსებლის ოჯახს ეკუთვნის. ნათლობისას ბავშვს აუცილებლად პატარა ვერცხლის კოვზს, ვერცხლის ჭიქას ან ვერცხლის კვერცხის ჩასადებს ჩუქნიან, ანდა ხელსახოცისთვის განკუთვნილ ვერცხლის რგოლს ინიციალებით.

მშვენიერი საჩუქარია წიგნის ვერცხლის სანიშნე ოქსფორდის გამოსახულებით. აქვე შეგიძლიათ შეიძინოთ ვერცხლის კალმისტარი ინიციალებით, ღვინის დეკანტერი, ღვინის ბოთლის ვერცხლის ჩასადგამი და ა. შ. ბრიტანეთში ვერცხლი, საერთოდ, ძალიან კარგი საჩუქარია.



SKYLINE RESIDENCE

m²-ის პირველი პრემიალური პროექტი

ექსკლუზიური 19-ბინიანი საცხოვრებელი სახლი თბილისში უნიკალურ ადგილას დაიდგმება ბინას - სოლოლაკი, მთაწმინდის პარკის გზის მიმდებარედ, მ. მაყაშვილის ქუჩის ჩიხი N3.

სიახლოვეს განთავსებულია სასეირნო ბილიკები, მთაწმინდის პარკი და ბოტანიკური ბაღი.

2 444 111 I www.skyline.ge

m²
REAL ESTATE